საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ალ. ბენდიანიშვილი

აგრარული უთანასწორობანი საქართველოში 1890—1917 წწ.

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი 1965

9(c4,1)
9(47.922)
ბ 482

ნაშრომში გაშუქებულია 1890—1917 წწ. საქართველოში აგრარულ ურთიერთობათა ფორმების ევოლუცია და საკაპრო მიწათმოქმედების განვითარების შედეგად მიწის მფლობელობა-საკუთრებაში მომხდარი ცვლილებები; შესწავლილია მიწის იჯარა და საგადასახლებო მოძრაობა, მიწის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები და მესაკუთრე გლეხთა კატეგორია, მთავრობის და ქართველი თავადაზნაურობის აგრარული პოლიტიკა.

ნაშრომში მოტანილი მასალა ცხადყოფს, რომ საქართველოს სოფელში კლასობრივი ბრძოლის გამწვავებისა და რევოლუციის მიზეზი იყო როგორც ბატონყმობის ნაშთები, ასევე კაპიტალიზმის განვითარების საფუძველზე აღმოცენებული წინააღმდეგობანი.

წიგნი გათვალისწინებულია ისტორია-ეკონომიკის სპეციალისტებისა და უმაღლესი სასწავლებლების შესაბამის ფაკულტეტთა სტუდენტებისათვის.

რედაქტორი ი. ანთელავა

ბურჟუაზიული საქართველოს ყველაზე მრავალრიცხოვანი კლასის — გლეხობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შესწავლას და აგრარულ ურთიერთობათა ევოლუციის გაშუქებას გარკვეული ყურადღება ექცეოდა ჯერ კიდევ რევოლუციამდე. ს. ავალიანის, ს. ვსაძის, ი. ბახტაძის, ო. სიომინის, ი. სეგალის და სხვ. ნაშრომები ბევრ საინტერესო მასალას შეიცავენ დასახელებული პრობლემის გარშემო.

მარქსისტმა ისტორიკოსებმა დასძლიეს ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის მეთოდოლოგიური ნაკლი და კვლევა-ძიება ახალ, მაღალ საფეხურზე აიყვანეს. გამოქვეყნდა ნ. ბერძენიშვილის, პ. გუგუშვილის, ი. ანთელავას, შ. ჩხეტიას, ი. ხუციშვილის, ა. კიკვიძის, ვ. მოჩალოვის, ი. უთურაშვილის, ი. მირცხულავას და სხვათა გამოკვლევები, რომლებშიც მეტ-ნაკლები სიღრმითაა გაშუქებული პრობლემის ესა თუ ის მხარე. მიუხედავად ამისა, მშრომელი გლეხობის ისტორიის ყოველმხრივი შესწავლისათვის კიდევ ბევრი მუშაობაა საჭირო.

წინამდებარე გამოკვლევის ქრონოლოგიური და თემატური ჩარჩოები მეტად ვრცელია, ამიტომ ყველა საკითხის ამომწურავი გაშუქების პრეტენზიას არ ვაცხადებთ. ჩვენს მიზანს შეადგენდა ნაწილობრივ შეგვევსო პრობლემის შესწავლაში არსებული ხარვეზი, რამდენადმე გაგვეღრმავებინა ისეთი საკითხების კვლევა, როგორიცაა საგლეხო რეფორმის არსი, თემური მიწათმფლობელობის ხასიათი და მნიშვნელობა საქართველოს სინამდვილეში, მიწის იჯარა და საგადასახლებო მოძრაობა, მიწის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები და მესაკუთრე გლეხთა კატეგორია, მთავრობისა და ქართველი თავადაზნაურობის აგრარული პოლიტიკა.

უკვე ცნობილი მასალის ყოველმხრივმა კრიტიკულმა შესწავლამ და ჩვენ მიერ საბჭოთა კავშირის არქივებში გამოვლენილი

ახალი მასალის ანალიზმა ლოგიკურად მიგვიყვანა საქართველოს ისტორიოგრაფიაში ფართოდ გავრცელებული ზოგი კონცეფციის უარყოფამდე და განსხვავებული თვალსაზრისის წამოყენების აუცილებლობამდე.

თუ რამდენად შევასრულეთ დასახული მიზანი და რამდენად სწორია კვლევა-ძიების შედეგად ჩვენ მიერ მიღებული დასკვნები, ამის განსჯა სპეციალისტებისა და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის მიგვინდია.

ავტორი

თავი პირველი

პრივილეგიური წოდების მონოპოლია მიწის საკუთრებაზე და აგრარული ურთიერთობის ფორმები

1. დროებითვალდებულების ინსტიტუტი

XIX საუკუნის 50-იან წლებში ყველასათვის ცხადი გახდა, რომ ფეოდალურ-ბატონყმური წყობილება აფერხებდა რუსეთის იმპერიის პროგრესულ განვითარებას. მზარდ საწარმოო ძალებსა და დრომოჭმულ წარმოებით ურთიერთობებს შორის აღმოცენებული წინააღმდეგობების საფუძველზე ქვეყანაში მომწიფდა რევოლუციური სიტუაცია. ზედა ფენებს აღარ შეეძლოთ ძველებურად მართვა, ქვედა ფენებს აღარ სურდათ ძველებურად ცხოვრება. მშრომელი მასების ფართო სოციალური მოძრაობა წალეკვით ემუქრებოდა დახავსებულ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობილებას.

მეფის მთავრობამ კარგად გაითვალისწინა მოახლოებული რევოლუციური ქარიშხალის ძალა და რომ იგი თავიდან აეცილებინა, გადაწყვიტა რეფორმების საშუალებით, დროის მოთხოვნილების შესაბამისად, შეეკეთებინა რუსეთის იმპერიის სოციალ-პოლიტიკური შენობა.

1861 წლის 19 თებერვლის მანიფესტმა ყმაგლეხობას მიანიჭა პირადი თავისუფლება და ძირითადად ამით განისაზღვრა ჩატარებული რეფორმის პროგრესული მნიშვნელობა, მაგრამ ადგილობრივი დებულებები მაქსიმალურად იცავდა პრივილეგიური წოდების ინტერესებს გლეხობის ხარჯზე.

საგლეხო რეფორმამ თითქმის ხელუხლებლად დატოვა ფეოდალური საკუთრება მიწაზე. მემამულეების უშუალო განკარგულებაში დარჩა ან გადავიდა მიწის უდიდესი ნაწილი. ისინი დროებითვალდებული გლეხებისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთების მიმართაც ინარჩუნებდნენ საკუთრების უფლებას.

„ყბადაღებული გათავისუფლება,—წერდა ვ. ი. ლენინი.—იყო გლეხების ყოვლად უსინდისო გაძარცვა. იგი წარმოადგენდა მათ მიმართ მთელ რიგ ძალმომრეობას და პირდაპირ დაცინვას... ზოგიერთ გუბერნიაში ჩამოუჭრეს, წაართვეს გლეხებს მათი მიწის ერთ მესამედამდეც და ორ მეხუთედამდეც კი".[1]

1864 წლის 13 ოქტომბერს იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ დაამტკიცა „დამატებითი წესები 1861 წლის თებერვლის დებულებისადმი საბატონო გლეხთა განთავისუფლების შესახებ თბილისის გუბერნიაში". 1865—1871 წწ. ანალოგიური დებულებები შედგეხილ-დამტკიცებულ იქნა ქუთაისის გუბერნიის (იმერეთი, გურია, რაჭა), სამეგრელოს, აფხაზეთისა და სვანეთის საბატონო გლეხთა განთავისუფლების შესახებ. ეს დებულებები შეიცავდა ერთმანეთისაგან განსხვავებულ მუხლებს, რომლებშიც რამდენადმე ეისახა საქართველოს სხვადასხვა კუთხის სოციალური წყობის თავისებურებანი. მართალია, მემამულეებისა და დროებითვალდებული გლეხების ურთიერთობის ფორმები ხშირად არ თავსდებოდა კანონმდებლობის (დებულებების) ჩარჩოებში, ცხოვრების ფაქტიური მიმდინარეობით ხშირად ირღვეოდა დადგენილი ნორმები, მაგრამ რეფორმამ ასე თუ ისე მოახდინა მხარეების უფლება-მოვალეობათა რეგლამენტაცია.

რეფორმამდე აღმოსავლეთ საქართველოში ითვლებოდა 1751 მებატონე თავადაზნაური ოჯახი, რომელთაც ჰყავდა 17281 კომლი ყმაგლეხი. 869 მებატონე ოჯახზე ფლობდა 21-მდე სულ მამრობითი სქესის ყმაგლეხს, 725 მებატონე—21-100 სულს, 135 მებატონე—101-500 სულს, 12 მებატონე 501-1000 სულს, 2 მებატონე—1000 სულზე მეტს[2].

დასავლეთ საქართველოში (აჭარა-აფხაზეთის გამოკლებით) რეფორმის წინ ითვლებოდა 11217 თავადაზნაურის ოჯახი, რომელთა დამოკიდებულებაში იყო 47102 კომლი ყმა გლეხი[3].

<აფხაზეთში სხვადასხვა კატეგორიის დამოკიდებულ გლეხთა რიცხვი შეადგენდა 11050 კომლს> სადადეშქელიანო სვანეთში—132 კომლს[4].

ამგვარად, საქართველოში ბატონყმური დამოკიდებულებისაგან გათავისუფლდა 75565 კომლი გლეხი. ეს დადებითი მოვლენა იყო. მაგრამ მარტო პირადი თავისუფლება არ კმაროდა გლეხთა მდგო-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 17, გვ. 126.

[2] СХАО, т. I, гг. 431—433.

[3] იქვე, გვ. 346 და 505.

[4] იქვე, გვ. 522—537, 574—577.

მარეობის გაუმჯობესებისათვის. ჩატარებული რეფორმის მძარცველური ხასიათი თითქმის ყველაზე მეტად საქართველოში გამომჟღავნდა. გლეხებმა ჩამონაჭრების სახით აქ მეტი მიწა დაჰკარგეს, ვიდრე რუსეთის მრავალ გუბერნიაში.

რეფორმამ აღმოსავლეთ საქართველოში პირადი თავისუფლება მიანიჭა 17281 კ. ყმაგლეხს, საწესდებო სიგელები კი შედგენილ იქნა მხოლოდ 14230 კომლისათვის[5]. უსიგელოდ და ამდენად უნადელოდ, ჩიტივით თავისუფალი დარჩა 3051 კ. გლეხი. ქუთაისის გუბერნიაში უმიწოდ გათავისუფლდა 4000 კომლი (20000 ს.) გლეხი[6].

რეფორმამდე აღმოსავლეთ საქართველოს ყმაგლეხთა სარგებლობაში იყო 84655 დეს. მიწა, კომლზე 5,9 დესეტინა. რეფორმის შემდეგ მათ სარგებლობაში დარჩა 55667 დეს., კომლზე 3,9 დესეტინა[7]. 1875 წ. კომლობრივი აღწერის მონაცემებით შორაპნის მაზრის 7729 კ. დროებითვალდებულ გლეხს ყოფილმა მებატონეებმა რეფორმის გატარების მომენტში ჩამოართვეს 7256 დეს. მიწა. ნადელებად კი გამოუყვეს 20198 დეს. კომლზე საშუალოდ 2,7 დესეტინა. რაჭის გლეხებმა ჩამონაჭრების სახით დაკარგეს რეფორმამდე მათ სარგებლობაში არსებული მიწების მესამედი, რის შემდეგაც კომლზე საშუალოდ დარჩათ 1,9 დესეტინა. ლეჩხუმში ნადელების ფართობი კომლზე საშუალოდ შეადგენდა 2.1 დეს., გურიაში კი—1,3 დესეტინას[8].

* * *

(არსებითად განსხვავებული ხასიათი ჰქონდა საგლეხო რეფორმას აფხაზეთში. გლეხთა მომწყობი მთავარი კომიტეტისა და კავკასიის კომიტეტის გაერთიანებული თათბირის ჟურნალში ნათქვამია: აფხაზეთისა და სამურზაყანოს წოდებრივი წყობის თავისებურების გამო (სადაც დაბალი კლასის ვალდებულებითი ურთიერთობის საფუძველი მაღალი კლასის მიმართ არის ერა მიწა, არამედ სხვადასხვა ხასიათის პირადი მფარველობა) ამჟამად წარმოდგენილ დებულების პროექტს აღნიშნულ მხარეში დამოკიდებული წოდების მოწყობის შესახებ, თითქმის არაფერი აქვს საერთო აქამდე დამტკიცებულ რუსეთისა და ამიერკავკასიის გლეხთა საკითხზე მიღებულ კანონმდებლობებთან. თავისებურება კი იმაში მდგომარეობდა, რომ 1870 წ. 8 ნოემბრის დებულების თანახმად აფხაზეთის ყველა

[5] „Кавказский вестник", 1901 г., 9. გვ. 105.

[6] О. Семин, Великая годовщина. Аграрный вопрос и крестьянская (крепостная) реформа на кавказе, 1911 г., გვ. 126.

[7] ССДСХЗК, გვ. 12.

[8] იქვე, დამატება 11, გვ. 162—177.

მცხოვრებს (მათ შორის გლეხებს) სრულ საკუთრებაში უმტკიცდებოდა ეზოები, ბაღ-ვენახები და სახნავი მიწები. გლეხთა პირადი განთავისუფლების საზღაურად თავადაზნაურობას ეძლეოდა გარკვეული თანხა, რომელიც გამოიანგარიშებოდა გლეხთა წლიური ვალდებულებების 10 პროცენტის საფუძველზე კაპიტალიზაციის გზით. ე. ი. 10 წლის ვალდებულებათა ჯამი ქმნიდა გამოსასყიდ თანხას. ამ თანხის ორი მეხუთედი უნდა დაეფარა გლეხობას, სამი მეხუთედი კი—სახელმწიფო ხაზინას. გლეხებს გამოსასყიდის თავისი წილი ან ერთდროულად უნდა გაეღოთ, ან ოთხ წელიწადს კიდევ გაეგრძელებინათ რეფორმამდელი ვალდებულებების გადახდა, რაც მათ გამოსასყიდ თანხაში ეთვლებოდათ[9]. გამოსასყიდი თანხის ერთდროულად დაფარვა არ იყო ადვილი. ამიტომ აფხაზეთის გლეხები, ნებით თუ ძალდატანებით, აგრძელებდნენ ძველი ადათ-წესებით განსაზღვრული ვალდებულებების გაღებას კიდევ 4 წელიწადს, რის შემდეგაც თავადაზნაურთა დამოკიდებულებებისაგან სრულიად თავისუფლდებოდნენ. ზოგი მკვლევარი თვლის, რომ მეფის მთავრობამ უარი თქვა გლეხთა პირადი ვალდებულების გამოსასყიდ თავის წილზე და ფაქტიურად მთელი გამოსასყიდი თანხა გლესობას უნდა დაეფარაო. ასეც რომ ყოფილიყო, ვალდებულებითი ურთიერთობა აფხაზეთში მხოლოდ 1870—1880 წლებში იარსებებდა, რადგან დებულების თანახმად მემამულეთა სასარგებლოდ გაღებული ყოველწლიური გადასახადები გლეხებს ეთვლებოდათ გამოსასყიდ თანხაში. ამგვარად, დროებითვალდებულებითი ურთიერთობა, გარდამავალი ხანა, აფხაზეთში გაგრძელდა მხოლოდ 4—10 წელიწადს. კანონმდებლობამ იქაურ გლეხობას პირად თავისუფლებასთან ერთად მიწაზე საკუთრების უფლებაც მიანიჭა.

თითქოს ყველაფერი ნათელია, მაგრამ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში დღემდე არ ყოფილა აღნიშნული აფხაზეთის ეს თავისებურება. პირიქით, ამ საკითხის თითქმის ყველა მკვლევარის განცხადებით საგლეხო რეფორმა აფხაზეთში ისევე ბატონყმურ ხასიათს ატარებდა, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში და დროებითვალდებულების ინსტიტუტი აფხაზეთშიც 1912 წლამდე არსებობდა. ამ აზრის უსაფუძვლობას 1870 წ. 8 ნოემბრის დებულებასთან ერთად ცხადყოფს სხვა ოფიციალური დოკუმენტებიც.

ცნობილია, რომ აფხაზეთის გლეხობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო 1877 წლის ანტიცარისტულ აჯანყებაში. სამხედრო მინისტრმა წინადადება მისცა იმპერატორს დამნაშავე გლეხობის დასჯის მიზნით მათთვის ჩამოერთმიათ მიწაზე საკუთრების უფლება. 1880 წ. 16 ივნისს ეს წინადადება უმაღლესად

[9] СХАО, т. II, стр. 585—592.

დამტკიცდა. დოკუმენტიდან ჩანს, რომ დამნაშავედ გამოცხადებული გუმისთის, გუდაუთისა და კოდორის საპოლიციო უბნების გლეხობა ხაზინის უწყებაში მოექცა. მიწები მათ დაუტოვეს მემკვიდრეობით მფლობელობაში და სახელმწიფო გლეხთა ვალდებულებანი დააკისრეს[10]. ბესაკუთრე გლეხობის მიმართ ეს გვარიანი სასჯელი იყო. მაგრამ ერთი წუთით დავუშვათ. რომ მართალი არიან ზემოაღნიშნული მკვლევარები და აფხაზეთის გლეხური მოსახლეობა მესაკუთრე კი არ იყო, არამედ დროებითვალდებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ასეთ შემთხვევაში განა სასჯელის ზომად ჩაითვლება დროებითვალდებული გლეხების მიმართ მათი სახაზინო უწყებაში გადაყვანა? ხომ ცნობილია. რომ დროებითვალდებული გლეხების უფლებრივ-ეკონომიური მდგომარეობა გაცილებით ცუდი იყო, ვიდრე სახელმწიფო გლეხებისა. მეფის მთავრობა ისეთ შეცდომას არ დაუშვებდა, რომ დამნაშავეთა მდგომარეობა გაეუმჯობესებინა[11].

აფხაზეთის დასჯილი გლეხობა ათეული წლების განმავლობაში ატარებდა ცარიზმის მიერ მიკერებულ დამნაშავის იარლიყს. გლეხები ყოველთვის მოითხოვდნენ დამნაშავეობის მოხსნას. სანადელო მიწებზე მათი საკუთრების უფლების აღდგენას, რასაც მიაღწიეს მხოლოდ 1905—1907 წლებში. დოკუმენტში პირდაპირ სწერია, რომ გლეხობას უბრუნდებოდა, 1870 წ. 8 ნოემბრის დებულებით მინიჭებული, მაგრამ 1880 წელს ჩამორთმეული, მიწაზე საკუთრების უფლება.

ზოგი მკვლევარი აღიარებს, რომ 1870 წ. 8 ნოემბრის დებულება, მართალია, ითვალისწინებდა გლეხთა პირადი ვალდებულებების გაუქმებას 4 წელიწადში, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავდა, რადგან გლეხებისათვის ნადელების მიზომვა ათეული წლობით ჭიანურდებოდაო.

ამასთან დაკავშირებით: ფეოდალიზმის ხანაში გლეხობა იყო ძირითადი მწარმოებელი ძალა. რეფორმის ჩატარების მომენტში აფხაზეთის კულტურული მიწების უდიდესი ნაწილი ფაქტიურად გლეხობის ხელში იყო. წოდებებს შორის მიწების გაყოფა-გამიჯვნა იმაში გამოიხატებოდა, რომ გლეხებს ართმევდნენ მიწების ერთ ნაწილს და მემამულეებს უზომავდნენ. ასე რომ, მიწების გაყოფა-გამიჯვნის დაჩქარებაში მემამულეები უფრო იყვნენ დაინტერესებული. გლეხები კი ყოველგვარ წინააღმდეგობას უწევდნენ მთავრო-

---

10 ლენინგრადის ცსია, ფონდი 396, ანაწერი 3, საქმე 1089, ფურც. 18—21, 50—62.

11 იქვე.

ბის მოხელეებს, სურდათ, რომ თავის ფაქტიურ მფლობელობაში მყოფი მიწები მთლიანად შეენარჩუნებინათ საკუთრებაში.

ბოლოს ეს მკვლევარები იმასაც ამბობენ, რომ მეფის მთავრობის კანონმდებლობამ, თითქოს მოსპო დამოკიდებულებითი ურთიერთობა, მაგრამ ფაქტიურად იგი შაინც დარჩა აფხაზეთში თვით რევოლუციამდეო. თუ ეს ასეა, საკითხავია, რატომ არ აისახა ეს ინსტიტუტი ოფიციალურ სტატისტიკასა და სხვა სახის მასალებში. რატომ არსად არაფერია ნათქვამი აფხაზეთის დროებითვალდებული გლეხების რაოდენობაზე, ნადელთა გამოსყიდვის ოპერაციებზე, რატომ არ გავრცელდა 1912 წ. კანონი ვალდებულებითი ურთიერთობის ლიკვიდაციის შესახებ აფხაზეთზეც? ბუნებრივია, არარსებული ფაქტები ვერ აისახებოდა საისტორიო მასალებში. ზოგი მკვლევარი კი წინასწარ შემუშავებული თვალსაზრისით მიუდგა ამ საკითხის შესწავლას და აფხაზეთის ნაყმევი გლეხები ძალად მოათავსა დროებითვალდებულ გლეხთა კატეგორიაში. შეიძლება აფხაზეთში, სადაც ადათს დიდი ძალა ჰქონდა, მართლაც დარჩა ტრადიციული, არქაული ურთიერთობის მცირე გადმონაშთები, მაგრამ ეს არ იყო დროებითვალდებულების ინსტიტუტი.

ამგვარად, საგლეხო რეფორმას აფხაზეთში, შეიძლება ვთქვათ, თანმიმდევრული ბურჟუაზიული ხასიათი ჰქონდა. მას იქ თითქმის არ დაუტოვებია ბატონყმობის ნაშთები. მართალია, თავადაზნაურობამ შეინარჩუნა დიდი რაოდენობით მიწა-მამული, მაგრამ გლეხობაც, სხვა რაიონებთან შედარებით, აქ უკეთ იქნა მიწით უზრუნველყოფილი. იგი ნაკლებად მოექცა მემამულეთა კაბალაში. კაბალურ მოიჯარეთა ფენა აფხაზეთში ძირითადად შეიქმნა 1865 წლის შემდეგ იქ დასახლებული ქართველი გლეხების ხარჯზე. ეს უკანასკნელნი კი საქართველოს სხვა კუთხეებიდან ბატონყმური რეფორმით შექმნილ მძიმე სოციალურ-ეკონომიურ-პირობებს გამოექცნენ და ბედს აფხაზეთში ეძებდნენ.

სამეგრელოს ყმა-გლეხთა გათავისუფლების დებულება სადადიანო სვანეთზეც გავრცელდა. სადადეშქელიანო სვანეთში კი წოდებრივ-საადგილმამულო საკითხი გადაწყდა თითქმის იმავე საფუძველზე, როგორც აფხაზეთში. ბექირბი, გელა, მოსოსტრი და თენგიზ დადეშქელიანთა სამფლობელოში (ეცერისა და ცხუმარის თემები) 1869 წლისათვის ითვლებოდა 132 კ. (614 ს. მამრობითი სქესის) ყმა-გლეხი. მებატონეებმა და თვით მთავრობამაც შეუძლებლად ჩათვალეს საგლეხო რეფორმის დებულებათა გავრცელება და დროებითვალდებულებითი ურთიერთობის დაწესება ამ მაღალმთიან სოფლებში. კავკასიის ადმინისტრაციის მიერ მხარეების ნებაყოფლობი-

თი შეთანხმების საფუძველზე მიღებული დადგენილების თანახმად გათავისუფლებულ გლეხებს სრულ საკუთრებაში, გამოსყიდვის გარეშე, ეძლეოდა კომლზე 5 ქცევა მიწა (ეზო, სახნავ-სათესი, სათიბი). დანარჩენ ტერიტორიას შეუზღუდავ საკუთრებაში იღებდნენ მებატონეები. გლეხები ინარჩუნებდნენ დადეშქელიანთა ტყესაძოვრებით სარგებლობის უფლებას, რისთვისაც კომლზე იხდიდნენ 5 მანეთს წლიურად.

ამ დათმობების სანაცვლოდ დადეშქელიანებმა ხაზინისაგან მოითხოვეს გლეხთა პირადი გათავისუფლებისათვის დადგენილი საზღაური ორმაგად—მამრობითი სქესის ყოველ სულზე 50 მანეთი.

ზემოაღნიშნული დადგენილება და დადეშქელიანებისათვის საზღაურის მიცემის საკითხი უმაღლესად დამტკიცდა 1871 წ. 8 ოქტომბერს[12].

* * *

საქართველოს ძირითად რაიონებში გლეხობამ მიწა მიიღო არა საკუთრებაში, არამედ მუდმივ სარგებლობაში. ქართველი მემამულეები ფიქრობდნენ, რომ გლეხებისათვის ნადელების გადაცემით დიდი მსხვერპლი გაიღეს და კომპენსაციის მიღებას ღალის მაღალი განაკვეთის დაწესებით ვარაუდობდნენ.

აღმოსავლეთ საქართველოში სანადელო მიწით სარგებლობის საზღაურად გლეხობას დაეკისრა მოსავლის მეოთხედის გადახდა. დასავლეთ საქართველოს მემამულეებმა კი მეტი მოითხოვეს გლეხებისაგან. თუ თბილისის გუბერნიაში, სადაც მიწა ესოდენ შრომას მოითხოვს, მოსავლის მეოთხედია დაწესებული, აქ გაცილებით მაღალი გამოსაღები უნდა დაკანონდესო. რაჭის თავადაზნაურთა წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ჩვენი გლეხები შრომისმოყვარე არიან და საშოვარზეც დადიანო. გათავისუფლების შემდეგ მათი მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება; მცირემიწიანობის მიუხედავად არ გაუჭირდებათო სანადელო მიწით სარგებლობის საზღაურად მოსავლის ნახევრის გადახდა[13]. როგორც ვხედავთ მემამულეები შესაძლებლად სთვლიდნენ რეფორმის შემდეგაც შეენარჩუნებინათ გარეეკონომიური იძულების უფლება, დაპატრონებოდნენ გლეხთა არასამიწათმოქმედო შემოსავლის ნაწილსაც.

მთავრობამ მხედველობაში მიიღო თავადაზნაურთა ასეთი მისწრაფება. მათი უფლებები ამ მხრივ მაინცდამაინც შეზღუდული არ

---

[12] СХАО, т. II, გვ. 522—537.
[13] იქვე, გვ. 345—347.

ყოფილა. დროებითვალდებულ გლეხებზე დაკისრებული ღალა-კულტის ნორმა—მოსავლის მეოთხედი და ზოგან მესამედი—მნიშვნელოვნად აჭარბებდა რეფორმამდე არსებულს.

ბაკლეხი რეფორმამ, მართალია, საფუძველი ჩაუყარა გლეხობისა და თავადაზნაურობის საადგილმამულო გამიჯვნას, გლეხური მეურნეობის დამოუკიდებელ არსებობას, მაგრამ ეს საქმე ბოლომდე არ ყოფილა მიყვანილი. დებულების ძალით დროებითვალდებულ გლეხთა ნადელების ეურიდიულ მესაკუთრედ მემამულე რჩებოდა, რაც საშუალებას აძლევდა ამ უკანასკნელს შეეზღუდა გლეხის უფლებები, ეკონომიურად დაექვემდებარებინა გლეხის მეურნეობა. ეყრდნობოდა რა კანონისა და მთავრობის მხარდაჭერას, თავადაზნაურობამ გლეხობას დააკისრა მძიმე საადგილმამულო ვალდებულებანი. XIX ს-ის 70-იან წლებში მეფისნაცვლის კანცელარიამ გამოიანგარიშა, რომ საქართველოს დროებითვალდებული გლეხები დესეტინაზე იხდიდნენ საშუალოდ 9 მანეთს. სულ კი 2627ბ6 დეს. სანედელო მიწით სარგებლობისათვის 2 385074 მანეთს[14].

მომდევნო ხანაში დროებითვალდებულ გლეხთა საადგილმამულო ვალდებულებანი თანდათან მძიმდებოდა. XIX—XX სს. მიჯნაზე მთავარმმართველის საბჭოს გამოანგარიშებით საქართველოში ერთი დესეტინა ნაყოფიერი მიწის მთელი შემოსავალი უდრიდა დაახლოებით 54 მან. სუფთა შემოსავალი კი—16,5 მან. მთელი შემოსავლის 25%—13,4 მანეთს გლეხი მემამულეს აძლევდა, თვით მას სუფთა შემოსავლიდან რჩებოდა მხოლოდ 3 მანეთი. ნაკლებად ნაყოფიერი მიწები კი გლეხობას არა თუ მოგებას არ აძლევდა, არამედ ზარალიანი იყო და თუ ამას გლეხები ვერ ამჩნევდნენ, იმიტომ, რომ ხარჯებში არ ანგარიშობდნენ საკუთარ შრომას[15].

დებულებამ საძოვრებით სარგებლობის წესი უცვლელად დასტოვა. სადაო საქმეები მომრიგებელ მოსამართლეებს უნდა გაერჩიათ საადათო სამართლის საფუძველზე, მაგრამ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განსხვავებული ადათ-წესები მოქმედებდა და მათი შეუსწავლელობის გამო, შეუძლებელი იყო სწორი დადგენილების მიღება. საქმეები ჩვეულებრივ ძლიერთა სასარგებლოდ წყდებოდა.

დებულება კრძალავდა გლეხთა ინტერესების დარღვევას, მაგრამ იმავე კანონზე დაყრდნობით მემამულეები ხნავდნენ საძოვრებს, რაც ძირს უთხრიდა გლეხის მეურნეობას მეცხოველეობის დარგში. ამის გამო ხშირი იყო შეტაკებანი გლეხებსა და მემამულეებს

---

[14] CXAO, ტ. IV, გვ. 128.
[15] ლენინგრადის ცსია, ფონდი 396, ანაწერი 3, საქმე 560, ფურც. 12.

შორის. საგლეხო საქმის საგუბერნიო საკრებულოებს ეკალებოდა: დაეცვა გლეხები მემამულეთა ძალმომრეობისაგან; დაეცვა მემამულეები გლეხთა მიერ თავიანთი უფლებების გადაჭარბებით გამოყენებისა შემთხვევაში[16]. ასეთი ორპოფული პოლიტიკა ისევ ძალიერთა ინტერესებს პასუხობდა, გლეხობას კი თავადაზნაურთა წრიდან გამოსულ მომრიგებელ შუამავალთა თვითნებობის მსხვერპლად სწირავდა.

დროებითვალდებულ გლეხებს, მცირე გამონაკლისს გარდა, ნადელთა შემადგენლობაში ტყიანი ნაკვეთები არ მიუღიათ. მემამულის ტყით სარგებლობისათვის გლეხს უნდა გადაეხადა გარკვეული თანხა. ტყით სარგებლობის პირობები თანდათან მძიმდებოდა, რაც, ბუნებრივია, გლეხთა უკმაყოფილებას იწვევდა.

მემამულეთა და დროებითვალდებული გლეხების საადგილმამულო ურთიერთობა თანდათან მწვავდებოდა. მხარეები ძალიან ხშირად მიმართავდნენ საგლეხო დაწესებულებებს. მემამულეები გლეხთა მიერ ღალა-კულუხის გადახდის დაგვიანებისა ან მისი არაბრულად გაღების გამო ჩიოდნენ, გლეხები კი მემამულეებს გადამეტებულ პრეტენზიებში დებდნენ ბრალს. 1869 წელს მემამულეებმა გლეხების წინააღმდეგ აღძრეს 886 საჩივარი, ხოლო გლეხებმა მემამულეების წინააღმდეგ—141 საჩივარი[17]. საარქივო საქმეში აღნიშნულია, რომ საჩივრების უმრავლესობა მხარეების მორიგებით დამთავრდა, მხოლოდ სამ შემთხვევაში ჩამოერთვათ ურჩ გლეხებს ნადელები და მემამულეებს გაადაეცათო სრულ განკარგულებაში.

თბილისის გუბერნიის მიმოხილვებში დაცული ცნობების მიხედვით მარტო ათი წლის განმავლობაში (XIX ს-ის 70—80-იანი წლები) აღმოსავლეთ საქართველოს მემამულეებმა და დროებითვალდებულმა გლეხებმა ერთმანეთის წინააღმდეგ აღძრეს 7808 საჩივარი. მემამულეები განსაკუთრებით ხშირად ჩიოდნენ გლეხთა მიერ ვენახების არასათანადოდ მოვლისა და ამის შედეგად მათი (მემამულეების) შემოსავლის შემცირების გამო. მთავრობის მოხელეები თავს მაინცდამაინც არ იწუხებდნენ ვენახების მოსავლიანობის შემცირების მიზეზთა გამოსარკვევად და „უყაირათო". „ზარმაც" კლეხებს ვენახებს ართმევდნენ. ცხრა წლის განმავლობაში აღმოსავლეთ საქართველოს 156 კ. გლეხს ჩამოართვეს ვენახები და მემამულეებს გადასცეს.

---

16 С. Авалиани, Крестьянский вопрос в Закавказье, т. 4, ეგ. 2.8—221.

17 საქართველოს ცსია, ფონდი 17, საქმე 8980. ფურც. 61—82.

დროებითვალდებული გლეხებით დასახლებული სოფლები პერმანენტული კლასობრივი ბრძოლის არენას წარმოადგენდა. თავადი იასონ ციციშვილი კორესპონდენციაში—„შეუძლებელი დამოკიდებულება მებატონეთა და გლეხთა შორის“ აღნიშნავდა, რომ ბატონყმობის გაუქმებიდან დიდი ხნის გასვლის მიუხედავად ნაბატონარები და გლეხები ერთმანეთში ვერ მორიგებულან. ნაბატონარები ბრაზდებიან, რომ გლეხები კანონს არ იცავენ, გლეხები თავისას ამბობენ და არის გაუთავებელი დავა. ჩვენს გასაშველებლად ღმერთის მეტი არავინაა, ჩივის სასოწარკვეთილი მემამულე[18].

საბატონო ვალდებულების დიდი ტვირთით წელში გადრეკილი გლეხები ხშირად იარაღით გამოდიოდნენ უსამართლობის წინააღმდეგ. გლეხთა კლასობრივი ბრძოლების ჯაჭვში ერთ-ერთ ცენტრალურ რგოლს წარმოადგენდა სამეგრელოს გლეხთა 1876 წლის აჯანყება.

მეფის ნაცვლის მოადგილის განცხადებით სამეგრელოს სოფლების ლიასა და ფახულანის გლეხთა განწყობილებაზე დიდ გავლენას ახდენდა მეზობლობა სამურზაყანოსთან, სადაც დამოკიდებულებითი ურთიერთობა უფრო მსუბუქ ხასიათს ატარებდა და გლეხთა გათავისუფლებაც გაცილებით შეღავათიან პირობებში მოხდა. აღნიშნული სოფლის გლეხები კატეგორიულად მოითხოვდნენ ვალდებულებების შემცირებას, ხოლო 1875 წელს, ბატონყმობის გაუქმების 9 წლის თავზე საერთოდ უარი თქვეს საბატონო ვალდებულებებზე იმ მოტივით, რომ ასეთი ჩაწერილი დებულებაში.

მომრიგებელი მოსამართლის, საგლეხო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს წევრების და თვით გუბერნატორის ახსნა-განმარტებამ 9 წლიანი ვადის მნიშვნელობის შესახებ, ვერ შეარყია გლეხთა გადაწყვეტილება. სამეგრელოში ჯარის ნაწილები გაიგზავნა და აჯანყებულ სოფლებში ეგზეკუცია ჩაატარეს. ამანაც ვერ შეაშინა ლიასა და ფახულანის გლეხები. ისინი მეზობელ სოფლებში გადავიდნენ და თავის სოციალურ თანამოძმეებს უსამართლობის წინააღმდეგ საერთო ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ. მღელვარება მოედო ზუგდიდის მაზრის მესამედს (აჯანყებულთა რაზმებში 2 ათასი კაცი გამოვიდა) და იწყო გავრცელება სენაკისა და ლეჩხუმის მაზრებში. მთავრობამ სცადა ყოფილი მთავრის ნ.მინგრელსკის ავტორიტეტის გამოყენებაც, მაგრამ ამაოდ. როცა დაჯერების ყველა შე-

---

18 „ცნობის ფურცელი“, 1897 წ., № 284, გვ. 2—3.

საძლებლობა ამოიწურა, პოდპოლკოვნიკ პრინცის ბრძანებით ბატალიონებმა ცეცხლი გაუხსნეს ოჯანყებულებს. გაჩაღდა ბრძოლა, რომლის მსვლელობაშიც გლეხებმა დაკარგეს 18 კაცი მოკლულთა და 30 კაცი დაჭრილთა სახით. სამეგრელოში აღდგენილ იქნა „წესრიგი". დროებითვალდებულმა გლეხებმა განაახლეს საბატონო გადასახდელების გაღება[19].

სოფ. ბრილის (ქართლი) გლეხებისა და თავად დიასამიძეთა შორის წინააღმდეგობა რეფორმის გატარებისთანავე აღმოცენდა. მთავრობის მოხელეთა დადგენილებით ბევრ გლეხს დაატოვებინეს მამაპაპეული სამოსახლო და სხვა ადგილებზე გადაიყვანეს. ათი გლეხი დაემორჩილა ბედს, სხვები წინააღმდეგობას უწევდნენ ძალადობას, უარს ამბობდნენ კანონით დაწესებულ ვალდებულებათა შესრულებაზე. 1897 წ. ბრილში მივიდა საგლეხო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს მოხელე აბაშიძე, რათა მოერიგებინა მხარეები; მაგრამ გლეხებმა უარი თქვეს მემამულესთან შერიგებაზე. მათ მოითხოვეს ნადელგარეშე მამულებითა და ტყით თავისუფლად სარგებლობის უფლება. მემამულეს თითქმის ყოველთვის ძალის გამოყენება და მთავრობის მოხელეთა დახმარება სჭირდებოდა ღალა-კულულხის აკრეფისათვის. სწორედ ამ წინააღმდეგობის ნიადაგზე მოხდა გლეხთა მიერ თავად დიასამიძის მკვლელობა[20].

ამგვარად, დროებითვალდებულების ინსტიტუტი ფაქტიურად ბატონყმობის ნაირსახეობას წარმოადგენდა. ღალა დაწესებული იყო არა ამდენად მიწაზე, რამდენადაც შრომაზე. ეს გამოსაღები კვლავ ფეოდალური ვალდებულების ხასიათს ატარებდა, რადგან მისი რაოდენობის განსაზღვრაზე გავლენას ახდენდა დროებითვალდებული გლეხის ისეთი შემოსავალიც, მიწით სარგებლობასთან რომ არ იყო დაკავშირებული. თუ გლეხი არ გადაიხდიდა ღალა-კულულხს, მემამულეს უფლება ჰქონდა აეწერა და გაეყიდა მისი უძრავ-მოძრავი ქონება, ან გაეგზავნა გლეხი და მისი ოჯახის წევრები გარე სამუშაოებზე. უშუალო მწარმოებელი არ შეიძლება დაინტერესებული ყოფილიყო თავისი მიწის ნაკვეთის გაუმჯობესებით, რადგან მიწის გაპატივებისა და მოსავლიანობის ზრდის პარალელურად იზრდებოდა გლეხის ნატურალური ვალდებულება მოსავლის წილის სახით და მატულობდა თვით ნაკვეთის ფასი, რაც კიდევ უფრო აძნელებდა მის გამოსყიდვას. ამდენად დროებითვალდებულების ინსტი-

---

19 ლენინგრადის ცსია, ფონდი 1268, ანაწერი 21, საქმე 141, ფურც. 12—22.
20 „ცნობის ფურცელი", 1898 წ., № 479, გვ. 2—3.

ტუტი იწვევდა გლეხობის ეკონომიკურ დაკაბალებას და ზნეობრივ დამცირებას, აფერხებდა ქვეყნის პროგრესულ განვითარებას.

*

* *

რუსეთის ცარიზმი დიდი ხნის განმავლობაში უარყოფდა სომხეთსა და აზერბაიჯანში, აგრეთვე საქართველოს მუსლიმანურ რაიონებში ბატონყმობის არსებობის ფაქტს, ბეგ-აღალარებისა და მელიქების მიწაზე საკუთრების უფლებას. მთავრობას, რა თქმა უნდა, ჰეშმარიტების დადგენა არ აინტერესებდა. მას სურდა გაადვილებინა მიწის რაც შეიძლება დიდი მასივების ექსპროპრიაცია, შეევსო სახაზინო მიწის ფონდი. მხოლოდ 1846—1847 წწ. პოლიტიკური მოსაზრებით—მხარის რუსეთთან უნიფიკაციისა და მუსლიმანური მაღალი წოდების გაერთგულების მიზნით,—ცარიზმმა ბეგ-აღალარებს, აგრეთვე სომეხ მელიქებს მიანიჭა დასახლებულ მამულებზე „აზნაურული" უფლებები. მათ მამულებში მცხოვრებ გლეხებს ფორმალურად სახელმწიფო მოსახლეები უწოდეს. მაგრამ ფაქტიურად ისინი მოექცნენ მემამულეების საადგილმამულო და ნაწილობრივ პირად დამოკიდებულებაშიც.

კერძო მფლობელთა მამულებში მცხოვრებ სახელმწიფო გლეხთა მიწათმოწყობისათვის შედგენილ იქნა სპეციალური დებულება, რომელიც უმაღლესად დამტკიცდა 1870 წ. 14 მაისს.

დებულების თანახმად მუსლიმან მემამულეთა და სომეხ მელიქთა მიწებზე მცხოვრები გლეხები ღებულობდნენ, უფრო სწორად ინარჩუნებდნენ მიწით მუდმივი სარგებლობის უფლებას. ტყე და საძოვარი არსად არ შედიოდა ნადელების შემადგენლობაში. ტყით სარგებლობისათვის გლეხებს განსაკუთრებული ხელშეკრულება უნდა დაედოთ მემამულეებთან. ისინი ინარჩუნებდნენ საადათო სამართლის თანახმად მემამულის მიწაზე პირუტყვის ძოვების უფლებას. სანადელო მიწით სარგებლობისათვის გლეხებს მემამულეებისათვის უნდა გადაეხადათ მოსავლის მეათედი ნაწილი და ამის გარდა ყოველ დესეტინაზე 15 კაპ. ფულად[21].

1870 წ. 14 მაისის დებულება გავრცელდა სომხეთსა და აზერბაიჯანში. აგრეთვე საქართველოს იმ რაიონებში, სადაც თურქულ-სპარსული მიწათმფლობელობის ფორმები იყო შემოსული (ახალციხის მაზრა, ბორჩალოსა და თბილისის მაზრის ნაწილები).

---

[21] Гоциридзе, Положения о крестьянах . . 33. 494—528.

მალე გამოირკვა, რომ ახალციხის მაზრის დამოკიდებულ გლეხთა მნიშვნელოვანი ნაწილი ცხოვრობდა იმ პირთა მიწებზე, რომელნიც არ ეკუთვნოდნენ პრივილეგიურ წოდებას და ამიტომ, რუსეთის კანონების თანახმად, არ ჰქონდათ დასახელებული მამულების ფლობის უფლება. ამ კატეგორიის მფლობელთა მიწაზე აღმოჩნდა 1730 კომლი გლეხი[22].მათი მიწათმოწყობისათვის შედგენილ იქნა 1870 წ. დებულების დამატებითი წესები, რომელიც დამტკიცდა 1877 წ. სექტემბერში. დამატებითი წესების თანახმად არაპრივილეგიურ მფლობელთა მამულებში მცხოვრები გლეხები შედარებით უკეთეს პირობებში მოექცნენ. მათ საკუთრებად. გამოსყიდვის გარეშე, უმტკიცდებოდათ ეზოები. გლეხთა მუდმივ სარგებლობაში რჩებოდა ის მიწები, რომელსაც ისინი დამატებითი წესების შედგენამდე ფლობდნენ, თუ მხარეთა შორის ნებაყოფლობითი შეთანხმება არ მოხერხდებოდა, მომრიგებელი შუამავალი გლეხის საადგილმამულო ვალდებულებას განსაზღვრავდა მოსავლის მეათედის ოდენობით. გლეხებს ყოველთვის შეეძლოთ მიწისა და ვალდებულების გამოსყიდვა[23].

1870 წ. 14 მაისის დებულება და მისი 1877 წ. დამატება შეეხო: ახალციხის მაზრაში—2156 კ., ახალქალაქის მაზრაში—1184 კ., ბორჩალოს მაზრაში—2156 კ., თბილისის მაზრაში—239 კომლ გლეხს[24]. XIX — XX სს. მიჯნაზე ამ რაიონებში ითვლებოდა კერძო მიწათმფლობელთადმი ეკონომიურად დაქვემდებარებული 7039 კ. სახელმწიფო მოსახლე, ფაქტიურად დროებითვალდებული გლეხი, რომელნიც ფლობდნენ 51874 დეს. სანადელო მიწას და სერვიტუტის უფლებით სარგებლობდნენ 61987 დეს. ტყე-საძოვრით[25]

*
* *

რეფორმის გატარების მომენტში საქართველოს ეკლესიაც საკმაო რაოდენობით ფლობდა ყმა-მამულს, მაგრამ შემუშავებული დებულებები საეკლესიო გლეხებზე არ გავრცელებულა. ამ კატეგორიის გლეხთა სოციალურ-ეკონომიურ ყოფაში ის ცვლილება მოხდა, რომ რეფორმის შემდეგ დამთავრდა მათი სახაზინო უწყებაში გადაყვანა.

---

22 ლენინგრადის ცსია, ფონდი 1268, ანაწერი 21, საქმე 199, ფურც. 35—37.
23 იქვე, გვ. 74—76.
24 ССДХЗК. стр. 14.
25 МВРДКПБЗК, стр. 103.

ჯერ კიდევ 1837 წ. რუსეთის სინოდმა დასვა აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო მამულების ხაზინის გამგებლობაში გადაცემის საკითხი. ამ ღონისძიების გატარება თითქოს იმიტომ მიაჩნდათ საჭიროდ, რომ სამღვდელოება გაეთავისუფლებინათ ყმა-მამულის მმართველობის საზრუნავისაგან და გაეადვილებინათ მისთვის უშუალო მოვალეობის შესრულება. მეფის მთავრობისა და სინოდის ნამდვილი მიზანი კი იყო მოექციათ ქართველი სამღვდელოება თავის ეკონომიურ დამოკიდებულებაში და გადაექციათ იგი რუსეთის მთავრობის ნება-სურვილის გამტარებლად. მაგრამ იმის გამო, რომ აშინებდათ საქართველოს სამღვდელოების უკმაყოფილება, დასახული ღონისძიების გატარება სხვა დროისათვის გადაიდო.

1852 წ. გამოიცა დადგენილება აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო მამულების ხაზინის გამგებლობაში გადაცემის შესახებ. ამის შემდეგ მამულების შემოსავალი სახელმწიფო ხაზინაში შედიოდა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს სამღვდელოებას წლიურად ეძლეოდა 72053 მან.

საეკლესიო მამულების სახელმწიფო ხაზინის მმართველობაში გადაცემამ გაამართლა თავისი დანიშნულება, მაგრამ მთავრობამ საჭიროდ მიიჩნია 1852 წ. 5 ნოემბრის აქტის შემდგომი განვითარება, რაც უნდა გამოხატულიყო საეკლესიო მამულების ხაზინის საკუთრებად გამოცხადებაში. საგლეხო რეფორმის გატარების შემდეგ ეს საქმე დაჩქარდა. 1869 წ. 13 ნოემბრის უმაღლესი ბრძანებით აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიის დასახლებული და დაუსახლებელი მამულები სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა. ხაზინის ხელში გადავიდა 136 ათასი დეს. ტყე, სახნავ-სათესი მიწები, წისქვილები და სხვა ქონება[26]. საეკლესიო გლეხებს კი საზეიმოდ გამოუცხადეს, რომ ისინი გათავისუფლებული არიან ეკლესიის დამოკიდებულებისაგან და ენიჭებათ სახელმწიფო გლეხთა უფლებები. ყოფილი საეკლესიო გლეხები დაიბეგრენ სახელმწიფო საკომლო გამოსაღებით, მაგრამ მათ ნადელები არ გამოყოფიათ. გლეხთა ფაქტიურ მფლობელობაში მყოფი მიწები შეტანილ იქნა საღალო მუხლებს სიაში და დატოვებული მათსავე სარგებლობაში უვადო საიჯარო პირობებით[27].

---

[26] С. Эҗадзе, Историческая записка об управлении Кавказом, т. II, 1907, стр. 176—185.

[27] ლენინგრადის ცსია, ფონდი 396, ანაწერი 7, საქმე 694, ფურც. 5—6, 97—99.

ამგვარად, ყოფილ საეკლესიო გლეხებს ერთი და იგივე მიწებით სარგებლობისათვის ახდევინებდნენ როგორც სახელმწიფო საკომლო გამოსაღებს, ისე საიჯარო ქირას, რასაც მეფის მთავრობის მოხელეები ღალას უწოდებდნენ. უდაოა ეს უკმაყოფილებას გამოიწვევდა გლეხებში, რამაც ალბათ აიძულა მეფის მთავრობის ადგილობრივი ადმინისტრაცია „აღმოეჩინა" დაშვებული „შეცდომა". ძალიან დაგვიანებით, 1904 წ. მიღებულ იქნა დადგენილება, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ყოფილ საეკლესიო გლეხთა სარგებლობაში მყოფი მიწები მიმაგრებოდა მათვე ნადელებად, ხოლო უკანონოდ აკრეფილი ღალა ჩათვლოდათ მომავალ გადასახდელებში[28].

ზემოაღნიშნული ღონისძიება დასავლეთ საქართველოზეც გავრცელდა. საკითხის შესასწავლად გამოყოფილმა კომისიამ გამოარკვია, რომ იმერეთის ეკლესიას ყავდა 5021 კ. ყმა-გლეხი 13500 დეს. სახნავ-სათესი მიწით და 9375 დეს. ტყით. ამის გარდა ეკლესიას ეკუთვნოდა მრავალი თავისუფალი მიწის ნაკვეთი, რომელიც იჯარით იცემოდა. გურიის ეპარქიის დამოკიდებულებაში აღმოჩნდა 639 კ. გლეხი, რომლებიც ფლობდნენ 300 დეს. სახნავს, 56 დეს. ტყეს და 1704 ნაკვეთ ბაღ-ვენახს[29].

1871 წ. 4 მარტს გამოქვეყნდა ალექსანდრე მეორის ბრძანება მმართველი სენატისადმი, რომელშიც ნათქვამია:

1. იმერეთისა და გურიის საეკლესიო მამულები გადაეცეს ხაზინას და შეტანილ იქნას სახელმწიფო ქონების შემადგენლობაში. 2. საეკლესიო გლეხებს მიეცეს სახელმწიფო გლეხთა უფლებები და საჭირო მიწის ნაკვეთები.

3. იმერეთისა და გურიის ეკლესიებს ხაზინისათვის გადაცემული მამულების საზღაურად დაენიშნოს ყოველწლიურად 30 ათასი მანეთი[30].

1860 წელს მოხდა სამეგრელოს საეკლესიო მამულების ხაზინისათვის გადაცემა. სამეგრელოს ეპარქიას საზღაურის სახით ყოველწლიურად ეძლეოდა 20 ათასი მანეთი[31].

<საქართველოში ყმა-მამულს ფლობდნენ საზღვარგარეთის მართლმადიდებლური მონასტრებიც. სხვადასხვა დროს ქართველმა მეფეებმა აღნიშნული მამულები უბოძეს საბერძნეთსა და სირია-პალესტინაში არსებულ ქართველთა მონასტრებს. მაგრამ დროთა განგ-

---

28 ლენინგრადის ცსია, გვ. 97—99.

29 ლენინგრადის ცსია, ფონდი 1268, ანაწერი 16, საქმე 28, ფურც. 1—5.

30 იქვე, გვ. 53—56.

31 ს. ე ს ა ძ ე, დასახელებული ნაშრ.; გვ. 199.

მავლობაში თითქმის ყველა ეს მონასტერი ხელში ჩაიგდეს ბერძენ-მა ბერებმა. მათვე მიისაკუთრეს მონასტრების კუთვნილი მამულებიც.>

საზღვარგარეთის მონასტრების მამულთა რუსეთის ხაზინისათვის გადაცემის საკითხი აქტიურად დაისვა XIX ს-ის 70-იან წლებში. ეს ამბავი გაიგეს აღმოსავლეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ძესვეურებმა და გააძლიერეს საქართველოში თავისი მამულების ექსპლოატაცია; დაიწყეს ტყეების გაჩეხვა, მიწების დაგირავება და გაყიდვა. ასეთი მდგომარეობის აღკვეთის მიზნით, 1875 წ. რუსეთის მთავრობამ აღნიშნული მამულები ხაზინის გამგებლობაში გადასცა, ისე რომ უცხოელი ბერებისათვის საკუთრების უფლება არ ჩამოერთმევია (მამულების შემოსავალი საზღვარგარეთის მონასტრებს ეგზავნებოდა). როგორც ჩანს, საკითხი დიპლომატიური ურთიერთობის სფეროში გადავიდა და რუსეთის მთავრობა იძულებული გახდა დაეთმო. 1881 წ. 3 ივნისს კავკასიის ადმინისტრაციამ მიიღო უმაღლესი ბრძანება მამულების უცხოური მონასტრების უშუალო განკარგულებაში დაბრუნების შესახებ[32].

ჯერ კიდევ 1876 წ. მეფის ნაცვალმა დასვა საზღვარგარეთული მონასტრების მამულებზე საგლეხო რეფორმის დებულებათა გავრცელების საკითხი. მაგრამ საქმე დიდხანს გაჭიანურდა. ათონის მონასტრის და სოფ. ზემო ხოდაშენის (კახეთი) 41 კ. გლეხის ურთიერთობის რეგლამენტაციისათვის საწესდებო სიგელი შედგენილ იქნა 1886 წ., ხოლო სინას მთის მონასტრისა და სოფ. მეღვრეკისის (შიდა ქართლი) 59 კ. გლეხისათვის 1889 წ.[33] საწესდებო სიგელების შედგენა 90-იან წლებშიც გრძელდებოდა.

2. ხიზნობა

ხიზნობა უცხოელ დამპყრობთა თარეშის, შინაფეოდალური ომების, ბატონყმური ექსპლოატაციის გაძლიერებისა და კლასობრივი ბრძოლის, მოუსავლიანობა-შიმშილობისა და სხვა მოვლენების უშუალო შედეგი იყო. ყველა ეს მიზეზი მეტნაკლებად აიძულებდა გლეხს საცხოვრებელი ადგილი გამოეცვალა. შევიწროებული გლეხები გარბოდნენ მამაპაპისეული ადგილებიდან, ახალ ადგილებში ხიზნად დგებოდნენ სხვა მემამულეთა მიწებზე. ზოგჯერ ასეთი გლეხი ორ ბატონს ემსახურებოდა; პირადი ვალდებულებე-

---

32 ს. ესაძე, დასახელებული ნაშრომი; გვ. 202—206.

33 ლენინგრადის ცსია, ფონდი 573, ანაწერი 28, საქმე 2950, ფურც. 35, 74.

ბით დამოკიდებული რჩებოდა ძველი მებატონისაგან, მიწით სარგებლობისათვის კი ახალ მებატონეს უხდიდა ღალა-კულუხს.

გვიანფეოდალური ხანის საქართველოში ხიზნობა მემამულეთათვის ხელსაყრელი იყო. მიწის სიუხვისა და მუშახელის სიმცირის პირობებში ყოველი მემამულე ხალისით ღებულობდა ხიზნებს. რომლებიც მიტოვებულ მიწებს ამუშავებდნენ, ყამირს ტეხდნენ და ზრდიდნენ მემამულეთა შემოსავალს.

ხიზნური ურთიერთობა ამჟღავნებდა გამარადისების ტენდენციას და ყალიბდებოდა ადათ-ჩვეულების საფუძველზე, რასაც ფეოდალურ საქართველოში დაწერილი კანონის ძალა ჰქონდა. მიწათმფლობელს ხიზნის პიროვნებაზე ხელი არ მიუწვდებოდა. ხიზანი მხოლოდ საადგილმამულო ვალდებულებით იყო მასზე დამოკიდებული. ბუნებრივია, მემამულეები ცდილობდნენ ხიზნებისათვის პირადი ვალდებულებების დაკისრებას, მათ დაყმეებას, რასაც ხშირად ახერხებდნენ კიდეც, მაგრამ გახიზვნისა და ხიზნად ქცევის მასშტაბი გაცილებით ფართო იყო, ვიდრე ხიზანთა დაყმეების შემთხვევები და ამიტომ გვიან-ფეოდალური ხანის საქართველოში ხიზან გლეხთა კონტინგენტი თანდათან იზრდებოდა. საგლეხო რეფორმის წინ საქართველოში ითვლებოდა 7000-მდე კომლი ხიზანი.

1864 წ. 13 ოქტომბრის დებულების მერვე მუხლის ძალით ყმური წარმოშობის ხიზნები თავისუფლდებოდნენ ძველი მებატონის ყმობისაგან და ახალ მემამულესთან რჩებოდნენ ხიზნის მდგომარეობაში საადგილმამულო ურთიერთობის ნორმათა ყოველგვარი შეცვლის გარეშე. თავადაზნაურობის ზოგიერთ წარმომადგენელთა განცხადებით, ეს მუხლი ისე იქნა გაგებული ხიზნების მიერ, თითქოს საკანონმდებლო წესით მიემაგრათ მათ სარგებლობაში მყოფი მიწები. უნადელოდ დარჩენილ გათავისუფლებულ ყმაგლეხთა თვალში ხიზნურ მდგომარეობას მიმზიდველობა მიემატა და მართლაც რეფორმის გატარებიდან რამდენიმე წელიწადში ხიზანთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. მიუხედავად ამისა დრო ხიზნობის ინსტიტუტის წინააღმდეგ მოქმედებდა.

საგლეხო რეფორმა არ შეხებია ხიზნებს, მაგრამ რეფორმის შედეგები ხიზანთა უფლებრივ-ეკონომიური მდგომარეობის გაუარესების მიზეზად იქცა. იმის გამო, რომ რეფორმის გატარებისას დროებითვალდებულმა გლეხებმა დიდი რაოდენობით მიწები დაკარგეს ჩამონაკრების სახით, მიწაზე მოთხოვნილება გაიზარდა და სწრაფად აიწია საიჯარო ფასმა. ასეთ პირობებში ძველი საადათო ურთიერთობის ნორმებით ხიზნებისათვის მიწის სარგებლობაში დატოვება მემამულეებს უკვე აღარ მიაჩნდათ ხელსაყრე-

ლად. თავადაზნაურობამ დაიწყო ბრძოლა ხიზნობის ინსტიტუტის წინააღმდეგ, ხიზანთა ჩვეულებრივ მოიჯარეებად გადაქცევისათვის.

დაიწყებული იქნა ის დიდი დამსახურება, რაც ხიზნებმა გასწიეს ყამირი მიწების სახნავ-სათესად და ბაღ-ვენახებად გადაქცევის საქმეში. გაწეული შრომისა და ხარჯის საზღაურად ხიზნებმა, უდაოდ, დიდი უფლება მოიპოვეს მათ მიერ დამუშავებული საკვეთების მიმართ, მაგრამ მემამულეებმა ხიზნების სამფლობელო მიწები თავისი შეუზღუდავი საკუთრების ობიექტად გამოაცხადეს. ძველი საადათო სამართლის დარღვევა ხიზნობის ინსტიტუტის ორი მთავარი ნიშნის უარყოფაში გამოიხატებოდა: 1. მემამულეები უარყოფდნენ მიწის რენტის უცვლელობის პრინციპს და ხიზანთა საადგილმამულო ვალდებულებებს (ღალა-კულუხი, მუშაობა) ადიდებდნენ; 2. უარყოფდნენ ხიზნების მიერ მიწითსარგებლობის უვადობის პრინციპს, გადაჰყავდათ ისინი ვადიან წერილობით საიჯარო ურთიერთობაზე, ან სულაც ერეკებოდნენ მათი მამაპაპეული ადგილებიდან, რათა მიწები სხვებზე გაეცათ უფრო ხელსაყრელი გარიგებით.

დაიწყო მწვავე აგრარული ბრძოლა, თავადაზნაურობა ხიზნებს აცხადებს ჩვეულებრივ მოიჯარეებად, რომელთა აყრა-გადასახლების უფლება მათ ყოველთვის ჰქონდათ და მომავალშიც უნდა ჰქონოდათ. ხიზნების დასაცავად გამოვიდა მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა (დავით ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე და სხვ.). ისინი იცავდნენ ხიზნების უფლებას მათ მიერ დამუშავებულ მიწებზე, რომელთა მიმართ მემამულეების საკუთრება მნიშვნელოვნად იყო შეზღუდული.

სასამართლოებში მრავლად შევიდა საჩივრები როგორც მემამულეების, ისე ხიზნების მხრიდან. გამოვიდა სასამართლოს რამდენიმე დადგენილება ხიზანთა აყრის შესახებ, რამაც დიდი დავა და სერიოზული არეულობა გამოიწვია. ხიზნებმა მიმართეს საჩივრით უმაღლეს მთავრობას. ასეთ პირობებში მოხდა მთავრობის პირველი ჩარევა მემამულეებისა და ხიზნების ურთიერთობაში. 1876 წ. 12 ივნისს თბილისის გუბერნატორის ორლოვსკის წინადადებით გლეხთა მომწყობმა მთავარმა კომიტეტმა დაადგინა, რომ ხიზანთა საქმე ამოღებულიყო სასამართლოს კომპეტენციიდან და დაქვემდებარებოდა საგლეხო დაწესებულებებს. ამგვარად, თავადაზნაურობამ ვერ შესძლო გაეყვანა თავისი თვალსაზრისი ხიზნების როგორც ჩვეულებრივი მოიჯარეების შესახებ. ხიზანთა საქმის საგლეხო დაწესებულებებისადმი დაქვემდებარების ფაქტი იმის მომასწავებე-

ლი იყო, რომ მთავრობის ორგანოებში ხიზნები აღიარეს გლეხთა ცალკე კატეგორიად.

მიუხედავად ამისა, 1876 წ. დადგენილებას მთლიანად არ აღუკვეთია ხიზანთა აყრის შემთხვევები. ხიზნების გადაყვანამ ვადიან საიჯარო ურთიერთობაზე უფრო ფართო ხასიათი მიიღო, რასაც თან სდევდა გლეხთა საადგილმამულო ვალდებულებების გადიდება. ამ მხრივ დამახასიათებელია დიდი მთავრის მიხეილ რომანოვის მამულში (ბორჯომის ხეობა) მცხოვრები გლეხების ისტორია. 1876 წ. მამულში ითვლებოდა 276 კ. ხიზანი, რომელთა სარგებლობაში იყო 33 დეს. ეზო და ბაღი, 2140 დეს. სახნავ-სათესი, 663 დეს. სათიბი, სულ 2836 დეს. მიწა. ხიზანთა წლიური ვალდებულებანი შეადგენდა 8700 მანეთს, დაახლოვებით 3 მან. დესეტინაზე. 1884 წლისათვის ხიზანთა მდგომარეობა მკვეთრადაა შეცვლილი. მათთან გაუფორმებიათ წერილობითი, ვადიანი (5—10 წლით) საიჯარო ხელშეკრულებები. მოიჯარეებად გადაქცეულ ყოფილი ხიზნების სარგებლობაში დარჩენილა 39 დეს. ეზო და ბაღი, 850 დეს. სახნავ-სათესი. 520 დეს. სათიბი ხიზნებს შეუსყიდიათ საკუთრებაში. საიჯარო მიწებისათვის (889 დეს.) ისინი იხდიდნენ 5544 მან.; დესეტინაზე—6 მან.[34]. ამდენად, მემამულეებისათვის ხელსაყრელი იყო ხიზანთა გადაქცევა ვადიან მოიჯარეებად. ამისათვის ისინი იყენებდნენ გლეხთა სიძნელეებს თავიანთი ხიზნობის დამტკიცების საქმეში.

1884 წლისათვის აღმოსავლეთ საქართველოში ითვლებოდა 6774 კ. ხიზანი. ისინი ფლობდნენ 27440 დეს. მიწას[35]. დასავლეთ საქართველოს 2535 კ. ხიზანი ფლობდა კომლზე საშუალოდ 6 ქცევა მიწას[36].

მიწითსარგებლობისათვის დაწესებული ხიზანთა ვალდებულების სახეები მრავალგვარი იყო. ისინი იხდიდნენ ნატურალურ ღალა-კულუხს (პურეულისა და ღვინის მოსავლის გარკვეულ ნაწილს). ფულად გამოსაღებს და განსაზღვრული დროის განმავლობაში მუშაობდნენ მემამულის მიწაზე. საილუსტრაციოდ მივმართოთ ციფრებს: სოფ. მარაბდის 10 კ. ხიზანი ფლობდა 77 დეს. მიწას. აღნიშნული მიწით სარგებლობისათვის ისინი მემამულის სასარგებლოდ იხდიდნენ—ფულად 55 მან. ამის გარდა 15 კომლი ნატურით იხდიდა სულ 610 ფ. ხორბალს, 3 კომლი კი მოსავლის მეოთხედს. სოფ. ახალდაბაში მცხოვრები 3 კ. ხიზანი 11 დეს. მიწით სარგებლობის

---

[34] СХАО. т. IV, стр. 663.
[35] ССДХЗК, стр. 15—16.
[36] МИДЗХЗК, т. 1, вып. IV. стр. 429—430.

საზღაურად მემამულის მიწაზე მუშაობდა 18 კაცდღეს წლიურად და იხდიდა 44 კოდ ხორბალს. სოფ. ბოჟორმის 20 კ. ხიზანი 66 დეს. მიწით სარგებლობისათვის იხდიდა 400 მან. ფულად და 7 ფ. კარაქს[37]. ზუგდიდის მაზრის ხიზნები ფულად იხდიდნენ 7949 მან. ამის გარდა 278 კომლი იხდიდა მოსავლის მეოთხედს, 809 კომლი—მოსავლის მესამედს, 35 კომლი—მოსავლის ნახევარს, 24 კომლი მუშაობდა მემამულეთა მიწებზე 392 კაცდღეს წლიურად. 1 კომლი მუშაობდა მოთხოვნილების მიხედვით. 4 კომლი კი ვალდებულებას იხდიდა მემამულის ოჯახში პირადი სამსახურით[38].

ამგვარად, რეფორმის მომდევნო ხანაში ხიზნების ეკონომიური მდგომარეობა გაუარესდა. ღალა-გამოსაღებთა ოდენობით ისინი დროებითვალდებულ გლეხებს გაუსწორდნენ, მიწით უზრუნველყოფის მხრივ კი უარეს მდგომარეობაში ჩავარდნენ. ხიზნები უმიწაწყლოდ დარჩენის მუდმივი საშიშროების ქვეშ იმყოფებოდნენ. ხიზანთა საკითხი მთავრობისა და ქართული საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში რჩებოდა.

ხიზანთა საკითხის გადაწყვეტის აუცილებელ წინაპირობად მიჩნეულ იქნა ფაქტიური მდგომარეობის ადგილებზე შესწავლა. ამ მიმართულებით XIX ს. 80-იან წლებში მართლაც ჩატარდა გარკვეული მუშაობა. მთავრობის მიერ შექმნილ კომისიებში საკითხით დაინტერესებული მხოლოდ ერთი მხარე, კერძოდ, თავადაზნაურთა წარმომადგენლები იქნენ შეყვანილი. 1885 წ. ამიერკავკასიის მთავარმმართველის საბჭოში მოსმენილ იქნა 60 თავადაზნაურის აზრი ხიზნობაზე. დებატები ეხებოდა როგორც ხიზნობის არსს, ისე საკითხის გადაჭრის გზებს. მემამულეთა უმრავლესობა აცხადებდა, რომ ხიზნები ჩვეულებრივი მოიჯარეები არიან და ამიტომ მათი მიწათმფლობელებთან ურთიერთობის სფერო საერთო-სამოქალაქო კანონმდებლობას, ტიპიურ საიჯარო სამართალს უნდა ექვემდებარებოდეს. მემამულეთა მცირე ნაწილი ხიზნებზე ასეთ გამარტივებულ შეხედულებას არ იზიარებდა. ისინი ხიზნების სახით ხედავდნენ გლეხთა გარკვეულ კატეგორიას, რომლებსაც მემამულეებთან შეთანხმებით მიწის მიღებაც შეეძლოთ მუდმივ სარგებლობაში. უმიწოდ დარჩენილი ხიზნები სახაზინო ნაკვეთებით უნდა იქნენ დაკმაყოფილებულიო[39].

---

[37] ССДЗХЗК, Приложение III, стр. 2—3, 6—7, 40—41.

[38] იქვე, გვ. 52—53.

[39] С. Авалиани, Крестьянский вопрос в Закавказье, т. IV, стр. 170—172.

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში ხიზანთა საკითხზე მოხსენება წარადგინა ვერმიშევმა. მას შეუძლებლად მიაჩნდა საადგილმამულო ურთიერთობის ნორმალიზაცია მემამულეებისა და ხიზნების ნებაყოფლობითი შეთანხმების საფუძველზე. ამ საკითხის მოგვარება მხოლოდ მთავრობის ჩარევით შეიძლებაო. ვერმიშევი წინადადებას იძლეოდა: 1. გამოსყიდულიყო ხიზანთა ნადელები სახელმწიფო საკუთრებად. 2. დატოვებული ყოფილიყვნენ ხიზნები სახელმწიფოსაგან გამოსყიდულ ამ მიწების მუდმივ მოიჯარეებად. 3. ნადელების ზომა განსაზღვრულიყო იმ მოცულობით, რომლის დამუშავებასაც ხიზნის ოჯახი საკუთარი სამუშაო ძალით მოახერხებდა. ხიზანთა მიერ მიწის საკუთრებაში გამოსყიდვა, აცხადებდა ვერმიშევი, არაა სასურველი, რადგან საკუთრების უფლება არა თუ ხელს არ უშლის მიწის დაგროვებას უმცირესობის ხელში, არამედ პირიქით აძლევს ამ არასასურველ მოვლენას უფრო მეტ სიმწვავეს. მიზანშეწონილია, სახელმწიფო იყოს მიწის საკუთრების სუბიექტი და მის ხელში დარჩეს მიწის განაწილების ფუნქცია. მხოლოდ ასეთ პირობებში იქნებაო ხიზანთა მომავალი უზრუნველყოფილი[40].

თბილისის საგლეხო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოში ხიზანთა საკითხის შესახებ ილია ჭავჭავაძემ წარადგინა საინტერესო მოხსენებითი ბარათი, რომელშიც ხიზნობის ინსტიტუტი ისტორიულ ასპექტშია განხილული. საზოგადოებრივ თანაცხოვრებაში—წერდა ილია—თავდაპირველად გაბატონებული იყო საკუთრების სახოგადოებრივი ელემენტი, რომელმაც სხვადასხვა მიზეზების გამო თანდათან დაუთმო ადგილი საკუთრების პირად ელემენტს. ადგილმამული დაგროვდა ცალკეულ პირთა ხელში და შრომა ვამოეყო მისი გამოყენების ობიექტს—მიწას. ამან გამოიწვია მიწის მესაკუთრისა და მშრომელის შეთანხმების აუცილებლობა. შეთანხმება შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ პირადის საზოგადოებრივი ელემენტისადმი დათმობის საფუძველზე. ამით განისაზღვრებოდა მიწით სარგებლობის სხვადასხვა ფორმები და მათ შორის ხიზნობა. ხიზნობის ინსტიტუტში საკუთრების საზოგადოებრივი ელემენტი თავს იჩენს რენტის უცვლელობასა და მიწითსარგებლობის უვადობაში, რითაც რამდენადმე შეზღუდულია საკუთრების პირადი ელემენტი.

ილია მიუთითებს, რომ ხიზნობა ადათით და ჩვეულებითაა განსაზღვრული. ადათს უპირატესობა აქვს დაწერილ კანონთან შედარებით იმ მხრივ, რომ იგი გამოწვეულია ცხოვრების მოთხოვნილე-

---

[40] МИЭБГКЗК, т. 449—451.

ბით. მაგრამ ადათს აკლია ღირსება დაწერილი კანონისა, რომელიც იმიტომ, რომ დაწერილია, თავისუფალია ყოველგვარი შემთხვევითი დანაშრევისაგან. ცხოვრების განვითარებამ და გართულებამ აიძულა ევროპის სახელმწიფოთა მთავრობები საადათო სამართალი შეეცვალათ დაწერილი კანონებით. ადათით განსაზღვრული ბეკლემრეხტი ნიდერლანდებში, აფორამანტო პორტუგალიაში და ოლსტერის ჩვეულება ინგლისში დაკანონებულ იქნა წერილობითი აქტებით. ასეთივე გზით უნდა წავიდნეს სხვა ქვეყნებიც.

მთელი ჩვენი ამოცანა, განაგრძობს ილია, მდგომარეობს იმაში, რომ საადათო სამართალს, რომლითაც განსაზღვრულია ხიზნობა, მივცეთ დაწერილი კანონის უპირატესობა, თანაც შევინარჩუნოთ ამ ინსტიტუტის ყველა ის თავისებურება, რაც შედეგია ხალხის სულის საუკუნოვანი მუშაობისა და რომელიც მიწისა და შრომის გათიშულობის პირობებში მეტად თუ ნაკლებად უპასუხებს სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს[41].

მ. კუჩაევი აკრიტიკებდა ი. ჭავჭავაძის შეხედულებას ხიზნური ურთიერთობის დიდი შომავლის შესახებ და აცხადებდა, რომ მომავალი აქვს არა ხიზნობას, არამედ საიჯარო ურთიერთობას. კუჩაევის აზრით ხიზნები ორ თანრიგად უნდა გაყოფილიყვნენ. პირველს განეკუთვნებოდნენ ხიზნები, რომლებიც 1864 წლამდე დასახლდნენ მემამულეთა მიწებზე და მეორეს ის გლეხები, რეფორმის შემდეგ რომ გადავიდნენ თავადაზნაურთა მამულებში. კუჩაევი უპირატესობას ანიჭებდა პირველი კატეგორიის ხიზნებს, რომელთაც უფლება უნდა მისცემოდათ 5 წლის განმავლობაში გამოესყიდათ თავიანთ სარგებლობაში მყოფი მიწები, ან გაეფორმებინათ მემამულეებთან ვადიანი საიჯარო ხელშეკრულება. მეორე კატეგორიის ხიზნებისათვის კუჩაევი ნადელების მიცემას არ ითვალისწინებდა, მათ სამი წლის ვადაში უნდა გაეფორმებინათ საიჯარო ხელშეკრულება, წინააღმდეგ შემთხვევაში მემამულეებს მისცემოდა უფლება აეყარათ ხიზნები[42].

ე. იოსელიანი 1887 წ. წინადადებას იძლეოდა, რომ ხიზანთა საკითხი გადაჭრილიყო საგლეხო რეფორმის დებულებათა საფუძველზე. ხიზნებს უნდა მიემაგროს ნადელები და მათზე გაერცელდესო გამოსყიდვის ნაკაზი. ფორმალიზმის ტყვეობაში მყოფი გლეხთა შომწყობი მთავარი კომიტეტის მოხელეები უარს ამბობდნენ ასეთ თვალსაზრისზე იმ მოტივით, რომ რეფორმა ყმაგლეხთა განთავი-

---

41 საისტორიო მოამბე, 1947 წ., III, გვ. 203—212.

42 МИЭБГКЗКЗ, т., I, стр. 410.

სუფლებისა და მიწათმოწყობისათვის ჩატარდა და რეფორმის დებულებათა გავრცელება თავისუფალ ხიზნებზე მიზანშეწონილი არაა. კომიტეტს შეუძლებლად მიაჩნდა აგრეთვე ხიზნებისათვის გამოსასყიდი სესხის მიცემა[43].

ხიზანთა საკითხის სიმწვავე ხიზნების აგრარულ-კლასობრივი ბრძოლის ფართო გაქანებით იყო განპირობებული. ამ კატეგორიის გლეხები თავგამოდებით იბრძოდნენ თავიანთი ხიზნური უფლებების დაცვისათვის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გლეხთა თვითმიზანს ფეოდალიზმის ამ გადმონაშთის—ხიზნობის ინსტიტუტის დაცვა წარმოადგენდა. ხიზნები თავიანთ სარგებლობაში არსებული მიწების შენარჩუნება-გასაკუთრებისათვის იბრძოდნენ და ხიზნობის ინსტიტუტის დაცვა ამ ბრძოლის წარმატებით დამთავრების წინაპირობად მიაჩნდათ[44].

მთავრობის ღონისძიებანი ხიზანთა მიწათმოწყობისათვის მუშავდებოდა გლეხთა კლასობრივი ბრძოლისა და პროგრესული საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით. მაგრამ მთავრობა უფრო მეტ ანგარიშს უწევდა თავისი სოციალური საყრდენის—თავადაზნაურთა სურვილებს.

1891 წ. 3 ივნისს გამოქვეყნდა დებულება ხიზანთა შესახებ. ეს დებულება წარმოადგენს პირველ იურიდიულ აქტს, რომელშიც ფიქსირებულია ძველი საქართველოს სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების თავისებურებით წარმოშობილი და საადათო სამართლით განსაზღვრული ხიზნური ურთიერთობა.

დებულების ძალით ხიზნებად ითვლებოდნენ ის გლეხი მიწათმოქმედნი, რომელნიც 1891 წლამდე დასახლდნენ მემამულეთა მიწებზე და რომელთაც მიწათმფლობელებთან არ ჰქონდათ დადებული ვადიანი საიჯარო წერილობითი ხელშეკრულებანი.

ყველა ის მიწა, ხიზნები რომ 1891 წ. დებულების გამოცემამდე ფლობდნენ, მათვე რჩებოდათ სარგებლობაში, რის საზღაურადაც მემამულეთა წინაშე ასრულებდნენ გარკვეულ ვალდებულებებს. ხიზნებისაგან მემამულეთა მიწებზე აგებული სახლი, სამეურნეო ნაგებობანი, მათ მიერ გაშენებული ბაღ-ვენახების ნარგავები ხიზანთა საკუთრებად იქნა ცნობილი.

თუ მემამულე მოისურვებდა ხიზნის აყრას, მას ერთი წლით ადრე უნდა გაეფრთხილებინა ხიზანი და თანაც აენაზღაურებინა მის-

---

[43] Труды Кавказского общества сельского хозяйства, № 7 — 8, 1887, стр. 577.

[44] ვ. გ უ ჩ უ ა, ხიზნობა და ხიზანთა საკითხი საქართველოში (საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი, გვ. 197).

თვის ნაგებობა-ნარგავებისა და მიწის გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯები. ხოლო ხიზნის გაუფრთხილებლად აყრის შემთხვევაში მემამულეს საზღაური ორმაგად უნდა გადაეხადა[45].

შექმნილ პირობებში 1891 წ. 3 ივნისის დებულება ხიზანთათვის დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ მას გაჰქონდა არსებითი ნაკლი. კანონში გაწსაზღვრული არაა ხიზანთა ვალდებულებები. დებულება ითვალისწინებდა, რომ მემამულეთა და ხიზანთა ურთიერთობაც ეს მხარე უნდა მოწესრიგებულიყო საადათო სამართლით. ვალდებულებათა ასეთი განუსაზღვრელობა ფართო ასპარეზს სტოუებდა მემამულეთა თვითნებობისათვის. კანონის ზოგი მუხლი სცვლიდა საადათო სამართლის ნორმებს. ადათი აწესებდა რენტის უცვლელობას და მიწით სარგებლობის მუდმივობას. დებულება კი მემამულეს აძლევდა რენტის შეცვლის (გადიდების) და ხიზნის აყრის იერიდიულ უფლებას. ამდენად 1891 წ. 13 ივნისს დებულებამ ხიზანთა უფლებები რამდენადმე შეკვეცა, ხოლო მემამულეთა თვითნებობას კვლავ დაუტოვა ასპარეზი.

მიუხედავად ამისა, თავადაზნაურობას არ მოეწონა დებულება ხიზანთა შესახებ. 1893 წ. ქართველმა თავადაზნაურობამ იმპერატორს გაუგზავნა საჩივარი, რომელშიც თავს ესხმოდა დებულების შისთვის არასასურველ მუხლებს. თავადაზნაურები მოითხოვდნენ:

1. ხიზნების მიერ დაკავებულ მიწებზე მათი საკუთრების უფლების შეუზღუდველობას, 2. ხიზნის აყრის შემთხვევასთან დაკავშირებით დაწესებულ ორმაგი საზღაურის გაუქმებას, 3. ხიზნებად მხოლოდ იმ გლეხთა ჩათვლას, რომელნიც მემამულეთა მიწებზე დასახლდნენ რეფორმამდე; 4. ხიზანთა სარგებლობაში მყოფი მიწების შემცირებას ნადელთა ნორმირების გზით. 5. რეფორმის შემდეგ მათ მამულებში ჩამოხიზნული გლეხების სახაზინო მიწებზე გადასახლებას[46].

უმაღლესი ბრძანებით 1891 წ. 3 ივნისის დებულების გადასინჯვა დაევალა სპეციალურად ამ მიზნისათვის შექმნილ კომისიას. კომისიის ოქმების საფუძველზე 1895 წ. კავკასიის მთავარმმართველის საბჭოში შემუშავებულ იქნა კანონპროექტი, რომელიც მრავალი ინსტანციის გავლის შემდეგ, 1899 წ. განხილულ იქნა სახელმწიფო საბჭოში. მალე 1891 წ. 3 ივნისის დებულების დამატების სახით

---

[45] С. Авалиани, Крестьянский вопрос в Закавказье, т. IV, стр. 168—172.

[46] СХАО, т. IV, стр. 710—711

გამოქვეყნდა 1900 წ. 5 ივნისის კანონი, რომელშიც გათვალისწინებული იყო თავადაზნაურთა ზოგიერთი მოთხოვნა.

ახალ კანონს ცვლილება შეჰქონდა ხიზნის განსაზღვრაში. ხიზნად ჩაითვლებოდა ის გლეხი, რომელიც საადათო სამართლის საფუძველზე მემამულის ნებართვით დაესახლა მის მიწაზე. ამ ცვლილების შედეგი იყო ის, რომ ბევრი გლეხი (თვითნებურად ჩამოსახლებულნი) უკვე ვეღარ ახერხებდა თავისი ხიზნობის დამტკიცებას და იძულებული იყო ჩვეულებრივი მოიჯარის უფლებებს დასჯერებოდა. თვით ნამდვილი ხიზნების მდგომარეობაც უფრო მერყევი გახდა. ახალი კანონი აუქმებდა ხიზნის გაუფრთხილებლად აყრის შემთხვევისათვის დაწესებულ ორმაგ საზღაურს და ამით მემამულეებს არასასურველი ხიზნებისაგან მიწის გაწმენდის შესაძლებლობას უადვილებდა. თუ ხიზანი თვით იტყოდა უარს მის მფლობელობაში არსებული მემამულის მიწით სარგებლობაზე, ეს ნაკვეთი გლეხის მიერ აგებულ-გაშენებული ყველა ნაგებობითა და ნარგავებით მემამულის ხელში გადავიდოდა ყოველგვარი საზღაურის გარეშე. ახალ კანონში დადებითად შეიძლება მხოლოდ ის ჩაითვალოს, რომ იგი ავალდებულებდა მომრიგებელ შუამავლებს მემამულეებისა და მათი ხიზნების საადგილმამულო ურთიერთობის ნორმები ჩაეწერათ ხიზანთა ოქმებში. მხარეების უფლება-ვალდებულებათა ფიქსაცია რამდენადმე ზღუდავდა მემამულის თვითნებობის ასპარეზს. კანონი დასაშვებად მიიჩნევდა მხარეების ნებაყოფლობითი მეთანხმებით უვადო ხიზნური ურთიერთობის შეწყვეტას ან ვადიანი წერილობითი საიჯარო ხელშეკრულების გაფორმების, ან ხიზნის მიერ მიწის საკუთრებაში გამოსყიდვის გზით[47].

1900 წ. დებულების თანახმად საგლეხო დაწესებულებები აწარმოებდნენ ხიზნების უფლება-მოვალეობათა გამორკვევას. მაგალითად, 1910 წლის აგვისტოში მომრიგებელი შუამავალი ეწვია სოფ. თხილნარას (გორის მაზრა) აზნაურ გვერდწითელებისა და მათ დამოკიდებულებაში მყოფი 37 კ. ხიზნის ურთიერთობის ნორმების დასადგენად. აზნაურების განცხადებით ხიზნები იხდიდნენ დღიურ სახნავ მიწაზე 2 კოდ პურს და ტყე-საძოვრებით სარგებლობისათვის წლიურად 10 მანეთს. ხიზნების თქმით კი მათ დაკისრებული ჰქონდათ დღიურ სახნავ მიწაზე კოდნახევარი პურის გადახდა. ხოლო ტყე-საძოვრებით სარგებლობისათვის 5 მანეთი წლიურად. მომრი-

---

[47] Прекращение хизанских отношении Грузии, Тифлис, 1914, стр. 45, 48.

ვებელმა შუამავალმა, ვითომდა ჰეშმარიტების გამოსარკვევად მოწმეები ჰოიწვია, რომელთა გამოკითხის შემდეგ დაადგინა:

1. ხიზნები დღიურ სახნავ მიწაზე მემამულეს გადაუხდიან ორ კოდ პურს და მიუტანენ ბინაზე, 2. წლის განმავლობაში მემამულეს დაახმარენ კომლზე ერთ მუშას ათი დღით; 3. წელიწადში ერთ დღეს მემამულის მიწაზე სამუშაოდ გაიყვანენ მთელ თავის მუშა-საქონელს; 4. ოც სულ წვრილფეხა პირუტყვზე მემამულეს გადაუხდიან ერთ სულს; 5. ყოველი კომლი წლიურად მემამულეს მიუტანს ორ ურემ შეშას, 6. ჩამოთვლილი ვალდებულებების დამატებით ყოველი კომლი მემამულეს გადაუხდის წლიურად ათ მანეთს[48].

ამ დოკუმენტს ბევრი კომენტარი არ სჭირდება. მომრიგებელი შუამავლები, რომელნიც პრივილეგიური წოდებიდან იყვნენ გამოსულნი, მაქსიმალურად იცავდნენ მემამულეთა ინტერესებს ხიზნების საზიანოდ.

ხიზანთა ოქმების შედგენა—ხიზნების უფლება-ვალდებულებების წერილობითი რეგლამენტაცია—ნელა მიმდინარეობდა. 1900-დან 1911 წლამდე ოქმები შედგენილ იქნა საქართველოს 4791 კ. ხიზნისათვის. დანარჩენნი ამის შემდეგაც აგრძელებდნენ ბრძოლას ხიზნური უფლებების შენარჩუნებისათვის[49].

ამგვარად, ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტების ცხოვრებაში გატარების შედეგად ხიზნები უფლებრივ-ეკონომიური მდგომარეობით თითქმის მთლიანად გაუთანაბრდნენ დროებითვალდებულ გლეხებს.

3. სახელმწიფო გლეხები

რუსეთის ცარიზმი საქართველოში გაბატონებისთანავე შეუდგა სახაზინო მიწის ფონდის შექმნას, რათა ოპოზიციაში მდგომ ქართველ თავადაზნაურობას მემამულეობითაც დაპირისპირებოდა. სახელმწიფო ხაზინის საკუთრებაში თანდათან გადავიდა სახასო, საუფლისწულო და აჯანყებაში მონაწილეობისათვის დასჯილ თავადაზნაურთა მიწები გლეხებითურთ, უფრო გვიან საეკლესიო მამულებიც. ბურჟუაზიული რეფორმების ხანაში სახელმწიფო გლეხები შეადგენენ საქართველოს გლეხური მოსახლეობის ნახევარს.

XIX ს. 40-იან წლებამდე სახაზინო ქონებას განაგებდა საქართველოს უმაღლესი მთავრობის სახაზინო ექსპედიცია და მთავარმმართველის კანცელარია. 1841 წ. სახელმწიფო ქონების გამგებლო-

---

48 საქართველოს ცსია, ფონდი 138, საქმე 128, ფურც. 1—4.

49 ს. ავალიანი, დასახელებული ნაშრ.; IV, გვ. 176—177.

ბა-მეთვალყურეობისათვის დაარსდა სახაზინო ქონებათა ორი პოლატა—თბილისისა და შემახისა. 1848 წ. სახაზინო მიწები გადავიდა საგუბერნიო სამმართველოების უწყებაში. 1868 წ. კავკასიის სამეფისნაცვლოში დაარსდა სახელმწიფო ქონებათა სამმართველო. ადგილებზე სახაზინო ქონების გამგებლობა დაევალათ პოლიციის მოხელეებს. პოლიციის ამ არაპირდაპირი მეთვალეობისაგან გათავისუფლების მიზნით 1874 წ. სახელმწიფო ქონების ცენტრალურ სამმართველოსთან დაწესდა აგენტთა განსაკუთრებული თანამდებობა ოცი. ცოტა უფრო გვიან, 28 კაცის შემადგენლობით. პოლიციის მოხელეებმა თავისი ფუნქციები სახაზინო ქონების მიმართ ამ აგენტებს გადასცეს[50].

1883 წ. ამიერკავკასიის სახაზინო მიწები გადავიდა მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გამგებლობაში. მხარეში დაინიშნა მინისტრის რწმუნებული, ხოლო ცალკეულ გუბერნიებში ჩამოყალიბდა სახაზინო ქონებათა სამმართველოები. გამონაკლისს შეადგენდა სახაზინო მიწები ბათუმისა და ყარსის ოლქებსა და სოხუმისა და ზაქათალის ოკრუგებში, რაც დროებით, 1888 წლამდე დატოვებულ იქნა ადგილობრივი ადმინისტრაციის გამგებლობაში.

სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა საჭიროდ ჩათვალა ამიერკავკასიაში დადგენილ-გამორკვეულიყო: სახელმწიფო გლეხთა რაოდენობა, მათი მიწით უზრუნველყოფის მდგომარეობა, გლეხთა დამოკიდებულება სახაზინო საძოვრებისა და ტყეებისადმი, საგადასახადო სისტემა, თავისუფალი სახაზინო მიწების ფართობი და სხვ. ამ მიზნით გამოიყო თანხები. მდგომარეობა შესწავლილ იქნა ადგილებზე. დაიწერა კონკრეტული გამოკვლევები და განმაზოგადებელი ნაშრომებიც კი.

ამ მასალების მიხედვით 1885 წლისათვის საქართველოში ითვლებოდა 70 ათასამდე კომლი სახელმწიფო გლეხი. მეფის მთავრობას გლეხთა ეს მასა თავის საექსპლოატაციო ობიექტად მიაჩნდა და ამიტომ მთავარ ყურადღებას საგადასახადო სისტემის მოწესრიგებას აქცევდა.

აღმოსავლეთ საქართველოს 48250 კ. სახელმწიფო გლეხის სარგებლობაში იყო 842636 დეს. სახაზინო მიწა, კომლზე საშუალოდ 17 დესეტინა, საიდანაც ეზოს, ბაღ-ვენახსა და სახნავ-სათესს ეკავა 6 დესეტინა, დანარჩენი კი საძოვარი, ბუჩქნარი და უვარგისი ნაკ-

---

[50] ССДЗХЗК, т. II, стр. 217—219.

ვეთები იყო[51]. ო�თქოს სახელმწიფო გლეხები შეღარებით უკეთ იყვნენ უზრუნველყოფილი მიწით, მაგრამ ამ საშუალო რიცხვს უკან იმალებოდა კომლთა შორის მიწების არათანაბრად განაწილების ფაქტი. გლეხობის მნიშვნელოვან ნაწილს ან სულ არ გააჩნდა მიწა, ან ფლობდა 1— 2 დესეტინა ნაკვეთს.

დასავლეთ საქართველოს (აჭარა-აფხაზეთის გამოკლებით) 20997 კ. სახელმწიფო გლეხის სარგებლობასა და საკუთრებაში იყო 88721 დეს. მიწა, კომლზე საშუალოდ 4 დესეტინა[52].

სახელმწიფო გლეხები იბეგრებოდნენ როგორც სახელმწიფო (სახაზინო), ისე საზოგადოებრივი (სასოფლო) ვალდებულებებით. პირველს განეკუთვნებოდა სახელმწიფო საკომლო გამოსაღები და საერობო შესაკრებელი, ხოლო მეორეს ყველა სხვა გამოსაღები, რომლებიც მიდიოდა თვით სასოფლო მმართველობათა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ანალოგიური ვალდებულებანი დაკისრებული ჰქონდათ სხვა კატეგორიის გლეხებსაც, მაგრამ სახელმწიფო გლეხები როგორც სახაზინო მიწით მოსარგებლენი უფრო მძიმედ იბეგრებოდნენ.

ზემოაღნიშნულ გამოსაღებ-შესაკრებელთა რაოდენობა დამოკიდებული როდი იყო გლეხთა სარგებლობაში მყოფი მიწების ფართობსა და შემოსავლიანობაზე. ხშირად მცირე, უნაყოფო ნადელის მფლობელი გლეხები განსაკუთრებით მძიმედ იყვნენ დაბეგრილი. ეს შეუფარდებლობა გამოსაღებთა ოდენობისა მიწის ფართობთან შეიმჩნეოდა არა მარტო ცალკეულ რაიონებს შორის, არამედ ერთი სოფლის ფარგლებშიაც.

XIX ს. 80-იან წლებში საქართველოს სახელმწიფო გლეხები იხდიდნენ სულ 880973 მან[53]. აღმოსავლეთ საქართველოში კომლზე მოდიოდა 13,75 მან., დესეტინა მიწაზე—0,77 მან.; დასავლეთ საქართველოში—კომლზე 10,36 მან., ხოლო დესეტინა მიწაზე—2,45 მან[54].

ძალიან მძიმე ტვირთად აწვა გლეხობას საგზაო და სატრანსპორტო ბეგარა. აღმოსავლეთ საქართველოს გლეხობამ, მაგალითად, სახელმწიფო ტვირთების გადაზიდვისა და გზის სამუშაოზე გასწია შრომა და ხარჯი, რომლის ფულადი გამოხატულება უდრიდა 1889 წ.—165870 მან., 1893 წ.—120072 მან., 1894 წ.—340795 მანეთს.

---

51 ССДЗХЗК. стр. 9.

52 იქვე, გვ. 11.

53 СМИЭБГКЗ, т. 1, ч. 3, стр. 231—235.

54 И. Г. Антелава, Государственные крестьяне Грузии в XIX веке, т.II, Тбилиси, 1962, г., стр. 140.

55 იქვე, გვ. 135—136.

ქუთაისის გუბერნიაში გლეხობის შრომა-ხარჯის ღირებულება შეადგენდა 1892 წ.—161019 მან., 1896 წ.—197079 მან., 1897 წ.—194932 მანეთს[56].

*

*

1888 წლის 14 ივნისის კანონის ძალით სოხუმის ოკრუგის სახაზინო მიწები ოკრუგის ადმინისტრაციის გამგებლობიდან გადაცემულ იქნა სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს უწყებაში. სახელმწიფო ქონებათა ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს გამგებლობაში გადავიდა სოხუმის ოკრუგის მთატყიანი და მთასაძოვრებიანი ტერიტორია 367711 დეს. ფართობით. მასვე გადაეცა წებელდის უბნის სხვადასხვა სავარგულებისაგან შემდგარი 65877 დეს. მიწა[56ა].

1877—1878 წწ. ომში თურქეთის დამარცხების შემდეგ, სანსტეფანოს საზავო ხელშეკრულების ძალით რუსეთის ხელში გადმოვიდა და დედა სამშობლოს საქართველოს შემოუერთდა აჭარა, შავშეთი, იმერხევი, არტაანი, ოლთისი და სხვ. ამ ტერიტორიაზე თურქული მიწათმფლობელობის წესები იყო გაბატონებული. ყურანის თანახმად მთელი მიწის უზენაეს მესაკუთრეს სულთანი წარმოადგენდა. XIX ს. ოციან წლებამდე თურქეთში არსებობდა სამხედრო ლენური სისტემა. სულთანი სამსახურის პირობით მიწას აძლევდა ფაშებს, ბეგებსა და სხვა ქვეშევრდომებს. თავის მხრივ ლენის მფლობელი საშინაო საბუთის—თაფუს საფუძველზე, რომელშიც მისი მიმღები იხდიდა გარკვეულ თანხას, მიწას იჯარით სცემდა გლეხებზე. თანზიმათის პერიოდის კანონმდებლობით (XIX ს. პირველი ნახევარი) თურქმა ფეოდალებმა დაკარგეს სამხედრო ლენები (მამულები) და მასთან ერთად თაფუს გაცემის უფლებაც. ამის შემდეგ უძრავ ქონებაზე მფლობელობის აქტებს გასცემდა მხოლოდ მთავრობა. მიწის მფლობელობის აქტს—თაფუს ის მიიღებდა ვინც საჯარო ვაჭრობის დროს მეტ თანხას გადაიხდიდა. ერაზი მირიეს კატეგორიის მიწის დროებით მფლობელებს თაფუს ძალით (მთავრობის ნებართვით) უფლება ჰქონდათ მიწის გასხვისებისა (გაყიდვა, დაგირავება, მემკვიდრეობით გადაცემა). მიწის ყოველგვარი გასხვისება ხელმეორედ თაფუს გაცემას გულისხმობდა, რაც ახალ მფლობელს მთავრობის სასარგებლოდ გარკვეულ ხარჯებს აკისრებდა. თურქეთში, მცირე გამონაკლისის გარდა, თაფუს უფლებით მიწას ფლობდნენ გაბატონებული არამწარმოებლური კლასის სხვა-

---

[56] **И. Г. Антелава**, იქვე, გვ. 135—136.

[56ა] საქართველოს ცსია, ფონდი 231, საქმე 331, ფურც. 6—7.

დასხვა ფენის წარმომადგენლები. გლეხობას თაფუს შესაძენი თანხა იშვიათად თუ გააჩნდა. როგორც წესი ისინი მიწას იჯარით იღებდნენ თაფუს მფლობელებისაგან[57]. უმრავლესობა კი, ჩვენი აზრით, სარკვებლობდა ერაზი მირიეს კატეგორიის იმ მიწებით, რომელზეც ჯერ არ იყო გაცემული თაფუ, სახელმწიფოს უშუალო განკარგულებაში იმყოფებოდა.

რუსეთის ცარიზმმა კარგად გამოიყენა მუსლიმანური თურქეთის ოფიციალური ვერსია სულთნის, როგორც უზენაესი მესაკუთრის შესახებ და ახლად შემოერთებულ მიწებზე სულთნის მემკვიდრედ რუსეთის სახელმწიფო ხაზინა გამოაცხადა.

ბათუმის საადგილმამულო კომისიის მიერ ჩატარებული გამოკვლევის საფუძველზე მიწები საკუთრებად დაუმტკიცდათ მხოლოდ ბათუმის მცხოვრებლებს. ბათუმის ოლქის დანარჩენ ვეებერთელა ტერიტორიაზე მიწები ცნობილ იქნა ძირითადად ერაზი მირიედ და სახაზინოდ გამოცხადდა. გლეხებს ნადელები უცვლელად დაუტოვეს. მხოლოდ აკრძალეს მიწის ყიდვა-გაყიდვა. გლეხებმა შეინარჩუნეს სახაზინო ტყითა და საძოვრით სარგებლობის უფლება, მაგრამ უნდა ეხადათ ს

ფევ ისეთივე შეღავათები მოგვცეთ ამ მიწებზე. როგორითაც ახალ-ციხელები სარგებლობენ"[59].

მსგავსი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება არ შედიოდა რუსეთის მთავრობის საძოქმედო გეგმაში. იგი ბათუმის ოლქშიც ყოველნაირად ცდილობდა სახაზინო მიწის ფონდის გაზრდას. 1888 წ. 14 ივნისის კანონი სახაზინო მიწების სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს უწყებაში გადაცემის შესახებ გავრცელდა ამ მხარეზეც. 1889 წ. ინსტრუქციის თანახმად ბათუმის ოლქში სახელმწიფო ქონების სამმართველოს უწყებაში უნდა გადასულიყო დაუსახლებელი მამულები—ტყეები, საძოვრები, მუჰაჯირთა ნაკვეთები და სხვა მიწები. რაც დარჩებოდა გლეხთა ნადელების გარეთ მაგრამ 1893 წ. მოვიდა სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ახალი ბრძანება, რომლის მიხედვით სახაზინო ქონებათა სამჭართველოს გამგებლობაში უნდა გადასცემოდა მოსახლეობის მფლობელობა-სარგებლობაში მყოფი ის მიწები, რომელზეც მათ არ გააჩნდათ კერძო საკუთრების საბუთები. იმის გამო, რომ დიდ უმრავლესობას არა თუ საკუთრების, არამედ მფლობელობის დამადასტურებელ-ტებიც კი არ გააჩნდა, ზემოაღნიშნულმა ბრძანებამ და საადგილმამულო კომისიების მუშაობამ მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

ამიერკავკასიის მაღალ მოხელეთა ერთი ნაწილი კარგად გაერკვა შექმნილ ვითარებაში და ხალხის მღელვარების თავიდან აცილებისათვის საჭიროდ ჩათვალა დათმობაზე წასელა. 1893 წ. 22 ოქტომბერს ამიერკავკასიის მთავარმმართველი სწერდა სამხედრო მინისტრს: „მე მიმაჩნდა, რომ ბათუმის ოლქის მიწების სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს უწყებაში გადაცემის საკითხი, თუმცა ამან გამოიწვია მოსახლეობის უკმაყოფილება, ამოიწურა და 1888 წ. კანონი უკვე გატარდა ცხოვრებაში. მაგრამ ახლა მივიღე განმეორებითი ბრძანება დაუყოვნებლივ მოვიყვანო სისრულეში აღნიშნული კანონი იმგვარად, რომ სამხედრო სახალხო მმართველობის გამგებლობაში მყოფი ყველა მიწები გადაცემულ იქნეს სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს უშუალო გამგებლობაში. აგრარული საკითხის ამგვარი გადაწყვეტა მე მიმაჩნია არა ნორმალურად. რაც არ უნდა განუსაზღვრელი იყოს ამ მხარეში მიწისმფლობელობის ფორმები, იგი მაინც ზუსტად რეგულირდება საადათო სამართლით, რასაც იყენებდა თურქეთის მთავრობა საადგილმამულო დავების გა-

---

59 საქართველოს ცსია, ფონდი 231, საქმე 62, ფურც. 42—48.

დაწყვეტის დროს და, რომელსაც ანგარიშს უწევდა ჩვენი სამხედრო ადმინისტრაციაც. ახლა კი ჩვენ ვარღვევთ ამ ადათწესებს და მის საფუძველზე არსებულ მიწათმფლობელობას, რაც, ბუნებრივია, იწვევს მოსახლეობის უკმაყოფილებას". ბოლოს მთავარმმართველი სწერს სამხედრო მინისტრს, რომ ბათუმის ოლქის დაუსახლებელი მიწები უკვე გადაეცა სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს და ამ-დენად 1888 წ. კანონი უკვე მოვიდა სისრულეში.. ადგილობრივი მოსახლეობის მფლობელობაში მყოფი მიწების ხაზინისათვის გადა-ცემა კი დაუშვებელიაო[60].

კავკასიის მთავარმმართველის ეს გაფრთხილება ყურად არ იღეს უმაღლესი მთავრობის წრეებში. საკითხის მოსახლეობისათ-ვის არასასურველად გადაწყვეტის საქმეში მნიშვნელოვანი რო-ლი შეასრულეს სახელმწიფო ქონებათა ქუთაისის საგუბერნიო სამ-მართველოს მოხელეებმა. ისინი მოუწოდებდნენ მთავრობას „დაეცვა სახელმწიფო მიწის ფონდი მიმტაცებლებისაგან". ეს მიწები შენარჩუნებული უნდა იქნესო სახელმწიფოს ხელში როგორც მხარის მოსახლეობაზე ზემოქმედების საუკეთესო საშუალება[61].

ხაზინის ხელში მიწის თავმოყრა-შენარჩუნება მშრომელი მოსახლეობის მორჩილებაში ყოფნის აუცილებელ პირობად მიაჩნდათ, მაგრამ ასეთი პოლიტიკა ხშირად საწინააღმდეგო შედეგს იძლეოდა. ჩვენს ხელთ არსებული მასალიდან ჩანს, რომ ხაზინისაგან მიწების მითვისებამ ბათუმის ოლქის მოსახლეობის უკმაყოფილება და ურჩობა გამოიწვია. სახელმწიფო ქონებათა სამმართველოსა და ხელისუფლების სხვა ორგანოებში მრავლად შედიოდა თხოვნა-საჩივრები. ამასთან დაკავშირებით ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა სამმართველო აცნობებდა ზემდგომ ორგანოებს, რომ გლეხები მთავრობისადმი არაკეთილგანწყობილ პირთა ჩაგონებით ჩივიანო. ეს საჩივრები იმაზე მიუთითებს, რომ მოსახლეობას სურს დროულად გადაწყდეს აგრარული საკითხი, რის შედეგადაც მას უნდა მიეცესო მიწაზე სრული განკარგულების უფლება, ე. ი. ყიდვა-გაყიდვის, დაგირავების და სხვ. უფლება[62]. სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს ადგილობრივ მოხელეებს ამ შემთხვევაში სიმართლე წამოსცდათ და წინააღმდეგობაშიც ჩავარდნენ. გლეხთა საჩივრები სწორედ იმით იყო გამოწვეული, რომ მთავრობის აგრარული პოლიტიკის წყალობით ისინი კარგავდნენ თავიანთი მიწების თავისუფალი გასხვისების უფლებას და არაფერ შუაში იყო მთავრობისადმი არაკეთილგანწყობილი პირების ჩაგონება.

60 საქართველოს ცსია, ფონდი 243, ანაწერი 4, საქმე 88, ფურც. 44—47.
61 იქვე, ფურც. 30.
62 საქართველოს ცსია, ფონდი 243, ანაწერი 5, საქმე 312, ფურც. 3—5.

მთავრობამ თითქმის არ მიაქცია ყურადღება გლეხთა უკმაყოფილებას და 1895 წელს, მას შემდეგ რაც ხაზინამ ჩაიბარა ბათუმის ოლქის დაუსახლებელი მიწები, დაიწყო დასახლებული მამულების მიღება სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს უწყებაში. ბათუმისა და ართვინის ოკრუგთა ძველი მცხოვრებლების საკუთრების უფლება დაცულ იქნა მხოლოდ ორი კატეგორიის—მულქი და ვაყუფის მიწებზე. მულქის კატეგორიაში შედიოდა ეზო და ბაღ-ვენახი, ვაყუფის კატეგორიას კი განეკუთვნებოდა მუსლიმანური ეკლესიის მიწები, რასაც მეფის მთავრობა პოლიტიკური მოსაზრებით არ შეეხო და ეკლესიასვე დაუტოვა საკუთრებაში. დანარჩენი მიწები შედიოდა ერაზი მირიეს კატეგორიაში, რომელიც სახაზინოდ გამოცხადდა და გადაცემულ იქნა სახელმწიფო ქონებათა ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს გამგებლობაში.

XIX ს. დასასრულისათვის ართვინის ოკრუგის 50 ათასიანი მოსახლეობის სარგებლობასა თუ საკუთრებაში რჩებოდა 74125 დეს. მიწა, 231487 დეს. კი გადასული იყო ხაზინის უშუალო საკუთრებაში. ბათუმის ოკრუგში აღნუსხულ იქნა 345925 დეს. მიწა, რომლის უდიდესი ნაწილი ხაზინის ხელთ იყო, მცირე რჩებოდა გლეხობის სარგებლობაში, 13500 დეს. საკუთრებად ჰქონდა დამტკიცებული სხვადასხვა პირებს[63].

სახელმწიფო გლეხებს საქართველოს არცერთ კუთხეში არ აკმაყოფილებდათ სახაზინო მიწით სარგებლობის პირობები და ბუნებრივია, იბრძოდნენ მესაკუთრეთა კატეგორიაში გადასვლისათვის. გლეხობის ამ მისწრაფებას და ბრძოლას თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მხარს უჭერდა მოწინავე ინტელიგენცია, რომელიც მთავრობისაგან მოითხოვდა აგრარული რეფორმის გატარებას, საერთოდ გლეხობისა და კერძოდ სახელმწიფო გლეხთა მიწათმოწყობისათვის.

რუსეთის ცარიზმი, რომელიც გამოდიოდა გლეხთა კლასობრივი ბრძოლის შენელებისა და ფისკალური ინტერესებიდან, იძულებული იყო ემუშავა გლეხთა მიწათმოწყობის პრობლემაზე ან ასეთი მუშაობის ილუზია შეექმნა.

XIX ს. 80-იან წლებში მდიდარი მასალა იქნა შეკრებილი სახელმწიფო გლეხთა მიწათმფლობელობის ოდენობის, მიწათსარგებლობის ფორმების, საგადასახადო სისტემისა და სხვ. შესახებ. ეს მასალა საფუძვლად უნდა დადებოდა შესაფერისი კანონპროექტის მომზადებასა და რეფორმის გატარებას.

---

[63] МВРДКПБЗК, стр. 58.

1892 წ. სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ბრძანებით თბილისში ჩამოყალიბდა სპეციალური კომისია (თავმჯდომარე მედვედევი), რომელსაც დაევალა ამიერკავკასიის სახელმწიფო გლეხთა მიწათმოწყობის პროექტის შედგენა. მალე მედვედევმა კომისიაში წარადგინა ვრცელი „მოხსენებითი ბარათი ამიერკავკასიის ხუთი გუბერნიის სახელმწიფო გლეხთა მიწათმოწყობის საფუძვლების შესახებ"[64].

მედვედევი აღიარებდა გლეხთა შორის მიწების არათანაბრად განაწილების ფაქტს და საჭიროდ მიიჩნევდა მიწათმფლობელობის გათანაბრებას ნადელთა ნორმირების გზით. იგი მიზანშეწონილად სთვლიდა აგრეთვე მცირემიწიანი გლეხებისათვის თავისუფალი სახაზინო მიწების დარიგებასაც.

1888 წ. შიდა რუსეთის სახაზინო გლეხებს მიწა საკუთრებაში დაუმტკიცდათ და ისინი გადაყვანილ იქნენ გამოსასყიდ გადასახდელებზე. ამიერკავკასიისათვის ასეთი რადიკალური ზომა მედვედევს XIX ს. 90-იან წლებშიც ნაადრევად მიაჩნდა. ამიერკავკასიაში, მედვედევის განცხადებით, მიწათმოქმედების კულტურა და გლეხობის საზოგადოებრივი ცხოვრება დაბალ დონეზე იდგა და ამდენად თითქოს მხარე არ იყო მომზადებული მიწაზე გლეხთა კერძო საკუთრების დამყარებისათვის. უფრო დადებით როლს შეასრულებდა მისი მოსაზრებით გლეხობისათვის მიწის მუდმივ სარგებლობაში მიმაგრება. მედვედევს შესაძლებლად მიაჩნდა ყარსისა და ბათუმის ოლქის მცხოვრებთა მიწათმოწყობა იმავე საფუძველზე, როგორც ეს ამიერკავკასიის ხუთი გუბერნიისათვის იყო ნავარაუდევი[65].

მედვედევის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე კომისიამ შეადგინა კანონპროექტი, რომელიც 1896 წ. გაიგზავნა მიწათმოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში. მინისტრმა ერმოლოვმა ეს პროექტი დასკვნისათვის უკან გამოუგზავნა ამიერკავკასიის მთავარმმართველ შერემეტიევს. მთავარმმართველის საბჭოს წევრთა უმრავლესობამ ნადელთა ნორმირების წინააღმდეგ გაილაშქრა. მათ შეუძლებლად ჩათვალეს აგრეთვე თავისუფალი სახაზინო მიწების ადგილობრივ გლეხთათვის დარიგება, რადგან მიწის ეს ფონდი რუსი კოლონისტებისათვის ჰქონდათ განკუთვნილი. მთავარმმართველის საბჭომ მოიწონა კანონპროექტის ის ადგილი, რომელიც ითვალისწინებდა გლეხთათვის მიწების სამუდამო სარგებ-

---

[64] И. Антелава, Реформа поземельного устройства государственных крестьян Закавказья в конце XIX века, Сухуми, 1952, г., стр. 4.

[65] И. Антелава, Государственные крестьяне Грузии в XIX веке, т. II, Тбилиси, 1962 г., стр. 197-203.

ლობაში (და არა საკუთრებაში) მიმაგრებას. ამდენად ამიერკავკასიის ადმინისტრაციამ ფაქტიურად უარი სთქვა სახელმწიფო გლეხთა მიწათმოწყობის ღონისძიების ჩატარებაზე. მწარმოებელი მასებისათვის შრომისა და ცხოვრების შედარებით ნორმალური პირობების შექმნაზე.

ქართველი ინტელიგენცია ინტერესით ადევნებდა თვალს სარეფორმო საქმიანობას. გიორგი თუმანიშვილი საყვედურს გამოსთქვამდა პროექტის ავტორების მიმართ, რადგან მათ არავითარი ღონისძიება არ წამოუყენებიათ გლეხთა უფლებრივ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. იგი არ ეთანხმებოდა პროექტის ავტორების თვალსაზრისს გლეხთათვის მიწის საკუთრებაში გადაცემის მიზანშეწონილობის შესახებ. გ. თუმანიშვილს გადაუდებელ საქმედ. დროის შესაფერისად მიაჩნდა სახელმწიფო გლეხების მესაკუთრეთა კატეგორიაში გადაყვანა[66].

მთავრობამ ანგარიში არ გაუწია ქართველი საზოგადოებრიობის თვალსაზრისს. რეფორმის პროექტში არსებითი, გამაუმჯობესებელი ცვლილება არ ყოფილა შეტანილი. პირიქით, იგი უფრო შეიკვეცა (ამოღებულ იქნა პუნქტი მცირემიწიან გლეხთათვის თავისუფალი სახაზინო მიწების დარიგების შესახებ) და ამის შემდეგ იქნა უმაღლესად დამტკიცებულ-გამოქვეყნებული. ამიერკავკასიის სახელმწიფო გლეხთა მიწათმოწყობის 1900 წ. 1 მაისის კანონი აღდენდა ფაქტიური მდგომარეობის ფიქსაციას და მხოლოდ უმნიშვნელოდ აფართოებდა გლეხობის უფლებას სახაზინო მიწის შიმართ. გლეხები რჩებოდნენ სახელმწიფო ხაზინის სრულ დამოკიდებულებაში და სანადელო მიწებით სარგებლობის საზღაურად ეკისრებოდათ გარკვეული ვალდებულებანი. ახალი კანონი აკონსერვებდა ფეოდალიზმის ნაშთებს. აფერხებდა თავისუფალი მეწარმოების, კაპიტალიზმის განვითარებას[67].

მალე ამის შემდეგ, 1901 წ. იანვარში გატარდა საგადასახადო სისტემის რეფორმა. საკომლო გამოსაღები, რომელიც ანგარიშს არ უწევდა სახელმწიფო გლეხთა მიწისმფლობელობის ოდენობას და ეკონომიურ შეძლებას, შეიცვალა სახელმწიფო საღალო გამოსაღებით. იგი წესდებოდა ყოველი სამი წლისათვის უცვლელი ოდენობით და ნაწილდებოდა გლეხებზე მათი ნადელების შემოსავლიანობის შესაბამისად. სახელმწიფო საღალო გამოსაღებით იბეგრებოდა მხოლოდ სახაზინო მიწები. ყველა სხვა მიწებს (მოსახლეობის სხვადასხ-

---

[66] Г. Туманов, Земельные вопросы и преступность на Кавказе, 1900 г., стр. 97—100.

[67] ი. ანთელავა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 216—217.

ხვა ფენების კერძო საკუთრებაში მყოფი მიწები, დროებითვალდებული გლეხებისა და ხიზნების ნადელები) კი დაედო სახელმწიფო საადგილმამულო გადასახადი[68].

ამგვარად, გლეხობას მძიმე ტვირთად აწვა აგრარული ურთიერთობის არქაული ფორმები. მაგრამ სავალალო ისიც იყო, რომ გლეხობის დიდი ნაწილი სრულიად უმნიშვნელო რაოდენობით ფლობდა სანადელო მიწებს. ისინი იძულებული იყვნენ იჯარისათვის მიემართათ.

თავი მეოთხე

მიწის იჯარა. გლეხთა საბადასახლებო მოძრაობა

1. იჯარის როლი გლეხურ მეურნეობაში

საქართველოში მიწის თითქმის მონოპოლიურ მესაკუთრეს სახელმწიფო ხაზინა და თავადაზნაურობა წარმოადგენდა. ისინი იყვნენ ძირითადად მიწის იჯარით გამცემნი. ხშირად მიწას იჯარით სცემდნენ მამულიანი ვაჭრები, კულაკები და ღარიბი გლეხებიც, რადგან ამ უკანასკნელთ, მუშაპირუტყვის უყოლობის გამო, არ შეეძლოთ მიწათმოქმედების წარმოება. მიწის იჯარით ამღებნიც ყველა წოდებასა და სოციალურ ფენაში მოიძებნებოდა, მაგრამ მოიჯარეთა ძირითად კონტინგენტს გლეხობა ქმნიდა.

საგლეხო რეფორმამ მებატონე-მემამულეებს ხელიდან გამოაცალა მუქთი მუშახელი და დააყენა ისინი არჩევანის წინაშე: ან შეეძინათ მუშაპირუტყვი, სამიწათმოქმედო იარაღმანქანები და მეურნეობა დაქირავებული შრომის საფუძველზე ეწარმოებინათ, ან გატკეპნილ გზას გაჰყოლოდნენ და მიწები ნაყმევებისათვის მიეცათ იჯარით, რაც მათ უზრუნველყოფდა რენტითაც და საჭიროების შემთხვევაში მუშახელითაც. შექმნილ პირობებში (საიჯარო ქირის სწრაფი ზრდა) მათ უმჯობესად ჩათვალეს ადგილმამულის ექსპლოატაცია მოიჯარე გლეხთა მეშვეობით. თვით საუფლისწულო უწყება, რომელმაც მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობები გამართა საქართველოში, ხელსაყრელად თვლიდა მიწების ერთი ნა-

---

68 ი. ჯ ნ თ ე ლ ა ვ ა, იქვე, გვ. 180—181.

წილი გლეხებისათვის მიეცა იჯარით. იჯარით იცემოდა თავისუფალი სასაზინო ნაკვეთებიც.

1884 წლისათვის აღმოსავლეთ საქართველოში იჯარით გაცემული სახაზინო მიწების ფართობი უდრიდა 42089 დესეტინას[1], 1899 წლისათვის კი იგი 381 960 დესეტინამდე[2] გაიზარდა. დასავლეთ საქართველოში სახელმწიფო ხაზინას შედარებით მცირე რაოდენობით ჰქონდა თავისუფალი, იჯარით გასაცემი ნაკვეთები.

„გლეხურ მეურნეობაში—გვასწავლის ვ. ი. ლენინი—იჯარას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. ზოგისთვის ის წარმოადგენს მეურნეობის ხელსაყრელ გაფართოებას, ზოგისთვის კი გაჭირვებით გამოწვეულ გარიგებას"[3]. საქართველოში გლეხური იჯარის ორივე ფორმა იყო გავრცელებული, მაგრამ რამდენადმე სჭარბობდა გაჭირვებით გამოწვეული იჯარა, რაც აიხსნება ჩვენი ქვეყნის გლეხური მოსახლეობის მცირემიწიანობით.

მცირემიწიანობა განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობოდა დასავლეთ საქართველოში. სახელმწიფო გლეხთა ეკონომიური ყოფის ამსახველი მასალების მიხედვით, რომელიც შეკრებილ იქნა 1884—1885 წლებში, მცირემიწიანი იყო:

ქუთაისის მაზრაში 4681 კ. სახელმწიფო გლეხი (55%)
ზუგდიდის—474 კ. (57%)
ლეჩხუმის—190 კ. (56%)
ოზურგეთის—1716 კ. (80%)
რაჭის—1575 კ. (73%)
შორაპნის—3521 კ. (73%)
სულ გუბერნიაში—13957 კ. (66%).[4]

უმიწოთა და მცირემიწიანთა პროცენტი კიდევ უფრო მეტი იყო სხვა კატეგორიის გლეხობაში, რომელნიც გამოსავალს იჯარაში ხედავდნენ. სოფლის მეურნეობის საჭიროების გამომკვლევი ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ცნობით, XIX ს. დასასრულს შორაპნის მაზრაში 5766 კ. დროებითვალდებული გლეხიდან მიწას იჯარით იღებდა 64%, კომლზე საშუალოდ 1,5 დესეტინას. მესაკუთრე გლეხებიდან მიწის იჯარას მიმართავდა 60% და კომლზე საშუალოდ იღებდა 1,5 დესეტინას. სახელმწიფო გლეხთა 60% კი კომლზე სა-

---

[1] СМИЭБГКЗК, т. V, ч. 2, стр. 76—85.
[2] ლენინგრადის ცსია, ფონდი 396, ანაწერი 2, საქმე 417, ფურც. 155—172.
[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. III, გვ. 218.
[4] СМИЭБГКЗК, т. V, ч. 2, стр. 76—85.

შუალოდ ამუშავებდა 1,3 დეს. საიჯარო მიწას. დასავლეთ საქართველოს სხვა მაზრებზე—ნათქვამია კომიტეტის მოხსენებაში—ასეთი კონკრეტული ცნობები არ გაგვაჩნია. მაგრამ უდაოა, რომ ყველგან ფართოდაა გავრცელებული მოიჯარეობა[5].

აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფო გლეხები თითქოს უზრუნველყოფილი იყვნენ მიწით, კომლზე საშუალოდ ფლობდნენ 17 დესეტინას, მაგრამ გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი ან სრულიად უმიწო იყო, ან ფლობდა მეტად მცირე ზომის ნადელებს. ზოგსაც საერთოდ საკმაო მიწა ჰქონდა, მაგრამ განიცდიდა ვარგისი, განსაკუთრებით სარწყავი მიწების ნაკლებობას. აღმოსავლეთ საქართველოს 941 სახაზინო სოფლიდან XIX ს. 80-იან წლებში მიწის იჯარას მიმართავდა 389 სოფელი (41.55%), აქედან 235 სოფლის გლეხობა იჯარით იღებდა 49611 დეს. კერძოსამფლობელო მიწას. სხვა სოფლებზე ცნობები არ ყოფილა შეკრებილი[6].

XIX ს. 90-იან წლებში მარტო ბორჩალოს მაზრის მოსახლეობა (ძირითადად გლეხობა) იჯარით იღებდა 69544 დეს. მიწას (11399 დეს. სათიბი, 8490 დეს. სარწყავი სახნავი, 26864 დეს. ურწყავი სახნავი. 22791 დეს. საძოვარი და უვარგისი)[7].

მოსახლეობის ზრდისა და საევაჭრო მიწათმოქმედების განვითარების პირობებში საწადელო და საკუთარი მიწები სულ უფრო და უფრო არასაკმარისი იყო გლეხობისათვის, თანდათან იზრდებოდა იჯარის როლი გლეხურ მეურნეობაში. ბევრი სოფელი მთლიანად საიჯარო მიწებზე იყო გაშენებული.

1895 წლისათვის ბორჩალოს მაზრის 11773 კ. სხვადასხვა კატეგორიის გლეხს სანადელოდ ჰქონდა 73915 დეს., საკუთრებაში—28712 დეს. იჯარაში—69544 დესეტინა. ამ ცნობების შემკრებ არღუთინსკის ბორჩალოს მაზრის გლეხთაგან 2035 კომლი შეუვანილი ყავს მოიჯარეთა კატეგორიაში. რადგან სანადელო და საკუთარი მიწა მათ სულ არ გააჩნდათ, სახლობდნენ საიჯარო მიწებზე და ამუშავებდნენ 38741 დესეტინას. ყოველ კომლზე მოდიოდა 19 დეს. მთელი მიწა და 7 დეს. სახნავი[8].

1917 წლის აღწერის მონაცემებით საქართველოს 308937 გლეხური მეურნეობა ფლობდა 746537 დეს. ვარგის მიწას, იჯარით კი

---

5 ლენინგრადის ცსია, ფონდი 1233, ანაწერი 1, საქმე 159, ფურც. 14—15.

6 СМИЭБГКЗК, т. V, ч. 2, стр. 76—85.

7 РТКЭЖДЭКО, стр. 68—73.

8 РТКЭЖДЭКО, стр. 274—297.

იღებდა 171389 დესეტინას[9]. მაგრამ უნდა აღინიშნოს რომ მითითებულ ფართობში არ შედის საძოვრები, რომლითაც გლეხები ჩვეულებრივ იჯარის საფუძველზე სარგებლობდნენ.

იჯარით აღებული მიწის ნაკვეთების ფართობი უმეტესწილად დამოკიდებული იყო გლეხის მეურნეობაში არსებული მუშახელის (მათ შორის დაქირავებული მუშების) და მუშაპირუტყვის რაოდენობაზე. შეძლებული გლეხობა მიმართავდა მსხვილ გრძელვადიან, ხოლო ღარიბები—წვრილ მოკლევადიან იჯარას, რომლის პირობები გაცილებით მძიმე იყო. მოკლევადიანი იჯარა გრძელდებოდა 1—2 წელს. მემამულეები ამჯობინებდნენ იჯარის ამ ფორმას, რადგან იგი საშუალებას აძლევდა მათ სწრაფი ტემპით, ხელშეკრულების ყოველი განახლებისას, აეწიათ საიჯარო ფასები. 3 წლით და მეტი ხნით დადებული ხელშეკრულებანი გრძელვადიანად ითვლებოდა. შეიმჩნეოდა გრძელვადიანი იჯარის გაფართოების ტენდენცია, რაც შეესაბამებოდა მიწათმოქმედების პროგრესს. ინტენსიური მეურნეობის, მევენახეობა-მეხილეობის ქვეყანაში, ბუნებრივია, საკმაოდ ფართო გავრცელება ჰპოვა აგრეთვე უვადო იჯარის ფორმამ, ე. ი. მიწის სანაშენოდ დაჭერის ჩვეულებამ.

მიწის სანაშენოდ დაჭერის არსი შემდეგში მდგომარეობდა: გლეხი მიწათმფლობელისაგან იღებდა ნაკვეთს და მასთან ერთად ვალდებულებას—მასზე გაეშენებინა ვენახი. ყოველგვარი ხარჯი და შრომა გლეხის იყო. დადებული პირობის თანახმად ვენახის სრულმოსავლიანობამდე ნაკვეთში მოწეულ პროდუქტებს მხარეები შუაზე იყოფდნენ. შემდეგ შუაზე იყოფოდა გლეხის მიერ დაყენებული ღვინოც. გლეხი ვენახის მემკვიდრეობითი მფლობელი ხდებოდა. ადათი დასაშვებად თვლიდა ასეთი ვენახის მიწათმფლობელსა და მონაშენეს შორის შუაზე გაყოფას, რომლის ერთ ნახევარზე გლეხი საკუთრების უფლებას იძენდა. მაგრამ მიწათმფლობელი ყოველნაირად ცდილობდა შეენარჩუნებინა მუქთი მუშახელი მონაშენის სახით და ვენახის შემოსავლის ნახევარი, რის გამოც ვენახების გაყოფა იშვიათად ხდებოდა. მხოლოდ რეფორმის მომდევნო ხანაში, ნადელთა გამოსყიდვის პროცესთან დაკავშირებით, განხორციელდა ვენახის გამშენებელთა უფლება. ეყრდნობოდა რა ძველ სახალხო ადათს მონაშენეთა უფლების შესახებ, ი. ნ. ჭავჭავაძემ თბილისის საგლეხო საქმის საგუბერნიო საკრებულოში შეიტანა წინადადება დროებითვალდებულ გლეხებსა და მემამულეთა შორის სანადელო ვენა-

---

9. 1917 წ. სასოფლო-სამეურნეო და საადგილმამულო აღწერის მაზრობლივი ჯამები, თბილისი; 1922 წ., გვ. 32—33.

ხების შუაზე გაყოფის თაობაზე. წინადადება მიღებულ იქნა და გლეხები გამოსყიდვის გარეშე ღებულობდნენ საკუთრებაში ვენახების ნახევარს[10]. ეს წესი ფართოდ დაინერგა პრაქტიკაში, რაც სანაშენოდ დაჭერის ჩვეულების დიდ ძალაზე მიუთითებს.

საქართველოში საიჯარო ქირის დაფარვის რამდენიმე ფორმა იყო გავრცელებული. საიჯარო ურთიერთობის ხასიათის დასადგენად თუ მიწის რენტის კატეგორიებს გამოვიყენებთ, უნდა აღინიშნოს, რომ რეფორმის მომდევნო ხანის საქართველოში, თვით 1917 წლის რევოლუციამდე, ერთდროულად და ერთმანეთის გვერდით არსებობდა რენტის სამივე ფორმა—შრომითი, პროდუქტადი და ფულადი. მაგრამ თანდათან იცვლებოდა მათ შორის თანაფარდობა.

მემამულეები კარგად იყენებდნენ მონოპოლიას მიწის საკუთრებაზე და მათთვის მიწის ერთი ნაწილის იჯარით გაცემა იყო საკუთარი მეურნეობის წარმართვის წესი, მუშახელით მამულის უზრუნველყოფის საშუალება. ასეთ მეურნე-მიწათმფლობელთა სერვილის თანახმად მათი მოიჯარე გლეხები საიჯარო ქირას ფარავდნენ მემამულის მიწაზე მუშაობით, ანუ, ლენინის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, შრომამიგებით.

ა. პარვიცკის გადმოცემით, შრომამიგების ფორმები მეტად მრავალგვარი იყო და მოიცავდა ყველა სასოფლო სამეურნეო სამუშაოებს. მას იყენებდნენ ის მემამულეები, რომელნიც საკუთარ მეურნეობას ეწეოდნენ ისე, რომ ზოგჯერ არ გააჩნდათ არც კაპიტალი, არც სამიწათმოქმედო ინვენტარი და მუშაპირუტყვი. შრომამიგება, რაც მის შემსრულებელს ძალიან დიდ დროს ართმევდა, გლეხობისათვის ძალინ მძიმე ტვირთი იყო და მოიჯარეები ყოველთვის ცდილობდნენ მის თავიდან აცილებას. ისინი წინადადებას აძლევდნენ მემამულეებს შეეცვალათ შრომამიგება ფულით, მაგრამ შრომამიგება იმდენად ხელსაყრელი იყო მემამულეებისათვის, რომ ისინი არა თუ არ ცვლიდნენ, არამედ ცდილობდნენ თანდათან გაეზარდათ მისი მასშტაბი. შრომამიგება ფართოდ იყო გავრცელებული ქუთაისის, თიანეთის, დუშეთის და განსაკუთრებით გორის მაზრაში, სადაც მის მძიმე უღელში გაბმული იყო 37 სახაზინო სოფელი[11].

კიდევ უფრო მეტ ხვედრით წონას ინარჩუნებდა საიჯარო ურთიერთობაში პროდუქტადი რენტა, მაგრამ შეიმჩნეოდა ფულად რენტაზე თანდათან გადასვლის ტენდენცია.

---

[10] „Кавказский вестник," № 9, 1901, стр. 96—97.

[11] СМИЭБГКЗК, т. V, ч. 2, стр. 143—144.

არსებული მასალა საშუალებას გვაძლევს მიახლოვებით მაინც დავადგინოთ რენტის სხვადასხვა ფორმის ხვედრითი წონა საიჯარო ურთიერთობაში.

თბილისის გუბერნატორი 1890 წლის ანგარიშში აღნიშნავს, რომ მემამულური მეურნეობა ორ კატეგორიად იყოფაო. პირველი წარმოებს მემამულის უშუალო მეთვალყურეობა-ხელმძღვანელობით. მეორე კატეგორიის მეურნეობაში კი მიწის ექსპლოატაციას ახდენს მოიჯარე ან მუშავდება გლეხობის მიერ მოსავლის წილზე. გუბერნატორის ანგარიშის მიხედვით პირველი კატეგორიის მეურნეობებში სხვადასხვა პურეულის მოსავალმა შეადგინა 174172 ჩეტვერტი (ჩეტვერტი უდრის დაახლოვებით 7 ფუთს). სწორედ თავადაზნაურთა უშუალო ხელმძღვანელობით წარმოებულ მეურნეობებში გამოიყენებოდა მოიჯარე გლეხთა შრომა და აქვე იყო დასაქმებული დაქირავებული მუშახელიც. მაგრამ ამ ორი ურთიერთისაგან არსებითად განსხვავებული შრომის გამოყენების თანაშეფარდების დადგენისათვის მონაცემები არ გაგვაჩნია.

შედარებით მეტი სიზუსტით შეგვიძლია განვსაზღვროთ პროდუქტადი და ფულადი რენტის გავრცელების მასშტაბი. იმავე ანგარიშის მიხედვით მემამულეთა მიერ ფულადი იჯარით გაცემულ მიწებზე 1890 წ. აუღიათ 164336 ჩეტ. პურეული, მოსავლის წილზე გლეხთათვის მიცემულ მიწებზე კი—264563 ჩეტვერტი[12]. ამ ცნობის საფუძველზე უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ XIX ს. 90-იან წლებში აღმოსავლეთ საქართველოს მემამულეები მიწების დაახლოვებით ერთ მესამედს სცემდნენ ფულადი იჯარით, ხოლო ორ მესამედს მოსავლის წილზე—პროდუქტადი იჯარით.

დასავლეთ საქართველოს მიმართ ანალოგიური მასალა არ მოგვეპოვება, მაგრამ გვაქვს ცნობა, რომ ამ მხარის უდიდესი მემამულე ნიკოლოზ დადიანი (მინგრელსკი), რომლის საკუთრებაშიც იყო 270 ათასი დეს. მიწა (ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა მიწების ნახევარი), ნადელგარეშე თითქმის ყველა ნაკვეთს ფულადი იჯარით სცემდა. ფულზე იყო გაცემული თამბაქოს პლანტაციებით დაკავებული ყველა ნაკვეთი აფხაზეთში და სხვ[13]. ფულადი იჯარით იცემოდა აგრეთვე სახელმწიფო ხაზინის ყველა თავისუფალი მიწის ნაკვეთი, რომელთა ფართობი საქართველოში XIX ს-ის დასასრულისათ-

---

[12] საქართველოს ცსია, ფონდი 17, საქმე 770 ა, ფ. 1—2.

[13] МИРДКПБЗК. стр. 247, 263, 274.

ვის 385113 დესეტინას უდრიდა[14]. ფულზე იცემოდა საუფლისწულო უწყების ბევრი ნაკვეთი და ბანკების ხელში გადასული ვრცელი მამულები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „იმდროინდელ დამკვირვებელთა უმეტესობა კონკრეტული ცნობების მოტანის გარეშე ლაპარაკობს ნატურალური იჯარის ბატონობის შესახებ. ერთი შეხედვით ეს თითქოს სწორია იმ მხრივ, რომ საიჯარო ხელშეკრულებათა უმეტესობა პროდუქტად ქირას ითვალისწინებდა. მაგრამ შესაძლებლობა რომ გვქონოდა იჯარის ფორმები გადაგვეტანა მიწის ფართობზე, აღმოჩნდებოდა, რომ წვრილ ნაკვეთებად პროდუქტადი იჯარით გაცემული მიწების საერთო ფართობი ნაკლები იყო მსხვილ ნაკვეთებად ფულზე გაცემული მიწების ფართობზე. ამდენად, ჩვენი აზრით, ძველი წყაროებისა და ლიტერატურის ცნობები ამ კონკრეტულ შემთხვევაში შესწორებას საჭიროებს.

ამგვარად საფუძველი გვაქვს დავასკვნათ, რომ XIX ს. დასასრულისათვის საიჯარო ურთიერთობაში პროდუქტადი და ფულადი რენტის მასშტაბი თითქმის თანაბარი იყო და შეინიშნეოდა ფულადი რენტის შემდგომი გაფართოების ტენდენცია. რენტის არქაული ფორმების ადგილს თანდათან იკავებდა სასაქონლო ურთიერთობისა და კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ფულადი რენტა.

საქართველოში საიჯარო ქირა ჯერ კიდევ XIX ს. 60—70-იან წლებში საკმაოდ მაღალი იყო. მოსახლეობის გამრავლებისა და საევაპრო მიწათმოქმედების განვითარების კვალობაზე მოთხოვნილება მიწაზე თანდათან იზრდებოდა, რაც საიჯარო ქირის აწევას იწვევდა. ვენახი და კარგი სახნავი მიწა თითქმის ყველგან სანახევროდ იცემოდა. მენახევრეობა საქართველოში ისე ფართოდ გავრცელდა, რომ იგი გლეხობის მეტყველებაში მიწის იჯარის სინონიმად იქცა. ნაკლებად ნაყოფიერი საყანეები მოსავლის მესამედსა და მეოთხედზე გაიცემოდა. მაღალი იყო სათიბ-საძოვრების საიჯარო ქირაც.

იჯარის ნატურალური ფორმა თავისი მოცულობით ყოველთვის უფრო მაღალი იყო ვიდრე ფულადი. მაგალითად, ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში იჯარის ნატურალური ქირა შეადგენდა მოსავლის მეხუთედიდან ნახევრამდე და ზოგჯერ სამ მეოთხედ ნაწილს, რაც ფულზე გადაყვანით უდრიდა 6—26 მანეთს დესეტინაზე. წმინდა ფულადი იჯარის ქირა კი 5—8 მანეთს შეადგენდა[15]. მიუხედავად ამისა ღარიბი და ხშირად საშუალო გლეხებიც ამჯობინებდნენ იჯა-

---

[14] ლენინგრადის ცსია, ფონდი 396, ანაწერი 2, საქმე 417, ფურც. 2—8, 156—172.

[15] МВРДКПБЗК, стр. 266—267.

რას მოსავლის წილზე, რადგან ფულადი იჯარის დროს მათ წინასწარ უნდა გაეღოთ საიჯარო ფასი, რის შესაძლებლობასაც მოკლებული იყვნენ. თანაც გლეხები ერიდებოდნენ რისკის გაწევას, ეშინოდათ მოუსავლობის შემთხვევაში თესლთან ერთად ფულიც არ დაეკარგათ[16].

თელავის მაზრაში, XIX ს. 80-იანი წლების დამკვირვებლის გადმოცემით, საბნავი მიწა გაიცემოდა მოსავლის ნახევარზე. მაგრამ მოთხოვნილება იმდენად დიდი იყო, რომ ერთ ნაკვეთს რამდენიმე მთხოვნელი ყავდა. მემამულე კარგად სარგებლობდა შექმნილი მდგომარეობით და მიწას იმას აძლევდა, ვინც დაწესებული მოსავლის ნახევარს მეტ ფულს (ქრთამს) წაუმატებდა. ეს ქრთამი დესეტინაზე ზოგ სოფლებში ერთ მანეთს შეადგენდა, ზოგგანაც ორ მანეთამდე აღწევდა[17].

იმავე მასალების მიხედვით ქუთაისის მაზრაში საიჯარო ქირა დესეტინა საბნავზე მერყეობდა 2—30 მანეთს შორის, ზუგდიდ-სენაკის მაზრებში 8—74 მან., რაჭის მაზრაში—4—52 მან., შორაპნის მაზრაში—4-43 მანეთს შორის. ვენახის საიჯარო ქირა შორაპნის მაზრაში 56—160 მანეთს უდრიდა[18]. ქუთაისისა და რაჭის მაზრებში მოიჯარენი ვალდებული იყვნენ დაწესებული ქირის გარდა მემამულეებისათვის წელიწადში რამდენჯერმე მიერთმიათ ძღვენი, რომლის ფულადი ღირებულება 3—4 მანეთს შეადგენდა[19].

გლეხები ვერც მემამულეთა საძოვრების გარეშე გადიოდნენ იოლად. პირუტყვის ძოვებისათვის ისინი იხდიდნენ ე. წ. საბალახოს. აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში ერთ სულ მსხვილფეხა საქონელზე საიჯარო ქირა მერყეობდა რიცი ოკაპიადან ორ მანეთამდე, წვრილფეხაზე კი ხუთიდან ოც კაპიკამდე[20]. ბორჩალოს მაზრის საზაფხულო საძოვრების ფართობი 300 ათას დესეტინას შეადგენდა, რომლის დიდი ნაწილა კერძო მიწათმფლობელებს ეკუთვნოდა. ზაფხულობით აქ თავს იყრიდა სხვადასხვა რაიონებიდან მირეკილი მილიონ ორასი ათასი სული ცხვარი და მრავალად ხარ-ძროხა. განსაკუთრებით დიდ ფასს იღებდნენ გზისპირა საძოვართა მფლობელები, რომლებსაც შესაძლებლობა ჰქონდათ მაქსიმალურად აეწიათ საიჯარო ქირა პირუტყვის გადარეკვის პერიოდში. ხშირად მომთაბარენი უარს ამბობდნენ ქირის გადახდაზე და

---

[16] СМИЭБГКЗК, т. V., ч. II, стр. 130.
[17] იქვე, გვ. 127.
[18] იქვე, გვ. 140—141.
[19] იქვე, გვ. 45.
[20] СМИЭБГИЗК, т. V, ч. 2, стр. 146—147.

თვითნებურად აძოვებდნენ პირუტყვს. ამ ნიადაგზე ხშირი იყო შეტაკებანი[21].

საიჯარო ქირა ხშირ შემთხვევაში ძალიან მძიმე ტვირთად აწვა გლეხის ბიუჯეტს. მაგალითად XIX ს. 80-იან წლებში გორის მაზრის სოფ. ჩობისხევის გლეხები საიჯარო მიწებში სხვადასხვა ფორმით მემამულეებს უხდიდნენ კომლზე საშუალოდ 38 მან. ნადარბაზევის გლეხები 8 მან. ახალსოფლელები—9 მანეთს[22]. მომდევნო ხანაში ეს ტვირთი, საიჯარო ქირის ზრდის გამო, თანდათან მძიმდებოდა.

იყო დრო, როცა საქართველოს ზოგიერთ კუთხეებში მემამულეები მიწის მოიჯარეებს თვითონ ეძებდნენ და შეღავათებსაც აძლევდნენ მათ .ორგზის მუხაჯირობით შეთხელებული აფხაზეთის მემამულეები. გადმოგვცემს „ცნობის ფურცლის“ კორესპონდენტი, სამეგრელოში პოულობდნენ მოიჯარეებს, „მეგრელებიც ეტანებოდნენ აფხაზეთს. მემამულენი ტკბილად და რბილად ეპყრობოდნენ მოიჯარეთ, რადგან ეშინოდათ არ გაგვექცენო. ხოლო რაც დრო მიდიოდა, უფრო და უფრო უარესდებოდა მათი ცხოვრება და ბოლოს აუტანელიც შეიქმნა“[23]. შემდეგ კორესპონდენციის ავტორი ლაპარაკობს შარვაშიძის მოიჯარეთა მძიმე მდგომარეობაზე XX ს. დამდეგისათვის. „აი დღევანდელი პირობები: ღალად ყოველივე შემოსავლის მეოთხედი, საკენ შეშის ფასად, მანეთის მაგიერ ოთხი მანეთი, ათ სულ საქონლის ზევით თითო სულზე აბაზი თვეში, ზოგგან კი ორ-ორი აბაზი“. შარვაშიძის მოურავს მოიჯარეთა ეზოებით სარგებლობისათვის 5 მანეთი დაუწესებია, ხოლო ყოველ სულ კამეჩზე 12 მანეთი შეუწერია. 1905 წლის რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში შარვაშიძის მამულის 370 მოიჯარეს უარი უთქვამს საიჯარო ქირის გადახდაზე[24].

1906 — 1913 წწ. საგლეხო საადგილმამულო ბანკის ამიერკავკასიის განყოფილებამ ათეული ათასობით დესეტინა მიწა შეისყიდა საქართველოში. ეს მიწები ძირითადად ფულზე იცემოდა. ზოგ რაიონში გლეხებს არ მოსწონდათ ბანკის მიერ შემოღებული ფულადი იჯარა. ამასთან დაკავშირებით გაზეთ „ამირანის“ კორესპონდენტი წერდა: „ცუდი იყო თუ კარგი ჩვენი მამაპაპური „მეოთხედი“, მას ერთი კარგი მხარე მაინც ჰქონდა, მემამულეს წილი ედო მოსავლის ზარალშიც... რაკი იგი თავის მეოთხედს აიღებდა, დღიურზე რომ ჩანახიც არ გამოსულიყო ხმასაც ვერ ამოიღებდა. სულ

[21] РТКЭЖДЭКО, стр. 133.
[22] СМИЭБГКЗК, т. V, ч. 2. стр. 145.
[23] „ცნობის ფურცელი“, 1905 წ., № 2870, გვ. 2—3.
[24] იქვე.

სხვანაირად იქცევა საგლეხო ბანკი. ის თავის რწმუნებულს გზავნის ბანკზე დარჩენილ მამულების დასათვალიერებლად და ამ გზით იტყობს სად რამდენი უთესია გლეხს. მერმე ამნაირად შეკრებილი ცნობების მიხედვით გლეხს აწერს საიჯარო გადასახადს". სოფ. ბერუშეთში (გორის მაზრა) ერთ დესეტინა სარწყავ პურზე დაწესებული ყოფილა 16 მან. ქერზე—13,5 მან., „ვისაც თვალით უნახავს წლევანდელი მოსავლის სიცოცხავე,—განაგრძობს კორესპონდენტი,—ის მიხვდება რა საშინელი გადასახადია გლეხისათვის ეს ფული. გლეხებმა თვითონ შემომჩივლეს ნეტა ჰოსავალი მთლიანად წაიღონ და ამდენი ფული კი არ გადაგვახდევინონო. მაგრამ გამგონი ვინ არის. ნებით თუ არა ძალით აიღებენ დაწესებულ ქირას. ასეთ მდგომარეობაში აგდებს გლეხს ის დაწესებულება, რომელიც ვითომცდა მის კეთილდღეობისათვის არის შოვლენილი[25].

სავალალო ისიც იყო, რომ საგლეხო ბანკმა კიდევ უფრო ასწია საიჯარო ფასები და თანაც მთელი სიმკაცრით ეპყრობოდა თავის მოიჯარეებს. გურიიდან იწერებოდნენ: „ორი სამი წლის წინათ საჰ მანეთად იშოვებოდა ქცევა მიწა, წელს კი ბანკის წარმომადგენელმა გამოუცხადა საზოგადოებას, რომ შვიდ მანეთ ნაკლებ მიწა არავის დაეთმობაო და თან დასძინა, თუ რაიმე მიზეზით მიწას (სახაბეს ა. ბ.) არ აიღებთ, იმ შემთხვევაში საბალახო ადგილებითაც ვერ ისარგებლებთო. ჯერჯერობით ამ პირობაზე საზოგადოებამ უარი მოახსენა, მაგრამ ბოლოს მაინც იძულებული გახდებიან აიღონ მიწა"[26].

XIX—XXსს. მიჯნაზე საიჯარო მიწები მაღალ ფასადაც კი ყოველთვის როდი იყო ხელმისაწვდომი გლეხობისათვის. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მოთხოვნილება მიწაზე აჭარბებდა მის მიწოდებას. ამის გამო მოიჯარეებს შორის ხშირად კონკურენცია იმართებოდა, რაშიც უმეტესწილად მოსახლეობის შეძლებული ფენები იმარჯვებდნენ. ისინი იღებდნენ სახაზინო და თავადაზნაურთა მიწების შედარებით დიდ მასივებს.

ფ. მარკოვის გადმოცემით თავისუფალი სახაზინო მიწების დიდ ნაწილს იჯარით იღებდნენ ვაჭრები და კულაკები. ისინი მხოლოდ ბალ-ვენახებს ამუშავებდნენ, სხვა ნაკვეთებს კი გლეხებზე სცემდნენ მეორადი იჯარით, ზოგჯერ იმაზე 2—3-ჯერ მაღალ ფასად. ვიდრე თვით უხდიდნენ ხაზინას. შრომისა და კაპიტალის დაუხარჯავად გამდიდრების შესაძლებლობა ააქტიურებდა სხვადასხვა ჯურის საქ-

---

[25] „ამირანი", 1908 წ., № 114.
[26] „კოლხიდა", 1911 წ., № 20.

მოსნებს და ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ გლეხთათვის განსაკუთრებით აუცილებელი ნაკვეთები. მართალია, გლეხებს დიდი სურვილი ჰქონდათ უშუალოდ აეღოთ სახაზინო მიწები. მაგრამ ისინი ვერ გებულობდნენ საჯარო ვაჭრობის დროსა და ადგილს, ან ვერ ახერხებდნენ ქალაქებში წასვლას, სადაც ჩვეულებრივ იმართებოდა ეს ვაჭრობა. ამასთან, გლეხებს არ შეეძლოთ წინასწარი ფულადი საწინდრის შეტანა და აშინებდათ სახაზინო მიწის აღებასთან დაკავშირებული ფორმალობანი[27].

მსხვილი მოიჯარეების დიდი ნაწილი მიწების ექსპლოატაციას იმიტომ ახდენდა ღარიბი და საშუალო გლეხების მეშვეობით, რომ წვრილი ნაკვეთების საიჯარო ქირა (მათზე დიდი მოთხოვნილების გამო) გაცილებით მაღალი იყო და მეორადი იჯარა უფრო მეტ მოგებას აძლევდა მათ, ვიდრე დაქირავებულ შრომაზე დამყარებული საკუთარი მეურნეობის წარმოება.

არღუთინსკის გადმოცემით ბორჩალოს მაზრის მემამულეები არჩევდნენ საქმე ჰქონოდათ მცირერიცხოვან შუამავლებთან და არა გლეხთა მასასთან. მაგალითად, ორი მდიდარი გლეხი ორბელიანისაგან 1300 მანეთად აღებულ მიწას იჯარით აძლევდა სოფელ ამამლოს გლეხობას 2500 მანეთად. სოფელ ბეზაკლოში შუამავალი 800 მანეთს იხდიდა, თვით კი იმავე მიწაში გლეხებისაგან საიჯარო ქირის სახით იღებდა 1600 მანეთს. ბოლნის-კაპანახჩში შუამავლები მემამულეებს უხდიდნენ 3370 მანეთს, თვით კი გლეხებისაგან იღებდნენ კომლზე სამ მანეთს და მოსავლის მეოთხედს[28].

1902 წ. ვაჭარმა ოთაროვმა სიღნაღის მაზრაში იჯარით აიღო 4193 დეს. სახაზინო მიწა, ძირითადად სახნავ-სათესი, რომელიც მეორადი იჯარით გასცა ნუკრიანის, მაღაროსა და ჭოპორტას გლეხებზე[29].

გლეხები კარგად ხედავდნენ, რომ მეორადი იჯარა საზარალო იყო მათთვის და ყოველნაირად ცდილობდნენ მიწის პირველი ხელიდან მიღებას. ამ მხრივ საყურადღებოა ქუთაისის მაზრის სოფ. ქვაყუდეს გლეხთა თხოვნა სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულის სახელზე. თხოვნიდან ჩანს, რომ თავად ერისთავსა და აზნაურ დიდიას ხაზინისაგან იჯარით აღებული მიწა გაუციათ სოფ. ქვაყუდეს გლეხებზე, რომლებსაც საიჯარო ქირად ახდევინებდნენ მოსავლის ნახევარს და ამის გარდა ყოველ ქცევაზე თითო მანეთს.

---

27 СМИЭБЕКЗК, т. V, ч. 2, стр. 320—322.

28 РТКЭЖДЕКО, стр. 68—69.

29 საქართველოს ცსია, ფონდი 242, საქმე 65, ფურც. 10.

შევიწროებული კლეტები სთხოვდნენ რწმუნებულს, რომ სახაზინო მიწა უშუალოდ მათთვის მიეცათ იჯარით[30].

გლეხებს, ბუნებრივია, უპირდათ საიჯარო ქირის გაღება. ხშირად მათზე ირიცხებოდა გადასახდელთა ნარჩენები .ზოგჯერ სეტყვა და სხვა სტიქიური უბედურებანი ანადგურებდა ნათესებს, გლეხები შიმშილობდნენ, მაგრამ მიწათმფლობელები მაინც თავისას მოითხოვდნენ. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი გლეხები თვით იმპერატორსაც კი მიმართავდნენ თხოვნა-საჩივრებით. სოფ. ჩარდახის (ქართლი) გლეხები იმპერატორს სწერდნენ: „ჩვენ ვსარგებლობთ საუფლისწულო უწყების მიწებით. მაგრამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მიწის საიჯარო გადასახდელი იმდენად მაღალია, რომ მის სიმძიმეს ვერ ვუძლებთ... მიწით სარგებლობის შეწყვეტით ჩვენ გავთავისუფლდებოდით მძიმე საიჯარო გადასახდელისაგან. მაგრამ შეგვიძლია განა ამ სარგებლობის შეწყვეტა? არ შეგვიძლია იმ მარტივი და ადვილად გასაგები მიზეზით, რომ იქ სადაც ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები და სადაც ახლა ჩვენ ვსახლობთ, არ არის სხვა მიწები გარდა საუფლისწულო მიწებისა. დიდო ხელმწიფევ. მოგვაქცევ ყურადღება უბედურ გლეხებს, უბრძანე ვისაც ჯერ არს შეგვიმციროს საიჯარო გადასახდელი ჩვეულებრივი ღალის დონემდე და ამით მოგვცეს შესაძლებლობა ვიყოთ სასარგებლონი არა მარტო ჩვენი ოჯახების, არამედ მეფისა და სამშობლოსათვისაც“[31]. მაგრამ გლეხები ამაოდ ეევედრებოდნენ „ყოვლად მოწყალე ხელმწიფეს“.

1903 წ. ფ. გოგიჩაიშვილი, მიუთითებდა რა საიჯარო ქირის ზრდის ფაქტზე, რაც მისი აზრით გამოწვეული იყო არა მიწათმოქმედების პროგრესით, არამედ ხალხის გამრავლებითა და ამის შედეგად მიწაზე მოთხოვნილების მომატებით, წერდა: „წარმოების ტექნიკა დაცემულია, კაპიტალი არაა, მიწას არ უბრუნდება ის რაც ერთმევა, იგი იფიტება, გლეხი ვეღარ ახერხებს ამ პირობებში დიდი საიჯარო ქირის გადახდას, იგი ვარდება შიმშილობაში. მიმართავს ხოლმე თავის გამოსაკვებად კრედიტს და იხლართება მევახშის ქსელში. კისერზე ედება სახელმწიფო ნედოიმკები და მევახშის პროცენტები. იგი თანდათან პროლეტარად იქცევა“[32].

ამგვარად, რეფორმის მომდევნო ხანაში ფართოდ გავრცელებული იჯარა სასარგებლო იყო მიწათმფლობელებისა და მსხვილ მწარმოებელთათვის. უმიწო და მცირემიწიანი გლეხობა კი მოიჯარეობით

---

30 საქ. ცსია, იქვე, ფონდი 243, ანაწერი 5, საქმე 12, ფურც. 1—2.

31 ლენინგრადის ცსია, ფონდი 515, ანაწერი 45, საქმე 959, ფურც. 1—2.

32 „ცნობის ფურცელი“, 1903 წ., № 2112.

თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებას ვერ ახერხებდა. იჯარით აღებული მიწის დამუშავების მთელ ხარჯებს (სათესლის ჩათვლით) გლეხი ფარავდა. ზოგჯერ ხარჯები აჭარბებდა ნაკვეთის სუფთა შემოსავალს და ნთქავდა მთელი შემოსავლის 60—65%-ს. ასეთი კაბალური პირობით ვაჭრები და კულაკები მიწას არ იღებდნენ და ძით უმეტეს არ ამუშავებდნენ, რადგან მათ მიზანს მოგების მიღება შეადგენდა. წვრილი გლეხობა კი კაპიტალისტური წარმოების კანონებს მიღმა იდგა, საქონელს კი არა, თავის საარსებო საშუალებას აწარმოებდა და იძულებული იყო მიწათმფლობელისაგან ნაკარნახევი იჯარის კაბალური პირობები მძიმე ტვირთად ეტარებინა, რათა ძიეღო დამატებითი პურეული ოჯახის გამოსაკვებად.

2. გლეხთა საგადასახლებო მოძრაობა

საქართველოს ყველა კუთხეში მცირემიწიანობა თანაბარი სიმწვავით როდი იგრძნობოდა. ზოგიერთ რაიონში საკმაოდ იყო დაუსახლებული, აუთვისებელი მიწები, საითკენაც, ბუნებრივია, მიისწრაფოდა უმიწო და მცირემიწიანი გლეხობა.

ი. ბახტაძე გადმოგვცემს, რომ შორაპნის მაზრის ხუნევის, ამაშუკეთის და ლიეის სასოფლო-საზოგადოებათა გლეხები მეზობელ გორის მაზრაში გადადიან და მიწას იჯარით იღებენო თავის სოფლიდან 40—60 კმ-ზე. ასეთი კომლები იძულებული იყვნენ თავისი წევრები სპეციალურად გამოეყოთ შორს მდებარე საიჯარო მიწების დასამუშავებლად, ხოლო თუ კომლს ზედმეტი მუშა არ ყავდა. მთელი ოჯახი გადასულიყო საიჯარო მიწაზე[33].

დროთა განმავლობაში ასეთი მოიჯარეები კავშირს წყვეტდნენ მამაპაპეულ სოფლებთან და ახალ ადგილებში საიჯარო და ნაყიდ მიწებზე მკვიდრდებოდნენ. ასე ჩნდებოდა ქართველ გლეხთა ახალი დასახლებანი აფხაზეთში, ქართლში, კახეთში და სხვაგან.

XIX ს. მეორე ნახევარში მთიელი გლეხები ქართველები და ოსები დიდი რაოდენობით ჩამოსახლდნენ გორის მაზრის მთისძირა ზოლსა და ბარში. ქართლში (ბორჯომის ხეობა) გადმოდიოდნენ იმერელი გლეხებიც. ამ პერიოდში ჯავახიშვილების, ციციშვილების, ერისთავების, ფალავანდიშვილების, მაჩაბლების, ამირეჯიბთა და სხვა თავადაზნაურთა მამულებში, მნიშვნელოვანწილად ხიზნური ადათ-წესების საფუძველზე აღმოცენდა 100-მდე ახალდასახლება[34].

---

[33] МИЭБГКЗК, т. V, ч. 2. стр. 197—198.

[34] ი. უთურგაშვილი, გლეხობის კლასობრივი დიფერენციაცია საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში, თბილისი, 1957 წ., გვ. 184.

XIX ს. 70-იანი წლებიდან ქართველი მემამულეები ნებაყოფლობით უკვე აღარ ღებულობდნენ ხიზნებს. ახალ პირობებში მათ არასელსაყრელად მიაჩნდათ დაუწერელი ადათ-წესებით განსაზღვრული ურთიერთობა ხიზნებთან. თავისუფალ გლეხთან გარიგების მისაღებ ფორმად ისინი თვლიდნენ ვადიანი წერილობითი ხელშეკრულებით გაფორმებულ საჯარო ურთიერთობას. მემამულეთა სურვილის თანახმად XIX ს. რეფორმის მომდევნო ხანაში, თვით 1917 წ. რევოლუციამდე გლეხთა დასახლებანი ძირითადად იქმნებოდა საჯარო ხელშეკრულებების საფუძველზე.

(სამეგრელოს მცირემიწიანი გლეხობა დიდი რაოდენობით გადადიოდა მეზობელ აფხაზეთში, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის ერთი ნაწილის თურქეთში გადასახლების გამო, თავისუფალი მიწები ბევრი იყო. თავის მხრივ აფხაზი მემამულეები, რომელნიც მწვავედ გრძნობდნენ მიწათმოქმედი მოსახლეობის გადასახლებით გამოწვეულ უარყოფით შედეგებს, თვით ეძებდნენ მოიჯარეებს. უკვე 1879 წლისათვის სოხუმის ოკრუგის მარტო ოჩამჩირის (სამურზაყანო) უბანში ჩასახლებული ყოფილა მეგრელ გლეხთა 800 ოჯახი. საგანგებო კომისიამ გენ. ლეიტენანტ კომაროვის თავმჯდომარეობით მიიღო დადგენილება, რომ ზემოაღნიშნული კომლები ჩათვლილიყვნენ აფხაზეთის მკვიდრ მცხოვრებლებად[35].

მომდევნო ხანაში შემუშავდა აფხაზეთის რუსული ელემენტით კოლონიზაციის პროექტი, რის გამო ქართველი გლეხების ამ მხარეში გადასახლებას რუსეთის მთავრობა ყოველნაირად აფერხებდა. მიუხედავად ამისა, მეგრელ გლეხთა აფხაზეთში გადასახლების სტიქიური პროცესი გრძელდებოდა. საჯარო მიწებზე გადასულნი მთავრობას სთხოვდნენ ოფიციალურად ეცნო ისინი აფხაზეთის მცხოვრებლებად. მაგალითად, 1883 წ. 5 ივლისს ბიტყუ ფაჩულიამ 109 კომლის რწმუნებით მთავარმმართველ დონდუკოვ-კორსაკოვს გაუგზავნა ასეთი თხოვნა: „მე და ჩემი მარწმუნებელნი დიდი ხანია ვემუდარებით მთავრობას დაგვასახლოს სოხუმის ოკრუგში, თხოვნით მივმართეთ მეფის ნაცვალს, თქვენს აღმატებულებას, სამხედრო სახალხო მმართველობის უფროსს და სოხუმის ოკრუგის უფროსსაც, მაგრამ პასუხი ჯერ არაა.

თქვენო აღმატებულებავ, სოხუმის ოკრუგში თავისუფალი მიწები ბევრია, ჩვენი მდგომარეობა კი აუტანელი. ველოდებით შიმშილსა და სიკვდილს, რადგან გადმოსახლების ნებართვის მოლოდინში უველამ დასტოვა სამშობლო კუთხე, ზოგი სოხუმის მიდამოებ-

---

35 საქართველოს ცსია, ფონდი 231, საქმე 318, ფურც. 1.

შია შემოხიზნული, ზოგი ოჩამჩირის ახლოს, სხვები კიდევ გზაში იმყოფებიან.

ერთხელ კიდევ უკანასკნელად ებედავთ ოქვენს შეწუხებას და ულმორჩილესად გთხოვთ დაგვაკმაყოფილოთ, ან გამოგვიცხადოთ თქვენი საბოლო განკარგულება"[36].

თხოვნა-განცხადებების განხილვა წლობით ჭიანურდებოდა. აფხაზეთში კი თანდათან მრავლდებოდნენ ქართველი ახლომოსახლენი. 1901 წლისათვის სოხუმის ოკრუგის გუდავის სასოფლო საზოგადოებაში ითვლებოდა 76 კომლი, რეპოშოშილეთში — 117 კ. ბალში—178, ნაბაკევში—184 კომლი ახალმოსახლე მეგრელი[37]. ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ ამოწერილი სამეგრელოს სასოფლო საზოგადოებათა სიებიდან და იქ ინდიდნენ ისევ გადასახადებს. მაგრამ ახალ ადგილებზეც იყვნენ დაბეგრილი სახელმწიფო და სასოფლო ვალდებულებებით. ახალმოსახლენი ითხოვდნენ აფხაზეთის სასოფლო საზოგადოებაზე მიწერას, რაზეც მეფის მთავრობის მოხელეები უარობდნენ. მოიჯარეებს ისინი დროებით მცხოვრებლებად სთვლიდნენ. შავი ზღვისპირის ნაყოფიერი მიწები კი განკუთვნილი ჰქონდათ რუსი კოლონისტებისათვის.

სახელმწიფო გლეხთა ეკონომიური ყოფის მკვლევარები ხაზს უსვამენ მთიელების ლტოლვას ბარისაკენ. XIX ს. 70-იან წლებში თიანეთის მაზრიდან გადასახლებულა 527 კომლი[38]. დუშეთის მაზრიდან წასულ მთიელებს თბილის-ბორჩალოს მაზრებში უპოვნიათ ახალი ფუძე. „თბილისის და გორის მაზრის გამყოფ მთებზე.—წერს „დროების" კორესპონდენტი,—ვერის ხეობიდან დაწყებული ვიდრე ალგეთის სათავეებამდე და მანგლისის გარშემო ურიცხვ სოფლებად არის დაბანაკებული მთიული ხალხი. აქ მცხოვრებნი გადმოსახლებულან არაგვის ხეობიდან, მთიულეთ-გუდამაყრიდან"[39].

თბილის-ბორჩალოს მაზრებში მრავლად აღმოცენდა რუსული დასახლებანიც. 1874 წ. კამერალური აღწერის მიხედვით თბილისის მაზრის თბილისის საბოქაულოში ჩანს 12 ახალი სოფელი (ივანოვკა, ვასილიევკა, ასლანოვკა, გოხნარა, პატარა ირაგა, იფნარა, პატარა დმანისი, თხილნარა, ტაბარუკი, ვარხუნა, კიდიგორა). თრიალეთის უბანში ახლად აღმოცენებული იყო 15 სოფელი, ბორჩალოს უბანში—7 სოფელი, ყარაიაზის უბანში—9 სოფელი, ლორის უბანში—5 სოფელი. სულ 1874 წ. თბილის-ბორჩალოს მაზრებში ითვლებო-

---

36 საქართველოს ცსია, ფონდი 231, საქმე 35, ფურც. 2.

37 იქვე, ფონდი 243, ანაწერი 5, საქმე 674, ფურც. 1—15.

38 СМИЭБГКЗК, т. V ч. 2, стр. 103.

39 „დროება", 1909 წ., № 265.

და 49 ახალი დასახლება 850 კომლი მცხოვრებით[40]. მომდევნო ხანაში კიდევ უფრო ინტენსიურად მიმდინარეობდა ქვემო ქართლის აღორძინება-დასახლების პროცესი.

XIX—XX სს. მიჯნაზე ინტენსიურად მიმდინარეობდა ავრეთვე ალაზანგაღმა მხარის (დღევანდელი ლაგოდეხის რაიონი) დასახლება. აქ ვაჩნაძეებსა და აფხაზს ჰქონდათ მამული „კაბალა", რომლის ფართობი 28 ათას დესეტინას უდრიდა. ანდრონიკაშვილის, აბაშიძისა და ჯორჯაძის მამული „ბარამკარის" ფართობი კი 8775 დეს. შეადგენდა. მამულების დიდი ფართობი ტყეს ეკავა, რომელიც ვაჩეხვის შემდეგ შესანიშნავ სახნავ-სათეს მიწას იძლეოდა. გაღმა მხარი ყურადღებას იქცევდა მეთამბაქოეობის განვითარების შესაძლებლობითაც. ყოველივე ამან განაპირობა საქართველოს ძველბედობის ხანაში ამ გაუკაცრიელებული მხარისაკენ უმიწაწყლო ქართველი გლეხობის ლტოლვა.

აღნიშნულ მამულებში XX ს. დასაწყისში, 1907 წლამდე საიჯარო გარიგებათა საფუძველზე აღმოცენდა შემდეგი სოფლები: ლელიანი (1907 წ. ითვლებოდა დასავლეთ საქართველოდან გამოსული 200 კ. გლეხი), ბაისუბანი (150 კომლი), ქართუბანი, კალკა, ხოშტანი, ეშმაკის ყურე, ფიჩხის ბოგირი, არეშპეერიანი, ციხიანი და ფონა. საიჯარო ხელშეკრულებანი გრძელვადიანი იყო და ითვალისწინებდა მოიჯარეთაგან მიწის ნაკვეთების გამოსყიდვას. 1907 წლისათვის სოფ. ლელიანის 77 კომლს მიწა შესყიდული ჰქონდა საკუთრებაში[41].

გაღმამხარში გადმოსახლებულ გლეხთა ერთი ნაწილი თავდაპირველად ლაგოდეხში დამკვიდრდა, სადაც მათ სასოფლო საზოგადოებისა და შტაბბინისაგან იჯარით აიღეს სამოსახლო ნაკვეთები, ხოლო თამბაქოს გაშენებას ხელი მიჰყვეს ჭიაურის სახაზინო მამულში აღებულ მიწებზე. პირველ ხანებში საიჯარო ქირა არ იყო ძალიან დამამძიმებელი, მაგრამ გადმოსახლებულთა ტალღის ზრდის გამო იგი თანდათან მაღლა იწევდა. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილმა ახალმოსახლე მოიჯარეებმა 1902 წელს მთავრობისაგან მოითხოვეს ნადელები სახაზინო მამულში.

მეფის მთავრობა არათუ სამოსახლო ნაკვეთებსა და ნადელებს აძლევდა ადგილობრივ გლეხებს თავისუფალი სახაზინო მიწის ფონდიდან, არამედ ამ ნაკვეთების გრძელვადიანი იჯარით გაცემისაგანაც კი თავს იკავებდა. ცნობილია, რომ რუსეთში მოქმედებდა 1884 წ.

---

40 საქართველოს ცსრა, ფონდი 17, ანაწერი I, საქმე 8724, ფურც. 1—9.

41 იქვე, ფონდი 242, ანაწერი I, საქმე 189, ფურც. 1—3.

კანონი და მისი 1895 წ. დამატება. რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფო გლეხთა სასოფლო საზოგადოებისათვის სახაზინო მიწის კაპიტალის გარეშე იჯარით მიცემას. 1902 წ. განიხილებოდა ამ კანონის ამიერკავკასიაზე გავრცელების საკითხი. თითქოს ყველას საჭიროდ მიაჩნდა აღნიშნული ღონისძიების ამიერკავკასიაში გატარება. მაგრამ თბილისის გუბერნატორმა მოითხოვა, რომ 12 წლით და უფრო ხანგრძლივი იჯარით არ გაცემულიყო ის ნაკვეთები, რომელნიც განკუთვნილი იყო რუსულ დასახლებათა შექმნისათვის. შემჩნეულია, განაცხადა გუბერნატორმა, რომ სახაზინო მიწის იჯარით ამღებნი ვადის გასვლამდე ახერხებენ იქ დამკვიდრებას და ახალ დასახლებათა შექმნას, რაც აძნელებს ამ ადგილების სხვა დანიშნულებისათვის გამოყენებას. ამიტომ საჭიროა, ამიერკავკასიაზე 1884 წ. კანონის გავრცელების შემთხვევაში, დაწესდეს გარკვეული შეზღუდვები, რაც აუცილებელიაო მხარის კოლონიზაციის წარმატებით გაგრძელებისათვის. თბილისის გუბერნატორის ეს შენიშვნა მიღებული იქნა[42].

ამიერკავკასიის ადმინისტრაცია, რომელიც პრაქტიკულად ახორციელებდა მხარის კოლონიზაციის პროგრამას, ხელს უშლიდა ქართველ გლეხთა სახაზინო მიწებზე დამკვიდრებას. ლაგოდეხელ აბალმოსახლეთა ზემოაღნიშნული თხოვნის განხილვა განგებ დიდხანს იქნა გაჭიანურებული. რაკი პასუხს ვერ ეღირსა, მოიჯარეთა ერთი ნაწილი თვითნებურად დაესახლა ჭიაურის სახაზინო მამულის ტერიტორიაზე და თავის ამ ახალ სოფელს „შრომა“ უწოდა. მას შემდეგ, რაც მომხდარი ფაქტის წინაშე დააყენეს მთავრობა, შრომელებმა მოითხოვეს ნადელები. თხოვნას შეუერთდნენ ლაგოდეხში დარჩენილებიც. ამ დროს უკვე რევოლუციური ქარიშხალი იყო ამოვარდნილი და მეფის ნაცვალი იძულებული გახდა დაეთმო, გაეცა ბრძანება ჭიაურის სახაზინო მამულში დამკვიდრებულ აბალმოსახლეთა მიწათმოწყობის შესახებ.

ამ ბრძანების სისრულეში მოყვანა დაევალა საგადასახლებო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელს, რომელმაც ადგილზე შეისწავლა ფაქტიური მდგომარეობა. აღმოჩნდა, რომ 1907 წლისათვის ჭიაურში ჩამოსახლებული იყო 76 ოჯახი, ლაგოდეხში კი რჩებოდა 42 კომლი. ამ 118 კომლიდან უმრავლესობა (104 კ.) გამოსული იყო სიღნაღის მაზრის სხვადასხვა სოფლებიდან, სადაც მათ არავითარი ქონება აღარ გააჩნდათ. საგადასახლებო სამმართველოს მოხელემ საჭიროდ მიიჩნია შრომელებს მიმაგრებოდათ მათ მიერ უკვე

---

[42] საქართველოს ცსია, ფონდი 242, ანაწერი I, საქმე 69, ფურცელი 1—2.

დაკავებული სამოსახლო ნაკვეთები და ხადელებად გამოყოფოდათ 1168 დეს. მიწა. ძირითადად ტყე, რომელიც გაჩეხვის შემდეგ ვარგისი იქნებოდა მიწათმოქმედებისათვის. სოფ. შრომის მიწათმოწყობის ეს პროექტი დამტკიცებული იქნა[43].

გალმამხარში აღმოცენებულ ახალდასახლებათა ადმინისტრაციული მოწყობის საკითხი 1907 წ. განხილულ იქნა თბილისის საგლეხო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოში, რომელმაც დაადგინა:

1. დამტკიცდეს ლელიანის, ქართუბნისა და შრომის სასოფლო საზოგადოებათა შექმნა. წინადადება მიეცეს სიღნაღის მაზრის უფროსს მოახდინოს იქ სოფლის თანამდებობის პირთა არჩევნები; 2. ახლად დაარსებული სოფლების საოჯახო სიები გადაეგზავნოს სახაზინო პალატას. 3. სამხედრო ტოპოგრაფიულ განყოფილებას ეცნობის ახალი სოფლების დაარსების ფაქტი მათი რუკაზე შესატანად.

სიღნაღის მაზრის უფროსმა გოგოხიამ მოითხოვა, რომ გალმამხარში შექმნილიყო ახალი საპოლიციო უბანი. იმის გამო, რომ ცხადად შეიმჩნეოდა უმიწაწყლო გლეხების დიდი ლტოლვა აღნიშნული რაიონისაკენ. მაზრის უფროსის წინადადებას მხარი დაუჭირეს საკრებულოს წევრებმაც. მიღებულ იქნა დადგენილება, რომ ეს საკითხი დასმულიყო საგუბერნიო მმართველობის წინაშე[44].

გალმამხარის ახალ სოფლებს თანდათან ემატებოდა მოსახლეობა. იმერეთის კორესპონდენტი 1913 წ. წერდა, რომ ახალმოსახლენი კარგად მოეწყვენო გალმამხარში. მისი გადმოცემით, როცა ზოგიერთ მათგანს უკან, ძველ ფუძეზე უხდებოდა მისვლა „ლაპარაკი უმთავრესად ახალი ადგილის (კაბალის) გარშემო ტრიალებდა. ნათესავი ნათესავს, მეზობელი მეზობელს აგულიანებდა გადასახლებისათვის. ერთი მეორეს მისდევდა, მეორეს მესამე და ამგვარად ივსებოდა ალაზანგალმა ადგილები. ამ გადასახლებაში თავისებური ბელადებიც გამოჩნდნენ, რომელნიც წინ მიუძღოდნენ ხალხს და ამით დიდი სამსახური გაუწიეს როგორც თვით ხალხს, ისე სამშობლოს. შთამომავლობამ ამათი ღვაწლი არ უნდა დაივიწყოს". ერთ-ერთი ასეთი პიონერი ყოფილა ფარსადან გურული, რომელიც პირველი ჩასახლდა თურმე კაბალაში და სხვებიც გაიყოლია. 1913 წლისათვის ქართუბნის საზოგადოებაში 10 სოფელი (3000 სული) ითვლებოდა. ლელიანის საზოგადოებაში კი—17 სოფელი 5000 სულით[45].

---

43 საქართველოს ცსია, ფონდი 242, საქმე 189, ფურც. 43—45.

44 იქვე, ფურც. 2—3.

45 „იმერეთი". 1913 წ., № 78.

XIX—XX სს. მიჯნაზე მცირემიწიანობით შეწუხებულმა ქართველ მთიელთა ერთმა ნაწილმა არაერთხელ სთხოვა მთავრობას შირაქის ველზე დასახლების ნებართვა. მეფის მთავრობა, თითქოსდა მომთაბარე მეცხვარეთა ინტერესებისათვის, უარს ამბობდა ასეთი თხოვნის დაკმაყოფილებაზე. სინამდვილეში კი ეს უარი განპირობებული იყო იმით, რომ მთავრობას სურდა შირაქში ძოეწყო რუსული დასახლებანი.

1903 წ. 26 ნოემბერს სიღნაღის მაზრის უფროსი თბილისის გუბერნატორს სწერდა: „ჩემზე მორდობილი მხარის გარუსების მიზნით მე აუცილებლად მიმაჩნია შირაქში გამოიყოს საგადასახლებო ნაკვეთები. რუსულ დასახლებათა მოწყობილობისათვის გამოდგება 112 ათასი დესეტინა, საიდანაც ნახევარი ვარგისია სახნავ-სათესად, სხვა კი—სათიბ-საძოვრად. ჩვენთვის ცნობილია, რომ შირაქში საკმაოდაა სასმელი წყაროებიც, მაგრამ ბევრ მათგანს მალავენ მომთაბარენი (ვთებში დაბრუნების წინ აფარებენ ფიჩხსა და მიწას), რადგან ფიქრობენ, რომ თუ წყაროების არსებობის შესახებ გაიგებს მთავრობა, შირაქში ჩამოასახლებს რუსებს...

ჩემს მიერ რუსული სოფლების დასაარსებლად გათვალისწინებული ველის დიდი ნაწილი,—განაგრძობს მაზრის უფროსი,—თუმცა იმყოფება ქართველ მთიელთა სარგებლობაში, რომელნიც მისი დაკარგვით გაღარიბდებიან, მაგრამ სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის მათ უნდა გავაღებინოთ ეს მსხვერპლი“[46].

რუსი კოლონისტებისათვის შირაქის ველის ვარგისიანობის გასარკვევად გაიგზავნა საგადასახლებო სამმართველოს განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელე, რომელიც მხარის მოვლის შემდეგ. 1904 წ. 10 ივლისს სწერდა ვინმე ანდრეი აფანასიევიჩს: „შირაქმა ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. საკვირველია რატომ თავიდანვე აქედან არ დავიწყეთ. საჭიროდ მიმაჩნია შირაქში ორი კვირით ჩამოვიდეს მ. ა. ბალიკლეისკი და ღაპროექტოს ზოგიერთი ნაკვეთები, რომელთა დასახლება დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს“[47].

მალე შირაქის ველის სანახავად რუს კოლონისტთა წარმომადგენლებიც გამოიწვიეს. რუს „ხოდოკებს“ დასასახლებლად ყველაზე უფრო მოეწონათ „რუსის წყალი“, „ქედი“, „არხილოსკალო“ და „შავი მთა“[48].

კოლონიზატორთა აქტიურმა საქმიანობამ ქართველი მთიელები ძალიან შეაშფოთა. მათი სულისკვეთება კარგად გამოხატა ვაჟა-

---

46 საქართველოს ცსია, ფონდი 292, საქმე 65, ფურც. 9—11.

47 იქვე, ფურც. 40—43.

48 იქვე, ფურც. 73.

ფშაველამ, რომელიც „ცნობის ფურცელში“ წერდა: „ერთი ჩემი მეგობარი ჩობანი შირაქიდან ძალიან გულდაწყვეტილი შემდეგსა მწერს: ჩვენი მთის ხალხის ცხოვრება მორჩომილია; კარგად იცი ფშაველებსა და თუშებს შირაქიდან გვედგა სული. მაგრამ როგორც ვხედავთ, ეს შირაქიც გვერთმევა, რადგან აქ სხვა ხალხი სახლდება, მეკომურობას მართავს და ჩვენ კი ჩვენის ცხვარ-ძროხით ვრჩებით, როგორც მდინარისაგან გარიყული თევზები, ...ვისაც რა გესმით. ვისაც ცოტა რამ გისწავლიათ, რატომ არ გვპატრონობთ. თუ კი ათას მთას იქიდან მოსულს ეკუთვნის შირაქი საცხოვრებლად, ჩვენ რატომ აღარ... არა, არა გვყავს პატრონი თორემ ასე უდიერად არავინ მოგვეპყრობოდა“.

„ამ წერილმა,—დასძენს ბოლოს ვაჟა,—მე ძალიან დამაფიქრა და ამიტომ მოვინდომე მისი შინაარსი თქვენთვისაც გამეზიარებინა, მკითხველო“[49].

ვაჟა ფშაველას ამ კორესპონდენციას გამოეხმაურნენ სხვა ქართველი პუბლიცისტები, რომელნიც უერთდებოდნენ ქართველ მთიელთა გულისწყრომას. ოფიციალური პრესის წარმომადგენლები შეშფოთდნენ. გაზეთ „კავკაზში“ დაიბეჭდა შენიშვნა—„По поводу слухов о лишении грузино-горцев пастбищ в Ширакской степи“. წერილის ავტორი უარყოფს შირაქის რუსებით დასახლების განზრახვას და თბილისის ზოგიერთ გაზეთში გამოქვეყნებულ ცნობებს ყალბს უწოდებს. იგი იქვე აცხადებს, რომ ქართველი მთიელები შირაქის საძოვრებით სარგებლობას საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ იწყებენ, რადგან ადრე გამუდმებული ომებისა და ლეკთა თარეშის გამო, ეს მხარე მთიელთათვის მიუწვდომელი იყო. ოფიციალური პუბლიცისტი რამდენადმე შეფარვით აბობს, რომ რაკი ეს საძოვრები რუსეთმა გახადა ხელმისაწვდომი, რუსეთის მთავრობას უფლება აქვს შირაქის ველს თავისი შეხედულებისამებრ განაგებდეს და თუ საჭიროდ იქნა ცნობილი აქ რუსების ჩამოსახლება, მთიელებს სხვა საძოვრები გამოეყოფაო“[50].

ამ შენიშვნის საპასუხოდ „ნოვოე ობოზრენიეს“ ერთ-ერთმა პუბლიცისტმა დოკუმენტური მასალებით ცხადყო, რომ ქართველი მთიელები შირაქის საზამთრო საძოვრებით სარგებლობდნენ ჯერ კიდევ XVII საუკუნეში (ჩვენ შეგვეძლო ეს თარიღი ძალიან შორს გადაგვეწია) და ამდენად აქ მათ საჭიროზე მეტი ხანდაზმულობა ჰქონდათ[51]. წერილის ავტორს მკითხველი იმ დასკვნამდე მიჰყავს,

---

[49] „ცნობის ფურცელი“, 1905 წ., № 2685.

[50] „Кавказ,“ 1905, წ., № 61.

[51] „Новое обозрение,“ 1905 г., № 77.

ოომ რუსეთის მთავრობას უფლება არ ჰქონდა შირაქი ჩამოერთმია ქართველი მთიელებისათვის.

ქართული საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენითა და მშრომელთა რევოლუციური გამოსვლებით შეშინებულმა მეფის მთავრობამ ამჯერადაც დათმობა ამჯობინა და უარი სთქვა შირაქის ველის რუსებით დასახლების განზრახვაზე. 1905 წ. 27 ივნისს კავკასიის საგადასახლეპო სამმართველო სწერდა ვალუევის სამაზრო პოლიციას ეცნობებინათ სოფ. პოდგორნის გლეხებისათვის, რომ მათ ვერ გადასახლებენ შირაქის ველზე, რადგან ამ ადგილებში არ გამოყოფილაო საგადასახლეპო ნაკვეთები[52].

იმ დროს, როცა პრესაში ცხარე კამათი მიმდინარეობდა და მთავრობის სხვადასხვა ინსტანციებს შორისაც გაუთავებელი მიმოწერა იყო გამართული, ქართველი მთიელები ნებართვის გარეშე, თვითნებურად ესახლეპოდნენ შირაქში. დააყენეს რა მთავრობა მომხდარი ფაქტის წინაშე, მთიელებმა—დუშეთის მაზრის სოფლების სნოს, ქარქუჩასა და ახალციხის გლეხებმა—კვლავ შეიტანეს თხოვნა ნადელების გამოყოფის თაობაზე[53].

მეფის მთავრობის ბიუროკრატიული აპარატის მოხელეები არ ჩქარობდნენ ამ თხოვნის განხილვას. სნოელები კი თანდათან უნებართვოდ ესახლეპოდნენ არხილოსკალოს ტერიტორიაზე. სახელმწიფო ქონებათა თბილისის საგუბერნიო სამმართველო 1906 წ. 20 დეკემბერს მიწათმოწყობის სამმართველოს რწმუნებულს აცნობებდა: ადგილი, სადაც დაესახლენ სნოელები, საძოვარია ქართველი მთიელებისა. სნოელების ჩამოსახლება საშიშროებას უქადის მომთაბარე მეცხოველეობას (როცა შირაქში რუსთა ჩამოსახლების გეგმებს ადგენდნენ, მაშინ არ ადარდებდათ მომთაბარე მეცხვარეთა ინტერესები.—ა. ბ.). სნოელებს რომ მივცეთ მათ მიერ უკვე დაკავებულ მიწებზე დარჩენის უფლება, ეს შექმნის საშიშ პრეტენდენტს და სამმართველოს არ ექნებაო საფუძველი უარი უთხრას სხვა მთიელებს შირაქში ჩამოსახლებაზე. მალე ამის შემდეგ გაიცა ბრძანება სნოელების შირაქიდან დაუყოვნებლივ გასახლების შესახებ[54].

სნოელების შირაქიდან განდევნა არ გამოდგა ადვილი. პირიქით, მათ მაგალითს სხვებმაც მიბაძეს და შირაქის ველზე ჩამოსახლდნენ მთიელები კობიდან, სიონიდან, ‘ყაზბეგიდან და სხვა სოფლებიდან. „იმერეთის“ კორესპონდენტის გადმოცემით ადმინისტრაციის წარ-

---

52 საქართველოს ცსია, ფონდი 242, საქმე 65, ფურც. 142.

53 საქართველოს ცსია, ფონდი 243, ანაწერი 5, საქმე 713, ფ. 10.

54 იქვე, ფურც. 23, 28, 31.

მომადგენლებს, რომელთაც დავალებული ჰქონდათ ჩამოსახლებულთა შირაქიდან გახდევნა, მთიელები გაბედულად შეელაპარაკენ. „ჩვენ აქედან მკვდრებს თუ წაგვიღებთ, თორემ ცოცხლები წამსვლელები არ ვართო... ძლივს პურის გემო გავიგეთ, სადღა უნდა წავიდეთო“. ...ადმინისტრაცია იძულებული გახდა დაეთმო. ასე იყო, ასე არის და ასე იქნება—მამული მხოლოდ იმას რჩება, ვისაც მისთვის თავის განწირვა შეუძლია“,—დაასკვნის კორესპონდენციის ავტორი[55]. მეფის ნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი იძულებული გახდა გაეცა ბრძანება შირაქში ჩამოსახლებული მთიელებისათვის ნადელების გამოყოფის თაობაზე[56].

მთიელებმა შირაქში სამი სოფელი დააარსეს. 1907 წლისათვის ზემო ქედში ითვლებოდა 237 კომლი, ხოლო ქვემო ქედში არხილოსკალოსთან ერთად 265 კომლი[57].

შირაქის ახალმოსახლეთა მიწათმოწყობისათვის გაიგზავნა საშუშაოთა უფროსი მწარმოებელი მ. სკიბიცკი. 1908 წ. 11 ივნისს იგი მიწათმოწყობის მთავარსამმართველოს უფროსს სწერდა: „შირაქის ველის თვითნებური დასახლება დაიწყო 1906 წელს. გადასახლებულთაგან, რომლებმაც დაიწყეს ნებართვის გარეშე საძოვრების დახვნა და აღძრეს შუამდგომლობა მათთვის ნადელების გამოყოფის შესახებ, ერთნი (უმრავლესობა) შეიძლება ჩავთვალოთ ახალ ადგილზე დამკვიდრებულად, რადგან მათ უკვე აქვთ სახლ-კარი და იქ მუდმივად ცხოვრობენ ცოლშვილით. მეორენი კი კვლავ ინარჩუნებენ სახლკარ-მეურნეობას ძველ ადგილზე, შირაქში მიდიან მხოლოდ მინდვრის სამუშაოების დროს და თავს აფარებენ სხვის სახლებში. 491 კომლ (3010 ს.) ახალმოსახლეს. რომელნიც აქ დამკვიდრდნენ 1907 წლამდე, ფაქტიურად უჭირავს 3074 დეს. მიწა. ამის გარდა,—განაგრძობს სკიბიცკი,—შირაქში ამ ეს ბე კიდევ 130 კომლი, მოსული 1907 წ. ივლისის აღწერის შემდეგ, მაგრამ მეფის ნაცვლის ბრძანების თანახმად, მათი მიწათმოწყობა შირაქში არ სდება. ისინი უნდა დაუბრუნდნენ მთას“[58].

სკიბიცკიმ შეადგინა შირაქის ახალმოსახლეთა მიწათმოწყობის პროექტი. მეფის ნაცვლის თანხმობითა და მიწათმოწყობის სამმართველოს განკარგულებით 1908 წ. 10 დეკემბერს ზემო ქედის, ქვემო ქედის და არხილოსკალოს ახალმოსახლეებს—აფციაურებს, წიკლაურებს, კობიაშვილებს, ჩიტაურებს, ღუდუშაურებს, ბუჩუკურებს,

---

55. „იმერეთი“, 1913 წ., № 78.

56 საქართველოს ცსია, ფონდი 243, ანაწერი 5, საქმე 713, ფ 32—34.

57 იქვე, ფურც. 65—75.

58 იქვე.

კამარაულებს, ჩოხელებს, ქავთარაძეებს, ბურდულებს, ნადიბაიძეებს და სხვ. ნადელებად დაუმტკიცდა 4423 დეს. მიწა[59].

შინაკოლონიზაციის მსხვილი ფაქტები, უკაცურ ადგილებში მასობრივი გადასახლება, იქ ახალი სოფლების აღმოცენება და საქართველოს გლეხების მიერ ახალი მიწების შეტანა სამიწათმოქმედო ფონდში შედარებით კარგად არის ასახული არქივისა და პრესის მასალებში. მაგრამ, ამის გარდა, მიმდინარეობდა გადასახლების შეუმჩნეველი პროცესი, რაც გამოიხატებოდა ცალკეული კომლების ერთი კუთხიდან მეორეში, ერთი სოფლიდან მეორეში გადასვლით.

მცირემიწიანობით შეწუხებული რაჭველი გლეხები დიდი რაოდენობით ტოვებდნენ მამაპაპეულ კარმიდამოს და მიდიოდნენ ქართლსა და უფრო მეტად კახეთის სოფლებში. XIX—XX სს. მიჯნაზე კახეთის თითქმის ყოველ სოფელში იყო დამკვიდრებული რაჭიდან ჩამოსახლებული რამდენიმე კომლი გლეხი[60]. გადასახლების ერთეული შემთხვევები, რაც საბოლოო ანგარიშში ადგილ-გადანაცვლებულ კომლთა საკმაო რიცხვს იძლეოდა, მეტნაკლებად შეიმჩნეოდა საქართველოს ყველა კუთხეში.

ქართველ გლეხთა ერთი ნაწილი, თავი რომ დაეღწია მიწის სიმშილისათვის და ეკონომიური მდგომარეობა გაეუმჯობესებინა, სამშობლოს საზღვრებს სტოვებდა და სხვაგან მიდიოდა ბედის საძებნად. ი. ბახტაძის ცნობით, XIX ს. 70—80-იან წლებში რაჭიდან ჩრდილო კავკასიაში, ალაგირის მიდამოებში გადასახლდა 70 კომლი გლეხი[61]. მომდევნო ხანაში ამ პროცესმა უფრო მასობრივი ხასიათი მიიღო. ფ. გოგიჩაიშვილის გადმოცემით, 1904 წლისათვის ჩრდილოეთ კავკასიაში ითვლებოდა 1600 კომლამდე ქართველი გლეხი. გლეხებმა, რა თქმა უნდა, ვერც ჩრდილო კავკასიაში აღმოაჩინეს „სამოთხე" და 14 კომლი თურმე ციმბირს გადასახლებას აპირებდა, იქნებ იქ მაინც გაგვიღიმოსო ბედმა[62].

1907 წ. ყუბანის ოლქში გადასულა 1500-ზე მეტი რაჭველი გლეხი, ხოლო 1909 წ. დარიალის ხეობის ქართველ მთიელებს თერგის ოლქში დაუარსებიათ სამი სოფელი[63].

---

[59] საქართველოს ცსია, იქვე, ფურც. 90, 104, 133.

[60] ისტორიის ინსტიტუტის კაპიტალისტური ხანის განყოფილების 1960 წლის ექსპედიციის მასალები.

[61] И. Бахтадзе, Экономический быт гос. крестьян Рачинского уезда, стр. 92—99.

[62] ჟურნალი, „მოამბე", 1904 წ., № 1, გვ. 73—74.

[63] „დროება", 1909 წ., № 152.

საქართველოს შვილების სხვა მხარეებში დაკარგვა ძალიან აწუხებდა ქართველ საზოგადოებას. „იმერეთის“ კორესპონდენტი გულისწყრომით წერდა: „უმიწობით შეწუხებული რაჭველები ასობით და ათასობით ესახლებიან კავკასიის მთებს გადაღმა. ამ დროს კი საქართველოს მიწა-წყალზე ფეხს იკიდებენ უცხოელები. ამგვარი მოვლენა ანორმალურია და ფრიად მავნე ქართველებისათვის“. ასეთ ვითარებაში,—აგრძელებს შემდეგ კორესპონდენციის ავტორი,—ჩვენ რამდენადმე დაგვეხმარება ეროვნული ბანკი და ქართველთა დამსახლებელი კომიტეტი, რომელთა შექმნა გადაუდებელი საქმეაო[64].

თავი მესამე

გლეხობის სოციალური დიფერენციაცია

1. სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარება

ფეოდალურ საქართველოში, ისე როგორც კლასიკური ფეოდალიზმის სხვა ქვეყნებში, ბატონყმური მეურნეობა მისი ორი ფორმით—საბეგარო და საღალო მეურნეობის სახით იყო წარმოდგენილი. ‹რეფორმის წინა ხანაში ქართველი თავადაზნაურობა თავისი მიწის მცირე ნაწილზე ეწეოდა ყმაგლეხთა მუქთ შრომაზე დამყარებულ მეურნეობას.› კულტურული მიწები ძირითადად გადაცემული ჰქონდათ ყმა გლეხებისათვის, რომელნიც მებატონეთა სასარგებლოდ იხდიდნენ მოსავლის გარკვეულ ნაწილს ღალა-კულუხის სახით. გაუმჯობესებულ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს და დაქირავებულ მუშახელს რამდენიმე მემამულე იყენებდა მხოლოდ.

ბატონყმობა აფერხებდა მწარმოებლური ძალების ზრდას, ქვეყნის პროგრესულ განვითარებას. მეფის მთავრობის მოხელეთა განცხადებით, ყმაგლეხთა განთავისუფლება აიძულებდა თავადაზნაურობას შეეცვალა მეურნეობის წარმართვის წესი, მოეწყო იგი რაციონალურ ყაიდაზე. თავისუფალ შრომაზე გადასვლა გამოიწვევდა გლეხური მეურნეობის აღმავლობასაც.

ყმაგლეხთა განთავისუფლების წლისთავზე ქუთაისის გუბერნატორი წერდა: რამდენადაც საბატონო სამუშაოები გლეხს აცილებდა საკუთარ მეურნეობას, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ გლეხური

---

64 „იმერეთი“, 1913 წ., №№ 1, 6.

მეურნეობა გაფართოვდება, ხოლო მემამულეები მომჭირნეობას ისწავლიანო[1].

გლეხთა გათავისუფლება, აღნიშნავდა თბილისის გუბერნატორი 1867 წ. ანგარიშში, უკვე განეკუთვნება მომხდარ ფაქტთა სფეროს, რომელსაც მრავლად მოსდევს მატერიალური და ზნეობრივი სიკეთე. ახალი ეპოქის მაუწყებელ ნიშანთა შორის მთავარია ის, რომ „ძწარმოებლურ ძალებში გაიღვიძა აქამდე უნახავმა ენერგიამ". გლეხი ხედავს, რომ ახლა ის შრომობს თავისთვის და საკუთარი ოჯახისათვის, ღებულობს გაწეული შრომის საზღაურს. მართალია, განაგრძობს გუბერნატორი, ამ ენერგიას არ აქვს გამოყენების საკმარისი სფერო გლეხთა მცირემიწიანობის გამო, მაგრამ მიუხედავად ამისა სოფლის მეურნეობა უკვე აღმავლობას იწყებსო[2].

შეფის ხაცვალი კავკასიაში მიხეილ რომანოვი 1871 წ. წერდა: „ახალი ურთიერთობანი დამყარდა მტკიცედ, ახალი ცხოვრება მიმდინარეობს წყნარად, აუღელვებლად... კეთილდღეობა იზრდება თავისუფალი შრომის კეთილმყოფელი ზეგავლენით[3].

შეფის მთავრობის მოხელეები, რა თქმა უნდა, გადაჭარბებით აფასებდნენ „დიდი" რეფორმის მნიშვნელობას და კეთილმყოფელ გავლენას ქვეყნის მდგომარეობაზე. ლაპარაკი თავისუფალ შრომაზე გადასვლის შესახებ საკმაოდ შეიცავდა სიყალბისა და დემაგოგიის ელემენტებს, რადგან კუდმოკვეცილი რეფორმა, რომელიც ხელუხლებლად სტოვებდა თავადაზნაურთა მონოპოლიას მიწის საკუთრებაზე, გლეხობას ვერ მისცემდა ნამდვილ თავისუფლებას. დებულებით დაკანონებული მძიმე საადგილმამულო ვალდებულებანი მემამულეთა წინაშე და იჯარის კაბალური პირობები გლეხობაში ჰკლავდა მეურნეობის გაუმჯობესების სტიმულს. მიუხედავად ამისა, საგლეხო რეფორმამ გარკვეულ ფარგლებში მოსპო მწარმოებლურ ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის არსებული წინააღმდეგობანი და ხელი შეუწყო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ განვითარებას.

საქართველო ბუნებრივი პირობებით მეტად მრავალფეროვანია, რაც საშუალებას იძლევა მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. მაგრამ ეს ხელსაყრელი პირობები თითქმის გამოუყენებელი რჩებოდა და საქართველო ბოლო დრომდე წარმოადგენდა ძირითადად მემინდვრეობის, მევენახეობისა და მეცხოველეობის ქვეყანას. XIX ს. 70-იანი წლებიდან შინაგანი ბაზრის გა-

---

1 საქართველოს ცსია, ფონდი 5, საქმე 308, ფურც. 19.

2 საქართველოს ცსია, ფონდი 17, ანაწერი 1, საქმე 8972, ფურც. 2—5.

3 ლენინგრადის ცსია, ფონდი 1268, ანაწერი 16, საქმე 124, ფურც. 9.

ფართოებისა და მიმოსვლა-გადაზიდვის საშუალებათა (რკინიგზები) გაუმჯობესების წყალობით ამ ძველმა დარგებმა მიიღო სავაჭრო-სასაქონლო ხასიათი და თანაც განვითარდა სოფლის მეურნეობის ახალი დარგებიც. სასაქონლო მეურნეობის საფუძველზე თანდათან ღრმავდებოდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა და დარგობრივი სპეციალიზაციის პროცესი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებს შორის XIX ს. 60—70-იან წლებში ყველაზე მეტი იყო მემინდვრეობის ხვედრითი წონა. პურეული კულტურების ნათესი ფართობი თანდათან იზრდებოდა ტყეებისა და სათიბ-საძოვრების ხარჯზე. აღმოსავლეთ საქართველოში წამყვანი იყო ხორბალი და ქერი. მეტნაკლები რაოდენობით თესდნენ აგრეთვე სიმინდს, შვრიას, ჭვავს, ლობიოს, ფეტვს და სხვ.; დასავლეთ საქართველოში წამყვანი იყო სიმინდი, რომელიც თითქმის მონოკულტურას წარმოადგენდა: გურია-სამეგრელო-აფხაზეთში და ნაწილობრივ იმერეთშიც. ხორბალს და ქერს შედარებით მეტი ფართობი ეკავა რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთში, ზემო იმერეთსა და აჭარაში.

სტატისტიკური ცნობები ყანების ფართობისა და სხვადასხვა პურეულის მოსავლიანობის შესახებ მხოლოდ მიახლოებითაა სწორი. მაგრამ მაინც ჩანს, რომ მემინდვრეობის პროდუქცია იზრდებოდა სახნავ-სათესი მიწების გაფართოების შედეგად. რაც შეეხება შრომის მწარმოებლურობას ამ დარგში, იგი არა თუ იზრდებოდა, არამედ საერთოდ შემცირების ტენდენციასაც კი ამჟღავნებდა.

პურეულის წარმოების შედარებით დიდი მასშტაბით აღმოსავლეთ საქართველოში გამოირჩეოდნენ გორის, სიღნაღის, ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრები. სასაქონლო პროდუქციის გარკვეულ რაოდენობას იძლეოდნენ სხვა რაიონებიც. 1887 წ. გორის მაზრიდან ბაზარზე გავიდა 148000 მანეთის ხორბლეული, ახალქალაქის მაზრიდან—155000 მანეთის, ხოლო სიღნაღის მაზრიდან 152000 მანეთისა[4].

1896 წ. აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობამ ბაზარზე გაიტანა 276410 ჩეტ. ხორბლეული[5]. ჩეტვერტი (7 ფუთი) ხორბლეულის ფასი საშუალოდ შეადგენდა 6 მანეთს, ე. ი. მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა ხორბლეულის გაყიდვით მიიღო 1.648.469 მანეთი.

XIX ს. 80-იან წლებში აღმოსავლეთ საქართველოში პურეულის ნათესებს ეკავა 350—400 ათასი დესეტინა. არსებული მასა-

---

[4] საქართველოს ცსია, ფონდი 414, საქმე 37, ფურც. 7, 13.

[5] Обзор Тифлисской губернии за 1896 год, стр. 9.

ლა საშუალებას იძლევა, რომ მიახლოვებით მაინც იქნეს დადგენილი სხვადასხვა წოდებების როლი პურეულის წარმოებაში საერთოდ და სასაქონლო პროდუქციის წარმოებაში განსაკუთრებით.

თბილისის გუბერნიის მიმოხილვისა და გუბერნატორის ანგარიშის მიხედვით 1888 წელს აღმოსავლეთ საქართველოში მიღებულ იქნა 2.668.900 ჩეტ. მოსავალი. აქედან დროებითვალდებულ, მესაკუთრე და ხიზან გლეხთა სანადელო მიწებზე—613600 ჩეტ. (23%), სახელმწიფო გლეხთა მიწებზე—1.212.600 ჩეტ. (45%), მემამულეთა და მათ ძოიჯარეთა მიერ მოწყობილ მეურნეობებში—841500 ჩეტ. (31%)[6].

ქართველი მემამულეები საკუთარი მეთვალყურეობა-ხელმძღვანელობით, შრომავალდებული გლეხებისა და დაქირავებული მუშების გამოყენებით მეურნეობას ეწეოდნენ მიწების შედარებით მცირე ნაწილზე. უფრო დიდი ფართობები კი გაცემული ჰქონდათ იჯარით გლეხებზე და მოსახლეობის სხვა ფენებზე. 1890 წელს მემამულეთა საკუთარი მეურნეობიდან მიღებულ იქნა 174172 ჩეტ., მემამულეთა მიერ ფულადი იჯარის გაცემულ მიწებზე მოწყობილ მეურნეობებიდან—164336 ჩეტ., ხოლო პროდუქტადი იჯარის გაცემულ მიწებზე მოწყობილ მეურნეობებიდან კი—264563 ჩეტ. მოსავალი[7].

ზემომოტანილი ცნობები კომენტარებს არ საჭიროებს. მიწაზე საკუთრების მონოპოლია თუ ხაზინისა და მემამულეების ხელში რჩებოდა, სამაგიეროდ ამ მიწაზე მეურნეობის წარმოების მონოპოლია გლეხობას ეძლეოდა. გლეხთა შრომით შექმნილი პროდუქტის მნიშვნელოვანი ნაწილი მიწათმფლობელთა ხელში გროვდებოდა, რომელიც შემდეგ ბაზარზე გადიოდა.

სტატისტიკური და სხვა სახის მასალებიდან ჩანს, რომ პურეულის საქონლიანობა აღმოსავლეთ საქართველოში არ იყო დიდი. საბაზროდ იყო განკუთვნილი წარმოებული პროდუქციის 13—16%. აბსოლუტურ ციფრებში გლეხური მეურნეობები საერთოდ მეტ სასაქონლო პროდუქციას იძლეოდნენ, ვიდრე მემამულეები, მაგრამ ამ უკანასკნელთა მეურნეობის საქონლიანობა გაცილებით მაღალი იყო. თავადაზნაურობა მის ხელთ დაგროვილი პურეულის ერთ მესამედს თუ მოიხმარდა საკუთრად, ორი მესამედი ბაზარზე გაჰქონდა. გლეხობის დიდ ნაწილს კი არა თუ გარდამეტი პროდუქტი რჩებოდა, არა-

---

[6] ი. უთურაშვილი, თბილისის გუბერნატორის ანგარიშები მიწათმოქმედების მდგომარეობის შესახებ, XIX ს. მიწურულში. ისტორიის ინსტიტუტის „შრომები", ტ. VI, ნაკ. I, 1961 წ., გვ. 189—191.

[7] იქვე, გვ. 199.

მედ თვითონ იყო მემამულური და კულაკური მეურნეობის სასაქონ-ლო პროდუქციის მომხმარებელი.

უფრო მკვეთრად გამოხატული სავაჭრო ხასიათი მიიღო მემინ-დვრეობამ, კერძოდ, მესიმინდეობამ დასავლეთ საქართველოში. XIX ს. მეორე ნახევარში ევროპის ბაზრებმა გაზარდეს მოთხოვნი-ლება დასავლეთ საქართველოს სიმინდზე, რამაც სტიმული მის-ცა მოსახლეობას გაეზარდა ნათესების ფართობი. XIX ს. 80-იან წლებში სიმინდის ყანებს 200—220 ათასი დესეტინა ეკავა. 1901 წლისათვის კი იგი 317 ათას დესეტინამდე გაიზარდა[8].

XIX ს. 80-იან წლებში დასავლეთ საქართველოდან დასავლეთ ევროპაში გადიოდა ყოველწლიურად 5—6 მილ. ფუთი სიმინდი. სიმინდის სასაქონლო-საექსპორტო პროდუქციას ძირითადად აწარ-მოებდნენ აფხაზეთსა და სამეგრელოში. 1889 წ. შავი ზღვის ნავსად-გურებიდან საზღვარგარეთ გატანილ იქნა 6.231 817 ფუთი სიმინდი. მისი ფასი საკმაოდ მაღალი იყო—70 კაპ. ფუთზე. სიმინდის ვაჭრო-ბა წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ფულადი შემოსავლის მთავარ წყაროს ამ პერიოდში.

1891 წ. რუსეთმა მწვავედ განიცადა მოუსავლიანობა. რათა შემციერებულიყო სასურსათო კრიზისით გამოწვეული სიძნელეები, აიკრძალა პურეულის, მათ შორის სიმინდის ექსპორტი საზღვარ-გარეთ. ქართული სიმინდის რუსეთში გატანა მთავრობამ ვერ მოა-ხერხა, რის გამო სიმინდის ექსპორტის აკრძალვამ მძიმე მდგომარე-ობაში ჩააყენა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა. შეწყდა სა-ხელმწიფო გადასახადების დაფარვა და ბანაკებში ვადიანი გადასა-ხდელების შეტანა, შეფერხდა ვაჭრობა. ქუთაისის საგუბერნიო სამ-მართველოში მრავლად შედიოდა თხოვნა-განცხადებები, რომლებ-შიც ჩიოდნენ მთავრობის განკარგულების მძიმე შედეგებზე და მთავრობისაგან მოითხოვდნენ, რომ მას საბაზროდ განკუთვნილი სიმინდი ან ორგანიზებულად გაესაღებინა რუსეთში, ან გაეშვა იგი დასავლეთ ევროპის ბაზრებზე[9].

შექმნილი მდგომარეობის შესახებ ქუთაისის გუბერნატორი 1891 წ. 11 დეკემბერს აცნობებდა კავკასიის მთავარმმართველს და სთხოვდა გარკვეული ზომების მიღებას სიმინდის გასაღებისათვის ხე-ლოვნურად შექმნილი კრიზისის დასაძლევად. მიმოწერა და დავა სა-კითხის გარშემო დიდხანს გრძელდებოდა, 1892 წ. 23 თებერვალს და-სავლეთ საქართველოს მოსახლეობამ როგორც იქნა მიიღო საზღვარ-

---

[8] **Обзор Кутаисской губернии за 1901 год, стр. 2—4.**

[9] საქართველოს ცსია, ფონდი 12, ანაწერი 6, საქმე 4, ფურც. 14—15.

ვარეთ სიმინდის გაყიდვის ნებართვა[10]. სასაქონლო სიმინდი კი საკმაოდ დიდი რაოდენობით აღმოაჩნდა მოსახლეობის თითქმის ყველა ფენას. საილუსტრაციოდ მივმართოთ სტატისტიკურ მონაცემებს, რომელიც შეკრებილ იქნა შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით[11].

ამ მასალიდან კარგად ჩანს, რომ სასაქონლო სიმინდის ძირითადი მწარმოებლები იყვნენ სამეგრელო და აფხაზეთი. საკმაო რაოდენობით ყიდდა სიმინდს აგრეთვე ქვემო იმერეთისა და გურიის მოსახლეობა. აბსოლუტურ ციფრებში გლეხობა უფრო მეტ სასაქონლო სიმინდს აწარმოებდა, ვიდრე თავადაზნაურობა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ამ ორი კლასის რიცხობრივ თანაშეფარდებას. იმ დასკვნამდე მივალთ, რომ მემამულურ მეურნეობათა საქონლიანობა უფრო მაღალი იყო გლეხურ მეურნეობებთან შედარებით.

მაზრები და ოკრუგები	გლეხობის სასაქონლო სიმინდის რაოდენობა ფუთობით	მემამულეების სასაქონლო სიმინდის რაოდენობა	შემსყიდველთა ხელში არსებული სიმინდის რაოდენობა	მთლიანად სასაქონლო სიმინდი ფუთობით
ქუთაისის	514000	84.000	28.000	626.000
ოსურგეთის	400000	500.000	—	500.000
ზუგდიდის	400000	400.000	200.000	1.000.000
შორაპანის	სასაქონლო სიმინდი არ იყო			
სენაკის	1.500.000	500.000	50.000	2.050.000
რაჭის	სასაქონლო სიმინდი არ იყო			
ლეჩხუმის	8.000	4.000	—	12 000
ბათუმის	60.000	—	10.000	70.000
სოხუმის	1.000.000	500.000	—	1.500.000
ართვინის	სასაქონლო სიმინდი არ იყო			
სულ დასავლეთ საქართველოში	3.822.00	1.588.00	280.000	5.758.000

XIX ს. 90-იანი წლების ბოლოსათვის სიმინდის ექსპორტი მცირდება. 1897 წ. დასავლეთ საქართველოდან ევროპის ბაზრებზე გატანილ იქნა 3.110.886 ფ. სიმინდი[12]. ექსპორტის შემცირების მიზეზი ის იყო, რომ საქართველოს სიმინდს არ შეეძლო კონკურენცია გაეწია დას. ევროპის ბაზრებზე სულ მზარდი რაოდენობით შემოსულ და გაცილებით იაფ ამერიკული სიმინდისათვის. ექსპორტის შემცირების შემდეგ საქართველოს სიმინდის საქონლიანობის პრო-

10 საქართველოს ცსია, ფონდი 12, ანაწ. 6, საქმე 4, ფურც. 30—30—59

11 იქვე, ფურც. 16.

12 Обзор Кутаисской губернии за 1897 г., стр. 34.

ცენტი რამდენადმე დაეცა, მაგრამ სიმინდის მეურნეობას არ დაუკარგავს საკაჭრო ხასიათი. შინაური ბაზარი სულ მზარდი რაოდენობით მოითხოვდა სოფლის მეურნეობის პროდუქტებს, მათ შორის პურეულსაც, რომლის ადგილობრივი მოსავალი უკვე აღარ იყო საკმარისი ქალაქების მოსამარაგებლად.

XIX ს. 90-იან წლებში ამერკავკასია რკინიგზით დაუკავშირდა შიდა რუსეთს. აქ დიდი რაოდენობით იწყო შემოსვლა რუსეთის პურეულმა, ძირითადად ფქვილმა, რომლის კონკურენციასაც ვერ უძლებდა ადგილობრივ მწარმოებელთა პროდუქცია. პურეულის წარმოება ბაზრისათვის უკვე აღარ იყო ხელსაყრელი და შედარებით მსხვილი მეურნეობები თანდათან ამცირებდნენ ნათესების ფართობს. ისინი გადადიოდნენ სოფლის მეურნეობის უფრო ინტენსიურ და რენტაბელურ დარგებზე, რომელთა განვითარებისათვის საქართველოში ხელსაყრელი პირობები არსებობდა.

საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის მევენახეობა-მეღვინეობას ძველთაგანვე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. წარმოებული ღვინის საკმაო ნაწილი შუა საუკუნეებშიც გადიოდა ბაზარზე, მაგრამ სოფლის მეურნეობის ამ დარგმა სავაჭრო-სასაქონლო ხასიათი XIX საუკუნეში მიიღო.

XIX ს. პირველ ნახევარში მევენახეობა-მეღვინეობის ყველაზე მნიშვნელოვან რაიონს კახეთი წარმოადგენდა. უკვე 30-იან წლებში აქ დაყენებული ღვინის ნახევარი ბაზარზე გადიოდა, უმთავრესად თბილისში. XIX ს. 70-იან წლებამდე კახური ღვინო განუყოფლად ბატონობდა ადგილობრივ ბაზრებზე და მცირე რაოდენობით გადიოდა რუსეთშიც. 1875 წ. ცნობით კახეთში მევენახეობა-მეღვინეობას ეწეოდა 19412 კომლი გლეხი. კახეთის თავადაზნაურთა 800 ოჯახის შემოსავლის ერთ-ერთი მთავარი წყარო აგრეთვე მევენახეობა-მეღვინეობა იყო[13].

ყურძნის მოსავლიანობას განსაზღვრავდა ძირითადად კლიმატური პირობები. ზოგჯერ მევენახეობა-მეღვინეობა ზარალიანიც კი იყო. უხვმოსავლიან წლებში კი მევენახე-მეღვინეები მნიშვნელოვან მოგებას ნახულობდნენ. იმდროინდელ დამკვირვებელთა გაანგარიშებით, მაგალითად, 1876 წ. მეღვინეობის მთლიანი შემოსავალი აღმოსავლეთ საქართველოში შეადგენდა 6.502.466 მანეთს, საიდანაც ნახევარი გაწეულ შრომასა და ხარჯებს ფარავდა, მეორე ნახევარი კი სუფთა მოგების სახით რჩებოდა[14].

---

13 საქართველოს ცსია, ფონდი 17, ანაწერი I, საქმე 8995 ბ, ფურც. 23.

14 იქვე, ფონდი 5, საქმე 4815, ფურც. 14.

1878 წლის ანგარიშში ქუთაისის გუბერნატორი აღნიშნავდა, რომ მევენახეობა გურია-სამეგრელოში დაცემულია (აქ სოკოვანმა დაავადებამ თითქმის მთლიანად გაანადგურა ძველი განთქმული ჯიშები ოჯალეში და ჩხავერი, რომლის ადგილი შემდეგ თანდათან დაიკავა ნაკლები ღირსების ადესამ). ხოლო იმერეთსა და რაჭაში ეს დარგი საკმაოდ სწრაფად ვითარდებაო. იმერეთისა და ნაწილობრივ რაჭის ღვინოები თანდათან მზარდი რაოდენობით გადისო შავი ზღვის პირეთში[15].

დასავლეთ საქართველოსა და ქართლში მევენახეობის აღმავლობას ხელი შეუწყო რკინიგზამ, რომელმაც მნიშვნელოვნად შეამცირა ღვინის გადაზიდვის ხარჯები. ამ ხელსაყრელმა გარემოებამ საშუალება მისცა იმერელ და ქართლელ მეღვინეებს თავიანთი შედარებით ნაკლები ხარისხის ღვინით წარმატებით გაეწიათ კონკურენცია კახელებისათვის. კახეთი დიდხანს ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის მიღმა რჩებოდა და საურმე გზებიც არ იყო კეთილმოწყობილი. გადაზიდვის ხარჯები მნიშვნელოვნად ადიდებდა კახური ღვინის თვითღირებულებას და ამცირებდა მის კონკურენტუნარიანობას.

1894 წელს დასავლეთ საქართველოს ვენახების ფართობი უდრიდა 31770 დეს., დაყენებული ღვინის რაოდენობა—4 846 100 ვედროს. იმავე წელს აღმოსავლეთ საქართველოში 27500 დეს. ვენახიდან მიღებული იქნა 4 700 000 ვედრო ღვინო[16]. ბაზარზე გაიყიდა: დასავლეთ საქართველოდან 2 362 000 ვედრო, შიდა ქართლიდან—660000, ბორჩალოს მაზრიდან—280000, თბილისის მაზრიდან—310000, კახეთიდან—1500000 ვედრო ღვინო. მეღვინეობის ბაზაზე საკმაოდ ფართო მასშტაბი მიიღო სპირტის გამოხდამ. 1893 წ. წარმოებულ იქნა სპირტი: კახეთსა და საინგილოში—4 793 387, თბილისის გუბერნიის სხვა რაიონებში—1.463531, დასავლეთ საქართველოში—1 742 224 გრადუსი. სპირტი ძირითადად საბაზროდ იყო განკუთვნილი[17].

მევენახეობა-მეღვინეობის სასაქონლო პროდუქცია თანდათან იზრდებოდა. რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი გამსაღებელ ბაზრებზე რკინიგზით გადაჰქონდათ. ამიერკავკასიის რკინიგზაზე ღვინისტვირთბრუნვა შეადგენდა: 1900 წ.—1 780 877 ფ., 1901 წ.—

---

15 ლენინგრადის ცსია, ფონდი 1268, ანაწერი 24, საქმე 231, ფურც. 75.

16 Тимофеев, Сбыт кавказских вин, Тифлис, 1895 г., стр. 7.

17 იქვე, გვ. 25—39.

1 513 986 ფ., 1902 წ.—1 516 819 ფ.,[18]. 1903 წ.—2 036 465 ფუთს. 1903 წ. რკინიგზაზე მოხვდა აგრეთვე 242744 ფ. სპირტი[19].

საქართველოსა და ამიერკავკასიის ღვინოები გზას იკაფავდნენ რუსეთის ბაზრებისაკენაც. მაგრამ XIX ს. დასასრულამდე ღვინოების გატანას აბრკოლებდა უგზოობა. 1891 წ. რუსეთში შეტანილ იქნა სულ 7200ᲘᲐ ფ. ღვინო. მას შემდეგ რაც ამიერკავკასია რკინიგზით დაუკავშირდა რუსეთს, საქართველო-ამიერკავკასიის ღვინოები სულ მზარდი რაოდენობით გადიოდა ამ ახალი ბაზრებისაკენ. ამიერკავკასიის ფარგლებს გარეთ, ძირითადად რუსეთში გატანილ იქნა ღვინო: 1901 წ.—385659 ფ., 1902 წ.—576327 ფ., 1903 წ. — 930404 ფუთი[20], 1907 წ.—1 365 740 ფ., 1908 წ.—1 921 809 ფ., 1909 წ.—2 009 316 ფ., 1910 წ.—1 935 904 ფ., 1911 წ.—2 211 333 ფუთი[21]. რუსეთი გადაიქცა ქართულ და სომხურ-აზერბაიჯანული ღვინოების ერთ-ერთ მთავარ გამსაღებელ ბაზრად. სასაქონლო ღვინის დიდ ნაწილს მემამულური და კულაკური მეურნეობები იძლეოდნენ.

საქართველოს მთიან ზოლში მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის წამყვან დარგს და მოსახლეობის კეთილდღეობის მთავარ საფუძველს წარმოადგენდა. მთის ძირისა და ბარის რაიონებში კი მას დამხმარე მნიშვნელობა ჰქონდა. გამონაკლისს შეადგენდა ქ-ხიყი, სადაც კარგი საზამთრო საძოვრების წყალობით, მეცხოველეობა თავისი მნიშვნელობით მემინდვრეობისა და მევენახეობა-მეღვინეობის დონეზე იდგა.

იმდროინდელ დამკვირვებელთა თვალსაზრისით მეცხოველეობის ყველაზე დიდ ნაკლს. მისი მცირე პროდუქტიულობის მიზეზს ის წარმოადგენდა. რომ მოსახლეობა ვერ ახერხებდა შინაური პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. თივა და ჩალა-ბზე, რის მოგროვებასაც ახერხებდნენ მცხოვრებნი, არ იყო საკმარისი პირუტყვის გამოსაკვებად ზამთრის თვეებში. ამ ნაკლს რამდენადმე ავსებდა საზაფხულო და საზამთრო საძოვრების არსებობა, რომელიც მომთაბარული მეცხოველეობის საფუძველს წარმოადგენდა.

მომთაბარე მეცხოველეობას განსაკუთრებით ფართო მასშტაბით ეწეოდნენ თუშები. ფშავები და მოხევეები. აგრეთვე სიღნაღისა და პორჩალოს მაზრების მცხოვრებლები. ზაფხულობით მათი ფარები თრიალეთში და კავკასიის ქედის ფერდობებზე იყო გაშლილი.

---

[18] ССТПГЗЖД за 1902 г., Тифлис, 1904 г., стр. 555.

[19] ССТПГЗЖД за 1903 г., Тифлис, 1904 г., таблица 7.

[20] იქვე, გვ. 8—9.

[21] Кавказское хозяйство, 1913 г., № II, стр. 6—7.

ძალიერობით კი შირაქის ველზე, რომელიც წარმოადგენდა აღმოსავლეთ საქართველოს ძირითად საზამთრო საძოვარს. მოხევეები თავიანთ ცხვარს ჩრდ. კავკასიის საზამთრო საძოვრებზე ერეკებოდნენ.

XIX ს-ის 80—90-იანი წლების სტატისტიკაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ სამიწათმოქმედო რაიონებში, სადაც მეცხოველეობას დამხმარე მნიშვნელობა ჰქონდა, პირუტყვის სულადობა მცირდებოდა, მეცხოველეობის რაიონში კი იზრდებოდა. ბარის რაიონებში მეცხოველეობის დაცემის მიზეზი იყო საძოვრების შემცირების ხარჯზე ინტენსიური მეურნეობის განვითარება. მთაში მეცხოველეობის აღმავლობას განაპირობებდა ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები და შინაგანი ბაზრის გაფართოება, რომელიც ამ დარგს სავაჭრო ხასიათს აძლევდა. რეფორმის შემდეგინო ხანაში სულ მზაოდი რაოდენობით გადიოდა ბაზარზე სახორცე პირუტყვი, ტყავი, მატყლი, ყველი, კარაქი და სხვ.

სიღნაღის მაზრაში მეცხოველეობას მისდევდა მოსახლეობის ნახევარი, უმრავლესობა საკუთარი მოხმარებისათვის. მდიდარი კომლები პირუტყვს ამრავლებდნენ გაყიდვის მიზნით. 1883 წ. მაზრის მოსახლეობის ამ ნაწილმა ბაზარზე გაიტანა 140 ათასი მანეთის მეცხოველეობის პროდუქტები[22]. დიდი რაოდენობით გადიოდა ბაზრებზე მეცხოველეობის პროდუქტები თიანეთის, დუშეთის, ბორჩალოსა და ახალქალაქის რაიონებიდან. მარტო ქ. თბილისი მოიხმარდა კოველწლიურად 300—350 ათას სულ შინაურ პირუტყვს და მრავალად რძის პროდუქტებს[23].

1880 წ. ფოთის საბაჟოს გავლით უცხოეთში იქნა გატანილი 2 138 454 მანეთის მატყლი, საიდანაც მეოთხედი თბილისის გუბერნიაზე მოდიოდა. 1886 წ. კი ფოთსა და ბათუმში გაიგზავნა 170 ათასი ფუთი მატყლი. აქედან მესამედი თბილისის გუბერნიისა იყო[24].

კაცობრივად სუსტად იყო მეცხოველეობა განვითარებული დასავლეთ საქართველოში. აქ საქონლად ქცეული მეცხოველეობის პროდუქტები ვერ ავსებდა ადგილობრივ ბაზრებს. დასავლეთ საქართველოში დიდი რაოდენობით შემოდიოდა შინაური პირუტყვი ჩრდილო კავკასიიდან და ახალციხე-ახალქალაქის მაზრებიდან.

რეფორმამდელ ხანაში მეფრინველეობას მისდევდნენ უმთავრესად ოჯახის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. შინაური

---

22 საქართველოს ცსია, ფონდი 17, ანაწერი 1, საქმე 1712, ფურც. 3—4.

23 იქვე. საქმე 8774, ფურც. 93.

24 იქვე.

ფრინველი იშვიათად თუ მოხვდებოდა ბაზარზე ან სოფლად ძოხეტიალე მეწვრილმანე ვაჭრის ხელში. XIX ს. 70—80-იან წლებში, როცა რკინიგზებმა ერთმანეთს დაუკავშირა სხვადასხვა რაიონი და განმტკიცდა სავაჭრო კავშირი უცხოეთთან. მეფრინველეობა ღებულობს სავაჭრო ხასიათს. განსაკუთრებით დიდი იყო მეფრინველეობის ხვედრითი წონა დასავლეთ საქართველოში. მასზე მოდიოდა ამიერკავკასიაში მეფრინველეობის პროდუქტებით ვაჭრობის 60%. XX ს. დამდეგს დასავლეთ საქართველოდან შინაგან და საგარეო ბაზრებზე ყოველწლიურად გადიოდა 2,5 მილ. მანეთის მეფრინველეობის პროდუქტები. 1, 2 მილ. მანეთის კვერცხი ყოველწლიურად გაჰქონდათ ლონდონის, ჰამბურგის, ბერლინის და პარიზის ბაზრებზე. ფრინველი კი ამიერკავკასიის ქალაქებში საღდებოდა[25].

ძველ საქართველოში მეაბრეშუმეობა საკმაოდ იყო განვითარებული. მაგრამ XIX ს. 60-იან წლებში გაჩნდა ჭიის ავადმყოფობა პებრინი. რომელმაც გამოწვია ამ დარგის დაცემა. 80-იან წლებში კვლავ იწყებოდა მეაბრეშუმეობის აღორძინება. ეფის მთავრობა ხელს უწყობდა აბრეშუმის ნედლეულის წარმოების გაფართოებას. კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება მოსახლეობას უფასოდ ამარაგებდა საკმაოდ კარგი ხარისხის მურით. აბრეშუმის ქსოვილების ფაბრიკული წარმოების განვითარების გამო თანდათან იზრდებოდა მოთხოვნილება ნედლეულზე, რაც სტიმულს აძლევდა მოსახლეობას მეტი რაოდენობით გამოეყვანა აბრეშუმის პარკი.

1894 წ. აღმოსავლეთ საქართველოში გამოყვანილ იქნა 16568 ფ. აბრეშუმის პარკი, რომლის უდიდესი ნაწილი ბაზარზე იქნა გატანილი. უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ ამ დარგს დასავლეთ საქართველოში. 1896 წ. ამ მხარის მოსახლეობამ საბაზროდ დააჭზადა 26000 ფ., ხოლო 1897 წ.—40000 ფ. აბრეშუმის პარკი, რომლის გაყიდვით მიიღო 457 ათასი მანეთი[26].

XX ს. დასაწყისში დასავლეთ საქართველოში ყოველწლიურად აწარმოებდნენ 100—140 ათას ფუთ ნედლ აბრეშუმის პარკს, რომელიც მოსახლეობას აძლევდა 1—1,5 ალნ. მანეთ შემოსავალს. მეაბრეშუმეობის განვითარების მაღალი დონით გამოირჩეოდნენ ქვემო იმერეთი, გურია და სამეგრელო, სადაც ამ დარგის მიმდევარნი კომლზე საშუალოდ ღებულობდნენ წლიურად 15—20 მანეთს[27].

---

25 პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, მეფრინველეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში, ცალკე ამონაბეჭდი, გვ. 249.

26 Обзор Кутаисской губернии за 1897 год, стр. 29.

27 ლენინგრადის ცსია, ფონდი 1233, ანაწერი 1, საქმე 159, ფურც. 7.

„ცნობის ფურცლის“ კორესპონდენტი 1903 წ. წერდა: „წინათ სამეგრელო სიმინდით ცხოვრობდა... უკანასკნელ ხანებში ამერიკის წყალობით სიმინდის ფასი დაეცა და თითქმის განახევრდა, რამაც მეგრელებს სიმინდის გაყიდვაზე ხელი ააღებინა... სიმინდის გაყიდვა დღეს იშვიათი მოვლენაა, ხოლო აბრეშუმის მოყვანას თითქმის ყველა მისდევს..., აბრეშუმი შექმნა მეგრელთა სულის ჩამდგმელი; დღეს მეგრელი პარკის ფულით ცხოვრობს, იმით იცვამს და იხურავს, იმით აკმაყოფილებს თავის მოვალეებს და ოჯახის ყოველივე საჭიროებას“[28].

მეხილეობა და მებოსტნეობა რეფორმამდე სუსტად იყო განვითარებული. მისი პროდუქტები უმთავრესად ოჯახის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა და მცირე რაოდენობით გაიტანებოდა ბაზარზეც. XIX ს. 70-იანი წლებიდან ხილ-ბოსტნეულის წარმოებაში ერთგვარი გამოცოცხლება შეიმჩნევა. საქართველოს ზოგიერთ რაიონში მეხილეობა-მებოსტნეობა ღებულობს საეკონომო ხასიათს.

1894 წ. აღმოსავლეთ საქართველოში ხილის ბაღების ფართობი უდრიდა 5202 დეს., ხილის მოსავალი შეადგენდა 248898 ფ., საიდანაც გაიყიდა 167835 ფ. 120987 მანეთისა. მთელი და სასაქონლო პროდუქციის ოთხი მეხუთედი მოდიოდა გორისა და ახალციხის მაზრებზე. ცალკე ხილის ბაღები მხოლოდ ამ ორ მაზრაში არსებობდა. სხვაგან ხეხილის ნარგავები ეზოებსა და ვენახებში ჰქონდათ[29].

XIX ს. დასასრულისათვის მეხილეობა საკმაოდ განვითარდა დასავლეთ საქართველოში. აქედან ხილი გადიოდა თბილისში და თვით ოდესაშიც კი. რკინიგზის ანგარიშებიდან ჩანს, რომ ქუთაისის გუბერნიიდან გატანილ იქნა ხილი: 1897 წ.—204319 ფ., 1898 წ.—160883 ფ., 1899 წ.—187699 ფ., 1900 წ.—224655 ფუთი[30]

ქალაქების ზრდა ეპირობებდა მებოსტნეობის განვითარებასაც. ეს დარგი განსაკუთრებით სწრაფ აღმავლობას განიცდიდა დიდი ქალაქების (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი) გარეუბნებში. მაგრამ XIX—XX სს. მიჯნაზე საგარეუბნო მეურნეობები უკვე აღარ იყო საკმარისი და მებოსტნეობა ვითარდებოდა დიდი ქალაქებიდან დაშორებულ ადგილებშიც.

ხილ-ბოსტნეული თანდათან მზარდი რაოდენობით გადიოდა ქალაქებში. ამიერკავკასიის რკინიგზაზე ხილ-ბოსტნეულის ტვირთბრუნვა უდრიდა: 1907 წ.— 1 965 832 ფ., 1908 წ.—2 020 829 ფ.,

---

28 „ცნობის ფურცელი“, 1903 წ., № 2266.

29 საქართველოს ცსია, ფონდი 17, ანაწერი 1, საქმე 9082ა, ფურც. 5.

30 ლენინგრადის ცსია, ფონდი 1233, ანაწერი 1, საქმე 159, ფურც. 5.

1909 წ.—2 317 835 ფ., 1910 წ.—2 455 811 ფუთს. რკინიგზით რუსეთში იქნა გატანილი: 1907 წ.—267862 ფ., 1908 წ.—303299 ფ., 1909 წ.—210172 ფ., 1910 წ.—205759 ფ., 1911 წ.— 258261 ფუთი ხილ-ბოსტნეული[31]. ინჟინერ ეასილიეეის განცხადებით. ამიერკავკასიას შეეძლო რუსეთის ბაზრები აევსო ძალიან კარგი ხილით და მალეფუჭებადი სხვა პროდუქტებით. მაგრამ იმის გამო, რომ რკინიგზაზე არ იყო ვაგონმაცივრები, ეს შესაძლებლობა იკარგებოდა და გადიოდა ძალიან მცირე რაოდენობის საქონელი[32].

ბამბის კულტურას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ ბამბის პლანტაციების ფართობი მკვეთრად გაიზარდა XIX ს. 60-იანი წლების დამდეგს, მას შემდეგ რაც სამოქალაქო ომმა შეაფერხა ბამბის იმპორტი ამერიკიდან. რუსმა ფაბრიკანტებმა დიდი მოთხოვნილება წამოუყენეს იმპერიის მებამბეობის რაიონებს. ბამბის ფასმა სწრაფად აიწია, რამაც სტიმული მისცა მებამბეობის განვითარებას დასავლეთ საქართველოში. თუ 1861 წლამდე მებამბეობა წარმოადგენდა შინამრეწველობის საფუძველს, ამის შემდეგ მან სწრაფად მიიღო სავაჭრო ხასიათი. ჟაური ბამბა ძირითადად გადიოდა ცენტრალურ რუსეთში და მცირე რაოდენობით საზღვარგარეთაც[33].

შეერთებულ შტატებში სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ევროპისა და რუსეთის ბაზრებზე კვლავ დიდი რაოდენობით შემოვიდა იაფი ამერიკული ბამბა, რომელსაც. რა თქმა უნდა, ქართული ბამბა კონკურენციას ვერ გაუწევდა. მებამბეობა დასავლეთ საქართველოში სწრაფად დაეცა; პლანტაციების ფართობი რამდენიმე წელიწადში ათჯერ შემცირდა. XIX ს. 80-იან წლებში დასავლეთ საქართველოს ბამბის პლანტაციების წლიური პროდუქცია საშუალოდ შეადგენდა 9000 ფუთს, საიდანაც 6000 ფ. იგზავნებოდა რუსეთში, დანარჩენი კი ადგილზე მოიხმარებოდა[34]. 1903 წ. მიღებულ იქნა 12000 ფ. ბამბა და 30000 ფ. თესლი. ბამბა რუსეთში იქნა გატანილი, ხოლო ბამბის თესლი გერმანიაში, სადაც მისგან ზეთს ხდიდნენ[35].

მებამბეობა . როგორც დარგი აღმოსავლეთ საქართველოში XX ს. დამდეგამდე არ არსებობდა. საცდელი პლანტაციები იყო

---

[31] Кавказское хозяйство, 1913 г., № II, стр. 6—9.

[32] იქვე.

[33] საქართველოს ცსია, ფონდი 17, ანაწერი 1, საქმე 8974 ბ, ფურც. 84.

[34] Обзор Кутаисской губернии за 1887 г., стр. 9.

[35] Обзор Кутаисской губернии за 1903 год, стр. 31.

მხოლოდ ყარაიაში, ბორჩალოს მაზრის სოფ. ბაიდარში და საუფლისწულო უწყების გიაურარხის მამულში. ცდებმა კარგი შედეგი გამოიღო და მოსახლეობაც დარწმუნდა ამ დარგის სარგებლიანობაში. XX ს. დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოს მებამბეობამ სწრაფი ნახტომი გააკეთა. 1909 წლისათვის ბამბის პლანტაციების ფართობი უდრიდა 520 დეს., 1910 წ.—1600 დეს., 1911 წ.—5000 დეს., 1912 წ. 5370 დეს., 1913 წ.—5100 დეს., 1914 წ.—8200 დესეტინას. ბამბის მოსავალი 1909 წელს 7800 ფუთიდან 1912 წლისათვის გაიზარდა 80000 ფუთამდე და შემდეგ კიდევ უფრო მეტად.

ამ დარგის აღმავლობა შეიმჩნეოდა დასავლეთ საქართველოშიც. აქ ბამბის პლანტაციებს ეკავა: 1909 წ.—850 დეს., 1910 წ.—1900 დეს., 1911 წ.—2700 დეს., 1912 წ.—2780 დეს., 1913 წ.—2400 დეს., 1914 წ.—3700 დესეტინა[36].

ბამბის პლანტაციების თითქმის მთელი პროდუქცია რუსეთში გადიოდა. სრულიად უმნიშვნელო ნაწილს კი ადგილობრივი შინამრეწველები იყენებდნენ.

მეთამბაქოეობა სწრაფად ვითარდება XIX ს 70-იანი წლებიდან, მას შემდეგ რაც მაღალმა საბაჟო ტარიფმა თითქმის მთლიანად შეაჩერა თურქული თამბაქოს იმპორტი. მეთამბაქოეობის ძირითადი რაიონები დასავლეთ საქართველოში იყო აფხაზეთი, აჭარა და გურია. აღმოსავლეთ საქართველოში კი სიღნაღის მაზრა.

1878 წ. აღმოსავლეთ საქართველოში ითვლებოდა თამბაქოს 207 პლანტაცია 535 დეს. ფართობით, საიდანაც სიღნაღის მაზრაზე მოდიოდა 410 დესეტინა. მიღებულ იქნა სულ 15000 ფ. თამბაქო 200 ათასი მანეთისა[37]. ამ რაიონში თამბაქოს კულტურა გაფართოების ტენდენციას ამჟღავნებდა.

1892 წ. დასავლეთ საქართველოში თამბაქოს პლანტაციებს ეკავა 1500 დესეტინა, რომელთა წლიური პროდუქცია შეადგენდა 80 ათას ფუთს. ფუთი თამბაქო საშუალოდ 7 მანეთი ღირდა. მეთამბაქოეობის შემოსავალი 560000 მან. შეადგენდა[38].

თამბაქოს მთავარი მწარმოებელი იყო აფხაზეთი, სადაც მეთამბაქოეობა სწრაფად ვითარდებოდა და კაპიტალისტურ ყაიდაზე ეწყობოდა. საილუსტრაციოდ მივმართოთ სტატისტიკურ მონაცემებს[39].

---

[36] Сельскохозяйственный обзор по Закавказью, 1913 г., стр. 34; Кавказское хозяйство, 1916 г., № 17—18, стр. 8—9.

[37] საქართველოს ცსია, ფონდი 17, ანაწერი 1, საქმე 9001 ბ, ფურც. 30.

[38] Обзор Кутаисской губернии за 1892 года, стр. 8.

[39] Сельскохозяйственный обзор по Закавказью, Тифлис, 1914 г., стр. 38—40.

პლანტაციების ფართობი		
		პროდუქცია
1895 წ.	1612 დეს.	93476 ფუთი
1898 წ.	2632	149417
1900 წ.	3042	162094
1903 წ.	3604	255071
1905 წ.	5301	285936
1909 წ.	6578	439285
1910 წ.	8458	544240

მეთამბაქოეობას უკვე XIX ს. 70-იანი წლებიდან საგაჭრო ხასიათი ჰქონდა. დამზადებული პროდუქცია თითქმის მთლიანად ბაზარზე გადიოდა.

საქართველოში ჩაის კულტურის დანერგვის პირველ ცდებს ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ XIX ს. 40-იან წლებში, მაგრამ ეს საქმე მკვიდრ ნიადაგზე დადგა XIX ს.ბოლოს, როცა სოლოვცოვმა. პოპოვმა და საუფლისწულო უწყებამ აჭარაში გააშენეს ჩაის პირველი პლანტაციები.

ჩაის პლანტაციების ფართობი უდრიდა: 1893 წ.—8 დეს., 1898 წ.—102 დეს. 1904 წ.—368 დეს., 1909 წ.—586 დეს., 1913 წ.—812 დესეტინას. 1914 წ. აჭარაში არსებული 248 პლანტაციის ფართობი შეადგენდა 838 დეს., მოსავალი—1.383317 გირვანქას, რომლის ფაბრიკებში გადამუშავების შემდეგ მიღებულ იქნა 334204 გირვანქა ჩაის მზა პროდუქცია[40].

სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარებისა და დარგობრივი სპეციალიზაციის გაღრმავების კვალობაზე ფაროოვდებოდა საქონელმიმოქცევა, იზრდებოდა როგორც შინაგანი, ისე საგარეო ვაჭრობის ბრუნვა. ამ პროცესში მეტ-ნაკლებად საქართველოს ყველა რაიონები მონაწილეობდნენ; ისინი შინაგანი და მსოფლიო ბაზრის ვრცელ ყულაბაში ძირითადად თავიანთი მეურნეობისათვის სპეციფიკურად დამახასიათებელ საქონელს უშვებდნენ.

---

[40] ლენინგრადის ცსია, ფონდი 560, ანაწერი 26, საქმე 1393, ფურც. 4—5.

XIX ს. 90-იან წლებში ბორჩალოს მაზრიდან ამიერკავკასიაროსეთისა და უცხოეთის ბაზრებზე ყოველწლიურად გადიოდა: 1—2 მლნ. ფუთი პურეული, 15 ათას ს. მსხვილფეხა რქიანი საქონელი, 30 ათასი ცხვარი, 15 ათასი ღორი, 90 ათას ფ. მატყლი, 10 ათასი ცალი დაუმუშავებელი ტყავი, 10 ათასი ფუთი ყველი, 400 ათასი ვედრო ღვინო, 60 ათასი ფ. კარტოფილი, 45 ათასი ფუთი ბაღჩეულ-ბოსტნეული და სხვ.[41].

XIX—XX სს. მიჯნაზე კახეთი ბაზრებს ყოველწლიურად აწვდიდა (ან შეეძლო მიეწოდებინა) 2 მლნ. ვედრო ღვინოს, 500 ათას ფ. პურეულს, 500 ათას ფ. ხე-ტყეს, 300 ათას ფ. ხორცსა და მატყლს, 40 ათას ფ. თამბაქოს, 200 ათას ფ. ხილ-ბოსტნეულს. თავის მხრივ კახეთი ასაღებდა 1 მლნ. ფუთზე მეტ სამრეწველო და სასურსათო საქონელს[42].

ქართლი ბაზარზე გზავნიდა ძირითადად ღვინოსა და ხილ-ბოსტნეულს, იმერეთი—ღვინოსა და აბრეშუმს, გურია-სამეგრელო—სიმინდსა და აბრეშუმს, აფხაზეთი—სიმინდსა და თამბაქოს.

სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ყველაზე მნიშვნელოვანი გამსაღებელი ცენტრი იყო თბილისი, შემდეგ ქალაქები—ბათუმი, ქუთაისი, ფოთი, სოხუმი, ოზურგეთი, ახალციხე, გორი, თელავი, სიღნაღი. რეფორმის მომდევნო ხანაში შინაგანი ვაჭრობის მნიშვნელოვან პუნქტებად გადაიქცნენ ხონი, სამტრედია, ტყიბული, ყვირილა, ჩხარი, ჭიათურა, საჩხერე, ონი, ზუგდიდი, ანაკლია, ახალი სენაკი, აბაშა, ოჩამჩირე, გუდაუთი, ქობულეთი, ნატანები, არტანუჯი, ცხინვალი, სურამი, ხაშური, ახალქალაქი, გომი, დუშეთი, თიანეთი და სხვ. ამ პუნქტებში იყვნენ მოკალათებული ვაჭარ-მევაჭრეები, რომლებიც მატერიალური სიმდიდრის შექმნაში არაფრით არ მონაწილეობდნენ, ღირებულებას არ ქმნიდნენ, მაგრამ ხშირად მოგებას მწარმოებლებზე მეტს ღებულობდნენ.

ვაჭარი საშუამავლო რგოლს წარმოადგენდა მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის. სოფლის მეურნეობის პროდუქცია მისი მეშვეობით აღწევდა უშუალო მომხმარებლამდე. ეს შუამავლობა გლეხობას მეტად ძვირი უჯდებოდა. გუბერნატორებისა და მაზრის უფროსთა ყოველწლიურ ანგარიშებში, გამოკვლევებსა და სხვ. მასალებში ერთხმადაა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტთა რეალიზაციით მდიდრდებოდნენ ვაჭრები და ნაკლებ სარგებლობას პოულობდნენ მწარმოებლები.

---

[41] РГКЭЖДЭКО, стр. 112—185.

[42] ლენინგრადის ცსია, ფონდი 1088, ანაწერი 8, საქმე 371, ფურც. 5—6.

ღვინის შემსყიდველი სირაჯები კარგად სარგებლობდნენ კახეთური ღვინის გამსაღებელი ბაზრებისაკენ გადაზიდვის სიძნელეებით. ისინი თვით ჩადიოდნენ კახეთის სოფლებში და ღვინოზე მეტად დაბალ ფასებს კარნახობდნენ მწარმოებლებს. თელავის მაზრის მდგომარეობის ანგარიშში ნათქვამია: სირაჯები ჯგუფად ჩამოდიან თელავში და კრეფენ ცნობებს ღვინის ფასების შესახებ. თუ გლეხები საპალნე ღვინოს (576 ლიტრი) 120—150 მან. აფასებდნენ, სირაჯები ღებულობენ გადაწყვეტილებას არ მისცენ მათ 45—60 მანეთზე მეტი. ისინი იყოფიან რამდენიმე პარტიად და ინაწილებენ მოქმედების ასპარეზს. პირველ დღეს სხვადასხვა სოფლის გლეხებს სირაჯები საპალნე ღვინოში სთავაზობენ 70—80 მანეთს, რაზეც ეს უკანასკნელნი არ თანხმდებიან. მეორე დღეს სირაჯები სამოქმედო ტერიტორიას ურთიერთ შორის სცვლიან და ეხლა უკვე საპალნე ღვინოში გლეხებს მხოლოდ 5—10 მანეთს სთავაზობენ. ბოლოს ყოველი პარტია მისთვის თავდაპირველად გამოყოფილ პუნქტს უბრუნდება და ახერხებს საპალნე ღვინის 45—60 მანეთად ყიდვას. მეღვინე გლეხები ვერ ერკვეოდნენ ორგანიზებული ვაჭრების მაქინაციებში და იძულებული იყვნენ დაეთმოთ თავისი ნაწარმი ესოდენ დაბალ ფასად. ასეთი არანორმალური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად, ანგარიშის შემდგენლის აზრით, საჭირო იყო გზების კეთილმოწყობა და დაარსება საგლეხო ბანკისა, რომელიც სესხს გასცემდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების გირაოს ქვეშ[43].

ვაჭართა დიდი ნაწილი მევახშეობასაც ეწეოდა და საეაჭრო მოგებასთან ერთად იჯიბავდა პროცენტსაც. სავაჭრო კაპიტალის სარგებელი კი ძალიან მაღალი იყო, ჩვეულებრივ 20—50% შეადგენდა, ხშირად კი 100 პროცენტსაც აჭარბებდა. „დროების“ კორესპონდენტი, ეხებოდა რა სიღნაღელი ვაჭრების საქმიანობას, მათ დამოკიდებულებას მემამულეებისა და გლეხობისადმი, წერდა: „იმათი (თავადაზნაურთა) მამულ-დედული, ქონება და ცოლის საყურეებიც კი სულ ვაჭრებთანაა დაგირავებული. უვალო თავადი იმისთანა ძვირი სანახავია, როგორც შუა ზაფხულს თოვლი“. გაცილებით მძიმეა, განაგრძობს წერილის ავტორი, ღარიბი გლეხების მდგომარეობა. ისინი ვალს იღებენ ფულად ან ნატურით. შეძლებული მეურნენი მაისში სესხად გაცემულ პურს თიბათვეში ერთნახევრად იბრუნებენ. ფულზე გადაყვანით ეს იქნებაო თვეში ორ მანეთზე მანეთი სარგებელი[44].

---

43 საქართველოს ცსია, ფონდი 414, საქმე 3, ფურც. 205—206.

44 „დროება“, 1872 წ., № 15.

მშრომელი მოსახლეობა კარგად გრძნობდა ვაჭრებისა და მევახშეების საქმიანობის მავნე შედეგებს. მედუქნეების აღვირახსნილობით ძოთმინებიდან გამოსულმა თუშებმა სასოფლო საზოგადოების ყრილობაზე მიიღეს დადგენილება ალვანში არსებული დუქნების დახურვის, გაუქმების შესახებ. ასეთ ფაქტებს ადგილი ჰქონდა ქიზიყში და საქართველოს სხვა კუთხეებშიც.

ვაჭარ მევახშეთაგან მოსახლეობის დაცვის საჭიროების შესახებ ბევრი იწერებოდა ქართულ პრესაში. პროგრესულ მოღვაწეთა დიდი უმრავლესობა უკვე XIX ს. 70-იან წლებში იმ აზრისა იყო, რომ ვაჭარ-მევახშეთა მოქმედების პარალიზება უნდა მოეხდინა საზოგადოებრივ სასურსათო (პურის) მაღაზიებს, სავაჭრო-გამსაღებელ საზოგადოებებს და ფულის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობებს.

საზოგადოებრივი პურის მაღაზიები საქართველოს ზოგიერთ სოფლებში ჯერ კიდევ რეფორმამდე დაარსდა, მაგრამ მათი რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა XIX ს. 70—80-იან წლებში. ყოველი გლეხი ვალდებული იყო სოფლის მაღაზიაში შეეტანა გარკვეული რაოდენობის პურეული. საჭიროების შემთხვევაში მაღაზიიდან სესხად გაჰქონდათ სურსათი, რასაც ახალი მოსავლის მიღებისთანავე უკან აბრუნებდნენ.

1880 წ. აღმოსავლეთ საქართველოში ითვლებოდა 293 საზოგადოებრივი მაღაზია, რომლებშიც ინახებოდა 160 ათასი ფ. პური. 1882 წლისათვის სასოფლო მაღაზიების რიცხვი გაიზარდა 618-მდე მათში დაცული პურეულის რაოდენობა კი 345 ათას ფუთამდე. აღნიშნულ წელს გლეხობამ მაღაზიებიდან სესხად გაიტანა 112000 ფ. პურეული[45].

სასურსათო მაღაზიების, კოოპერაციის ამ დაბალი ფორმის, სარგებლიანობა ეჭვს იწვევდა, მაგრამ ისინი კარგად არ იყვნენ მოწყობილი. უმეტეს სოფლებში არ ჰქონდათ პურეულის შესანახი საზოგადოებრივი ბეღლები, ხორბალს ინახავდნენ ორმოებში. მამასახლისები უკონტროლოდ განაგებდნენ მაღაზიებს და ხელს ითბობდნენ გლეხობის ხარჯზე.

თავიდან რომ აეცილებინათ ზარალი, ზოგჯერ სასოფლო საზოგადოებები მაღაზიებში დაცულ პურს ყიდდნენ და ფულს ათავსებდნენ საკრედიტო დაწესებულებებში. ხშირად კი სურსათის ნაცვლად საზოგადოებრივ ფონდში გლეხობისაგან აკრეფილი ფული შეჰქონდათ. ამ გზით შექმნილი საზოგადოებრივი კაპიტალი გამოყენებული უნდა ყოფილიყო საჭიროების დროს პურეულის

---

45 საქართველოს ცსია, ფონდი 17. ანაწერი, საქმე 9004 ბ, ფ. 26. საქმე 9013, ბ, ფ. 21—22.

შესაყიდად. 1893 წ. აღმოსავლეთ საქართველოს სასოფლო მაღაზიებსა და საწყობებში ინახებოდა 189699 ფ. პური, 49839 ფ. ქერი, 11612 ფ. სიმინდი, 802 ფ. ჭვავი. საზოგადოებრივი კაპიტალი შეადგენდა 409648 მანეთს[46].

დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა ნაკლებად ზრუნავდა პურის მაღაზიების მოწყობისათვის, ამჯობინებდა სასურსათო კაპიტალის ფონდების შექმნას. 1898 წ. დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთისა და აჭარის გამოკლებით) მოსახლეობის სასურსათო კაპიტალი შეადგენდა 103.155 მანეთს[47].

1900 წ. 1 იანვრისათვის საქართველოს გლეხობას საკრედიტო დაწესებულებებში შეტანილი ჰქონდა სასურსათო კაპიტალი 1,400000 მან. რაოდენობით[48]. მაგრამ ამ თანხას მთავრობა ატრიალებდა, გლეხობა კი თავისი დანაზოგით ვერ სარგებლობდა; იგი მისთვის მკვდარი კაპიტალი იყო. 1905 წ. რევოლუციის ბობოქარ დღეებში საქართველოს გლეხობამ, სხვა მოთხოვნილებებთან ერთად, სასურსათო კაპიტალის კომლთა შორის განაწილების მოთხოვნაც წამოაყენა.

ვაჭარ-შემსყიდველთა წინააღმდეგ ბრძოლაში, საქონლის მიმოქცევის სფეროდან მათი გამოდევნის საქმეში განსაკუთრებით დიდ როლს ეწინასწარმეტყველებდნენ სავაჭრო გამსაღებელ საზოგადოებებს, რომლებიც თითო-ოროლა გაჩნდნენ უკვე XIX ს. 80-იან წლებში.

1881 წლის „დროების“ ერთერთ ნომერში ასეთ განცხადებას ვკითხულობთ: „თიანეთის დამზოგველი საზოგადოება, რომელმაც დაიწყო თავის მოქმედება... ამით აცხადებს, რომ ის თავის წესდების ძალით ჰკისრულობს და ასრულებს მოთხოვნილებას ყველაფერ საგან საგნებზე, ე. ი. იყიდის მონდობილობით: ორმოცი ათას ფუთ თუშურ მატყლს, ოცი ათას ფუთ თუშურ ყველს, ექვსი ათას ფუთ მთის ერბოს, ასი ათას ქათამს და სხვა ფრინველს, ოცი ათას ბაკლავ ცხვარს.

ყველა აქ მოხსენებული ნაწარმოები თიანეთის მაზრის დამზოგველ საზოგადოებას აქვს თითქმის ხელში ყოველი დროისათვის,

---

[46] საქართველოს ცსია, საქმე 3333, ფურც 2—12

[47] Обзор Кутаисской губернии за 1897 г., стр. 13.

[48] Обзор Тифлисской губернии за 1899 г., стр. 9; საქართველოს ცსია, ფონდი 12 საქმე 629, ფურც. 6.

რადგან იგი საზოგადოება არის შემდგარი თვით ხსენებულ საგანთა მწარმოებლებისაგან. ვისაც ზემოხსენებულ საგანთა პირდაპირ ყიდვა სურს, მიმართოს საზოგადოებას და მიიღებს საქონელს"[49].

სამოქმედო ასპარეზზე ესოდენ ხმაურით გამოსულმა თიანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქტთა გამსაღებელმა საზოგადოებამ ვერ მიაღწია დასახულ მიზანს. მის მიერ ჩატარებული სავაჭრო ოპერაციების შესახებ ცნობები არაა შემონახული. საზოგადოებას თიანეთის მაზრის მოსახლეობის ცხოვრებაში კვალი არ დაუტოვებია.

უფრო წარმატებით მოქმედებდა 90-იან წლებში ე. წ. „ქიზიყის დეპო", რომელიც წარმოადგენდა მწარმოებელთაგან შემდგარ სოფლის მეურნეობის პროდუქტთა გამსაღებელ საზოგადოებას. 1896 წლის ათი თვის განმავლობაში საზოგადოების სავაჭრო ბრუნვა 40529 მან. შეადგენდა[50].

მიუხედავად იმისა, რომ „ქიზიყის დეპოს" მოქმედების ასპარეზი შეზღუდული იყო, მის გამოჩენას ვაჭრებში უკმაყოფილება გამოუწვევია. „კვალის" კორესპონდენტი იწერებოდა: „კარგად მოეხსენება ქართველ საზოგადოებას თუ რანაირად შეუწა სული ქვემო მაჩხაანის დეპომ ქიზიყის ვაჭრებს... და რა საკვირველია, რადგან ამ დეპოს წყალობით მთელი დღე მუხლმოკეცილი სხედან უვაჭრობის გამო"[51]. წერილის ავტორი ქიზიყელთა ამხანაგობის როლისა და მნიშვნელობის გადაფასებას ახდენს, მაგრამ ცხადია, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში საზოგადოებამ შეაფერხა ვაჭარ-მედუქნეთა საქმიანობა.

XIX ს. ბოლოს საკმაო რაოდენობით დაარსდა სავაჭრო ამხანაგობები დასავლეთ საქართველოში. მათ შორის უდაოდ დადებითი როლი შეასრულეს მეაბრეშუმეთა საზოგადოებებმა.

1895 წ. დაარსდა კუხის მეაბრეშუმეთა ამხანაგობა, რომელშიც 2000 წევრი ითვლებოდა. ამხანაგობის საპაიო კაპიტალი შეადგენდა 20 ათას მანეთს. საზოგადოება თანდათან აფართოებდა ოპერაციებს. 1903 წ. ამხანაგობამ მწარმოებელთა საჭიროებისათვის შეიძინა 10 ათასი კოლოფი აბრეშუმის მური, მწარმოებელთაგან იყიდა 9 ათასი ფუთი აბრეშუმის პარკი, რომელიც გაგზავნა საფ-

---

49 „დროება", 1881 წ., № 252.

50 „კვალი", 1896 წ., № 34.

51 „კვალი", 1896 წ., № 39.

რანგეთში. ამხანაგობის წლიური ბრუნვა შეადგენდა 300 ათას მანეთს[52].

წარმატებით საქმიანობდა აგრეთვე ქუთაისის მწარმოებელთა ამხანაგობა „კოლხიდა". ამხანაგობის მუშაობა გამოიხატებოდა იმაში, რომ იგი ყიდულობდა ბამბისა და აბრეშუმის თესლს გლეხთა საჭიროებისათვის და ვაჭარ-შემსყიდველთა გვერდის ავლით, უშუალოდ მწარმოებლებისაგან იძენდა აბრეშუმის პარკსა და ბამბას. 1903 წ. ამხანაგობის სავაჭრო ბრუნვა უდრიდა 216 ათას მანეთს, სუფთა მოგება—4000 მანეთს[53].

ანალოგიური ხასიათისა იყო, მაგრამ უფრო შეზღუდულ ფარგლებში მოქმედებდა ამხანაგობა „შუამავალი" (გურიაში) და ძველი სენაკის საზოგადოება (სამეგრელოში). XX ს. დასაწყისიდან აქა-იქ გაიხსნა აგრეთვე მომხმარებელთა კოოპერაციული მაღაზიები.

საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში სავაჭრო საზოგადოებებზე გაცილებით მეტი როლი შეასრულეს ფულის შემნახველ-გამსესხებელმა ამხანაგობებმა, სოფლის წვრილი კრედიტის ორგანიზაციებმა. საკრედიტო საქმის განვითარება კი გვასწავლის კ. მარქსი, წარმოდგება როგორც რეაქცია მევახშეობის წინააღმდეგ.

თბილისსა და ქუთაისში დაარსებულმა სათავადაზნაურო ბანკებმა თვით პრივილეგიური წოდებაც კი ვერ იხსნა მევახშეებისაგან. გლეხობას საერთოდ ხელი არ მიუწვდება ქალაქებში არსებულ ბანკებამდე. ამიტომ ქართულ პრესაში ბევრი იწერებოდა სასოფლო სალაროების დაარსების საჭიროებაზე.

XIX ს. 70-იან წლებში დაარსდა რუისის, კარდანახის, საბუეენისელის, თიანეთის, ჯიხაიშის, ხვანჭკარის, ხონის და სხვ. ფულის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობები. სასოფლო სალაროებს საფუძვლად ედებოდა საწევრო შესატანები, რასაც ემატებოდა პროცენტის მიღების მიზნით შეტანილი ანაბრები. სესხის სარგებლად დაწესებული იყო 10—12 პროცენტი. წლის ბოლოს ამხანაგობის გამგეობა ადგენდა შემოსავალ-გასავლის ანგარიშს. მიღებული მოგებიდან ნაწილი ეძლეოდა ამხანაგობის წევრებს დივიდენტის სახით, ნაწილი კი ირიცხებოდა სათადარიგო თანხაში. ამხანაგობათა უმეტესობა დღენაკლული აღმოჩნდა.

ფულის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობები თითქმის ყოველთვის განიცდიდნენ ფულადი თანხების ნაკლებობას (სახელმწი-

---

[52] Обзор Кутаисской губерния за 1903 г., стр. 39—40.

[53] იქვე.

ფო მათ არ ეხმარებოდა), რის გამო შეუძლებელი იყო ყველა მსურველის დაკმაყოფილება. 1878 წ. რუსისის ამხანაგობამ სესხად გასცა 7428 მან. კოოდანახისამ—5286 მანეთი[54]. ივრის ამხანაგობას 1880 წ. თავის წევრებზე გაცემული ჰქონდა 10442 მანეთი[55].

შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობების რიცხობრივ ზრდასთან ერთად ფართოვდებოდა მათი ფულადი ოპერაციები. 1900 წ. დასავლეთ საქართველოში ითვლებოდა 24 ამხანაგობა. 20 მათგანის ანგარიშებიდან ჩანს, რომ მათში გაერთიანებული იყო 2637 წევრი. ამხანაგობების საპაიო კაპიტალი უდრიდა 112722 მან., ანაბრები და სესხები—106003 მან., სათადარიგო კაპიტალი—11377 მან., წლიური სუფთა მოგება—15392 მან.[56].

ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ერთი ნაწილის აზრით კოოპერატიულ გაერთიანებებს სოციალისტური ხასიათი ჰქონდა. მათი საქმიანობა თითქოს მიმართული იყო კაპიტალისტური განვითარების ტენდენციის წინააღმდეგ (უნდა შეეჩერებინათ წვრილმწარმოებელთა ექსპროპრიაციის პროცესი) და ცხადად მოწმობდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის არაკაპიტალისტური განვითარების შესაძლებლობას. მაგრამ ჩვენს მიერ განხილული საზოგადოებების მოქმედების ანალიზი გვიჩვენებს, რომ იმდროინდელ კოოპერატივებში არაფერი იყო სოციალისტური და მათი გაჩენა მოასწავებდა მხოლოდ ვაჭრობა-კრედიტის ახალი, ევროპული, კაპიტალისტური ფორმების დანერგვას. ეს კი თავისთავად ქვეყნის პროგრესული განვითარების გზაზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

კოოპერაციის იდეის პროპაგანდამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო 1905—1907 წწ. რევოლუციის მომდევნო ხანაში. კოოპერაციულ მოძრაობაში ჩაბმული აღმოჩნდნენ საზოგადოების თითქმის ყველა ფენის წარმომადგენლები.

1910 წ. კანჩერი წერდა, რომ თანამედროვე მეურნეობის გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ცალკეულ მეურნეებს არ შეუძლია, გაერთიანებული ძალებით კი მისი მიღწევა ადვილიაო. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებები, სამომხმარებლო-გამსაღებელი და საკრედიტო ამხანაგობები დიდ დახმარებას გაუწევს ვლეხობას მიწათმოქმედების გაუმჯობესების, ყიდვა-გაყიდვის სწორი ორგანიზაციის და კრედიტის მიღების საქმეში. ამას აღიარებენ დას.

---

54 „დროება", 1880 წ., 57.

55 „დროება", 1881 წ., № 28.

56 ლენინგრადის ცსია, ფონდი 1233, ანაწერი 1, საქმე 159, ფურც. 20.

ევროპაში. ჩვენთან კი გლეხთა თვითშეგნების ზრდა და თვითმოქმედება ბაში სიმპტომად მიაჩნიათო[57].

1907 წლისათვის გერმანიაში ითვლებოდა 43470 სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, მომხმარებელ-გამსაღებელ და საკრედიტო ამხანაგობა, რომლებშიც გაერთიანებული იყო 3,5 მილ. კაცი. კოოპერაციულ გაერთიანებათა ასეთივე ფართო ქსელი არსებობდა ინგლისში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, სკანდინავიის ქვეყნებში და სხვაგან. რუსეთის ცარიზმი კი არა თუ ხელს არ უწყობდა გლეხთა კავშირების ზრდა-განვითარებას, არამედ პირიქით. აფერხებდა. 1908 წ. რუსეთში ითვლებოდა სულ 4944 კოოპერაციული გაერთიანება, 9-ჯერ ნაკლები. ვიდრე გერმანიაში.

ცარიზმი მხოლოდ იმიტომ ჩაება კოოპერაციულ მოძრაობაში. რომ უნდოდა იგი სასურველი მიმართულებით წაემართა. მეფის მთავრობა გარკვეულ ბრძოლას აწარმოებდა მაღალი მევახშური პროცენტის წინააღმდეგ, რადგან მევახშეები აჩანაგებდნენ მთავრობის საექსპლოატაციო ობიექტს—გლეხობას, ძალიან ამცირებდნენ მის გადახდისუნარიანობას. ფულის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობებიც თავის ოფიციალურ მიზნად მევახშეობის წინააღმდეგ ბრძოლას აცხადებდნენ, მაგრამ ცარიზმს აშინებდა მათი თვითმოქმედება. ამიტომ XX ს. დამდეგს მთავრობამ არსებითად შესცვალა წესდება. წვრილი კრედიტის ორგანიზაციის ძირითად ფორმად გამოაცხადა საკრედიტო ამხანაგობა. განსხვავებით ფულის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობისაგან, რომლის თანხას თვით გლეხები ქმნიდნენ საწევრო შენატანებით, საკრედიტო ამხანაგობის კაპიტალი დგებოდა სახელმწიფო ბანკის მიერ გაცემული სესხებისაგან და მასში მონაწილეობისათვის საპაიო შესატანი არ იყო აუცილებელი. სახ. ბანკის სესხის საფუძველზე მოქმედი საკრედიტო კოოპერატივები მთავრობამ თავისი ინსპექტორების მკაცრ კონტროლს დაუქვემდებარა.

1906 წ. ამიერკავკასიაში ითვლებოდა სულ 24 ფულის შემნახველ-გამსესხებელი და 3 საკრედიტო ამხანაგობა. 1907—1908 წწ. შეტანილ იქნა 110 თხოვნა-განცხადება საკრედიტო ამხანაგობის გახსნის შესახებ. დაკმაყოფილეს მხოლოდ 34. 1909 წ. ამიერკავკასიაში მოქმედებდა წვრილი კრედიტის 71 დაწესებულება, საიდანაც ნახევარზე მეტი დას. საქართველოზე მოდიოდა. მათი ოპერაციები შეზღუდული იყო, რის უმთავრეს მიზეზადაც კანჩერი

---

[57] **Канчер, Опиты экономических исследовании Кавказской деревни, Тифлис, 1910 г., стр. 35—37.**

სთვლიდა სახსრების სიმცირესა და სახ. ბანკის კრედიტის სიძვირეს (6,5%). ახლაც არ ივიწყებენო, წერდა იგი, ძველ ჩვეულებას „გაამდიდრონ სახელმწიფო ხაზინა გლეხთა ჯიბის ხარჯზე". თუ სარგებელი 3—4%-მდე შემცირდება და სასოფლო საზოგადოებების სასესხოთო კაპიტალებიც საკრედიტო ამხანაგობათა სალაროებში გადაირიცხება, მათი ოპერაციები მნიშვნელოვნად გაფართოვდებაო[58].

ეს წინადადება მიღებული არ ყოფილა, მაგრამ XX ს. 10-იან წლებში წვრილი კრედიტის ორგანიზაციების ქსელი მნიშვნელოვნად გაფართოვდა. 1913 წლისათვის ამიერკავკასიაში ითვლებოდა 335 საკრედიტო დაწესებულება. აქედან, საქართველოში მოქმედებდა 153 საკრედიტო და 48 ფულის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა.

1914 წ. 1 აპრილისათვის საქართველოში მოქმედი 195 საკრედიტო ამხანაგობის ბალანსი უდრიდა 2 088710 მან., ხოლო ფულის შემნახველ-გამსესხებელი 84 ამხანაგობისა—1 405569 მანეთს.[59].

საქართველოში ერთერთი უძლიერესი იყო ველისციხის საკრედიტო ამხანაგობა, რომელიც დაარსდა 1911 წ. ი. გოზალიშვილის ინიციატივით. 1914 წ. 1 იანვრისათვის ამხანაგობა, რომლის მოქმედების რაიონში ველისციხესთან ერთად შედიოდა მუკუზანი, ჩუმლაყი და ახაშენი, აერთიანებდა 635 წევრს. ველისციხის ამხანაგობამ სახელმწიფო ბანკისაგან სხვადასხვა დროს მიიღო კრედიტი 54605 მან-ის ოდენობით. დაძფუძნებელ-ხელმძღვანელები გადმოგვცემენ, რომ საკრედიტო ამხანაგობა კეთილმყოფელ გავლენას ახდენსო სოფლის მოსახლეობის ეკონომიურ ყოფაზე. იგი სესხებს ძირითადად სცემს გაზაფხულზე, როცა გლეხებს ყველაზე მეტად უჭირთ და ამით ათავისუფლებსო ამ უკანასკნელებს მოსავლის ავანსად და დაბალ ფასად გაყიდვის არასასურველი აუცილებლობისაგან.

ამხანაგობის კრედიტები ხელს უწყობს მევენახეობის გაუმჯობესება-გაფართოებას. ამხანაგობასთან არსებული საწყობი დროულად და პირიანად აწოდებს გლეხებს მავთულს (ვაზების ხსაკრავად), შაბიამანს, გოგირდს და სხვ. ამხანაგობამ მოსახლეობის ძირითადი ნაწილის სიმპათია დაიმსახურა, წვრილი ვაჭარ-მრეწველები ყველა მისი წევრები არიან, მსხვილებს კი არ აქვთ უკმაყოფილე-

---

[58] კ ა ნ ჩ ე რ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 39—49.

[59] „Кавказское хозяйство", 1914 г., № 19, стр. 12.

ბის საფუძველი, რადგან ფულის ტრიალის გაფართოების წყალობით, მათი ვაჭრობა ნაღდზე გაიზარდაო[60].

დამფუძნებელ-ხელმძღვანელები, რა თქმა უნდა ყოველგვარ დამსახურებას მიაწერდნენ საკრედიტო ამხანაგობებს, მაგრამ სინამდვილეში ისინი როდი ემსახურებოდნენ გლეხთა ფართო მასების ინტერესებს. საკრედიტო ამხანაგობათა სიკეთით ძირითადად შეძლებული გლეხობა სარგებლობდა. „კოლხიდის" კორესპონდენტი 1912 წ. წერდა: „ამ მოკლე ხანში წერილი საკრედიტო ამხანაგობანი დაარსდა ხარაგოულში, შორაპანში, თერჯოლაში და კორბოულში... ყველა ამ ამხანაგობათა უმთავრესი ნაკლი ის არის, რომ მათ წევრთა შორის წერილ მემამულე გლეხს იშვიათად ნახავთ. სინამდვილეში ხომ ყველგან საქმეს ან ინტელიგენცია უდგია, ან, უფრო ზუსტად, მსხვილი მემამულე გლეხობა და აზნაურობა. ამ ნაკლს ამთავითვე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, რომ მან ისეთი სიმპატიური დაწესებულებანი, როგორიც ხსენებული ამხანაგობებია, დასაწყისშივე არ ჩაკლას და „ჩარჩთა" დაწესებულებად არ გადააქცინოს"[61].

საზოგადოების ერთი ნაწილის ბრძოლა წმინდა გლეხური კოოპერაციისათვის განვითარების ტენდენციას ნაკლებად ცვლიდა. კაპიტალიზმის პირობებში მოქმედი კოოპერატივები კაპიტალისტური ბუნებით იმოსებოდნენ. მათ სოფლიდან უნდა განედევნათ მევახშე, დაენერგათ კრედიტის კაპიტალისტური ფორმები და მოეხდინათ გლეხობის სოციალური დეფერენციაცია უფრო ფართო ნაბიჯებით.

2. მიწის გამოსყიდვა და ყიდვა-გაყიდვა. მესაკუთრე გლეხთა კატეგორია

რეფორმის მომდევნო ხანის საქართველოში სოფლის მეურნეობის პროგრესული განვითარების მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი იყო ის წინააღმდეგობა, რომელიც არსებობდა მსხვილ თავადაზნაურულ მიწათმფლობელობასა (აქ შეგვყავს სახელმწიფო ხაზინაც) და წვრილ გლეხურ მეურნეობას შორის. ამ წინააღმდეგობის პრაქტიკულად დაძლევის ორი გზა შეიმჩნეოდა.

1. თავადაზნაურობა იწყებდა მეწარმეობას, აწყობდა მსხვილ რაციონალურ, დაქირავებულ შრომაზე დამყარებულ მეურნეობებს.

---

[60] „Кавказское хозяйство", 1914 г., № 3, стр 14—15.

[61] „კოლხიდა", 1912 წ., № 30.

ბაგრატ შექმნილ პირობებში განვითარების ასეთი გზა შეტად შეზღუდული იყო და მეწარმე თავადაზნაურობაც კი, თავი რომ დავანებებინა ბუღეთა რანტიეებს, ძალიან ხშირად მიმართავდა შრომა-მიღებას და კაბალურ იჯარას. მემამულეთა უმეტესობა მსხვილი მიწათმფლობელობის შესაბამის მსხვილი მეურნეობის მოწყობას ვერ ახერხებდა. 2. მიმდინარეობდა ფეოდალური მიწათმფლობელობის რღვევა. სანადელო და საიჯარო მიწებზე მოწყობილი გლეხური მეურნეობანი ექცეოდა სასაქონლო-ფულადი და კაპიტალისტური ურთიერთობის ორბიტაში, რის შედეგადაც ჩქარდებოდა მიწის გამოსყიდვისა და ყიდვა-ვაყიდვის პროცესი. წინაკაპიტალისტურ აგრარულ ურთიერთობათა ფორმებს თანდათან ეცლებოდა ნიადაგი. წვრილი გლეხური მეურნეობა შესაბამისობაში მოდიოდა წვრილ გლეხურ საკუთრებასთან. ხდებოდა გლეხობის კლასობრივი დიფერენციაცია. ერთ პოლუსზე იქმნებოდა კულაკურ-ფერმერული მეურნეობანი, მეორეზე კი სოფლის პროლეტარიატი არმია. ეს იყო გლეხებისათვის უფრო მისაღები ფორმა კაპიტალიზმის განვითარებისა. რომელმაც რეთორმის ნოძდევნო ხანის საქართველოში საკმაოდ ფართო მასშტაბი მიიღო. ამჯერად ჩვენ სწორედ განვითარების ამ მეორე გზასთან დაკავშირებული ზოგიერთი მოვლენა გვაინტერესებს.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ მემამულეებსა და გლეხებს შორის დაჭყარებულ სავალდებულო საადგილმამულო ურთიერთობას მეფის მთავრობა თვლიდა გარდამავალ ღონისძიებად. რეფორმის საბოლოო მიზნად კი გამოცხადებული იყო დროებითვალდებულ გლეხთა მიერ სანადელო მიწების საკუთრებაში გამოსყიდვა. ამით ყველაზე მეტად. რა თქმა უნდა, გლეხები იყვნენ დაინტერესებული.

<საგლეხო რეფორმის გატარებისას ჩადენილი ყველაზე დიდი ბოროტება, ჩვენი აზრით, იყო არა ჩამონაჭრების წყალობით გლეხთა ნადელების შემცირება, არამედ მიწათსარგებლობის საზღაურად გლეხთათვის მძიმე ვალდებულებების დაკისრება. ღალა-კულუბი ისეთი მაღალი იყო, რომ ხშირად მემამულეები ხელსაყრელად თვლიდნენ ჩამოჭრილი მიწებიც გლეხთა ფაქტიურ მფლობელობაში დაეტოვებინათ და ამ გზით უზრუნველეყოთ თავისთვის მუდმივი და გარანტირებული შემოსავალი.

ვალდებულების სიმძიმე გლეხს აიძულებდა ეზრუნა სანადელო მიწის გამოსყიდვისა და ამდენად სრული განთავისუფლებისათვის.

მაგრამ გამოსასყიდი ფასების სიდიდის გამო გლეხთა დიდი ნაწილი ვერ ახერხებდა „თავის დახსნას“ და მათი დროებით ვალდებულება ათეულ წლობით გრძელდებოდა. გლეხობა სულ მზარდი ოდენობით ისდიდა ღალა-კულუხს. თექვსმეტი წლის ღალის ჯამი უდრიდა ოფიციალურად დაწესებული ნადელის გამოსასყიდ ფასს, მაგრამ ამას მსედველობაში არავინ ღებულობდა და ამ ვადის გასვლის შემდეგაც დროებითვალდებულ გლეხებს მემამულეებთან სპეციალური გამოსყიდვის ხელშეკრულების დადება და კვლავ დიდი თანხის გადება აკირდებოდა იმ მიწების საკუთრებაში მიღებისათვის, რომელთა მაღალი ფასი მათი შრომა-გარჯის შედეგს წარმოადგენდა.

1868 წ. დამტკიცდა დებულება, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო მთავრობის სესხის გამოყენებით ნადელთა გამოსყიდვის წესები. დებულების თანახმად გამოსყიდვით ოპერაციებს განაგებდა მომრიგებელი სასამართლო და საგლეხო საქმის საგუბერნიო საკრებულო. ფულადი ღალის შემთხვევაში ნადელის გამოსასყიდი ფასი გამოიანგარიშებოდა წლიური ღალის 6% საფუძველზე კაპიტალიზაციის გზით. ნატურალური ვალდებულების დროს კი ეს ფასი მხარეების ნებაყოფლობითი შეთანხმებით განისაზღვრებოდა. სხვადასხვა კატეგორიის მიწების ყოველ დესეტინაზე მთავრობის სესხი შეადგენდა 20—60 მანეთს. დაწესებული სესხის ზომა XIX ს. 60——70-იან წლებშიც არ შეადგენდა ნადელთა ღირებულების 50—60%-ზე მეტს. 90-იან წლებში კი ამ თანხას შეიძლება დაეფარა მხოლოდ ნადელთა ღირებულების 30—40%. ამასთან, მთავრობის სესხი არ ვრცელდებოდა ბაღ-ვენახებზე და ჩამოჭრილ ნაკვეთებზე.

ნადელთა გამოსყიდვის პროცესის შემაფერხებელ ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენდა თავადაზნაურთა მამულების დავალიანება-დაგირავება. გამოსყიდვის ნაკაზის თანახმად, მემამულისათვის ნადელის ღირებულების გადაცემისას ამ თანხიდან უნდა გამორიცხულიყო მამულზე არსებული ვალი. ძალიან ხშირად ნადელთა გამოსასყიდი თანხა მემამულის ვალსაც კი ვერ ფარავდა და ეს უკანასკნელი უცბად კარგავდა შემოსავლის მთავარ წყაროს. ბუნებრივია, დავალიანებული მემამულეები არა თუ დაინტერესებული არ იყვნენ გამოსყიდვითი ოპერაციების დაჩქარებით, არამედ პირიქით, გლეხებისათვის ნადელების გამოსყიდვაზე უარის თქმით (რის უფლებაც მათ ჰქონდათ დებულებით), აფერხებდნენ ამ პროცესს. ზოგჯერ მემამულე კი იძლეოდა ნადელთა გამოსყიდვის ნებას, მაგრამ როცა აქტი შედგებოდა, საქმის მსვლელობაში ირკვეოდა, რომ ამ

მემამულის მიწის გაყიდვა (გლეხთა ნადელების ჩათვლით), სესხის სარგებლის გადაუხდელობის გამო, აკრძალული იყო და ამიტომ საგამოსყიდვო ხელშეკრულება დაუმტკიცებელი რჩებოდა.

1876 წ. მეფის ნაცვლის საბჭოსთან არსებულ გლეხთა მომწყობ მთავარ კომიტეტში განხილულ იქნა ნადელთა გამოსყიდვის ოპერაციების დაჩქარების საკითხი. სხდომაზე აღინიშნა, რომ 3 წლის განმავლობაში ქუთაისის საგუბერნიო დაწესებულებებმა მიიღეს ნადელთა გამოსყიდვის 875 ხელშეკრულება. ნადელთა გამოსყიდვის სურვილი სხვასაც ბევრს აქვს, მაგრამ თავს იკავებენო შემდეგი მოსაზრებით: 1. დღემდე შემოსულ ნადელთა გამოსყიდვის აქტები დაუმტკიცებელია და ამიტომ გლეხები ეჭვობენ ელჩისებიან თუ არა ისინი ოდესმე კანონიერ დოკუმენტს. 2. ბევრი გლეხი ელოდება იმ დავის გარჩევას, რომელიც მათ აქვთ მემამულეებთან ნაყიდი მიწების თაობაზე. 3. ბევრი გლეხი ელოდება 9 წლიანი ვადის გასვლას, რადგან იმედოვნებენ, რომ ამის შემდეგ მიწის მესაკუთრენი გახდებიან გამოსყიდვის გარეშე.

გამოსყიდვითი ოპერაციები—ნათქვამია კომიტეტის ჟურნალში—შეიძლება დაჩქარდეს იმ შემთხვევაში თუ გლეხებს მიეცემა ყველა მიწების (მათ შორის ჩამონაჭრების) გამოსიყდვის უფლება და მათ გაეხსნება მოკლევადიანი სესხები ისეთივე პირობით, როგორც იძლევიან მიწის გირაოს ქვეშ საადგილმამულო ბანკები.

ამჟამად, ვკითხულობთ შემდეგ ჟურნალში, თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში 60199 კ. დროებითვალდებული გლეხია — აქედან 20 ათას კომლს შეუძლია ნადელი გამოისყიდოს საკუთარი სახსრებით. 40 ათას კომლს კი დასჭირდება სესხი 12 მილ. მანეთის ოდენობით. თუ ეს ღონისძიება განხორციელდა, 20 წლის შემდეგ ყველა გლეხი მესაკუთრედ იქნება გადაქცეული, რაც საშუალებას მოგვცემს გავაუქმოთ საგლეხო დაწესებულებანი ესოდენ ძვირი რომ უჯდება სახელმწიფოს[62].

გამოსყიდვითი ოპერაციების დასაჩქარებლად ნავარაუდევი ღონისძიებანი პრაქტიკულად არ გატარებულა და არ გატარებულა ძირითადად იმიტომ, რომ მთავრობის წრეებში სჭარბობდა იმ დროს გაბატონებული სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი გლეხობის მესაკუთრედ გადაქცევის მიზანშეუწონლობის შესახებ. 1883 წ. ამიერკავკასიის მთავარმმართველი, სპეციალურ ბარათში გლეხთა საქმეზე, საჭიროდ მიიჩნევდა გამოსყიდვის ოპერაციებთან დაკავშირებით ანგარიში გაწეოდა მხარის სოციალურ-ეკონომიური წყობის

---

62 ლენინგრადის ცსია, ფონდი 1268, ანაწერი 21, საქმე 216, ფურც. 2—6.

თავისებურებებს. ერთ-ერთი თავისებურება კი მისი აზრით იმაში მდგომარეობდა, რომ აქაური მემამულეები, უმნიშვნელო ნაწილის გამოკლებით, არ ეწეოდნენ საკუთარ მეურნეობას და შემოსავალს ღებულობდნენ გლეხთა სანადელო მიწებიდან. ამ შემოსავლის (ღალა-კულუხის) გამოსასყიდ თანხაზე გადაყვანის შემთხვევაში მიწათმფლობელნი დაკარგავდნენ თავისი ცხოვრების მყარი უზრუნველყოფის მთავარ წყაროს, რადგან გამოსასყიდ თანხას მალე გაფლანგავდნენ, ისე რომ ვერ მოახერხებდნენ მის გამოყენებას მწარმოებლურად და ამდენად მაღალი წოდება გადაიქცეოდა სახელმწიფოს ტვირთად. ამასთან ერთად—აგრძელებს დონდუკოვ-კორსაკოვი,—იმის გამო, რომ საკუთრების უფლებასთან განუყოფლად არის დაკავშირებული გასხვისების უფლება, არ შეიძლება არ გვაშინებდეს ის რეალური შესაძლებლობა, რომ გამოსყიდვის პრინციპის მკაცრად გატარება გამოიწვევს გლეხთა მთელი მასის მიერ მიწის დაკარგვას ცალკეულ პირთა სასარგებლოდ.

მთავარმმართველი დონდუკოვ-კორსაკოვი ამ აზრს ავრცელებდა სახელმწიფო გლეხებზეც. მათ არ უნდა მიეცეს ნადელების ყიდვა-გაყიდვის ნება. მიწაზე საკუთრების უფლება უნდა დარჩეს სახელმწიფოს ხელში. ქვეყნის საწარმოო ძალების ზრდის პარალელურად გლეხთა გადახდისუნარიანობა ამაღლდება. ამიტომ ბაზინისათვის არახელსაყრელია დაკარგოს საადგილმამულო გბმოსაღების თანდათან გაზრდის უფლება, რომელიც განუხორციელებელი იქნებაო გლეხობის მესაკუთრეთა კატეგორიაში გადასვლის შემდეგ.

ამგვარად, დაასკვნიდა მთავარმმართველი, ამიერკავკასიაში აგრარული საკითხის მოწესრიგების არსი მდგომარეობს ამჟამად არსებულ გლეხთა მიწათსარგებლობის ფორმისა და მის საზღაურად მიწათმფლობელთა სასარგებლოდ დაწესებული ვალდებულებების განსაზღვრაში[63].

მთავრობის ასეთი თვალსაზრისი, დაწესებული სესხის არახელსაყრელობა და ხელისუფლების ორგანოთა ბიუროკრატიზმი, რა თქმა უნდა, კი არ აჩქარებდა, არამედ პირიქით, აფერხებდა გლეხობის გადასვლას მესაკუთრეთა კატეგორიაში.

მთავრობის აგრარული პოლიტიკა უდაოდ გარკვეული ფაქტორი იყო, მაგრამ ნადელთა გამოსყიდვის პროცესი, მისი ნელი თუ სწრაფი ტემპი, ძირითადად განპირობებული იყო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობით, სასაქონლო ფულადი ურთიერთობის, კაპიტალიზმის განვითარების დონით.

---

63 ლენინგრადის ცსია, ფონდი 573, ანაწერი 8, საქმე 9476, ფურც. 4—5.

მიწას თავისთავად, ბუნებრივი სახით, ღირებულება არა აქვს. რადგან ის არ წარმოადგენს კაცობრიობის შრომის პროდუქტს. მაგრამ იმის გამო, რომ ადამიანთა ერთმა ნაწილმა მიითვისა მიწაზე კერძო საკუთრების უფლება, მიწას ფასი დაედო და იგი შეეიდა სავაჭრო ბრუნვაში. „საქართველოში „ნასყიდი" მეტად ძველი ინსტიტუტია. ის ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვების წინარე ხანაში უკვე არსებობდა იურიდიულად სავსებით გაფორმებული... ყიდვა-გაყიდვის სფეროში იყო მოქცეული რიგინდარა მიწა, ე. ი. საკუთრების პრინციპი ფართოდ იყო გავრცელებული წარმოების ამ ძირითად საშუალებაზე"[64].

მიუხედავად იმისა, რომ მიწა სავაჭრო ბრუნვაში იყო შესული, ფეოდალიზმის ხანაში მიწის მესაკუთრე და ბატონი თითქმის ყოველთვის ერთმანეთს ემთხვეოდა, საკუთრების მონოპოლია ფეოდალთა კლასს ეკუთვნოდა. მიწის მუდმივი მოსარგებლე-დამმუშავებელი ყმაგლეხობა იყო, მაგრამ, ბუნებრივია, მას არასდროს არ აკმაყოფილებდა ბატონყმური ურთიერთობა და მიწის პირობით მფლობელობა. განვითარების გარკვეულ საფეხურზე გლეხობაში იზრდება მისწრაფება მესაკუთრეობისაკენ. გვიანფეოდალური ხანის საქართველოს გლეხობა უკვე საკმაოდ მასობრივად არის ჩაბმული მიწის ყიდვა-გაყიდვის პროცესში. ყმა-გლეხის მესაკუთრეობა კი თავისთავად ფეოდალური საკუთრებისა და მის საფუძველზე აღმოცენებული ბატონყმური ურთიერთობის რღვევის მაჩვენებელია.

ფეოდალური მეურნეობიდან კაპიტალიზმზე და მიწის თავისუფალ გლეხურ საკუთრებაზე გადასვლის წინაპირობად კ. მარქსი მიიჩნევდა ნატურალური რენტის ფულადით შეცვლას, რაც სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების შედეგს წარმოადგენდა. ნატურალური რენტის გადაქცევა ფულად რენტად, გვასწავლის მარქსი, „ერთი მხრით იმისათვის გამოიყენება, რომ თანდათანობით მოხდეს ძველი მფლობელი გლეხების ექსპროპრიაცია და მათი კაპიტალისტური მოიჯარადრეებით შეცვლა; მეორე მხრით ამას იქამდე მივყავართ, რომ წინანდელი მფლობელი გამოისყიდის რენტის გადახდის ვალდებულებას და იქცევა დამოუკიდებელ გლეხად, სრული საკუთრების უფლებით მის მიერ დამუშავებულ მიწაზე"[65].

---

64 ნ. ბერძენიშვილი, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, 1, 1960 წ., გვ. 143.

65 კ. მარქსი, კაპიტალი, ტ III. ნაწ., 2, გვ. 317.

კ. მარქსი ასეთ დასკვნამდე მიიყვანა დასავლეთ ევროპაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიურ პროცესებზე დაკვირვებამ. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებისა და კაპიტალის პირველადი ღაგროვების გამოხატულებას ინგლისში წარმოადგენდა გლეხობის თითქმის სრული ექსპროპრიაცია და მათ ნასაღგომევზე კაპიტალისტ მოიჯარეთა, ბურჟუა ფერმერთა ცხვრის ფარების გაშლა („ცხვრებმა შეჭამეს ადამიანები"). დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში კი ფეოდალური მეურნეობის რღვევა მიმდინარეობდა თავისუფალ გლეხურ და ბურჟუაზიულ საკუთრებაზე გადასვლის გზით.

საქართველოში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა უფრო ნელი ტემპით ვითარდებოდა და ბატონყმური მეურნეობა მეტ გამძლეობას იჩენდა, მაგრამ ფეოდალური საქართველოს ეკონომიკა საღალო მეურნეობის საფუძველზე იყო აგებული და იქ თითქმის ყოველთვის ჭარბობდა პროდუქტების ფორმაში მოცემული რენტა. განსხვავებით მებეგრე (ბატონის მამულში მომუშავე) გლეხებისაგან საკუთარ ნადელზე, საკუთარ მეურნეობაში მომუშავე ღალის გადამხდელი გლეხები შედარებით მეტი დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ. მათ ჰქონდათ ქონების დაგროვებისა და შემდეგ მიწისა და თავისუფლების გამოსყიდვის მეტი საშუალება. საქართველოს გლეხობა თანდათან ზრდიდა საკუთარი, ნასყიდი მიწის ფონდს.

ბატონყმობის გაუქმებამდე საქართველოს გლეხობის მიერ შესყიდული მიწების ფართობის შესახებ სტატისტიკური ცნობები არ გაგვაჩნია. მხოლოდ ვიცით, რომ საწესდებო სიგელების შედგენის დროს დასავლეთ საქართველოს დროებითვალდებულმა გლეხებმა მომრიგებელ მოსამართლეებს წარუდგინეს 63 ათასზე მეტი ნასყიდობის სიგელი და სხვა სახის დოკუმენტები, მოშდევნო სანაში, 1876 წლამდე, კიდევ დამატებით 21 ათასი სიგელი[66]. საკმაო რაოდენობით წარადგინეს ნასყიდობის აქტები აღმოსავლეთ საქართველოს გლეხებმაც, მაგრამ კონკრეტული ციფრი მასალებში არ არის ნაჩვენები.

რეფორმამდელი ხანის რუსეთში მიწის ყიდვა-გაყიდვაში ყმა გლეხობის მონაწილეობა შედარებით იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა. მესაკუთრეთა კატეგორიაში გადასვლას გლეხური წარმოშობის ვაჭარ-ბურჟუველები ანერხებდნენ მხოლოდ. ბარშჩინისა და თემური მფლობელობის ბატონობის პირობებში გლეხთა მასისათვის აზრი არ ჰქონდა მიწის ყიდვას და კანონმდებლობაც ზღუ-

---

[66] ლენინგრადის ცსია, ფონდი 1181, ანაწერი XV, საქმე 167, ფურც. 23- 24.

დავდა ყმა გლეხთა გამამულიანებას. გამოდიოდნენ რა რუსეთში არსებული პრაქტიკიდან, მთავრობის მოხელეები საქართველოშიც ზღუდავდნენ გლეხთა საკუთრების გაფართოებას. ქართველმა მემამულეებმაც რომელნიც მთავრობის მხარდაჭერას ეყრდნობოდნენ. უარი თქვეს ეცნოთ გლეხთა საკუთრების უფლება ბატონყმობის დროს შეძენილ მიწებზე იმ საბაბით, რომ კანონიერად (ნოტარიალური წესით) დამტკიცებული ნასყიდობის სიგელები მათ არ გააჩნდათ. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ გლეხთა ბევრი ნაყიდი მიწა. საწესდებო სიგელების ძალით, ნადელებზე იქნა მითვლილი, ბევრიც ჩამონაჭრების სახით მემამულეთა სრულ განკარგულებაში გადავიდა.

ბუნებრივია, გლეხობა ვერ შეურიგდებოდა თავის ასეთ გაძარცვას. მათ საჩივრები აღძრეს მემამულეთა წინააღმდეგ და სასამართლოებში წარადგინეს ნასყიდობის სიგელები. მაგრამ გლეხთა საჩივარ-საბუთების გარჩევა ათეული წლებით ჭიანურდებოდა.

საქმის გაჭიანურებით განსაკუთრებით უკმაყოფილო ის გლეხები იყვნენ, რომელთაც სახნავ-სათესი მიწები არ ჰქონდათ მიღებული. ერთი მათგანი „დროებისათვის" გაგზავნილ კორესპონდენციაში წერდა: „რომელ გლეხსაც კი ნადელში .აქვს მიჩენილი მის სარგებლობაში მყოფი მამული, იმათ რა უჭირთ, თუგინდ შუამავალმა არ გაარჩიოს მათი ძველი ნასყიდობები, მიწებს მებატონე ვერ ჩამოართმევთ და შესყიდვის უფლება ყოველთვის აქვთ. ჩვენ ვართ გაჭირვებული და წყალწაღებულნი—ის დროებითვალდებული ნაყმევები, რომელთაც გარდა სამოსახლოისა და ვენახისა, ყველა მიწები ჩამოჭრილი გვაქვს და საზიაროდაც ვეღარ ვმოულობთ შევჩერებივართ მხოლოდ ჩვენს ძველ ნასყიდობებს, რომლებითაც ძველ დროში შეგვიძენია ის ჩამოჭრილი მიწები და რომელთა საბუთები საჭიროა მალე გაირჩეს[67].

მეფის მთავრობის მოხელეთა აზრით გლეხთა ნასყიდობის დოკუმენტების გარჩევას აძნელებდა შემდეგი: 1. ყველა შედგენილი იყო ქართულად. ზოგ მათგანში ძნელი იყო ნაწერის გარჩევა და შინაარსის გაგება. 2. აღმოჩნდა რამდენიმე ყალბი დოკუმენტი, რამაც საბაბი მისცა მემამულეებს დაეწყო ლაპარაკი გლეხთა ნასყიდობის სიგელების სიყალბეზე საერთოდ. 3. დოკუმენტებში არ იყო აღნიშნული მიწის ადგილმდებარეობა, ფართობი და საზღვრები, რის გამოც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საჭირო ხდებოდა ადგილზე მისვლა და ნაკვეთების შემოწმება. 4. ბევრ დოკუ-

---

[67] „დროება", 1884 წ., № 51.

მენტში არ იყო აღნიშნული მისი შედგენის დრო და ადგილი, ზოგსაც მხარეების ხელმოწერის ნაცვლად ამშვენებდა ჯვრები. თვით საქმის გარჩევის დროს გლეხები ვერ ახერხებდნენ ნათლად გამოეთქვათ თავიანთი პრეტენზიები და დაესაბუთებინათ იგი. ამით კარგად სარგებლობდნენ მემამულეები და უმეტეს შემთხვევაში ახერხებდნენ მიწაზე გლეხთა კერძო საკუთრების უარყოფას[68].

გაუთავებელი სასამართლო პროცესებით თავმობეზრებული გლეხები, რომლებმაც რამდენადმე დაკარგეს რწმენა თავისი დოკუმენტების ძალისადმი, იძულებული იყვნენ ნადელებთან ერთად ხელმეორედ გამოესყიდათ საკუთარი მიწები. თავის მხრივ მემამულეებიც ერიდებოდნენ ზედმეტი რისკის გაწევას და ამჯობინებდნენ შედარებით დაბალ ფასად დაეთმოთ გლეხთათვის ის ნადელები, რომელთა დიდ ნაწილს სადაო მიწები შეადგენდა. ასეთი გარიგებების გზით ქუთაისის გუბერნიაში 1876 წლამდე შეწყვეტილ იქნა 30 ათასი დოკუმენტის საფუძველზე წარმოებული საადგილმამულო დავა[69].

საგლეხო დაწესებულებანი სტიმულს აძლევდნენ საკითხის ასეთ გადაწყვეტას. ისინი ნასყიდობის სიგელებს რიგის მიხედვით კი არ არჩევდნენ, არამედ უკავშირებდნენ მას მოლაპარაკებას ნადელთა გამოსყიდვის თაობაზე. მაგრამ საქმის ასეთ მიმართულებას, მთავრობის მოხელეთა აღიარებით, თან ახლდა უარყოფითი მხარეებიც. გლეხებს ხანგრძლივი დროის განმავლობაში ღალა-კულუხის გადახდა უხდებოდათ იმ ნაკვეთებზეც, რომლებსაც თავის საკუთრებად თვლიდნენ. გლეხთა ბევრი ნაყიდი მიწა გადასული იყო მემამულეთა ხელში ჩამონაჭრების სახით, რომლებსაც თავადაზნაურები თავის სურვილისამებრ იყენებდნენ—აგირავებდნენ, ყიდდნენ და სხვ. გლეხები კი თავისი უფლებების დაცვას ვერ ახერხებდნენ. ასეთ პირობებში ნასყიდობის სიგელთა გარჩევის დაგვიანება და მისი დაკავშირება საგამოსყიდვო ოპერაციებთან, რომელიც ნელა მიმდინარეობდა, გლეხობის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა.

√შექმნილი მდგომარეობიდან ვითომდა გამოსვლის მიზნით, 1877 წ. მთავრობამ დაავალდებულა გლეხები ერთი წლის განმავლობაში წარედგინათ მომრიგებელ მოსამართლეებთან ყველა ის დოკუმენტი, რომელნიც ჯერ კიდევ ხელზე ჰქონდათ მათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ნასყიდობის სიგელები არანამდვილად იქნებოდა ცნობილი. მომრიგებელ მოსამართლეებს კი, მთავრობის მითითების

---

68 ლენინგრადის ცსია, ფონდი 1181, ანაწერი XV, საქმე 167, ფურც. 23—26.
69 იქვე, ფურც. 27.

თანახმად მხოლოდ ის საბუთები უნდა გაერჩიათ, რომლებშიც აღნიშნული იყო ნაყიდი მიწის მდებარეობა და საზღვრები[70].

მთავრობის მოხელეებმა კარგად იცოდნენ, რომ ძველ ნასყიდობის სიგელთა დიდ უმრავლესობაში არ იყო აღნიშნული მიწის მდებარეობა და საზღვრები. რადგან მათი შედგენის დროს არ იგრძნობოდა ამის საჭიროება. ამიტომ მთავრობამ ზემოაღნიშნული დადგენილების მიღებით ფაქტიურად უარი ეთხრა გლეხობის დიდ ნაწილს ბატონყმობის დროს შესყიდულ მიწებზე. ამის შემდეგ მნიშვნელოვან წილად შეწყდა დავა ნაყიდი მიწების თაობაზე.

ძალიან ცოტა იყვნენ ისეთი გლეხები ბატონყმობის დროს შესყიდული მიწები საკუთრებად რომ დაუმტკიცდათ. მაგალითად, 1869 წ. თბილისის გუბერნიის მომრიგებელმა შუამავლებმა გაარჩიეს გლეხთა 164 ნასყიდობის სიგელი. მოსამართლეებმა გლეხთა საკუთრებად აღიარეს მიწები შესყიდული 36 სიგელით, 128 სიგელი კი უარყოფილი იქნა როგორც არანამდვილი[71]. 1875 წ. გლეხთა საკუთრებად იქნა ცნობილი 18, ხოლო 1877 წ.—5 ნაკვეთი[72].

ამგვარად, გლეხობის დიდი უმრავლესობა მათ მიერ რეფორმამდე შესყიდული მიწების მესაკუთრედ არ სცნეს. ისინი იძულებული გახდნენ მეორეჯერ შეესყიდათ ეს ნაკვეთები ან უარი ეთქვათ თავის პრეტენზიებზე.

მიწის ყიდვა-გაყიდვასთან ერთად გახშირდა ყმაგლეხთა თავდასხმის შემთხვევებიც. 1850—1864 წწ. დასავლეთ საქართველოში ბატონყმური დამოკიდებულებისაგან გამოსყიდვის გზით განთავისუფლდა 1314 კომლი გლეხი. მიწით განთავისუფლების შემთხვევაში გლეხობა მებატონეს უხდიდა კომლზე საშუალოდ 435 მან. უმიწოდ განთავისუფლების დროს კი—243 მანეთს. თავისუფლების მოპოვება ჯდებოდა მამრობითი სქესის ყოველ სულზე საშუალოდ 128 მან[73].

მიწის ყიდვა-გაყიდვაში აქტიურად მონაწილეობდნენ სახასო, შემდეგ სახელმწიფო გლეხებიც. რუსეთის მთავრობამ მართალია აკრძალა სახაზინო მიწის გაყიდვა, მაგრამ გლეხები ნაკლებად ემორჩილებოდნენ ამ ბრძანებას და სახაზინო მიწა ისევე შედიოდა სავაჭრო ბრუნვაში, როგორც კერძო მესაკუთრული. სახელმწიფო გლეხები ნაყიდ მიწებს თავის საკუთრებად თვლიდნენ. მეფის მთავრობამ კი გლეხთა მიწის ნასყიდობის დოკუმენტთა დიდი ნაწილი XIX ს.

---

70 ლენინგრადის ცსია, ფურც. 27—28.

71 საქართველოს ცსია, ფონდი 17, საქმე 8980 ბ, ფურც. 83.

72 იქვე, საქმე 8995ბ, ფურც. 14, საქმე 9000ბ, ფურც. 5[illegible].

73 СХАО, т 1, стр. 700—701, 708—709.

70-იან წლებში არანამდვილად სცნო და ამდენად მიწები უნდა დაბრუნებოდა ძველ მფლობელებს. მაგრამ, როგორც გადმოგვცემს ეგიაზაროვი, მიწების დაბრუნება შეუძლებელი იყო ფაქტიურად და იურიდიულად, რადგან ეს სადაო მიწები გადავიდა გლეხთა მფლობელობაში 20, 30, 40 წლის და მეტის ხნის წინ და თანაც საკუთარი ფონდი გლეხებმა შექმნეს არა მარტო სახაზინო მიწების მიტაცებით, არამედ კერძო მიწების ყიდვითაც, თუმცა კანონის ფორმალობის დაუცველად. ამ მიწების დაბრუნების მოთხოვნა არ წამოუყენებია არცერთ კერძო პირს მისი უიმედობის გამო, რადგან თავდაპირველი ფორმალურად არასწორი გაყიდვა განმტკიცდა მფლობელობის ხანდაზმულობით. რაც შეეხება სახაზინო მიწას, რუსეთის კანონების ძალით იგი ამოღებული იყო ხანდაზმულობის ზემოქმედებისაგან და ამდენად, აცხადებდა სახელმწიფოებრივი თვალსაზრისის მატარებელი ეგიაზაროვი, გლეხთა საკუთრებად არ შეიძლება ცნობილიყო ის მიწები, რომელიც ადრე სახელმწიფოს ეკუთვნოდა[74].

XIX ს. 80-იანი წლებისათვის ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო გლეხები სხვადასხვა დოკუმენტებით თავის საკუთრებად აცხადებდნენ 43344 დეს. მიწას. მაგრამ მთავრობამ მათ უდაო საკუთრებად სცნო მხოლოდ 20 ათასი დესეტინა. თბილისის გუბერნიაში კი სახელმწიფო გლეხთა საკუთრებად აღიარეს 10 ათასამდე დესეტინა მიწა. ხაზინასა და სახელმწიფო გლეხებს შორის საადგილმამულო დავა ბევრ მიწის ნაკვეთზე თვით 1917 წლამდე გრძელდებოდა.

ზემოთ მოტანილი მასალა ცხადყოფს, რომ მიწის გამოსყიდვას და ყიდვა-გაყიდვას გვიანფეოდალური ხანის საქართველოში საკმაოდ ფართო ხასიათი ჰქონდა მიღებული, რომ ქართველმა გლეხობამ ფეოდალთა მიწის საკუთრების მონოპოლიაზე იერიში დაიწყო ჯერ კიდევ ბატონყმობის გაუქმებამდე.

XIX ს. 60-იანი წლების რეფორმებმა დააჩქარა ფეოდალური ურთიერთობის რღვევა, მაგრამ ბოლომდე ვერ მიიყვანა გლეხთა განთავისუფლების საქმე. მიწის ფეოდალური საკუთრების შენარჩუნების საფუძველზე გარკვეულ ფარგლებში კვლავ რჩებოდა წინააღმდეგობა მწარმოებლური ძალების ხასიათსა და წარმოებით ურთიერთობებს შორის. რეფორმის მომდევნო ხანაში მიმდინარეობდა ამ წინააღმდეგობის დაძლევის სტიქიურ-ეკონომიური პროცესი, რომელიც უმთავრესად გამოიხატებოდა ფეოდალური საკუთრების რღვევასა და თავისუფალ გლეხურ საკუთრებაზე გადასვლაში.

---

74 СМИЭБГЗК. т. I, стр. 197—207.

რეფორმის მოძველებული ხანის საქართველოში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების შედეგად საკმაო სწრაფად მიმდინარეობდა ნატურალურიდან ფულად რენტაზე გადასვლის პროცესი.

ცნობილია, რომ სახელმწიფო გლეხთა ღალა-გადასახდელების კომუტაცია ჯერ კიდევ XIX ს. 40—50-იან წლებში მოხდა და ამის შემდეგ სახაზინო მიწებით სარგებლობის საზღაურს სახელმწიფო ფულით იღებდა. სახელმწიფო გლეხები კი საქართველოს გლეხური მოსახლეობის ნახევარს შეადგენდნენ.

ნატურალურმა რენტამ დიდი ხვედრითი წონა შეინარჩუნა დროებითვალდებული გლეხებისა და მემამულეთა აგრარულ ურთიერთობაში. კონდრატენკოს რედაქციით გამოცემული სტატისტიკური კრებულის მონაცემებით აღმოსავლეთ საქართველოს დროებითვალდებული გლეხები მემამულეებს უხდიდნენ: ფულად—ეზოებისათვის—37061 მანეთს. ნატურით—ე. წ. კულუხს, ყურძნის ან ღვინის მოსავლის მეოთხედს, რომელიც ფულზე გადაყვანით შეადგენდა 271527 მან., ღალას—ხორბლეულის მოსავლის მეოთხედს, რომლის ფულადი ღირებულება იყო 110646 მან. წლიური ღალა-გადასახდელების ჯამი უდრიდა 420236 მან. კომლზე საშუალოდ—29 მანეთს[75]

ჩვენი აზრით, კრებული ასახავს დებულების მიერ დაწესებულ ნორმებს (საკარმიდამოსათვის ფულადი გამოსაღები, ბაღ-ვენახსა და სახნავზე მოსავლის მეოთხედი), რომელშიც ცხოვრების ფაქტიურ მიმდინარეობას მნიშვნელოვანი ცვლილებები შეჰქონდა. მართლაც სხვა მასალიდან ჩანს, რომ გლეხები არა მარტო ეზოებისათვის იხდიდნენ ფულად გამოსაღებს, არამედ საერთოდ გადადიოდნენ ნატურალურიდან ფულად რენტაზე. ასე მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოში ნატურალურიდან ფულად რენტაზე გადავიდა: 1869 წ. —380 კ., 1875 წ. — 350 კ., 1877 წ. — 300 კ., 1878 წ. 300 კომლი დროებითვალდებული გლეხი[75].

1875 წ. კომლობრივი აღწერის მონაცემებით, უკვე იმ დროს დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა მაზრებში დროებითვალდებული გლეხების ღალა-გადასახდელთა ფულადი ნაწილი მერყეობდა 20—40%-ს შორის[77].

1902 წლისათვის საქართველოში დროებითვალდებულ მდგომარეობაში დარჩენილი გლეხებიდან ფულად ღალაზე იყო გადასული:

---

77 ССДЗХЗК, დამატება II, გვ. 151.

76 ცნობები აღებულია შესაბამისი წლების თბილისის გუბერნიის მიმოხილვებიდან.

75 ССДЗХЗК, დამატება II, გვ. 162—177.

სიღნაღის მაზრაში—650 კ., დუშეთის—140 კ., თბილისის—278 კ., ბორჩალოს—623 კ., თელავის—380 კ., გორის—1072 კ., ონურგეთის—205 კ., შორაპნის—147 კ., ლეჩხუმის მაზრაში—868 კომლი გლეხი[78].

მნიშვნელოვანი იყო ფულადი რენტის ხვედრითი წონა ხიზნების ღალა-გადასახდელებში. აღმოსავლეთ საქართველოს ხიზნები XIX ს. 80-იან წლებში ფულით იხდიდნენ 54451 მან. იმავე ხანისათვის მარტო ზუგდიდის მაზრის ხიზანთა ფულადი გადასახდელები შეადგენდა 7949 მანეთს[79]. ამასთან ერთად უნდა გავიხსენოთ, რომ საიჯარო ურთიერთობაში პროდუქტადი და ფულადი რენტის მასშტაბი XIX ს. 90-იან წლებში უკვე თანაბარი იყო და უკანასკნელი ამჟღავნებდა გაბატონების ტენდენციას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ პროდუქტადი ღალა-კულუხის საკმაოდ დიდი მასშტაბით შენარჩუნების მიზეზი მნიშვნელოვან წილად იყო ტრადიციისა და ჩვეულების ძალა. მთავრობას რომ მოეხერხებინა ნატურალურ ვალდებულებათა ღირებულების დადგენა და მისი ფულზე გადაყვანა, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა იმდენად იყო განვითარებული, რომ გლეხები ძალ თუ ისე მოახერხებდნენ ღალა-კულუხის ფულით დაფარვას. ეს იმითაც დასტურდება, რომ დასავლეთ საქართველოში, მიუხედავად ნატურალური ღალის საკმაო დიდი მასშტაბით შემორჩენისა, გლეხობამ მთავრობის სესხის გამოყენების გარეშე შესძლო 30 წლის განმავლობაში ნადელთა გამოსყიდვისათვის გადაეხადა 7 მილ. მანეთზე მეტი. ამდენად, ჩვენი აზრით, ნატურალური რენტის შემორჩენის მიზეზი იყო არა იმდენად ეკონომიური ფაქტორი, რამდენადაც მთავრობის ბიუროკრატიული აპარატის მოუქნელობა.

მიუხედავად ამისა, ზემოთ აღნიშნული ფაქტიური მდგომარეობა საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ საქართველოში XIX ს. 70—80-იანი წლებიდან უკვე ჭარბობდა ფულადი რენტა და იგი ამჟღავნებდა შემდგომი ზრდის ტენდენციას. ნატურალური რენტის ფულად რენტად გადაქცევა და საერთოდ სასაქონლო ფულადი ურთიერთობის განვითარება კი, როგორც გვასწავლის მარქსი, თავისუფალ გლეხურ საკუთრებაზე გადასვლის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა.

---

78 ლენინგრადის ცსია, ფონდი 396, ანაწერი 3, საქმე 560, ფურც. 204—214. გვ. 18;

79 ССДЗХЗК, გვ. 18, იქვე, დამატება III, გვ. 52—53.

სახაზინო გლეხებს მესაკუთრეთა კატეგორიაში გადასვლის დიდი სურვილი ჰქონდათ, მაგრამ მათ ამ მისწრაფებას ფრთებს აკვეცდა სახელმწიფო. მთავრობამ უარი სთქვა ამიერკავკასიის სახელმწიფო გლეხებისათვის მიენიჭებინა მიწაზე საკუთრების უფლება, გადაეყვანა ისინი გამოსასყიდ გადასახდელებზე. ხიზნებიც სამი ათეული წელი იბრძოდნენ სანადელო მიწების შენარჩუნებისა და მისი გასაკუთრებისათვის, მაგრამ ამაოდ.

სანადელო მიწების გამოსყიდვისა და მესაკუთრეთა კატეგორიაში გადასვლის ოფიციალური უფლება (ზოგიერთი შეზღუდვებით) მიღებული ჰქონდათ დროებითვალდებულ გლეხებს და ისინიც, შეძლებისდაგვარად, სარგებლობდნენ ამ უფლებით.

1869 წ. თბილისის გლეხთა საქმის საგუბერნიო საკრებულომ განსახილველად მიიღო ნადელთა გამოსყიდვის 47 ხელშეკრულება დადებული 24 მემამულესა და 581 კომლ დროებითვალდებულ გლეხს შორის. ამ გლეხებიდან მთელი ნადელის გამოსყიდვას ითხოვდა 409 კ., შემცირებული ნადელისას — 156 კ. და მხოლოდ საკარმიდამოს გამოსყიდვას 16 კომლი[80].

მაღალი ფასების გამო განსაკუთრებით უჭირდათ გლეხებს ვენახების გამოსყიდვა. ბევრი გლეხი მემამულის სრულ განკარგულებაში ტოვებდა თავისი გაშენებული ვენახის ნახევარს და ამ გზით ღებულობდა ვენახის მეორე ნახევარზე საკუთრების უფლებას. 1877 წ. მემამულეებმა და გლეხებმა ნებაყოფლობითი შეთანხმებით შეაზე გაიყვეს 44 ვენახი, 1878 წ. კი—50 ვენახი[81]. ვენახების გაყოფის პრაქტიკა ფართოდ გავრცელდა მთელ საქართველოში.

გლეხები, რომელთაც არ გააჩნდათ სახსრები მიწის გამოსაყიდად და თანაც ძალიან უჭირდათ ღალა-კულუხის გადება, უარს ამბობდნენ ნადელებზე. თბილისის გუბერნიის შეჯამისი წლების მიმოხილვებიდან ჩანს, რომ 1877 წელს ნადელზე უარი ეთქვამს 15 კ., 1878 წ.—11 კ., 1881 წ.—6 კომლ გლეხს. მათ მოუხერხებიათ მხოლოდ ეზოების გამოსყიდვა.

გამოსყიდვით ხელშეკრულებაში აღინიშნებოდა მხარეების ვინაობა, ნადელების ფართობი, ღალის ოდენობა და ნის საფუძველზე დადგენილი გამოსასყიდი ფასი. მაგალითისათვის: 1884 წ. 22 სექტემბერს ი. მუხრანბატონს ხელშეკრულება დაუდეკს სოფ. ბუხრანის 130 კ. დროებითვალდებულ გლეხთან. ეს გლეხები 1883 წ. ვა-

---

80 საქართველოს ცსია, ფონდი 17, საქმე 8980ბ, ფურც. 84.

81 საქართველოს ცსია, ფონდი 17, საქმე 9000ბ, ფურც. 54; საქმე 9001ბ. ფურც. 55.

დასულან ფულად ღალაზე და ღღიურ მიწაში იხდიდნენ—2—3 ძანეთს. 393 დეს. ნადელების გამოსასყიდ ფასად გლეხებს უნდა გადაეხადათ 34476 მანეთი, საიდანაც 23387 მან. დაიფარებოდა მთავრობის სესხით, ხოლო 11089 მან. გლეხებს უნდა გაეღოთ ნაღდი ფულის სახით[82].

ნადელის გამოსასყიდი ხელშეკრულების დამტკიცებისთანავე, თუ ეს გამოსყიდვა მთავრობის დახმარებით ხდებოდა, სახელმწიფო ბანკი მემამულეს გადაურიცხავდა სესხის სახით დაშვებულ თანხას, რომელიც პროცენტთან ერთად გლეხს უნდა დაეფარა 49 წლის განმავლობაში. საილუსტრაციოდ: 1887 წ. გორის მაზრის სოფ. აბანოს მკვიდრმა ვ. სეფისკვერაძემ ნადელის გამოსასყიდი ხელშეკრულება დადო თავად ა. ბაგრატიონ-დავითაშვილთან. მთავრობამ მემამულეს გადაურიცხა 325 მანეთი. აღნიშნული თანხა და მისი პროცენტი გლეხს უნდა დაეფარა 49 წლის განმავლობაში, ყოველწლიურად უნდა გადაეხადა 19 მან. და 50 კაპ. როგორც ვხედავთ მთავრობა გაცემულ სესხზე დიდ სარგებელს იღებდა. 325 მანეთში ვ. სეფისკვერაძეს უნდა გადაეხადა 955 მანეთი (49×19 მან. და 50 კაპ.). ასევე სამმაგად უნდა დაებრუნებინა მთავრობისათვის სესხი ყველა იმ გლეხს, რომელნიც მისი დახმარებით სარგებლობდნენ.

გლეხობას უჭირდა ნადელთა გამოსასყიდი სესხის და მისი სარგებელის დაფარვა, ყოველწლიური შესატანის გაღება. 1899 წლისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ნადელგამოსყიდულ გლეხებზე ირიცხებოდა გამოსასყიდი გადასახდელების ნარჩენები: გორის მაზრაში—89608 მან., ბორჩალოს—8667 მან., დუშეთის—37474 მან., სიღნაღის—40690 მან., თიანეთის—2404 მან., თელავის მაზრაში 92715 მან[83].

გლეხებმა კარგად გაიგეს თუ რას ნიშნავდა მთავრობის „დახმარება". დაინახეს, რომ გამოსასყიდი ხელშეკრულების გაფორმებას არსებითი ცვლილება არ შეჰქონდა მათ მდგომარეობაში. გლეხები თავისუფლდებოდნენ მემამულისათვის ღალა-კულუხის გადახდის ვალდებულებისაგან, მაგრამ იქცეოდნენ ხაზინის მოვალეებად. მიღებული სესხისა და მისი სარგებლის დასაფარავად მათ ყოველწლიურად უნდა გაეღოთ იმაზე მეტი თანხა, ადრე ნადელით სარგებლობისათვის რომ უხდიდნენ მემამულეებს. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ სესხის დაფარვამდე საკუთრებაში გამოსყიდული მიწის ნაკვეთების მიმართ გლეხთა უფლება შეზღუდული რჩებოდა. მათ არ შეეძლოთ მიწის გაყიდვა, დაგირავება და სხვ. ამ მიზეზების გამო აღმო-

---

82 ლენინგრადის ცსია, ფონდი 577, ანაწერი 42, საქმე 78, ფურც. 2—5.

83 Обзор Тифлисской губернии за 1899 г., ведомость № 4.

სავლეთ საქართველოს დროებითვალდებულ გლეხთა დიდი ნაწილი, რომელსაც არ გააჩნდა საკუთარი სახსრები, უარს ამბობდა მთავრობის დახმარებით ნადელის გამოსყიდვაზე და ფაქტიურად მუდმივვალდებულის მდგომარეობაში ვარდებოდა.

1869—1890 წწ. აღმოსავლეთ საქართველოში მთავრობის სესხის გამოყენებით 2775 კ. გლეხმა გამოისყიდა 12265 დეს. სანადელო მიწა. ამავე პერიოდში 574 კომლმა საკუთარი სახსრებით გამოისყიდა 1314 დესეტინა[84].

1888 წლის ანგარიშში თბილისის გუბერნატორი აღნიშნავდა, რომ ნადელების გამოსყიდვა ნელა მიმდინარეობს და გარდამავალი პერიოდი მისი თანმდევი უხერხულობით ძალიან გაგრძელდაო. ამიტომ მას აუცილებლად მიაჩნდა ნადელთა სავალდებულო გამოსყიდვის დაწესება. გუბერნატორი წინადადებას აძლევდა უმაღლეს მთავრობას, რომ დროებითვალდებული გლეხები 1892 წლის 1 იანვრიდან გადაყვანილიყვნენ ნატურალური და ფულადი ღალიდან გამოსასყიდ გადასახდელებზე და ჩაერიცხათ ისინი მესაკუთრეთა კატეგორიაში. საზღაური თავადაზნაურობას ხაზინისაგან უნდა მიეღო. რასაც მომდევნო 49 წლის განმავლობაში სარგებლითურთ (5%) დაფარავდნენ გლეხები. ამასთან ერთად გუბერნატორი მოითხოვდა სესხის ოდენობის გაზრდას 100%-ით და მის გავრცელებას ბაღ-ეენახებზე. სავალდებულო გამოსყიდვის კანონი უნდა შეხებოდა გუბერნიის სომხურ-მუსლიმანურ რაიონებსაც, იქაც უნდა დაეშვათ მთავრობის სესხები[85].

თბილისის გუბერნატორის ეს პროექტი უარყოფილ იქნა უმაღლესი მთავრობის მიერ, რის გამო ნადელთა გამოსყიდვა XIX ს. 90-იან წლებშიც ნელა მიმდინარეობდა. 1904 წლამდე აღმოსავლეთ საქართველოში ნადელთა გამოსყიდვის გზით მესაკუთრედ გადაირიცხა სულ 4595 კ. გლეხი. 17451 დეს. მიწის გამოსყიდვისათვის მათ მიიღეს მთავრობის სესხი 941913 მან[86]. ხოლო თუ რამდენი გაიღეს მათ საკუთარი სახსრებიდან, ამის შესახებ სრული ცნობები არ გაგვაჩნია.

როგორც ვხედავთ, XX ს. დასაწყისამდე აღმოსავლეთ საქართველოში ნადელი გამოისყიდა დროებითვალდებულ გლეხთა მხოლოდ 20—25%. გლეხობის ძირითადი მასა მემამულეთა დამოკიდებულებაში რჩებოდა. ახალციხე-ახალქალაქის მაზრებსა და თბილისი-ბორჩალოს მაზრის თათრულ-სომხურ სოფლებში, სადაც XIX—XX სს.

---

84 ССДЗХЗК, დამატება, II. გვ. 149—150.

85 საქართველოს ცსია, ფონდი 17, ანაწერი 1, საქმე 2748, ფურც. 42—56.

86 СССЧЗ, стр. 430—431.

მიჯნაზე 7 ათას კომლზე მეტი ვალდებული გლეხი ითვლებოდა, ნადელის გამოსყიდვის არცერთ შემთხვევას არ ჰქონია ადგილი. მემამულეების ვეტო (უმრავლესობა გლეხებს არ აძლევდა ნადელთა გამოსყიდვის ნებას), მეფის მთავრობის აგრარულ-ფისკალური პოლიტიკა და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების შედარებით დაბალი დონე იყო გლეხობის მესაკუთრეთა კატეგორიაში გადასვლის ნელი ტემპის მიზეზი აღმოსავლეთ საქართველოში.

დასავლეთ საქართველოს გლეხობამ უკეთ აუწყო ფეხი დროის მოთხოვნილებას. მათი მეურნეობა უფრო მეტად იყო ჩათრეული სასაქონლო ურთიერთობაში. აქაური გლეხები უფრო მეტად მიმართავდნენ დამხმარე სარეწებს და საშოვარზე გასვლას. თანაც დასავლეთ საქართველოში ნაკლებად მოქმედებდა ნადელთა გამოსყიდვის ისეთი შემაფერხებელი ფაქტორები, როგორიც იყო თავადაზნაურთა მამულების დაგირავება და საგვარეულო მიწათმფლობელობა. ამიტომ გლეხობის მესაკუთრეთა კატეგორიაში გადასვლის პროცესი დასავლეთ საქართველოში გაცილებით სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა.

დასავლეთ საქართველოს დროებითვალდებულმა გლეხებმა უარი თქვეს მთავრობის სესხზე, რადგან იგი არახელსაყრელად მიიჩნიეს. ისინი საკუთარი სახსრებით ახერხებდნენ სანადელო მიწების გამოსყიდვას. 1868—1888 წწ. დასავლეთ საქართველოში 23407 კ. დროებითვალდებულმა გლეხმა 4.833258 მანეთად გამოისყიდა 104165 დეს. სანადელო და ჩამოჭრილი მიწა.

მაზრები	ნადელგამოსყიდულ გლეხთა რიცხვი	გამოსყიდული მიწების ფართობი ჭალაობით	გამოსასყიდი ნაღდი ფულები
ქუთაისის	9041	119874	1,878005
შორაპნის	6387	83885	2.048571
რაჭის	3941	59475	1.288345
ლეჩხუმის	1432	21758	384633
სენაკის	5048	48534	650786
ზუგდიდის	4238	25636	587952
სულ გუბერნიაში	34617	393654	7440490

1903 წლამდე დასავლეთ საქართველოში ნადელი გამოისყიდა 34617 კ. გლეხმა. თუ როგორ მიმდინარეობდა ნადელთა გამოსყიდვის ოპერაციები ცალკეულ მაზრებში, ამაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა ზემოთ მოტანილი ცხრილი[87].

[87] Обзор Кутаисской губернии за 1903 г., стр. 17—18.

149065 დეს. გამოსყიდული მიწიდან სანადელო იყო 63225 დეს. ნამონაჭრები—85840 დესეტინა. გამოუსყიდავი რჩებოდა 59673 დეს. ნადელები[88].

მომდევნო 7 წელიწადში ნადელები გამოისყიდა კიდევ 2 ათასამდე კომლმა გლეხმა. 1910 წ. 1 იანვრისათვის დროებითვალდებულებაში რჩებოდა: ქუთაისის მაზრაში 392 კ., შორაპნის—4315 კ., რაჭის—474 კ., ლეჩხუმის—2316 კ., ოზურგეთის—361 კ., ზუგდიდის—7753 კ., სენაკის მაზრაში—4112 კ., სულ გუბერნიაში—19723 კ. გლეხი[89].

ამგვარად, 40 წლის განმავლობაში დასავლეთ საქართველოს დროებითვალდებულ გლეხთა 65—67%-მა მოახერხა მესაკუთრეთა კატეგორიაში გადასვლა.

*
* *

სავაჭრო ბრუნვაში დიდი რაოდენობით შევიდა ნადელგარეშე მიწებიც. მიწის ყიდვა-გაყიდვის პროცესში, რომელმაც რეფორმის მომდევნო ხანის საქართველოში ფართო ხასიათი მიიღო, ყველა სოციალური ფენა მონაწილეობდა.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს ნოტარიალური აქტების მონაცემებით 1868—1879 წწ. დასავლეთ საქართველოს 6 მაზრაში გაიყიდა 25190 დეს. მიწა ღირებული 955780 მანეთად. მიწის გამყიდველთა შორის იყო 2777 თავადაზნაური, 76 გლეხი, 10 მღვდელი, 16 სხვა წოდების პირი. მიწის მყიდველთა შორის კი—678 თავადაზნაური, 1834 გლეხი, 128 მღვდელი, 231 სხვა წოდების პირი[90]. ამ მასალის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიწას კარგავდა თავადაზნაურობა, იძენდა გლეხობა და სხვა წოდების პირები.

თბილისის საოლქო სასამართლოს ნოტარიალური არქივის მასალების მიხედვით 1879—1888 წწ. აღმოსავლეთ საქართველოში გაიყიდა 904777 მანეთის 35173 დეს. მიწა. ნოტარიალურ აქტებში არაფერია ნათქვამი გამყიდველთა და მყიდველთა ვინაობაზე, მხოლოდ აღნიშნულია, რომ 14 ნასყიდობის აქტი ეკუთვნისო გლეხთა საზოგადოებებს[91].

---

[88] МВРДГЗПБЗК, стр. 199.

[89] Обзор Кутаисской губернии за 1909 г., стр. 13.

[90] ССДЗХЗК. стр. 25.

[91] იქვე. გვ. 20.

1895—1897 წწ. საქართველოში გაიყიდა 30641 დეს. მიწა, 1899—1901 წწ. მარტო აღმოსავლეთ საქართველოში—11946 დესეტინა[92].

მიწის ფასი სწრაფი ზრდის ტენდენციას ამჟღავნებდა. აღმოსავლეთ საქართველოში ერთი დესეტინა მიწა იყიდებოდა: 1889 წ. საშუალოდ 61 მანეთად (სხვადასხვა სავარგულების ფასი მერყეობდა 4-დან 450 მანეთამდე). 1899 წ.—112 მან. (10—850 მან.), 1909 წ.—165 მან. (30—1200 მან.). დასავლეთ საქართველოში—1889 წ.—207 მან. (12—2000 მან.), 1899 წ.—325 მან. (20—21000 მან.), 1909 წ.—429 მან. (25—2160 მან.)[93]. ერთი დესეტინა კარგი ვენახის ფასი 4—5 ათას მანეთამდე აღწევდ-

სანადელო მიწების გამოსყიდვისა და საერთოდ ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებში აქტიური მონაწილეობის შედეგად გლეხობის საკუთარი მიწების ფართობი ძალიან გაიზარდა. დასავლეთ საქართველოს (აჭარა-აფხაზეთის გამოკლებით) გლეხებმა, როგორც აღვნიშნეთ, საგლეხო დაწესებულებების მეშვეობით 1905 წლამდე. გადაფორმეს 145 ათას დესეტინამდე სანადელო და ჩამოჭრილი მიწის გამოსყიდვის, გასაკუთრების აქტები, საოლქო სასამართლოს სანოტარო კანტორების ხაზით კი შეისყიდეს 98599 დესეტინა მიწა[94]. ამის გარდა, სახელმწიფო გლეხთა უდაო საკუთრებაში იყო ადრეშესყიდული 20 ათასი დესეტინა. სახელმწიფო ხაზინისა და თავადაზნაურთა იურიდიულ საკუთრებაში რჩებოდა გლეხთა 120 ათას დესეტინაზე ოდნავ მეტი სანადელო მიწა.

ნაკლებ მასობრივად მონაწილეობდა მიწის გამოსყიდვისა და ყიდვა-გაყიდვის პროცესში აღმოსავლეთ საქართველოს გლეხობა. ერთი ცნობის მიხედვით 1890 წლისათვის თბილისის გუბერნიაში ითვლებოდა 8363 ს. მესაკუთრე გლეხი. რომელთაც ჰქონდათ 95921 დეს. მიწა[95]. ეს ცნობები აღებულია ადგილობრივი ადმინისტრაციის ანგარიშებიდან და თვით კრებულის რედაქტორიც საეჭვოდ იჩნევდა. ჩვენის აზრით ეჭვს იწვევს არა იმდენად მიწის ფართობი, რამდენადაც მესაკუთრეთა რაოდენობა. სხვადასხვა მასალების კრიტიკული შეჯერების შედეგად ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ზემოთ მითითებულ წყაროში ძალიან არის შემცირებული მესაკუთრე გლეხთა რიცხვი. მასალების შემკრებს მათ რიგებში არ შეუყვანია ნადელგამოსყიდული გლეხები და საკმაო რიცხვი სახელმწიფო

---

92 МВРДКПБЗК, стр. 282—289.

93 Сельскохозяйственный обзор по Закавказью за 1909 г., стр. 171.

94 Кавказский Календарь на 1907 год, ч. II, стр. 24, 37.

95 ССДЗТКГ, стр. 27.

გლეხებისა, რომელნიც მეტ-ნაკლები ფართობის საკუთარ მიწებს ფლობდნენ. მაგალითად დასახელებული წყაროს მიხედვით ბორჩალოს მაზრაში იყო სულ 18 მესაკუთრე გლეხი 30 075 დეს. მიწით. აღღუთინსკი, რომელმაც XIX ს. 90-იან წლებში სპეციალურად შეისწავლა ეს მაზრა, ასახელებს 706 კ. მესაკუთრე გლეხს 19247 დეს. მიწით და ამის გარდა სხვა კატეგორიის გლეხებს, რომელთაც საკუთრებაში ჰქონდათ 9465 დეს. მიწა[96]. სხვა რაიონებისათვის შესადარებელი მასალა არ გვაქვს, რის გამო ჭეშმარიტების დადგენა ძნელდება. შეგვიძლია მხოლოდ მიახლოვებით ვთქვათ, რომ XIX ს. დასასრულისათვის აღმოსავლეთ საქართველოს გლეხებს უდავო საკუთრებაში ჰქონდათ 140 ათასამდე დეს. მიწა. ხაზინისა და თავადაზნაურთა იურიდიულ საკუთრებაში კი რჩებოდა 900 ათასი დესეტინა გლეხთა სანადელო მიწა.

აფხაზეთისა და აჭარის გლეხთა მიწის ყიდვა-გაყიდვაში მონაწილეობის შესახებ საისტორიო წყაროებში ფითქმის არაფერია ნათქვამი. ფრაგმენტული ცნობების მიხედვით კი რაიმე კანონზომიერების დადგენა შეუძლებელია.

აფხაზეთის გლეხობის ერთი ნაწილის მდგომარეობა იმით იყო გაადვილებული, რომ მან 1870 წ. 8 ნოემბრის დებულებით მიწა საკუთრებაში მიიღო. მეორე ნაწილი კი ათეული წლების განმავლობაში იბრძოდა ცარიზმის მიერ 1880 წელს ჩამორთმეული საკუთრების უფლების აღდგენისათვის. მეფის მთავრობამ მხოლოდ 1905—1907 წწ. რევოლუციის ხანაში იღო ყურად დამნაშავედ გამოცხადებული მოსახლეობის დრტვინვა-ჩივილი. 1906 წ. 24 ივლისს მეფის ნაცვლის საბჭომ განიხილა აფხაზეთის გლეხური მოსახლეობის მიწისმფლობელობის უფლებებში გათანაბრების საკითხი და დაადგინა აღეძრა შუამდგომლობა უმაღლესი მთავრობის წინაშე სამხედრო მინისტრის 1880 წ. რაპორტის გაუქმებისა და აფხაზეთის გლეხობისათვის მიწაზე საკუთრების უფლების აღდგენის შესახებ. ამ წინადადების საფუძველზე შემუშავებული კანონპროექტი იმპერატორმა დაამტკიცა 1907 წ. 27 აპრილს[97]. აფხაზეთის მკვიდრი გლეხური მოსახლეობა მესაკუთრეთა კატეგორიაში გადავიდა. ამ დროიდან მის საკუთრებაში იყო 130 ათას დესეტინამდე მიწა.

ამგვარად, სასაქონლო-ფულადი და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების ერთერთ შედეგსა და მის გამოხატულებას წარმოადგენდა მრავალრიცხოვან მესაკუთრე გლეხთა კატეგორიის

---

96 РТКЭЖДЭКО, стр. 57—58.

97 ლენინგრადის ცსია, ფონდი 396, ანაწერი 3, საქმე 1089, ფურცლ. 17—21. 50—62.

გაჩენა. მიწის წვრილ გლეხურ საკუთრებაზე გადასვლას მოცემულ ხანაში დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. „საკუთარი მეურნეობის მქონე გლეხობის პარცელური საკუთრების ეს ფორმა შეადგენს ერთი მხრივ, საზოგადოების ეკონომიურ საფუძველს, კლასიკური დროის საუკეთესო ხანაში, ხოლო მეორე მხრივ ამავე ფორმას ვპოულობთ ჩვენ თანამედროვე ხალხებშიც როგორც ერთ იმ ფორმათაგანს, რომელნიც მიწის ფეოდალური საკუთრების დაშლიდან წარმოსდგებიან"[98].

კ. მარქსი იმასაც გვასწავლის, რომ წვრილი წარმოების დროს მიწაზე კერძო საკუთრება პროგრესის აუცილებელი წინაპირობაა. „მიწის საკუთრება წარმოების ამ წესის სრული განვითარებისათვის ისევე აუცილებელია, როგორც იარაღების საკუთრება ხელოსნური წარმოების თავისუფალი განვითარებისათვის. მიწის საკუთრება აქ საფუძველს ქმნის პირადი დამოუკიდებლობის განვითარებისათვის. იგი თვით მიწათმოქმედების განვითარების აუცილებელი, გარდამავალი საფეხურია"[99].

გლეხი საკუთარ მიწაზე გაცილებით მუყაითად შრომობდა და ყოველნაირად ცდილობდა მეურნეობის გაუმჯობესებას. იგი დარწმუნებული იყო, რომ მიწა აღრე თუ გვიან აუნაზღაურებდა იმ შრომასა და ხარჯებს მისი ნაყოფიერების გაზრდისათვის რომ გასწია. მემამულეებისა და ხაზინის დამოკიდებულებაში დარჩენილ ღალის გადამხდელ გლეხებს ასეთი სტიმული არ ამოძრავებდა.

3. გლეხობის სოციალური დიფერენციაცია

გლეხობის ქონებრივი დიფერენციაცია ხანგრძლივი პროცესია. იგი ჯერ კიდევ წინაკაპიტალისტურ ფორმაციებში მიმდინარეობდა.

ფეოდალიზმის განვითარების გარკვეულ საფეხურზე შრომითი რენტა იცვლება პროდუქტების ფორმაში მოცემული რენტით, რომლის დროსაც უშუალო მწარმოებელი გლეხი მეტ სამეურნეო დამოუკიდებლობას ღებულობს. გლეხობის გარკვეული ნაწილი ასეთ პირობებში ახერხებს მეურნეობის გაფართოებას და ქონების დაგროვებას, რაც ბუნებრივია, გლეხობის მეორე ნაწილის დაკნინება-გაღარიბების ხარჯზე ხდება.

საქართველოში ფეოდალურ-საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის მთელ სიგრძეზე ერთმანეთის პარალელურად არსებობდა შრომითი და პროდუქტადი რენტა, მაგრამ თითქმის ყოველთვის

---

98 კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 2, გვ. 325.

99 იქვე.

სჯარბობდა მეორე. საღალო მეურნეობა (огородное хозяйство) კი ბატონყმური მეურნეობის უფრო პროგრესულ ფორმას წარმოადგენდა. საქართველოში ადრე განვითარდა მარტივი სასაქონლო ურთიერთობა, წარმოიშვა ნასყიდის ინსტიტუტი და ამდენად ხელსაყრელი პირობები შეიქმნა გლეხობის ქონებრივი დიფერენციაციისათვის, რომელიც კაპიტალიზმის გარიჟრაჟზე სოციალურ დიფერენციაციაში იწყებს გადაზრდას. საქართველოს როგორც სახაჯო, ისე ბატონო გლეხთა შორის საკმაოდ მოიძებნებოდნენ ძლიერი მეურნენი, რომელნიც ახერხებდნენ მიწის შესყიდვას. ეკონომიურ-უფლებრივად აღზევებულ გლეხებს შესაძლებლობა ჰქონდათ ექსპლოატაცია გაეწიათ თავისი სოციალური „თანამოძმეებისათვის". გლეხის გლეხი (ყმა) თუ ხიზანი ფეოდალურ საქართველოში იშვიათ გამონაკლისს როდი წარმოადგენდა.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიური წყობის ეს თავისებურება, რომელიც შემდეგ კიდევ უფრო ცხადი გახდა, ზოგიერთმა რუსმა მოხელეებმაც შეამჩნიეს. 1883 წ. მთავარმმართველი დონღუკოვ-კორსაკოვი ერთ-ერთ ბარათში წერდა: „ეკონომიური ძალების წოდებრივ და ქონებრივ განაწილებას ამიერკავკასიაში არაფერი აქვს საერთო ასეთ განაწილებასთან ცენტრალურ რუსეთში, სადაც არსებობს ფოლვარული (მეურნეობა თავადაზნაურთა მამულებში და მიწათმფლობელობის თემური ფორმა გლეხურ მოსახლეობაში. შიდა გუბერნიებში გლეხობა წარმოადგენს უპირველეს ეკონომიურ ძალას, რომელიც დამოკიდებულია მსხვილი ლატიფუნდიების მეურნეობის პირობებისაგან. აქ (ამიერკავკასიაში) კი გლეხობა ქმნის უდაოდ დამოუკიდებელ მეურნეთა მასას, რომლის კეთილდღეობა უშუალოდ აისახება ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის მყარ მდგომარეობაზე და მხარის ბიუჯეტზე"[100].

გლეხთა მიწათმფლობელობასა და ეკონომიურ მდგომარეობაში არსებული განსხვავება გარკვეულად აისახებოდა კამერალურ აღწერებში. რაც XIX ს. პირველ ნახევარში საკმაოდ ხშირად ხდებოდა. მაგალითად, 1821 წ. კამერალური აღწერის მიხედვით თელავის მაზრის 2000 კომლი სახელმწიფო გლეხიდან სრულიად უმიწაწყლო იყო 335 კომლი, 1-დან 10 დღიურამდე (დღიური=0.5 დეს.) მიწას ფლობდა 1269 კ., 10—25 დღ.—272 კ., 25—50 დღ.—78 კ., 50—100 დღ.—28 კ., 100 დღიური და მეტი მიწა ჰქონდა 20 კომლს[101]. უმი-

---

100 ლენინგრადის ცსია, ფონდი 573, ანაწერი 8, საქმე 9476, ფურც. 3—4.

101 ე. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე, მასალები თელავის მაზრის გლეხთა დიფერენციაციის შესახებ XIX ს. პირველ ნახევარში. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 33, 1960 წ., გვ. 219.

წაწყლო, უქონელი გლეხები დაქირავებული შრომით ირჩენდნენ თავს, შეძლებულნი კი დიდი მასშტაბით ეწეოდნენ მეურნეობას, განსაკუთრებით მევენახეობა-მეღვინეობას, რომელსაც თელავის მაზრაში უკვე იმ დროს საკმარო ხასიათი ჰქონდა. მიღებული პატარძეულელ სოლომონ ბუთურაშვილის ოჯახს (24 სული) ჰქონდა 300 დღიური მიწა, სამი ვენახი, რომლიდანაც აყენებდა 40 საპალნე (საპალნე=576 ლიტრი) ღვინოს. იმავე პატარძეულში ცხოვრობდა იოთამ ზუკაკიშვილის ოჯახი (11 სული). რომელიც ფლობდა 200 დღიურ ვარგის მიწას და ვენახს 20 საპალნე ღვინის შემოსავლით. ასეთი მდიდარი გლეხები, რომელნიც იყენებდნენ დაქირავებულ შრომას, საკმაო ყოფილა XIX ს. 20—30-იანი წლების თელავის მაზრაში. მდიდარი კომლები, ბუნებრივია, მიისწრაფოდნენ მესაკუთრეობისაკენ, სრული ეკონომიური დამოუკიდებლობისაკენ. ვეჯინელ ყმაგლეხს ღურძილაძეს მებატონე ანდრონიკაშვილისაგან თავისუფლება და მიწა გამოუსყიდია 1500 მანეთად. 1840 წ. გამოსყიდვის გზით თავისუფლება მიუღია და 40 დღ. (აქედან 10 დღ. ვენახი) მიწა გაუსაკუთრებია შილდელ პეტრე ცეცხლაშვილს. სოფ. ვეჯინში ერთ კომლ სახელმწიფო გლეხს შესყიდული ჰქონია საკუთრებაში 40 დღ. სახნავ-სათესი მიწა და 4 დღ. ვენახი, ბაკურციხელ ერთ კომლს კი—60 დღ. სახნავ-სათესი და 8 დღ ვენახი. ჩამოთვლილ მდიდარ გლეხთა სახით ჩვენ საქმე გვაქვს სოფლის ბურჟუებთან, რომელნიც ეწეოდნენ თანასოფელ ღარიბთა ექსპლოატაციას[102].

საბატონო გლეხთა კამერალური აღწერები იშვიათად ხდებოდა და ჩვენ ამ კატეგორიის შესახებ მხოლოდ ფრაგმენტული ცნობები გაგვაჩნია, მაგრამ ზოგი მასალა საშუალებას იძლევა დადგინდეს ყმაგლეხთა შორის არსებული სამეურნეო-ქონებრივი განსხვავების ფაქტი. უკვე მოტანილი იყო ცნობები ყმაგლეხთა ნასყიდი მიწების თაობაზე. მიწის შესყიდვას ძირითადად შეძლებული გლეხები ახერხებდნენ. რეფორმის დროს ერთთავისუფლებულ გლეხთა მნიშვნელოვან ნაწილს სანადელო მიწებთან ერთად ნასყიდი მიწებიც ჩამოართვეს. მაგრამ შეძლებულნი ახერხებდნენ კანონით მიცემულ ნაღელთან ერთად ამ ჩამონაჭრების გამოსყიდვასაც. ამდენად ყმაგლეხთა შორის წარმოშობილ ქონებრივ განსხვავებაზე გარკვეულ წარმოდგენას მოგვცემს გამოსყიდულ ნადელთა ფართობის გათვალისწინებაც. 1878—1888 წწ. დასავლეთ საქართველოში ნადელი გამოისყიდა 11615 კ. ვლეხმა. მათ შორის 3584 გლეხის ნადელის ფართობი შეადგენდა კომლზე 0.25—2 დეს.. 2960 კ.—2—4 დეს., 2194

---

102 ე. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე, იქვე, გვ. 218—232.

კ.—4—6 დეს., 249 კ. — 6—15 დეს., 325 კ. — 15—30 დეს., 51 კომლისა—30 დესეტინაზე მეტს[103].

„ამგვარად, ჯერ კიდევ ნატურალური მეურნეობის ბატონობის დროს, დამოკიდებული გლეხების დამოუკიდებლობის პირველივე გაფორმებისას, უკვე ჩნდება მათი დაშლის ჩანასახები. მაგრამ ამ ჩანასახთა განვითარება შესაძლებელია მხოლოდ რენტის შემდეგ ფორმის, ფულადი რენტის დროს. დამოკიდებული გლეხის ტრადიციული, ადათზე დამყარებული ურთიერთობა მიწათმფლობელებთან აქ იქცევა წმინდა ფულად ურთიერთობად. ეს იწვევს, ერთი მხრით, ძველი გლეხობის ექსპროპრიაციას, მეორე მხრივ, გლეხის მიერ თავის მიწის და თავის თავისუფლების გამოსყიდვას, ...ნატურალური რენტის ფულად რენტად გადაქცევას არა თუ აუცილებლად თან სდევს, არამედ წინ უსწრებს კიდეც უქონელი დღიური მუშების კლასის გაჩენა, რომლებიც ქირავდებიან ფულად. ...გლეხობის დაშლა საშუალო გლეხობის ანგარიშზე ავითარებს მის უკიდურეს ჯგუფებს და ჰქმნის სოფლის მოსახლეობის ორ ახალ ტიპს. ორივე ტიპის საერთო ნიშანია მეურნეობის სასაქონლო-ფულადი ხასიათი. პირველი ახალი ტიპია სოფლის ბურჟუაზია ანუ შეძლებული გლეხობა, მეორე ახალი ტიპია სოფლის პროლეტარიატი, დაქირავებული მუშების კლასი ნადელით“[104].

ვ. ი. ლენინის ამ დებულების სისწორე საქართველოს მაგალითზეც დასტურდება. გლეხების კლასობრივი დიფერენციაციის ადრე დაწყებული პროცესი, მიუხედავად იმისა, რომ მრავლად დარჩა მისი შემაფერხებელი ფაქტორები, რეფორმის მომდევნო ხანაში თანდათან ფართოვდებოდა.

საქართველოში გლეხობის კლასობრივი დიფერენციაციის პროცესს რამდენადმე აფერხებდა ფეოდალური, ბატონყმური წყობილების გადმონაშთები. თავადაზნაურთა ხელში მიწაზე საკუთრების მონოპოლია იყო ის საფუძველი, რომელიც განაპირობებდა მემამულურ მეურნეობაში შრომამიგებითი სისტემის შემორჩენას. შრომამიგება კი, როგორც აღნიშნავს ვ. ი. ლენინი, „გულისხმობს და მოითხოვს სწორედ საშუალო გლეხს, რომელიც არ იქნება საკმაოდ შეძლებული (მაშინ ის არ დაიდგამდა შრომამიგების უღელს), მაგრამ არც პროლეტარი იქნება (შრომამიგებისათვის საჭირო იყო ცოტათი მაინც „წესიერი“ მეურნე)“[105]. შრომამიგების უღელში მრავლად იყვნენ შებმული არა მარტო დროებითვალდებული გლე-

---

[103] ССДЗХЗК, стр. 13.

[104] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 189—191.

[105] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 202.

სები და ხიზნები, არამედ სახელმწიფო გლეხები და ნაწილობრივ მესაკუთრეებიც, რადგან ისინი იოლად ვერ გადიოდნენ თავადაზნაურთა მიწების იჯარით აღების გარეშე. თვით ცარიზმიც ცდილობდა შეეფერხებინა გლეხობის დაშლა, რადგან სურდა შეენარჩუნებინა გლეხთა მთელი მასის გადასახადთა გადახდისუნარიანობა და თანაც მას აშინებდა პროლეტარიატის გაჩენა-გამრავლება.

ცარიზმი არ შეხებია ქართველი გლეხობის მიწათმფლობელობას, არ მოუხდენია სახელმწიფო გლეხთა ნადელების ნორმირება და მიწების გადანაწილება. მართალია გლეხთა მიწა სახელმწიფო საკუთრებად იქნა გამოცხადებული, მაგრამ ქართველი გლეხები ნაკლებ ანგარიშს უწევდნენ ოფიციალურ ვერსიას და მიწას თავის საკუთრებად თვლიდნენ; საჭიროების შემთხვევაში აგირავებდნენ და კიდეც ყიდდნენ მას. მეფის მთავრობა კრძალავდა სახაზინო მიწის გარეშე პირებზე გაყიდვას, რითაც რამდენადმე აფერხებდა გლეხთა პროლეტარიზაციის პროცესს. დასაშვებად იყო მიჩნეული მხოლოდ მიწების გასხვისება თვით სახელმწიფო გლეხთა შორის, რადგან ამით ხაზინა მიწაზე საკუთრებას არ კარგავდა.

რუსეთის ცარიზმი მთელი ძალით ცდილობდა მოეხდინა საქართველოს სოციალურ-ეკონომიური წყობის უნიფიკაცია რუსეთთან. შემოეღო აქ რუსული მმართველობისა და საგადასახადო სისტემა. დაწესდა გადასახადების გაღებაში ურთიერთ თავდებობა. შეეცადნენ აგრეთვე ხელოვნურად დაენერგათ ამ მხარეში თემური მიწათმფლობელობა სახელმწიფო გლეხთა შორის მაინც, რადგან იგი აადვილებდა სახაზინო მიწების გამგებლობას და გადასახადების აკრეფას. 1912 წ. სეგალი წერდა, რომ არც თუ დიდი ხნის წინ მთელ ამიერკავკასიაში გაბატონებული იყო კომლობრივი მიწათმფლობელობა. სათემო მფლობელობაში რჩებოდაო მხოლოდ ტყე და საძოვარი. იგი იქვე აღნიშნავს, რომ სახნავი და სათიბი მიწები სათემო მფლობელობაში იწყებს გადასვლას XIX ს. პირველი ნახევრის ბოლოს, როცა გამოცხადდა საკანონმდებლო აქტი ნატურალური გამოსაღებების ფულადად შეცვლისა და ურთიერთ თავდებობის დაწესების შესახებ[106].

სეგალის ზემოაღნიშნული განცხადების პირველი ნაწილი სწორია. ფეოდალურ საქართველოში, სადაც ინტენსიური მეურნეობა საკმაოდ იყო განვითარებული, თემური მფლობელობის უმნიშვნელო ნაშთები არსებობდა მხოლოდ. არ ხდებოდა მიწების პერიოდული

---

106 И. Л. Сегаль, Крестьянское землевладение в Закавказье, Тифлис, 1912 г., стр. 52.

ვადანაწილება. გლეხები მიწას იღებდნენ მეფისა და თავადაზნაურებისაგან და მათი თანხმობით თავისი ნაკვეთების გაყიდვის უფლებაც კი ჰქონდათ. კომლობრივმა მფლობელობამ უკვე ფეოდალიზმის ხანაში გაბატონებული მდგომარეობა ვერ ვერ ოვა. ჩვენი ქვეყნის დასავლეთი ნაწილის ზოგი რაიონი კი რუსი დამკვიდრებლებმა მიერ მიჩნეულ იქნა კლასიკურ ქვეყნად ხუტორული დასახლების და მეურნეობისა, რომლის რუსეთში დანერგვისათვის უფრო გვიან მოწოდებული იყო სტოლიპინის აგრარული კანონმდებლობა.

მცდარი შეხედულება საქართველოში ვითომდა არსებული თემური მიწათმფლობელობის შესახებ გაბატონდა XIX ს. 70—80-იან წლებში. მას შემდეგ რაც სლავოფილთა და უფრო გვიან ხალხოსნური იდეოლოგიის ერთ-ერთი დოგმა რუსეთის განსაკუთრებული აგრარული (თემური) წყობის შესახებ ფართოდ გავრცელდა თვით ოფიციალურ წრეებში, როცა სამი საწყისი—თვითმპყრობელობა, მართლმადიდებლობა და თემურობა—მიჩნეულ იქნა რუსეთის სახელმწიფოებრივობის საფუძვლად. ასეთ პირობებში ოფიციალური თუ ხალხოსნური იდეოლოგიის გავლენის ქვეშ მყოფი მკვლევარები წინასწარ შემუშავებული თვალსაზრისით უღგებოდნენ მოვლენების შესწავლას და თემურ მიწათმფლობელობას „აღმოაჩენდნენ" ხოლმე თითქმის ყველგან და მათ შორის იგი „აღმოჩენილ" იქნა საქართველოშიც.

წინასწარ შემუშავებულ თვალსაზრისს რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მიწის მფლობელობის ფორმის დადგენის დროს, ეს კარგად ჩანს ერთერთ დოკუმენტში უფრო გვიანი დროისა. როცა უკვე შენელებული იყო თემის გარშემო ხელოვნურად შექმნილი აგიოტაჟი. მიწათმოწყობის წესების შეცვლისათვის შექმნილ სპეციალური კომისიის ჟურნალში (1908 წ.) ნათქვამია, რომ მომრიგებელ მოსამართლეებსა და მიწათმოწყობის სამუშაოთა მწარმოებლებს შორის იყვნენ როგორც თემური, ისე კომლობრივი მფლობელობის მომხრენი. ამიტომ ცხადია, რომ ერთი და იგივე სოფლის მიწისმფლობელობის წესის გამოკვლევისას სხვადასხვა შეხედულების ორ პირს შეუძლიათ აღმოაჩინონ სრულიად სხვადასხვა მდგომარეობა. ასეთ პირობებში ზემოაღნიშნული მოხელეებისათვის მფლობელობის ფორმის განსაზღვრის უფლების მიცემა „может выразиться в принудительном навязывании форм пользования", რაც კომისიის აზრით, საზიანო იქნებოდა გლეხობისათვის[107]. მოხელეე-

107 ლენინგრადის ცსია, ფონდი 396, ანაწერი 7, საქმე 157, ფურც. 161—162.

ბის ტენდენციურობა რომ უფრო მეტად თემური მიწათმფლობელობის სასარგებლოდ ვლინდებოდა, ეს ხაზგასმულია საუწყებათაშორისო თათბირის 1912 წ. ჟურნალში: «Поземельноустроительная партия, в целях упрощения техники работ, везде констатировали общинный порядок пользования надельными землями между тем, как известно во всем Закавказье обрабатываемые угодья... фактически состоят подворнонаследственном пользовании домохозяев селений и наоборот переделы пашень и сенокосов явления редкия".[108]

XX ს. პირველ ათწლეულშიც კი თუ ასე ცხადად იჩენდა თავს მოხელეთა ტენდენციურობა, მით უმეტეს ფართო გასაქანს პოულობდა და შეუმჩნეველი რჩებოდა იგი თემურობით საერთო გატაცების პერიოდში XIX ს. 80—90-იან წლებში.

XIX საუკუნის საქართველოში თემი არ არსებობდა. სასოფლო საზოგადოება იყო არა ეკონომიური, არამედ ადმინისტრაციული ერთეული, თუმცა მეფის მთავრობა ცდილობდა მისთვის, ფორმალურად მაინც, თავს მოეხვია თემის (ობშჩინის) ფუნქციებიც. სახელმწიფო გლეხთა ეკონომიური ყოფის მკვლევარები (XIX ს. 80-იანი წლები) ერთხმად გაიძახიან, რომ სახაზინო მიწა თემის განკარგულებაშია და აღმოსავლეთ საქართველოში თემური მფლობელობაა გაბატონებული, მაგრამ ისინიც უმეტეს შემთხვევაში აღნიშნავენ, რომ მიწების გადანაწილების პრაქტიკა ძველი ტრადიციის გაგრძელება კი არ იყო, არამედ XIX საუკუნეში იქნა დანერგილი რუსეთის მთავრობისაგან. ნიკიფოროვს, მაჩაბელს, ბახტაძეს და სხვ. თემური მიწათმფლობელობის არსებობის კრიტერიუმად მიაჩნდათ ის, რომ: 1. თემს უფლება ჰქონდა თავის შეხედულებისამებრ განეგო უმემკვიდროდ დარჩენილი მიწები. 2. თემს უფლება ჰქონდა ნაფელი ჩამოერთმია იმ გლეხებისათვის, რომელნიც თავს არიდებდნენ სახელმწიფო გადასახადთა შეტანას. 3. გლეხები მიწას უყურებდნენ როგორც საზოგადოებრივ ქონებას. ამასთან ერთად, ნიკიფოროვი ანიჭებდა რა მიწების გადანაწილებას მეორეხარისხოვან მნიშვნელობას, მიწის თემური მფლობელობის საფუძველს ხედავდა „ხალხის სულში", ხოლო მაჩაბელი—გლეხობის უმრავლესობის მიერ მიწების გადანაწილების მოთხოვნაში.

თემის ცნობილი მკვლევარი ეგიაზაროვი, რომელიც საერთოდ არ უარყოფდა ამიერკავკასიაში თემური მიწათმფლობელობის არსე-

---

108 ლენინგრადის ცსია. ი ქ ვ ე. ფურც. 20.

ბობის ფაქტს, კრიტიკულად უდგებოდა ზემოთ ჩამოთვლილი ავტორების ასეთ მსჯელობას. იგი აღნიშნავდა, რომ ამოწყვეტილი კომლის ნადელის მიმართ თემის (უფრო სწორად სასოფლო საზოგადოების. ა. ბ.) უფლება ეყრდნობა რუსეთის იმპერიის სამოქალაქო კანონების X ტომის 1172-ე მუხლს და არსაიდან არ ჩანს, რომ იგი გამომდინარეობს „გლეხთა უფლების შეგნებიდან". გადასახადების არგადამხდელთათვის ნადელის ჩამორთმევის უფლება კი პირდაპირი შედეგია არსებული ურთიერთ თავდებობისა. ხოლო რაც შეეხება გლეხთა უმრავლესობის მიერ მიწების გადანაწილების მოთხოვნას, მას არა აქვს იურიდიული მნიშვნელობა, რადგან ღარიბი გლეხები ავრარული ურთიერთობის მოწესრიგებას მოითხოვენ ქუთაისის გუბერნიაშიც კი, სადაც გაბატონებულია კომლობრივ-მემკვიდრეობითი მფლობელობა[109].

იქვე ეგიაზაროვი აღნიშნავს, რომ თბილისის გუბერნიაში მიწების დიდი ნაწილი (ეზო, ბაღ-ვენახი, სახნავის უდიდესი ნაწილი), ეკონომიურად ყველაზე უფრო ფასიანი ნაკვეთები ამოღებულია სათემო ფონდიდან და მითვისებული ცალკეული კომლებისაგან მემკვიდრეობითი მფლობელობის უფლებით. რაც შეეხება დახარჩენ მიწებს, წერს მკვლევარი, მათით სარგებლობის წესი განსხვავებულია; სახნავსა და სათიბს გლეხები იყოფენ ხოლმე, საძოვარებითა და ტყეებით კი თემურად სარგებლობენო[110].

ჩვენი აზრით, შესწორებას საჭიროებს ეგიაზაროვისა და მისი წყაროების ჩვენება სათემო სახნავი მიწების შესახებ. ი. ბახტაძე წერს: „რაჭაში „სახნავი მიწა ჩვეულებრივ იმყოფება კომლობრივ მფლობელობაში. გამონაკლისი ძალიან იშვიათია, მაგრამ იგი მაინც არის, როცა სახნავ მიწას ფლობს და ამუშავებს რამდენიმე გლეხი ერთად... ასეთი გადახვევა საერთო წესიდან შეიმჩნევა უმთავრესად „გარე ყანის" მიმართ, ...რომელიც მცირე ღირებულებისაა და მუშავდება რამდენიმე პირის მიერ შეერთებული ძალით... მოსავალი იყოფა დახარჯული შრომისა და იმ მიწის ოდენობის მიხედვით, რომელიც ყოველ შათგანს ეკუთვნის"[111].

ი. ბახტაძე და მისი დამმოწმებლებიც ზემოაღნიშნულ მოვლენას აცხადებენ სახნავი მიწის თემური მფლობელობის ფაქტად, მაგრამ მათ ხელს რომ არ უშლიდეს წინასწარ შემუშავებული თვალსაზრისიდან გამომდინარე ტენდენციურობა, ადვილად შეამჩნევდნენ,

---

[109] СМИЭБГКЗК, т. II, стр. 396.

[110] იქვე, გვ. 399.

[111] Бахтадзе, Экономический быт гос. крестьян Рачинского уезда, стр. 25.

რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს კომლთა მიერ მათი სამემკვიდრეო მიწის საწარმოო არტელში დროებით გაერთიანების ფაქტთან და არა თემურ მიწათმფლობელობასთან.

„მასალები" სახნავ მიწებზე თემურ მფლობელობას უფრო დიდი მასშტაბით უჩვენებენ აღმოსავლეთ საქართველოს რიგ რაიონებში. მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ თემური მფლობელობის ფორმებს, მათ შორის დატაცებით მფლობელობა-სარგებლობას ექვემდებარებოდა მხოლოდ სახნავად გამოსადეგი საძოვრები, რომელიც სასოფლო საზოგადოების საერთო სარგებლობაში იყო და თანდათან შედიოდა ინტენსიური მეურნეობის სფეროში. ასეთი მიწები რამდენიმე წლის შემდეგ საკომლო მფლობელობაში გადადიოდა, ხოლო მიწათმფლობელობა—სარგებლობის დატაცებითი წესი ახალ ნაკვეთებზე ვრცელდებოდა.

კულტურული ნაკვეთები (ეზო, ბაღ-ვენახი, ტექნიკურ კულტურათა პლანტაციები. სახნავ-სათესი მიწები) არ ექვემდებარებოდა თემური მფლობელობისა და მით უმეტეს პერიოდული გადანაწილების პრაქტიკას. სახნავი მიწის ნაწილობრივი გადანაწილების ერთეული შემთხვევები იყო, მაგრამ ზოგიერთ მკვლევართა განცხადებები მიწების პერიოდული გადანაწილების ფართოდ გავრცელების შესახებ მათი ტენდენციურობის შედეგია და ფაქტიურად, რუკოლონისტთა სოფლების გარდა, საქართველოში მას არ ჰქონია აღგილი. ფაქტი მხოლოდ ისაა, რომ ღარიბი გლეხები ეყრდნობოდნენ ოფიციალურ თვალსაზრისს და სოფლის ყრილობებზე სვამდნენ მიწების გადანაწილების საკითხს. ბრძოლა მიწების გადანაწილებისათვის, რასაც იშვიათად შესაძლოა წარმატებაც მოსდევდა, გლეხობის სხვადასხვა ფენებს შორის აგრარულ-კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენდა.

ანარქიზმის იდეოლოგებს გლეხობის კლასობრივი დიფერენციაცია, სოფლის პროლეტარიატის წარმოშობა არასასურველ და სახელმწიფოსათვის საშიშ მოვლენად მიაჩნდათ განსაკუთრებით განაპირა რაიონებში. თემურ მფლობელობას და მიწების პერიოდულ გადანაწილებას უნდა შეეფერხებინა გლეხობის დაშლის პროცესი. სახაზინო ქონებათა სამინისტროს მოხელეები, ლაპარაკობდნენ რა ამიერკავკასიის სახაზინო მიწების კულაკთა ხელში თავმოყრის ფაქტზე, საჭიროდ მიიჩნევდნენ მიწების გადანაწილებას იქ მაინც, სადაც არსებობდა თემური მფლობელობა. ამიერკავკასიის სახელმწიფო გლეხთა მიწათმოწყობის პროექტის ავტორი მედვედეევიც მიზანშეწონილად თვლიდა ნადელების ნორმირებას. მაგრამ მთავრობის წრეებში შეუძლებლად ჩათვალეს გლეხობის ერთი—შეძლებული ნაწილისათვის

მიწის ჩამორთმევა და მათ ხარჯზე მცირემიწიანი გლეხებისათვის დამატებითი ნადელების მიცემა. მიწების გადანაწილების პრაქტიკა რომ ისე ფართოდ ყოფილიყო დანერგილი, როგორც ამაში სახელმწიფო გლეხთა ეკონომიური ყოფის მკვლევარები გვარწმუნებენ. მაშინ მთავრობას არ გაუძნელდებოდა ნადელთა ნორმირება. მაგრამ ფაქტიურად საქართველოსა და ამიერკავკასიაში აღარ არსებობდა თემური მფლობელობა კულტურულ მიწებზე. ბაღ-ვენახი და სახნავი გლეხებს დაჩემებული ჰქონდათ კომლობრივ-მემკვიდრეობით მფლობელობაში. სათემო ტყესა და საძოვარს კი დამატებით ნადელებისათვის ვერ გამოიყენებდნენ.

XX ს. დამდეგს ოფიციალური და საზოგადოებრივი შეხედულება თემზე, თემური მიწათმფლობელობის მნიშვნელობაზე არსებითად შეიცვალა. მოხელეებისა და მკვლევარების უმეტესობა გათავისუფლდა ძველი დოგმებისაგან და მათ უფრო ობიექტურად შეხედეს ფაქტიურ მდგომარეობას.

XIX—XX სს. მიჯნაზე ამიერკავკასიაში მუშაობდა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა გამოერკვია თუ რამდენად იყო მომზადებული პირობები ამ მხარეში სახელმწიფო საგლეხო ბანკის მოქმედების გავრცელებისათვის. მიწათმფლობელობა-მეურნეობის ფორმათა შესწავლის შედეგად კომისია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „Общественное устройство закавказских крестьян имеет чисто административный характер и вовсе не касается дел, относящихся до пользования надельной землею.., так как общинное пользование землею, за весьма редкими исключениями, чуждо закавказскому населению, среди которого повсеместно распространенной формой землевладения является участково-подворная (подымная). Общинное землепользование с периодическим переделом земли имеет место лишь в селениях, образованных русскими крестьянами (переселенцами)[112a].

ამგვარად, XIX ს. საქართველოში მიწის კომლობრივი მფლობელობა იყო გაბატონებული. გლეხები თემურად სარგებლობდნენ მხოლოდ ტყე-საძოვრით, რადგან სასაძოვრო და მომთაბარული მეურნეობის პირობებში პრაქტიკულად შეუძლებელი ჩანდა ამ სავარგულების კომლთა შორის გაყოფა. თემური მფლობელობა-სარგებლობის ეს ფორმა კი მაღალ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებშიც იყო შემორჩენილი.

---

112 ლენინგრადის ცსია, ფონდი 391, ანაწერი 2, საქმე 592, ფურც. 42—44.

დამოუკიდებლად იმისა, თუ სახელმწიფო გლეხთა სავარგულები მფლობელობა-სარგებლობის რომელ ფორმას განეკუთვნებოდა. საერთოდ მიწის უზენაეს მესაკუთრეს ხაზინა წარმოადგენდა. ნადელების მიმართ გლეხთა თავისუფალი განკარგულების უფლება შეზღუდული იყო, მაგრამ იგი მაინც პოულობდა გამოვლინებას სხვადასხვა სახით. სახელმწიფო გლეხთა მიწა ექვემდებარებოდა მევახშეობის ზემოქმედებას, მიწის ყიდვა-გაყიდვის პროცესს და სხვ., რასაც დიდი ცვლილებები შეჰქონდა ცალკეულ კომლთა მიწათმფლობელობის ოდენობაში და საერთოდ გლეხთა ეკონომიურ ყოფაში.

რეფორმის მომდევნო ხანაში წვრილი მიწათმფლობელობის დამარღვეველი ფაქტორები გამრავლდა და გაძლიერდა. კუჩაევის გადმოცემით. მას შემდეგ რაც გლეხებს სამეურნეო დამოუკიდებლობა მიენიჭა, გონიერი და მომჭირნე გლეხები გამდიდრდნენ სუსტ და უზრუნველთა ხარჯზე. მდიდარი გლეხები და ვაჭრები ყოველნაირად ცდილობდნენ მიწების შესყიდვას და იჯარით აღებას, უხარო გლეხები კი თავს ანებებდნენ მეურნეობას. მოსახლეობის ერთი ნაწილის სწრაფი გამდიდრება აისახა მეორე დიდი ნაწილის კეთილდღეობის სწრაფ დაცემაში. გლეხობის უმრავლესობისათვის კრედიტი აუცილებელი გახდა და ისინი მოექცნენ მევახშის კაბალაში. მევახშეობამ ამერიკავკასიაში ისეთი ღრმა ფესვები გაიდგა, რომ თავისი გამანადგურებელი შედეგებით არ ჩამოუვარდებოდა ცენტრალური გუბერნიების მევახშეობას[113].

დასავლეთ საქართველოში მევახშეობას ეწეოდნენ მემამულეები და მდიდარი გლეხები. სესხის სარგებელი ზოგჯერ 80—120% აღწევდა. კრედიტორები სესხის სიმტკიცისათვის ჩვეულებრივ გირაოდ იღებდნენ დებიტორთა ადგილ-მამულს. გირავნობითი ხელშეკრულება თითქმის ყოველთვის მიწის გასხვისების აქტს წარმოადგენდა. რადგან ეს მიწა კრედიტორის სრულ განკარგულებაში გადადიოდა სესხის დაფარვამდე. მეურნეობის შეწყვეტის წყალობით გლეხი კარგავდა ვალის გადახდის შესაძლებლობას და ამდენად მიწასაც.

კრედიტი მიწის გირაოს ქვეშ ასევე ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოში. გლეხები აგირავებდნენ ეზოს, ვენახს, სახნავ-სათიბს და ზოგჯერ მთელ ნადელსაც. ძალიან ხშირი იყო ვალის გადაუხდელობისათვის გლეხთა მიწის, განსაკუთრებით

---

113 Ростовничество в среде крестьянского населения, М. Н. Кучаева, СМЭБГКЗК. т., V, ч. 2, стр. 19—20.

ვენახის გაყიდვა სასამართლოს დადგენილების საფუძველზე. ვენახები თავისუფალი გარიგებითაც იყიდებოდა, რადგან კანონმდებლობა XIX ს. 80-იან წლებამდე დასაშვებად თვლიდა სახაზინო მიწებზე გაშენებული ნარგავების გასხვისებას. 60—70-იან წლებში გარეშე პირებზე გაყიდულია კახეთის სახელმწიფო გლეხთა 886 დეს. ვენახი[114].

მევახშეები ზოგჯერ ამჯობინებდნენ მათთან დაგირავებული მიწა გლეხთა მეურნეობის სფეროში დაეტოვებინათ და თანდათან ამოექაჩათ მისგან სარგებლის მაქსიმუმი. მაგრამ რეფორმის შემდეგ, მიწის საჯარო ქირისა და ნასყიდობის ფასის სწრაფი ზრდის პირობებში, მიწის საკუთრება გარანტირებულ და მაღალ, შემოსავლის მეტად საიმედო წყაროდ გადაიქცა. სხვადასხვა ჯურის საქმოსნები მიწას ყიდულობდნენ რენტის მიღების მიზნით. ბუნებრივია, მევახშეებიც ხელსაყრელად თვლიდნენ მათთან დაგირავებული მიწები ჩამოერთმიათ მოვალეებისათვის, რადგან საკუთრებაში აღებული მიწა მეტ შემოსავალს მისცემდა მათ, ვიდრე დაცემულ-გაღატაკებული გლეხის მეურნეობა, რომლის ექსპლოატაციასაც გირავნობითი ხელშეკრულების საფუძველზე ეწეოდნენ. ამდენად, მევახშეობა რეფორმის მომდევნო ხანის საქართველოში რამდენადმე აჩქარებდა გლეხობის დიფერენციაციის პროცესს, ხელს უწყობდა სოფლის ბურჟუაზიისა და სოფლის პროლეტარიატის წარმოშობას.

ვაჭარ-მევახშეთა დიდი ნაწილი გლეხური წარმოშობისა იყო. ამოძრავებული მიწები ძირითადად [illegible] ხელში გრავდებოდა. სახელმწიფო გლეხთა მიერ ერთმანეთს შორის მიწის ყიდვა-გაყიდვის შემთხვევებს მეფის მთავრობა არ აღნუსხავდა, რადგან ასეთი გასხვისება საფრთხის ქვეშ არ აყენებდა ხაზინის საკუთრებას. გლეხთა დიფერენციაციის პროცესის სრული სურათის აღდგენისათვის კი ასეთი მასალა კარგი იქნებოდა. ამ ნაკლს რამდენადმე ავსებს ოვით გლეხთა მიწათმფლობელობის, მიწის კომლთა შორის არათანაბრად განაწილების ფაქტის გათვალისწინება, რადგან ეს არათანაბრობა ძირითადად შექმნილი იყო მიწის ყიდვა-გაყიდვის გზით.

გლეხთა შორის მიწის ყიდვა-გაყიდვის აქტები შინაურული საბუთების სახით ფორმდებოდა. ხდებოდა სახაზინო სანადელო მიწების კონცენტრაცია კულაკების ხელში. ჩვენ არამართებულად მიგვაჩნია ეგიაზაროვის განცხადება იმის შესახებ, თითქოს ამიერკავკასიაში კულაკობა წარმოშობილია მიმტაცებლობის გზით, რომ

114 СМИЭБГКЗК, вз. 29—34.

მიწათმფლობელობის გაფართოების ეს ფორმა ყველაზე მეტად გავრცელებულია ქართველებსა და თათრებს შორის[115].

მკვლევარი თუ მიტაცების ცნების ქვეშ სახაზინო მიწების ყიდვა-გაყიდვის უფლების მითვისებას გულისხმობს, ეს ფორმალური მხარეა მოვლენისა. მაგრამ კულაკები რომ ვალში ეპატრონებოდნენ და ყიდვის გზით იძენდნენ სახაზინო მიწების დიდ ნაწილს, ეს ლაპარაკობს სოციალურ-ეკონომიური განვითარების სტიქიურ პროცესზე, თუმცა არ გამორიცხავს მიწების მიტაცების ფაქტებსაც.

მეფის მთავრობის ოფიციალური სტატისტიკა დაინტერესებული არ იყო გლეხთა სოციალური დიფერენციაციის ფაქტის ჩვენებით. აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც თითქოს გაბატონებული იყო თემური მიწათმფლობელობა, სტატისტიკოსები და მკვლევარები ზოგადად მიუთითებენ მიწების კულაკთა ხელში თავმოყრის ფაქტზე, მაგრამ კონკრეტულ ცნობებს ნაკლებად იძლევიან, კმაყოფილდებიან საშუალო ციფრებით.

თბილისის მაზრის სახელმწიფო გლეხთა ეკონომიური ყოფის მკვლევარი ს. მაჩაბელი აღნიშნავს, რომ გლეხთა შორის მიწების თანასწორად განაწილების შემთხვევაში კომლზე მოვიდოდაო 13 დესეტინა. თანაბრობის დარღვევის გამო კომლზე მოდიოდა: 2 სოფელში—1 დეს.-მდე მიწა, 2 სოფელში—1—2 დეს., 7 სოფელში—2—4 დეს., 9 სოფელში—4—9 დეს., 16 სოფელში—9—16 დეს., 11 სოფელში—18—26 დეს., 4 სოფელში—26—39 დესეტინა მიწა. კომლთა შორის მიწის არათანაბრად განაწილების საილუსტრაციოდ მ. მაჩაბელს მოყავს მხოლოდ სოფ. მარტყოფი. ამ სოფლის სახელმწიფო გლეხთაგან 203 კომლი უმიწაწყლო იყო (ისინი მეჭამეულეთა მიწებს იღებდნენ იჯარით). 106 გლეხი კომლზე ფლობდა 1 დეს.-მდე მიწას, 193 კ.—1—3 დეს., 162 კ., — 3—6 დეს., 95 კ.—6—9 დეს., 8 კ. — 9—12 დეს.. 4 კ.—12—15 დეს., 2 კ.—15—30 დეს., 1 კომლი—30 დესეტინაზე მეტს[116].

იგივე მ. მაჩაბელი გორის მაზრის სახელმწიფო გლეხთა მიწისმკვლელობის შესახებ ცნობებს იძლევა ცალკეული სოფლებისა და არა კომლების მიხედვით, მაგრამ გამონაკლისს უშვებს ნაყიდი მიწების მიმართ (აქ შეაქვს მხოლოდ ის ნაყიდი ნაკვეთები, რომლებზეც არსებობდა ნოტარიალური აქტები), რომელიც ჰქონდა 547 კომლს. 252 გლეხს საკუთრებაში ჰქონია კომლზე 1 დესეტი-

---

115 СМИЭБГКЗК, т. V, ч. 2, стр. 40.

116 СМИЭБГЗКЗ, т. V, ч. I, стр. 185, 233.

ნაშდე მიწა. 179 კ.—1—3 დეს., 47 კ.—3—5 დეს.. 26 კ.—5—7 დეს.. 15 კ. 7—10 დეს.. 7 კ.—10—20 დეს., 2 კომლს—20 დესეტინაზე მეტი[117].

როგორც ვხედავთ, სახელმწიფო გლეხთა ერთ, მცირე ნაწილს. თავი რომ დავანებოთ ნადელებს, მარტოოდენ ნაყიდი მიწა აქვს იმდენი, რომ მით დაიკმაყოფილოს ოჯახის ყველა მოთხოვნილება და გარდამეტი პროდუქტებიც აწარმოოს ბაზარზე გასატანად.

დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო გლეხთა შესახებ არსებულ გამოკვლევებში უკეთ არის ასახული გლეხთა შორის მიწების არათანაბრად განაწილების ფაქტი. 20997 გლეხიდან 2142 კომლზე ფლობდა 1 დეს.-მდე მიწას, 4427 კ.—1—2 დეს., 7383 კ.—2—4 დეს., 3396 კ.—4—6 დეს., 1330 კ.—6—10 დეს., 834 კ. 10—20 დეს., 221 კ.—20—154 დესეტინას[118].

სახელმწიფო გლეხთა დიფერენციაცია განსაკუთრებით ღრმად იყო წასული ქუთაისის მაზრაში. ამ მაზრის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 51 კომლ გლეხს სახაზინო მიწა სულ არ გააჩნდა.159 კომლი ფლობდა 1 დეს.-მდე, 706 კ.—1—3 დეს., 583 კ.—3—5 დეს., 771 კ.—5—10 დეს., 366 კ.—10—20 დეს., 95 კ.—20—30 დეს., 31 კ.—30—40 დეს., 13 კ.—40—50 დეს., 10 კ.—50—60 დეს., 4 კ.—60—70 დეს., 3 კ.—70—80 დეს., 4 კ.—80—90 დეს., 1 კ.—120 დეს., 1 კ.—154 დეს.[119].

შეძლებულ სახელმწიფო გლეხთა მიწათმფლობელობაში მთავარი ნაყიდი მიწები იყო. ისინი ფაქტიურად მესაკუთრე გლეხებს წარმოადგენდნენ.

ყოფილ საბატონო, დროებითვალდებული გლეხების მესაკუთრეთა კატეგორიაში გადასვლის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა მათი სოციალური დიფერენციაციის პროცესი. მესაკუთრე გლეხი სრული სამეურნეო დამოუკიდებლობით სარგებლობდა, აქტიურად იყო ჩაბმული სასაქონლო-ფულად ურთიერთობაში და მიწის ყიდვა-გაყიდვის პროცესში. მათ წრეში ნაკლებად მოქმედებდა სოციალური დაშლის შემაფერხებელი ფაქტორები.

---

117 МИЭБГКЗК, т. VI, ч. I, стр. 157—158.
118 СМИЭБГКЗК, т. VI, ч. I, стр. 157 — 158.
119 МИЭБГКЗУ, т. I, стр. 221.

XIX ს. 90-იანი წლებისათვის ბორჩალოს მაზრაში ითვლებოდა 706 კომლი მესაკუთრე გლეხი 19247 დეს. მიწით. ისინი კომლზე საშუალოდ ფლობდნენ 27,2 დეს. მიწას. მათ შორის გამოირჩეოდნენ ეორონცოვკის, ნოვომიხაილოვკის და შახნაზარის ცალკეული გლეხები, რომელთაც ადგილობრივი მემამულეებისაგან შესყიდული ჰქონდათ ვეებერთელა ფართობები[120]. ბორჩალოს მაზრის სოფელ ჯალალოღლიში 2 კომლს საკუთრებაში ჰქონდა 712 დეს., ბოლნის-ხაჩინის 8 კომლს — 300 დეს., შულავერის მცირერიცხოვან ამხანაგობებს—2200 დეს. მიწა. გლეხ იარდან ყული ოღლის საკუთრებაში ჰქონდა 2000 დესეტინა (400 დეს. სახნავ-სათესი, 1000 დეს. სათიბი, 600 დეს. საძოვარი)[121].

ამავე ხანებისათვის გორის მაზრაში მიწათმფლობელობის სიდიდით გამოირჩეოდნენ: თეიმურაზ მედოშვილი—ფლობდა 61 დეს. მიწას, გიორგი მურაზაშვილი—25 დეს., პეტრე სამუკაშვილი—55, იაკობ თანდილაშვილი—50, მიხეილ ტატოშვილი—25, დათო წრიალაშვილი—50, გიორგი ბექაური—86, გედევან გაგლოშვილი—100, სოლომონ გოგიჩაშვილი—163, ალექსი ზაზიკაშვილი—200, იორდანე კობახიძე—45, ზაქარია გუგუტიშვილი—51, აბრამ ბეგიაშვილი—700 დესეტინას და სხვ.[122].

XX ს. დამდეგისათვის სიღნაღის მაზრის მესაკუთრე გლეხები მიწის მფლობელობის სიდიდის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებოდნენ: 167 გლეხს ჰქონდა 0,6-დან 1 დეს.-მდე მიწა კომლზე, 242 კ.—1—3 დეს., 48 კ.—5—10 დეს., 11 კ.—10—20 დეს., 10 კ.—20—100 დესეტინა. ქიზიყელ ბაცანაძე გიგლოს საკუთრებაში ჰქონდა 31 დეს., ბეზერაშვილ დათიკოს—79 დეს., მახაშვილ ვასილს—78 დეს., სოლოღაშვილ ბეჟანს—87 დეს., ბაზერაშვილ დავითს—128 დეს. მიწა[123].

ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ გლეხთა მიწათმფლობელობაში არსებულ განსხვავებას, ზედა ფენის ხელში მიწის კონცენტრაციის ფაქტის ჩვენებას, რადგან საქართველოში, სადაც მეტად მწვავედ იგრძნობოდა მცირემიწიანობა, ადგილ-მამულის სიდიდე განსაზღვრავდა, პირველ რიგში, გლეხის შეძლებას. თუ გლეხს მიწა ბევრი ჰქონდა, მას ხელგაუნძრეველად და მეურნეობის გაუმარ-

---

120 РТКЭЖДКЭО, стр. 56.

121 იქვე, გვ. 57—58.

122 ი. უ თ უ რ ა შ ვ ი ლ ი, გლეხობის კლასობრივი დიფერენციაცია საქართველოში, XIX ს. მეორე ნახევარში (ბორის მაზრის მასალების მიხედვით), თბილისი, 1957 წ., გვ. 179.

123 საქართველოს ცსია, ფონდი 414, საქმე 54, ფურც. 36—44.

თავად. მიწის რენტით შეეძლო ცხოვრება და ქონების დაგროვება. ამდენად დიდი ადგილ-მამულის მქონე გლეხები. როგორც წესი, შეძლებული იყვნენ. ბევრი მათგანი, ბუნებრივი პირობებისა და ბაზრის კონიუნქტურის შესაბამისად, ფართო მაშტაბით ეწეოდა მემინდვრეობას. მევენახეობა-მეღვინეობას, მეცხოველეობას და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებს. გლეხური ბურჟუაზიის მეურნეობები, რომელშიც საკმაო რაოდენობით იყო გამოყენებული დაქირავებული მუშახელი, დიდი რაოდენობით აწარმოებდა სასაქონლო პროდუქციას.

ქიზიყელ კულაკ გიგია კოკლამაზიშვილს, რომელსაც დაქირავებული ჰყავდა სამი მუდმივი და რამდენიმე სეზონური მუშა, 1881 წ. თავის მეურნეობის ფარგლებში ჰქონდა 60 დეს. პურის, 15 დეს. ქერის და 25 დეს. ფეტვის ყანა, საიდანაც ღებულობდა 6540 ფ. მარცვლეულს. მემინდვრეობა მას აძლევდა 4924 მან., მეცხოველეობა კი—3208 მან. შემოსავალს. სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ხარჯების გაწევის შემდეგ კულაკს რჩებოდა სუფთა შემოსავალი 3789 მან. ოდენობით[124].

XIX ს. 80-იან წლებში შორაპნის მაზრის სახელმწიფო გლეხებიდან 1926 კომლს ჰქონდა 0,37 დეს-მდე ვენახი, 1767 კ.—0,37—0.75 დეს., 521 კ.—0,75—1 დეს., 625 კ. — 1—2 დეს., 61 კ.—2—3 დეს., 19 კ.—3—5 დეს., 5 კ.—5—8 დესეტინა[125]. სოფ. სვირის გლეხები კომლზე საშუალოდ 1 დეს. ვენახს ფლობდნენ; საკმაოდ იყვნენ 3 — 8 დეს. ვენახის პატრონებიც. მეღვინეობა დიდ შემოსავალს აძლევდა გლეხობის ამ ზედაფენას. სვირში იყო რამდენიმე კომლი სახელმწიფო გლეხი, რომელთა ქონება 100 ათას მანეთამდე იყო შეფასებული[126].

მდიდარი გლეხები მიწასთან ერთად თავის ხელში აქცენდნენ წარმოების სხვა საშუალებათა კონცენტრაციასაც.

XIX ს. 80-იან წლებში თელავის მაზრის სახელმწიფო გლეხთა შორის მუშა-პირუტყვი შემდეგნაირად ნაწილდებოდა: 976 გლეხს ყავდა კომლზე თითო უღელი ხარი, 962 კ. — 1—2 უღელი, 578 კ.—2—3 უღელი, 310 კ.—3—4 უღელი, 140 კ.—4—5 უღელი, 245 კომლს 5 უღელზე მეტი. ამ უკანასკნელებს ყავდა სულ 3818 ხა-

---

124 МИЭБГКЗК, т. IV, ч. 2, стр. 331—338.

125 МИЭБГКЗК. т. V, ч. 2, стр. 210.

126 В. Д. Мочалов, Крестьянское хозяйство в закавказье к концу XIX в., Москва, 1958, г., стр. 239.

რი—კომლზე საშუალოდ 7 უღელი. მათ შეეძლოთ მინდვრად საკუთარი გუთნეულის გამოყვანა[127].

კიდევ უფრო უთანაბროდ ნაწილდებოდა მუშა-პირუტყვი სიღნაღის მაზრის სახელმწიფო გლეხთა შორის. 2722 გლეხურ მეურნეობას კომლზე ყავდა 1—2 უღელი ხარი, 550 მეურნეობას—5 უღელზე მეტი. ეს უკანასკნელნი შეადგენდნენ მაზრის სახელმწიფო გლეხთა 6% და ფლობდნენ მუშა-პირუტყვის 40%-ს. კომლზე საშუალოდ 10 უღელს. ეს მაშინ, როცა სიღნაღის მაზრის სახელმწიფო გლეხთა 48%-ს სულ არ გააჩნდა მუშა პირუტყვი[128].

ძველი კონსტრუქციის ქართული გუთანი მთელი თავისი მოწყობილობით 57 მანეთი ჯდებოდა. არანაკლებ ძვირი იყო ქარხნული გუთნები, რომელნიც თანდათან მზარდი რაოდენობით შემოდიოდა რეფორმის მომდევნო ხანის საქართველოში. ამიტომ მიწათმოქმედების წარმოებისათვის აუცილებელი ამ ძირითადი იარაღის შეძენას მხოლოდ შეძლებული გლეხები ახერხებდნენ.

კახეთის სოფელ ველისციხეში გუთანი ჰქონდა 35 კომლს. სახელმწიფო გლეხთა 6%, ვარდისუბანში—20 კ. (7%), მერეში—4 კ. (11%), არტოზანში—7 კ. (7%), ზემო ხოდაშენში—5 კ. (6%), მაღნარში—7 კ. (16%), შალაურში—15 კ. (14%), ქვემოხოდაშენში—7 კ. (9%). თბილისის მაზრის სოფ. ლილოში 121 სახელმწიფო გლეხიდან მხოლოდ 2 კომლს ჰქონდა გუთანი მთელი თავისი მოწყობილობით და მისთვის საჭირო მუშა-პირუტყვიც ყავდა. სოფ. მარტყოფის 350 კომლ სახელმწიფო გლეხს არც მუშა პირუტყვი ყავდა და არც გუთანი გააჩნდა[129]. მათ, უკეთეს შემთხვევაში, მიწის დამუშავება შეეძლოთ საამხანაგო გუთნით.

საამხანაგო გუთნეული, ხვნა-თესვის დროს მოქმედი საწარმოო არტელი, შემდეგნაირად ეწყობოდა: არტელის ერთ მონაწილეს გამოჰქონდა სახნისი, მეორეს საკვეთი, მესამეს—გუთნის ხის ნაწილები, მეოთხეს—ღვედი, ჯამბარა და აპეურები. არტელის სხვა წევრებს გამოყავდათ ხარ-კამეჩი ერთი, ორი, სამი უღლის რაოდენობით, რაც დამოკიდებული იყო გლეხის შეძლებაზე. გუთნეულის ყველაზე უფრო ღარიბი წევრები მუშაობდნენ ღღისა და ღამის მეხრეებად. სიღნაღის მაზრის სახელმწიფო გლეხთა ეკონომიური

---

127 МИЭБГКЗК, т. V, ч. I, стр. 117—118.
128 МИЭБГКЗК, т. VI, ч. VI, ч. 2, стр. 282—284.
129 МИЭБГКЗК, т. V, ч. I, стр. 98—99, 237—238.

ყოფის მკვლევარი ა. არღუთინსკი, ლაპარაკობს რა უხარო გლეხების მეურნეობაზე, წერს: „ყოველ გაზაფხულსა და შემოდგომაზე მათ წინაშე მთელი სიმწვავით დგება საკითხი—როგორ მოხნან თავის მიწის ნაკვეთი. იწყება სირბილი შეძლებულ გლეხთა კარზე, თხოვნა, რომ მიღებულ იქნან გუთნეულში მეხრეებად. თითქმის ასეთსავე დღეში არიან 1—2 უღელი ხარის მფლობელნიც. იმის გამო, რომ გუთნები და საკმარისი ხარკამეჩი მხოლოდ მეურნეთა მცირე რიცხვს გააჩნია, გუთნეულს ქმნიან არა წვრილი მეურნენი დამოუკიდებლად, არამედ მდიდარი და ღარიბი გლეხები ერთად. მდიდარ გლეხებს გაცილებით მეტი საშუალება აქვთ ისარგებლონ საერთო შრომის მთელი სიკეთით“[130].

გუთნეული მოქმედებდა ერთი ალოს (ხვნის სეზონი—21—30 დღე) განმავლობაში. ამ ხნის მანძილზე არტელი მუშაობდა:

I. გუთნის დედისათვის — 2 დღეს
ღამის მეხრისათვის—2დღეს
დღის ოთხი მეხრისათვის—4 დღეს
II. 8 უღელი ხარისათვის—16 დღეს
III. სახნისისათვის—2 დღეს.
საკვეთისათვის—1 დღეს.
გუთნის ხის ნაწილებისათვის—1 დღეს
ღვედისათვის — 1 დღეს
ჯამბარისა და ეპეურისათვის—1 დღეს.

ერთი დესეტინა მიწის მოხვნა ფულზე გადაყვანით 10 მანეთი ჯდებოდა. ალოს განმავლობაში გუთნეული ხნავდა 15 დესეტინას და ქმნიდა 150 მან. ღირებულებას. გუთნეულში მონაწილერბით სამუშაო ძალა (მეხრეები) ქმნიდა 114 მანეთს—გუთნეულის მიერ შექმნილი მთელი ღირებულების 76%. მკვდარი ინვენტარის (გუთანი და მისი ნაწილები) შრომის პროცესში გამოყენებით შექმნილი ღირებულება უდრიდა 5 მანეთს (3,34%), მუშა პირუტყვის მონაწილეობა ქმნიდა 31 მანეთს (20,66%). ფაქტიურად კი გუთნეულის მუშაობის შედეგი შემდეგნაირად ნაწილდებოდა: სამუშაო ძალა ღებულობდა 40 მან.—მთელი ღირებულების 26,66%, მუშა-პირუტყვის მფლობელი—80 მან. (53%), მკვდარი ინვენტარის მფლობელი—30 მან. (20%). ე. ი. მუშები ღებულობდნენ მათ მიერ შექმნილი ღირებულების მხოლოდ 35%, მუშა-პირუტყვის პატრონი ღებულობდა ხარ-კამეჩის შრომის პროცესში მონაწილე-

130 МИЭБГКЗК, т. IV, ч. 2, стр. 267.

ობით შექმნილ ღირებულებაზე 2,5-ჯერ მეტს, მკვდარი ინვენტარის მფლობელი კი—6-ჯერ მეტს. ამდენად „მუდმივი კაპიტალის წარმომადგენელი, სახელდობრ გლეხობის. ის ფენა, რომელსაც ჰყავდა ხარ-კამეჩი და ჰქონდა გუთნის, რკინის ხის და სხვა ნაწილები, ე. ი. კულაკები ითვისებდნენ რა შექმნილი ღირებულების უდიდეს ნაწილს, არსებითად ეწეოდნენ გუთნეულში ჩაბმულ მუშათა, კერძოდ, მეხრეების ექსპლოატაციას“[131].

ღარიბ გლეხობას ეკონომიური აუცილებლობა აიძულებდა მონაწილეობა მიეღო გუთნეულში და მდიდართა ექსპლოატაციის ობიექტად გადაქცეულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში მიწის ნაკვეთები მოუხნავი დარჩებოდათ. მაგრამ გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი გუთნეულის გარეთ რჩებოდა და ამდენად კარგავდა მიწათმოქმედების წარმოების შესაძლებლობას.

დასავლეთ საქართველოში მიწათმოქმედების (ხვნა-თესვა) წარმოება შედარებით ადვილი იყო. იქ არ იგრძნობოდა საწარმოო არტელების შექმნის საჭიროება. ნიადაგისა და კლიმატის თავისებურება იმის შესაძლებლობას ქმნიდა, რომ გლეხს 1—2 უღელი ხარით დაეხნა თავისი მიწა და შეესრულებინა სხვა აუცილებელი სამუშაოები. მაგრამ გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის უღელი ხარიც კი მიუღწეველ ოცნებად გადაიქცა. 1907 წლისათვის მუშა პირუტყვი სულ არ ყავდა: ქუთაისის მაზრაში—7000 კ., შორაპნის მაზრაში—11000 კ., სენაკის მაზრაში—2500 კ., ოზურგეთის მაზრაში—6700 კომლ გლეხს[132]. ასეთ მეურნეებს ან მეზობელი მდიდარი გლეხებისათვის „დახმარება“ უნდა ეთხოვათ, ან ბარითა და თოხით ეცოდვილათ თავის პატარა ნაკვეთებზე.

საქართველოს ბარის ძირითად რაიონებში მეცხოველეობას დამხმარე მნიშვნელობა ჰქონდა, მთაში კი იგი სოფლის მეურნეობის წამყვან დარგს წარმოადგენდა. მეცხოველეობის შიმდევარი გლეხობის სოციალური დიფერენციაცია კიდევ უფრო სწრაფად მიმდინარეობდა.

აღმოსავლეთ საქართველოში ალპიური საძოვრები და ფაბლობის მოურწყავი ველები ერთმანეთს ავსებდა და კარგ საფუძველს ქმნიდა მომთაბარული მეცხოველეობის განვითარებისათვის. აუცილებლობა საზაფხულო და საზამთრო საძოვრების გამოყენებისა, ამ

---

[131] ს. გუგუშვილი, გუთნეულის ეკონომიური ორგანიზაცია. ცალკე ამონაბეჭდი, გვ. 332—333.

[132] Обзор Кутаисской губернии за 1907 г., стр. 36—37.

საძოვრების ერთმანეთისაგან დიდი მანძილით დაცილება და ამით გაძოწეული პირუტყვის გადარეკვის დიდი ხარჯები, ბოლოს, საძოვრებზე საიჯარო ქირის ზრდა, სულ უფრო და უფრო ამცირებდა წვრილ მეცხვარეთა რიცხვს და მომთაბარულ მეცხოვლეობას მომგებიანად ხდიდა მხოლოდ დიდი ფარების მფლობელ მეურნეთათვის[133].

ცხვარი არათანაბრად ნაწილდებოდა სხვადასხვა სპეციალიზებულ რაიონებზე. XIX ს. 80-იანი წლებისათვის თუშეთში კომლზე საშუალოდ მოდიოდა 157 სული ცხვარი, ფშავში—72 ს., ერწო თიანეთში—21 ს. ხევსურეთში—7 ს., კახეთში (ახმეტის რაიონი)—6 სული[134].

კომლთა შორის ფარების განაწილებაში კიდევ მეტი სხვაობა შეინიშნებოდა. წოვათუშეთში 312 კ. გლეხი ითვლებოდა. აქედან სამ უმდიდრეს გლეხს კომლზე ჰყავდა 2 ათას სულზე მეტი ცხვარი. 8 კომლს—1000-ზე მეტი, 25 კომლს 500-ზე მეტი, 33 კომლს—300—500 ს., 137 კ.—100—300 ს. 39 კომლი უცხვარო იყო. ფარსმის საოსფლო საზოგადოებაში 124 კომლიდან 24 კომლს ცხვარი არ ყავდა, არტონის საზოგადოებაში კი უცხვარო იყო კომლთა ნახევარი[135].

დუშეთის მაზრის ზოგიერთ გლეხს რამდენიმე ათასი სულისაგან შემდგარი ცხვრის ფარები ყავდათ. მათ შორის გამოირჩეოდნენ სოფ. კაიშაურში შიო კაიშაური, სოფ. დიხჩოში — შიო წიკლაური, სოფ. დუმაცხოში—გერენა აფიციაური[136]. მეორე მხრივ ბლომად იყვნენ გლეხები რომელთაც სულ არ ყავდათ ცხვარი. ღარიბი მთიელები დაქირავებულ მწყემსებად მუშაობდნენ, მდიდართა ფარებს აძოვებდნენ იალაღებსა და ყიშლაღებზე.

ალპური საძოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი კავკასიონის მთათა კალთებზე მთიელ გლეხთა ნადელებში შედიოდა. შირაქის საზამთრო საძოვრებით კი, რომელიც ხაზინის შეუზღუდავ სამფლობელოდ იყო გამოცხადებული, მთიელები სარგებლობდნენ იჯარის საფუძველზე, ყოველ დესეტინაში იხდიდნენ გარკვეულ თანხას. კანონით თითქოს ყველა მთიელს თანაბარი უფლება ჰქონდა, ყველას შეეძლო შირაქში ცხვრის ძოვება, მაგრამ ფაქტიურად ასეთი განუ-

---

133 СМИЭБГКЗК. т. V, ч. I, стр. 216.

134 იქვე, გვ. 219.

134 იქვე, გვ. 219.

136 იქვე, გვ. 56—58.

საზღვრელობით ყველაზე უკეთ სარგებლობდნენ მდიდარი კომლები და ახერხებდნენ დაეჩემებინათ საძოვრების დიდი ნაწილი, რაც რიგით მთიელთა უკმაყოფილებას იწვევდა. 1896 წ. 27 თებერვალს თიანეთის მაზრის უფროსი აცნობებდა თბილისის გუბერნატორს, რომ უკანასკნელ ხანებში ფარების მფლობელთა შორის საძოვრების თაობაზე შეტაკებანი ძალიან გახშირდა. სიმშვიდის შენარჩუნებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა სიღნაღის მაზრის ძალები, და მე იძულებული ვარ ყოველწლიურად გავგზავნოო შირაქში პოლიციელთა რაზმი[137].

რამდენიმე თვით ადრე კი თუშეთის მამასახლისები თიანეთის მაზრის უფროსისათვის მიცემულ თხოვნაში წერდნენ: „მოგახსენებთ რომ 1884 წ. დუშეთისა და თიანეთის მაზრის მცხოვრებლებს გამოეყო შირაქის საძოვრების გარკვეული ნაწილი საერთო სარგებლობაში. ძლიერებმა კარგად ისარგებლეს ამ წესით; ფართოდ გაშალეს თავიანთი ცხვრის ფარები, მოაწყვეს ზედმეტი ფარეხები და ამ გზით მიისაკუთრეს საუკეთესო საძოვრები. 20—30 მეურნემ ფშავთაგან უკვე მოასწრო მიეთვისებინა საძოვრების ნახევარი, სახელდობრ „ტარიბანი", „ბურდოს მთა", „ჩობანდაგი", და სხვ. ამ ადგილებში ძოვების სხვა მსურველს ისინი საერთო ძალით ეწინააღმდეგიან და ამდენად ორი მაზრის დანარჩენი 10 ათასი კომლის სარგებლობაში რჩება საძოვრების მეორე ნახევარი, რაც არა საკმარისია მათი ფარების გამოკვებისათვის. საძოვრებით სარგებლობის მოწესრიგების ყველა ჩვენი ცდა უშედეგოდ მთავრდება იმ უმდიდრესი კომლების წინააღმდეგობის გამო, რომელნიც ფართოდ არიან გაშლილი შირაქის ველზე.

მწყემსური ცხოვრების გამოცდილებით.—განაგრძობენ მამასახლისები,—ხალხი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საძოვრების საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა სასოფლო საზოგადოებას, ვითარცა იურიდიულ პირს, გამოეყოს შირაქის ველის გარკვეული ნაწილი. ეს ხელს შეუწყობს მთიელთა მეურნეობის წარმატებას და პასუხობს აგრეთვე მთავრობის ინტერესებსაც, რადგან ასეთ პირობებში უფრო ადვილი იქნება მომთაბარეთა მართვა... უმორჩილესად გთხოვთ გაყოთ საძოვრები ფშავებსა და თუშებს შორის, გაანაწილოთ უკანასკნელთა ხვედრი სასოფლო საზოგადოებებზე, შეწერილი სადესეტინო გამოსაღების რაოდენობის შესაბამისად"[138].

---

137 საქართველოს ცსია, ფონდი 244, ანაწერი 5, საქმე 357, ფურც. 6.
138 იქვე, ფურც. 12—25.

სახელმწიფო ქონებისა და მიწათმოქმედების სამინისტროს მოხელეებმა მოისმინეს თუშთა თხოვნა და თიანეთის მაზრის უფროსის სათანადო შუამდგომლობაც, მაგრამ მოერიდნენ იმ ხარჯების გაწევას, რასაც მოითხოვდა გამიჯვნის სამუშაოთა ჩატარება. მათ სასურველად ჩათვალეს სასოფლო საზოგადოებებს ერთმანეთში მორიგებით გაეყოთ შირაქის საძოვრები[139]. მთავრობის მიერ დაკავებული ინდიფერენტული პოზიციის გამო, აღძრული საქმე დიდხანს ადგილიდან არ დაძრულა. 1905 წლის რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში მთიელებმა ჩამოართვეს კულაკებს მათ მიერ მიტაცებული საძოვრები, მაგრამ როგორც ჩანს ამ უკანასკნელებმა რეაქციის დაწყებისთანავე დაიბრუნეს დაკარგული პოზიციები და კვლავ შეავიწროვეს მომთაბარე მეცხვარეთა მასა.

შირაქის საძოვრების საკითხი უფრო აქტიურად დაისვა მთავრობის ორგანოებში 1907 წლიდან. თბილისის გუბერნატორმა მოიწვია სპეციალური თათბირი, რომელშიც ქართველ მთიელთა წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. „თათბირის მუშაობისას დაგროვილი მასალის საფუძველზე,—წერდა გუბერნატორი,—მე მივედი იმ დასკვნამდე, რომ უნდა დავაკმაყოფილოთ მთიელთა შუამდგომლობა საძოვრების გაყოფის თაობაზე“[140]. მაგრამ ასეთი აღიარება არ იყო საკმარისი. შირაქის საძოვრებით სარგებლობის წესი ბოლომდე უცვლელი რჩებოდა. შირაქის ველი გლეხობის ზედაფენის გამდიდრების წყაროს წარმოადგენდა.

გლეხობის ერთი ნაწილის ექსპროპრიაციას იწვევდა კაპიტალისტური მეურნეობების გაფართოება. 1894 წ. ბათუმის ოლქში (ჩაქვი) ნაყიდ მიწაზე საუფლისწულო უწყების მეურნეობას. 1898 წ. ნაყიდ მიწებს დაემატა იმპერატორის გელუხვი საჩუქარი, საუფლისწულო უწყებას გადაეცა ჩაქვის სახაზინო მამული 10000 დეს. ფართობით. ახლა არ დავიწყებთ იმის განსჯას თუ რამდენად კანონიერი იყო ადგილობრივ მცხოვრებთათვის ესოდენ საჭირო სახელმწიფო მიწის ყოველგვარი სასყიდლის გარეშე მეფის საგვარეულო საკუთრებაში გადაცემა. მხოლოდ შევეხებით იმ ღონისძიებებს, ეს ახალი მესაკუთრე რომ მიმართავდა ჩაქვის მამულის დამრგვალებისათვის.

ჩაქვის მამულის სამმართველო დაეპატრონა მუხაჯირთა (თურქეთში გადასახლებულთა) მიწებს და მიზნად დაისახა მოსაზღვრე სოფლების გლეხთა ექსპროპრიაცია, მათი მიწების მამულის საზღ-

139 საქართველოს ცსია, იქვე, ფურც. 30—31.

140 იქვე.

ვრებში მოქცევა. 1895 წ. აზომვის მიხედვით ქვემო ჩაქვის, ჭალ-
გაძის, ხალვაშის, დიდი ჯამეს და ხალას გლეხთა მფლობელობაში
იყო 4116 დეს. მიწა. 1903 წლამდე ჩაქვის მამულის სამმართველოს
გლეხთაგან შეისყიდა 2978 დეს. მიწა. სოფლელთა ხელში დარჩა
მხოლოდ 1146 დესეტინა. ჩაქვის მამულის მმართველი თავის ან-
გარიშში სიამოვნებით აღნიშნავს, რომ ამ შესყიდვებმა დაამრგვა-
ლაო მამულის ტერიტორია. მმართველის უკმაყოფილება გამოუწ-
ვევია სოფ. ჩაქვის გლეხების საქციელს, რომელნიც არ და-
თანხმებულან იმ მცირე ფასზე, რაც გამოიანგარიშებოდა მიწის შე-
მოსავლის მიხედვით. მამულის შემდგომი დამრგვალებისათვის მას
აუცილებლად მიაჩნდა გლეხთა ხელში დარჩენილი მიწების შესა-
ყიდვაც. რის შემდეგ ადგილობრივი გლეხები უნდა გადაქცეულიყ-
ვნენ კაბალურ ძოიჯარეებად. მმართველი პირდაპირ წერდა, რომ
საჯაროდ გასაცემი მიწების შემოსავალი მოიმატებდა შესყიდული
მიწების ზრდის პარალელურად და თითქმის გაორმაგდებოდა. თუ
შეისყიდიდნენ სოფ. ჩაქვისათვის მიწებს[141]. ჩაქვის მამულის საპმარ-
თველომ მიაღწია მიზანს. ადგილობრივი გლეხთა მნიშვნელოვანი ნა-
წილი გადააქცია კაბალურ მოიჯარეებად და დაქირავებულ მუშებად.

შვეიცარიელმა ნიდიგერმა მეძროხეობის ფერმა და ყველის ქარ-
ხანა მოაწყო 1880 წ. არღუთინსკისაგან ჯარით აღებულ მიწაზე
(1500 დეს.) ბორჩალოს მაზრის სოფ. კამარლიში. ამ მიწაზე ცხოვ-
რობდა 24 კ. გლეხი. ნიდიგერი პირველ ხანებში თავის საჯარო მი-
წის ნახევარს იმავე გლეხებს უთმობდა. მაგრამ წარმოების გაფარ-
თოების პარალელურად გლეხებს თანდათან ავიწროებდა. 1900 წლი-
სათვის სოფელში დარჩა მხოლოდ 6 ოჯახი, რომლის წევრები მუშა-
ობდნენ ნიდიგერის წარმოებაში დაქირავებულ მწყემსებად და მწვე-
ლავებად[142].

კიდევ უფრო შეავიწროვა გლეხები ბარონ კუჩენბახის მეურნე-
ობამ. იმ სოფლების გლეხობა, სადაც ფერმა და ქარხანა დაარსდა,
თანდათან განიდევნა და შემცირდა სამჯერ. კუჩენბახის წარმოებაში
შეუძლებელი იყო ყველა ექსპროპრიაციაქმნილთა ჩაბმა. უმეტესობა
სხვაგან წავიდა ბედის საძებნელად.

1908 წ. „ამირანის" კორესპონდენტი თრიალეთიდან იწერებო-
და: „ამ ბოლო დროს ხალხს ძლიერ გაუჭირდა ცხოვრება. ამის მი-
ზეზი ყველის მექარხნე გერმანელები არიან. წინათ თუ თითო ქარ-
ხნით კმაყოფილდებოდნენ, ახლა თითოეული რამდენიმე ქარხანასაც

---

141 ლენინგრადის ცსია, ფონდი 515, ანაწერი 45, საქმე 622, ფურც. 9—22.

142 „Кавказское сельское хозяйство", 1902 г., № 4, л. 60—62.

აღარ სჯერდება, ოვეებზე მეტად გაუჭირა ხალხს ცხოვრება მექარხნე ფრიც ამეტეერმა. კორესპონდენციის ავტორი გვაუწყებს, რომ ფერნეერმა და მექარხნემ, რომელსაც შესყიდული თუ იჯარით აღებული ჰქონდა 5200 დეს. მიწა, ამ მამულებიდან უკვე „გადააპახლა ქვემო ყარაბულახელნი და პატარა ყამარლოელნი, ხოლო ზემო ყარაბულახელების აწოკებას ახლა შეუდგაო“[143].

გლეხობის დიდი ნაწილი მცირემიწიანობის და მუშაპირუტყვის უყოლობის გამო ისეთი მცირე მასშტაბის მეურნეობას ეწეოდა, რომ მისი შემოსავლის სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებდა ოჯახის მოთხოვნილებას, სხვას რომ თავი დავანებოთ სურსათ-სანოვაგეზეც კი. სოფლის ნახევრადპროლეტარული და პროლეტარული მასა არსებობის საშუალებებს ძირითადად დაქირავებული შრომით პოულობდა.

სოფლის მუშების კონტინგენტი და მუშახელის ბაზარი მეტნაკლები მასშტაბით საქართველოს ყველა კუთხეში არსებობდა დაქირავებული მუშების შრომას იყენებდნენ როგორც მემამულურ, ისე ბურჟუაზიულ (მათ შორის კულაკურ) მეურნეობებში. მაგრამ სოფლის პროლეტართა მნიშვნელოვანი ნაწილი ადგილზე გამოყენებას ვერ პოულობდა. ისინი მშობლიურ სოფლებს ტოვებდნენ და საშოვარზე გადიოდნენ რუსეთის იმპერის სხვადასხვა მხარეში.

გლეხობის ვარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ ბატონყმობის გაუქმებამდე დიდი ხნით ადრე გადიოდა საშოვარზე. ზოგი მალულად გარბოდა, ზოგიც სანებართვო მოწმობას, პასპორტს იღებდა. 1862 წელს პასპორტი აიღო (და თავისი კუთხის გარეთ წავიდა) ქუთაისის მაზრაში—386 კაცმა, შორაპნის მაზრაში—487, ოზურგეთის მაზრაში—115, რაჭის მაზრაში—1253, ახალციხის მაზრაში—626 კაცმა[144].

ყმაგლეხთა განთავისუფლების შემდეგ, როცა მათი მნიშვნელოვანი ნაწილი საწარმოო საშუალებებისაგანაც (მიწა) განთავისუფლდა, საშოვარზე გასულთა რიცხვი სწრაფად იზრდება. 1867 წ. გაიცა პასპორტი: ქუთაისის მაზრაში—638, შორაპნის—810 რაჭის—3896, ზუგდიდის—460, სენაკის—475, ლეჩხუმის—მაზრაში—763[145]. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გადიოდნენ რაჭის მაზრის უმიწაწყლო გლეხები. უკვე 1873 წელს მაზრის უფროსი საშოვარზე გასულას „რაჭველებში განმტკიცებულ ჩვეულებას“ უწოდებს.

გლეხობის სოციალური დიფერენციაციის გაღრმავებისა და მიმოსვლის საშუალებათა (რკინიგზები) განვითარების პარალელურად

---

143 „ამირანი“, 1908 წ., № 110.

144 საქართველოს ცსია, ფონდი 19, საქმე 58, ფურც. 21.

145 საქართველოს ცსია, ანაწერი 1, საქმე 8977 ბ, ფურც. 77.

საშოვარზე გასულთა რცხვი თანდათან მატულობს და მათი მოქმედების ასპარეზიც ფართოვდება. სოფლიდან დაძრული მასები კვლავ პოულობდნენ სამუშაოს საქართველო-ამიერკავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებში, მაგრამ დიდი რაოდენობით მიემგზავრებოდნენ საშოვარზე გასულნი რუსეთის იმპერიის სხვადასხვა მხარეებშიც (შავი ზღვის ნავსადგურები, ცენტრალური რუსეთი, შუა აზია, ციმბირი, შორეული აღმოსავლეთი). 1892 წ. გაცემულ იქნა პასპორტები: ზუგდიდის მაზრაში—4220, რაჭის—6635, ოზურგეთის—1795, შორაპნის—1039, ლეჩხუმის—179, ქუთაისის—3477, სენაკის მაზრაში—3714[146]. 1897 წელს გარე სამუშაოებზე იყო გასული: რაჭიდან—10994 სული (მთელი მოსახლეობის 15,6%), სენაკის მაზრიდან—5853 ს. (4,9%). ზუგდიდის მაზრიდან — 4155 ს. (3,5%), შორაპნის მაზრიდან—4711 ს. (3%)[147]. 1910 წელს რაჭიდან საშოვარზე გავიდა 14151 სული[148]. სხვადასხვა მასალების კრიტიკული შეჯერების შედეგად იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ XX ს. პირველ ათწლეულში რაჭიდან საშოვარზე გაღიოდა შრომისუნარიანი მამრ. სქესის მოსახლეობის 70—80%. შედარებით ნაკლები მასშტაბისა იყო საშოვარზე გასვლა აღმოსავლეთ საქართველოში. აქაური უმიწაწყლო გლეხობა ძირითადად ქმნიდა კაბალურ მოიჯარეთა და ადგილზე დაქირავებული მუშების ფენას.

საშოვარზე გასულთა პროფესია და საქმიანობა მეტად მრავალგვარი იყო. მათი მცირე ნაწილი მუშაობდა ფაბრიკა-ქარხნებში, უფრო მეტი კი აესებდა სავაჭრო ოპერაციებთან დაკავშირებულ სეზონურად და დღიურად დაქირავებული მუშების რიგებს. ბევრი მუშაობდა ხეროდ, მენახშირედ, მეპურედ, მზარეულად და სხვ.

საშოვარზე გასულნი ხშირად ამხანაგობებს ქმნიდნენ. არტელის წევრთა შორის დაწესებულ შრომის განაწილების ხასიათზე გაზ. „კავკაზში" ვკითხულობთ: „თუ ერთი სოფლიდან თბილისში ჩამოვიდა 10 მუშა, რაც ხდება ჩვეულებრივ ზამთრის დასაწყისში, სოფლად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დამთავრების შემდეგ, მომდევნო წლის გაზაფხულზე მუშათა ამ რიცხვიდან მხოლოდ ნახევა-

---

146 Обзор Кутаисской губернии за 1892 г., стр. 19.

147 ი. კაკარავა, სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებული პირობები და გლეხთა რეოლუციური მოძრაობის თავისებურებანი საქართველოში (1905—1907 წწ.), თბილისი, 1959 წ., გვ. 31.

148 საქართველოს ცსია, ფონდი 415, საქმე 102, ფურც. 23.

რი პრუნდება სამშობლო სოფელში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესასრულებლად. ისინი ვალდებულნი არიან ადგილმამულის დამუშავებაში დაეხმარონ ქალაქში დარჩენილ თანასოფელი მუშების ოჯახებსაც. ზამთრის პირზე ეს გლეხები კვლავ ბრუნდებიან თბილისში, რათა მეორე ზაფხულს თვითონ დარჩნენ იქ, ხოლო მათი ხუთი ამხანაგი სოფლად გაიგზავნოს ისეთივე მოვალეობით. ასე იცვლებიან ისინი წლიდან წლამდე, ვიდრე ისე არ მოეწყობიან, რომ აღარ საჭიროებდნენ თავის სოფლის გარეთ ხანგრძლივად ყოფნას"[149].

შრომის ასეთი განაწილება განსაკუთრებით საჭირო და ხელსაყრელი მარტოხელა მცირემიწიანი გლეხებისათვის იყო. არტელის ყველა წევრის სოფლად დაბრუნება მიწის მცირე ნაკვეთების დამუშავებისათვის, რომელნიც სრულიად უმნიშვნელო შემოსავალს იძლეოდნენ, არ იყო ხელსაყრელი, რადგან ქალაქში დარჩენა და დაქირავებული შრომა მეტ სარგებლობას ჰპირდებოდა მათ. შრომის განაწილებით არტელი ახერხებდა როგორც მიწის ნაკვეთების დამუშავებას, ისე, რაც მთავარია, დროის რაციონალურად გამოყენებას გარეშე გამომუშავებისათვის. შრომის განაწილების ხასიათი შემოსავლის განაწილების პირობებზეც მიუთითებს; ამხანაგობის ყოველი წევრი დაქირაევებული შრომის შედეგად მიღებული შემოსავლიდან თანაბარ წილს ღებულობდა.

ამგვარად, სოფლის მშრომელი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი პროლეტარიატის დონემდე იყო დასული, საარსებო საშუალებებს საშოვარზე სიარულით და დაქირავებული შრომით პოულობდა. მაგრამ მრეწველობის სუსტად განვითარების გამო ეღატაკებული გლეხობა შედარებით ნაკლები რაოდენობით გადადიოდა სამრეწველო მუშათა კლასის რიგებში. უმრავლესობა ქალაქს თავისი შრომითი საქმიანობის დროებით ასპარეზად თვლიდა და იმაზე ოცნებობდა, რომ აღებული გროშებით სოფლად მეურნეობა გაეფართოვებინა. XIX—XX სს. მიჯნაზე კულაკთა ხელში მიწების კონცენტრაციის პარალელურად მიმდინარეობდა საკუთრების პარცელაციის პროცესიც. წვრილ მეურნეთა რიცხვი იზრდებოდა. ბევრ ცალი ფეხი საკუთარ მიწაზე ედგათ, მეორე კი დამქირავებლის წარმოებაში.

---

[149] „Кавказ", 1884 г., № 87.

1906 წელს ამერიკა-ავკასიაში გაიხსნა სახელმწიფო საგლეხო საადგილმამულო ბანკის განყოფილება. მის ძირითად მიზანს რუსი კოლონისტებისათვის მიწების შესყიდვა წარმოადგენდა, მაგრამ ბანკი კრედიტს აძლევდა ადგილობრივ გლეხებსაც. გაღატაკებული მეურნენი არასაიმედო დებიტორებად მიაჩნდათ, სესხები ძირითადად საშუალო და მდიდარ გლეხებს ეძლეოდა ახლად ნაყიდი მიწების გირაოს ქვეშ.

საგლეხო ბანკმა მოკლე ხანში დიდი რაოდენობით ადგილმამული შეისყიდა თავადაზნაურობისაგან. ამ ვრცელი მამულების წვრილ ნაკვეთებად დაყოფა და ცალკეულ გლეხებზე გაყიდვა საკმაო ხარჯსა და დროს მოითხოვდა. ამიტომ ბანკის მოთხოვნილებით გლეხები დროებით, მომენტალურ ამხანაგობებს ქმნიდნენ და მიწის ყიდვის თაობაზე საერთო ნოტარიალურ აქტს აფორმებდნენ.

1906 წ. ლაგოდეხის გლეხთა 42 კომლისაგან შემდგარმა ამხანაგობამ 35385 მანეთად იყიდა 502 დეს. მიწა. ნოტარიალური აქტიდან ჩანს, რომ ორმა გლეხმა კომლზე შეისყიდა ოცდეაქვსი დეს., ერთმა—20 დეს., ორმა—18 დეს., ოთხმა—16 დეს., სამმა—14 დეს., ოთხმა—10—12 დეს., სხვებმა—3-დან 10 დესეტინამდე მიწა[150].

1907 წ. საქაშეთის (ქართლი) გლეხთა 59 კომლისაგან შემდგარმა ამხანაგობამ შეისყიდა ბანკის მამული. 18 გლეხმა კომლზე იყიდა 3—5 დეს., 20 კ.—5—10 დეს., 16 კ.—10—15 დეს., 4 კ.—20 დეს., ერთმა — 30 დეს., ერთმა—50 დესეტინა მიწა[151].

1910 წ. გომარეთელმა გლეხებმა (ბორჩალოს) მაზრა—საგლეხო ბანკისაგან შეისყიდეს 2309 დეს. მიწა 55800 მანეთად. 35 გლეხმა კომლზე იყიდა 3—5 დეს., 44 კ.—5—15 დეს., 23 კ.—15—25 დეს., 7 კ.—25—50 დეს., 12 კ.—50—80 დეს. მიწა[152].

ყველა გლეხი როდი ახერხებდა ბანკის სესხის დაფარვას. სარგებლისა და თავნის გადაუხდელობისათვის ბანკში დაგირავებული მიწები საჯარო ვაჭრობით იყიდებოდა ან ბანკის საკუთრებაში გადადიოდა[153].

---

150 საქართველოს ცსია, ფონდი 393, ანაწერი 1, საქმე 5, ფურც. 46, 49, 82—85.

151 საქართველოს ცსია, ფონდი 393, ანაწერი 1, საქმე 235, ფურც. 21—32.

152 იქვე, საქმე 853, ფურც. 20—64.

153 იქვე. საქმე 1884, ფურც. 13—14.

ზემოთ მოტანილი მასალა ცხადყოფს, რომ 1905—1907 წლის რევოლუციის შემდეგ საქართველოს სოფელში ღრმად შეიჭრა საბანკო კაპიტალი, რომელმაც კიდევ უფრო დააჩქარა გლეხობის კლასობრივი დიფერენციაციის პროცესი. გაღატაკებულ გლეხობაში კიდევ უფრო გაიზარდა ლტოლვა ქალაქებისაკენ. „ერთი ხანია ჩვენში—წერდა „კოლხიდის“ კორესპონდენტი—ფრიად საყურადღებო მოვლენამ იჩინა თავი. ეს არის სოფლებიდან გლეხების ქალაქებში გადასახლება ...საკუთარი მიწის უქონლობა, მემამულეთა მიწების იჯარის საშინლად გადიდება და სხვადასხვა მოხელეებისაგან შევიწროება, აიძულებენ გლეხს გლოვა-ტირილით დასტოვოს კარმიდამო და გადაიხვეწოს“[154].

თავი მეოთხე

გურეუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია და მთავრობის აგრარული პოლიტიკა 1905—1917 წწ.

რუსეთის 1905—1917 წწ. რევოლუცია ძირითადად აღმოცენდა იმ წინააღმდეგობების საფუძველზე, რომელიც არსებობდა ფეოდალური ურთიერთობის ნაშთებსა და კაპიტალისტურ მწარმოებლურ ძალებს შორის. რევოლუციის მთავარ, უახლოეს მიზანს ბატონყმობის ნაშთების მოსპობა წარმოადგენდა.

სოფლად ჯერ კიდევ ადრე საკმაოდ გამწვავებული აგრარულ-კლასობრივი ბრძოლა სწრაფად გადაიზარდა გლეხურ რევოლუციაში. საქართველო რევოლუციის ერთ-ერთ მთავარ კერად გადაიქცა. ქართველი გლეხობა ძალიან სწრაფად ამაღლდა სოციალ-დემოკრატიული იდეების დონემდე და წამოაყენა მთელი რიგი მოთხოვნილებანი, რომელნიც რევოლუციის გაღრმავების კვალობაზე თანდათან უფრო რადიკალური ხდებოდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და სხვადასხვა დროს გლეხები მოითხოვდნენ:

---

154 „კოლხიდა“, 1911 წ., № 11.

1. ყოველგვარი სახის დამოკიდებულებითი ურთიერთობის გაუქმებას და გამოსყიდვის გარეშე მთელი გლეხობის მესაკუთრეთა კატეგორიაში გადაყვანას. ხაზინისა და თავადაზნაურთა ხელში დარჩენილი მამულებიდან გლეხობისათვის საკმარისი რაოდენობის საძოვრებისა და ტყეების გადაცემას;

2. გლეხობისათვის იმ ფულის უკან დაბრუნებას, რაც მათ გაიღეს ნადელების გამოსყიდვისათვის და ამ თანხის სასესხათო კაპიტალთან შეერთების გზით საერთო ფონდის შექმნას გლეხთა სხვადასხვა საჭიროების დასაკმაყოფილებლად;

3. სამღვდელოების სასარგებლოდ დაწესებულ გადასახადთა გაუქმებას;

4. გზებისა და არხების გაკეთება-რემონტის-ყველა წოდებისათვის თანაბრად დავალებას, ან ამ საქმის სახელმწიფოსათვის დაკისრებას;

5. მოჯამაგირეებისადმი არაადამიანური მოპყრობის აკრძალვას; დაქირავებული მუშების თვითნებური დათხოვნის შეზღუდვას და მათთვის ხელფასის მომატებას:

6. არაპირდაპირი გადასახადების, სხვადასხვა ბაჟების მოსპობას, საშემოსავლო გადასახადის შემოღებას და მისგან 500 მანეთზე ნაკლებ შემოსავლიანი მეურნეობების გათავისუფლებას.

7. წოდებრივი უპირატესობების გაუქმებას. სასოფლო და სამაზრო თვითმმართველობების (ერობა) შემოღებას;

8. მუდმივი ჯარის მოსპობას და მილიციის შემოღებას;

9. დედაენაზე უფასოდ სწავლების შემოღებას;

10. შეკრების, სიტყვის, წერის, ამხანაგობის და გაფიცვის თავისუფლებას და სხვა.

გლეხობას შეგნებული ჰქონდა, რომ მოთხოვნილებების დამოყენება არ იყო საკმარისი, რომ მთავრობას, არსებული წყობილების პირობებში, არ შეეძლო და არც სურდა გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესება. თავისი მისწრაფების განხორციელებისათვის გლეხობა საჭიროდ მიიჩნევდა: 1. მართვა-გამგეობის სადავეების ხალხის წარმომადგენელთათვის გადაცემას; 2. ფართო ადგილობრივი

ოკეანემართველობის შემოღებას; 3. საყოველთაო თანასწორი, დახურული და პირდაპირი საარჩევნო სისტემის დაწესებას.

ქართველი გლეხობა იარაღით ხელში აღსდგა ძველი წყობილების დასანგრევად. წითელრაზმელებმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართეს მთავრობის ჯარებს, სიცოცხლეს გამოასალმეს მრავალი მემამულე და მათი ინტერესების თავგამოდებული დამცველი. მემამულეთა მიწების კონფისკაციისა და მისი გლეხობისათვის გადაცემის იდეა დაეუფლა მასებს. რევოლუციური გლეხობა პრაქტიკულად ახორციელებდა მას. ძალით იკავებდა თავადაზნაურთა მამულებს და აუქმებდა აგრარული ურთიერთობის კაბალურ ფორმებს.

გლეხთა რევოლუციურ-აგრარულმა მოძრაობამ ძალიან შეაშფოთა მთავრობა და გაბატონებული წოდებები. რევოლუციის ქარიშხალისაგან შეშინებული ბევრი რეაქციონერიც კი ლიბერალურად ალაპარაკდა, მოითხოვა რეფორმების გატარება; რევოლუციის მიზეზთა აღმოფხვრისა და არსებული წყობილების შენარჩუნების მიზნით გლეხობის ზოგიერთ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

„ცნობის ფურცლის“ ერთ-ერთი თანამშრომელი წერდა: „დღევანდელი ჩვენი ცხოვრება თვალწინ... საშინელ სურათს გვიყენებს,... ...ყნობისაგან სანახევროდ განთავისუფლებამ და შემდეგ ბატონისა და ყმის ურთიერთობის მიგდებამ ღვთის ანაბარად, გლეხი შეაჩვია იმ აზრს, რომ იმისი მტერი, მიზეზი მისი ბედშაობისა არის მემამულე და დღეს, როდესაც გაჭირვება მოთმინების ჯაჭვსა სწყვეტს, სრულიად ბუნებრივად უნდა მივიჩინოთ, რომ გლეხი მებატონის წინააღმდეგ მოქმედებას იწყებს, ...თავადაზნაურებს დროზე შეეძლოთ სოციალური კვანძის გასახსნელად ეზრუნათ და შესაფერი მოქმედებაც თვითონვე დაეწყოთ, მაგრამ, როგორც ვიცით, ეს ასე არ მოხდა. ჩვენი თავადაზნაურობა ...დიდხანს განგებ იყრუებდა ყურს და ვერ ხედავდა იმ სახალხო ტალღას, რომელიც თანდათან იზრდებოდა და ეხლანდელ მწარე დღეს ამზადებდა. ნაყოფი სათავადაზნაურო პოლიტიკისა ამჟამად ყველას თვალწინ გვიდგას და იგი განსაკუთრებულის მსურვალებით ამოძრავებს ეხლა ჩვენი მემამულების ტვინს და გონებას“.

„ყოველ შეგნებულ ქართველს,—განაგრძობს შემდეგ წერილის ავტორი.—ვულით და სულით სწადიან, რომ ჩვენს ქვეყანას ანცდეს ფიზიკური შეტაკება ერთი წოდების ან სოციალური კლასისა მეორესთან და იგი სურვილი აქვს დღეს ჩვენს თავადაზნაურობას, მაგრამ უბრალო სურვილი საქმეს ვერ გააკეთებს. აუცილებლად საჭიროა მემამულეებმა ღრმად შეხედონ ცხოვრებას. ...დაუყოვნებლივ დააკმაყოფილონ გლეხობა მატერიალურად, რამდენადაც კი ეს საჭირო იქნება მათ შორის ნდობისა და თანხმობის ჩამოსაგდებად და შემდეგ გლეხებთან ერთად განაგრძონ მუშაობა ისეთი პირობების შესაქმნელად, რომელნიც შემდეგისათვის უზრუნველყოფენ კანონმდებლობის მიმდინარეობას ხალხის უმრავლესობის სურვილისა და მისწრაფების გზაზე[1].

ამ წერილის დედააზრი გამომდინარეობს საერთო ნიადაგის ნაციონალისტური თეორიიდან, რომელიც წამოაყენა არჩილ ჯორჯაძემ ჯერ კიდევ 1900 წელს. ქართველმა თავადაზნაურობამ შეითვისა ამ თეორიის ზოგი მხარე და მიზანშეწონილად ჩასთვალა მისი გამოყენება აგრარული საკითხის გადაჭრისათვის. პრივილეგიურ წოდებას. ბუნებრივია, აშინებდა განვითარების რევოლუციური გზა, აგრარული ურთიერთობის ძველი ფორმებისა და თავადაზნაურთა მიწათმფლობელობის ლიკვიდაცია რევოლუციური მეთოდებით. მათი აზრით, საკუთრების ფორმების შეცვლა უნდა მომხდარიყო მკვეთრ შეტყევათა გარეშე, თანდათანობით, მიწის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების გაფართოებით, ევოლუციური გზით. ქართველი თავადაზნაურობის მესვეურები ცდილობდნენ შეემუშავებინათ და ცხოვრებაში გაეტარებინათ ისეთი ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველყოფდნენ ქართველთა (თავადაზნაურობის) მიერ გაყიდული მიწის ქართველთავე (გლეხობის) ხელში დარჩენას. ისინი მოითხოვდნენ აგრეთვე, რომ თავისუფალ სახაზინო მიწებზე რუსი კოლონისტები კი არ ყოფილიყვნენ ჩამოსახლებული, არამედ იგი გამოეყენებინათ მცირემიწიან ქართველ გლეხთათვის დამატებითი ნადელების გამოსაყოფად.

---

1 „ცნობის ფურცელი", 1905, № 2765.

რუს თავადაზნაურობას განაპირა მხარეებში ღარიბი გლეხების გადასახლებით სურდა თავიდან მოეცილებინა საშიში, რევოლუციური ელემენტი და ამ გზით გადაეჭრა აგრარული საკითხი. XIX—XX სს. მიჯნაზე ცარიზმმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კავკასიის კოლონიზაციას. 1899 წ. სპეციალურად შექმნილმა საგადასახლებო სამმართველომ დაიწყო ნაკვეთების წინასწარი მომზადება რუსი კოლონისტებისათვის. ამიერკავკასიაში „აღმოაჩინეს" 1.5 მლნ. დესეტინა „თავისუფალი მიწა", რომელზეც 1912 წლამდე შეიქმნა 100-ზე მეტი რუსული დასახლება[2].

გაზეთ „იმერეთის" ერთ-ერთი თანამშრომელი 1913 წ. წერდა, რომ უცხოელები უმთავრესად სამ მაზრას—ბორჩალოს, თბილისსა და სიღნაღის მაზრებს „ეტანებიანო. სახაზინო ადგილების დაპერას არ დასჯერდნენ, რაც ერთიანი დაუსახლებელი ადგილები იყო, ყველა შეისყიდეს. უკანა მხარის სოფლებს ავდარი დაუდგათ. მათ ზვავივით მიაწყდა რასკოლნიკთა ტალღა... თბილისსიღნაღის გზატკეცილის მარჯვენა მხარე სოფ. მალხაზოვკიდან დაწყებული მაღარომდე რუსეთის გუბერნიას მოაგონებს კაცს"[3].

„გადასახლების ფონდი,—წერდა იმ დროს ლენინი,—იქმნება ადგილობრივ მკვიდრთა უფლებების აღმაშფოთებელი დარღვევის გზით, ხოლო რუსეთიდან გადასახლება ხდება „განაპირა მხარეთა რუსიფიკაციის" კვლავ იმავე ნაციონალისტური პრინციპისათვის"[4]. კოლონიზატორთა აქტიური საქმიანობა ქართველი პროგრესული საზოგადოებრიობის უკმაყოფილებას იწვევდა. რუსების საქართველოში ჩამოსახლება და მათ მიერ ქართველი გლეხობისათვის ესოდენ აუცილებელი მიწების დაკავება კიდევ უფრო ამწვავებდა აგრარულ საკითხს იმპერიის ამ განაპირა მხარეში. ამიტომ იყო, რომ არც ქართველ თავადაზნაურთა მესვეურებს მოეწონათ აგრარული საკითხის გადაჭრის რუსი მემამულეებისა და ცარიზმის მიერ შემუშავებული ეს ვარიანტი. ქართველი მემამულეების ინტერესი ამ კონკრეტულ შემთხვევაში დაუპირისპირდა ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას.

---

[2] „Кавказское хозяйство". 1913 г., № 2, стр. 8—9.
[3] „იმერეთი", 1913 წ., № 79.
[4] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 18, გვ. 101.

ქართველ თავადაზნაურობას და ბურჟუაზიას ისეთი საქართველო უნდოდათ, რომელშიც მინიმუმამდე იქნებოდა დაყვანილი კლასობრივი წინააღმდეგობანი. გლეხთა რევოლუციური მოძრაობით შეშინებული მემამულეები გამოსავალს იმაში ხედავდნენ, რომ ხელი შეეწყოთ მიწების წესიერი მობილიზაციისათვის. ქართველი ბურჟუაზიის მესიტყვეები გლეხებს ურჩევდნენ ხელი აეღოთ თავადაზნაურთა მიწების კონფისკაციის ლოზუნგზე და მემამულეებისაგან გაყიდული მიწები კანონიერი ნასყიდობებით დაესაკუთრებინათ, მშობლიური მიწა არ დაეთმოთ სომეხი ვაჭრებისა და გადამთიელებისათვის.

1907 წ. აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობამ ჩამოაყალიბა აგრარული კომისია. მას უნდა შეესრულებინა ერთგვარი საშუამავლო როლი გლეხობასა და მემამულეებს შორის აგრარული ურთიერთობის სფეროში. კომისიაში შევიდნენ: მ. მაჩაბელი, კ. აფხაზი, ს. ვახვახიშვილი, ლ. ჩერქეზიშვილი, ე. იოსელიანი, ა. ყიფშიძე (საქმის მწარმოებელი).

კომისიამ შეიმუშავა და გაავრცელა თავისებური ბლანკი მიმართვისა, რომელშიც ნათქვამია: „თბილისის გუბერნიის წლევანდელ სათავადაზნაურო საგანგებო კრებაზე იყო აღნიშნული, რომ საქართველოს მკვიდრი მცხოვრები უმამულოდ რჩება, რადგან სხვადასხვა ბანკებში დაგირავებული სოფლის მამული გადადის უცხოთა ხელში. ...ჩვენი უმამულო გლეხკაცობა დიდსა და აუტანელ გაჭირვებაში ნავარდება, როდესაც მომეტებული ნაწილი მამულებისა გადავა კაპიტალისტთა და მოსულ ელემენტების ხელში, ...თუ გვინდა, რომ თავიდან ავიცილოთ ასეთი მომავალი, საჭიროა ყოველის მხრით და ღონით ვეცადოთ, რომ დაცული იქნეს ჩვენი ტერიტორიის მთლიანობა და ხელშეუხებლობა. ამგვარი მეცადინეობა უნდა გამოიხატოს იმაში, რომ გამოვძებნოთ გზა და საშუალება, რათა ბანკებში დარჩენილი სოფლის მამულები გადავიდეს მკვიდრ მხვნელ-მთესველთა ხელში განურჩევლად წოდებისა, ...კომისიის მოქმედების განვითარებას უეჭველია დიდად შეუშლის ხელს გლეხკაცობის დღევანდელი აზრი იმის შესახებ, რომ მთელი მამული იმის ხელში უნდა გადავიდეს უსასყიდლოდ. ამ ფრიად საყურადღებო დაბრკოლებას მხნედ უნდა ებრძოლოს ...ღგილობრივი ნასწავლი ხალხი, რადგან თუ იგი არ დაითრგუნა, კომისიის მეცადინეო-

ბა ჩხარ-კედელაობას დაემსგავსება. ამას გარდა ეს აზრი გლეხობისათვისაც დამღუპველი იქნება, რადგან ის მომლოდინე და გულხელდაკრეფილი იქნება აბა როდის ჩამაბარებენ უსასყიდლოთ მამულსო. ამასობაში კი მომეტებული ნაწილი ჩვენი ტერიტორიისა „უცხო და სხვა ელემენტების ხელში გადავა". მიმართვა ეგზავნებოდა გავლენიან პირებს, რომლებსაც სთხოვდნენ დაერწმუნებინათ გლეხები, რომ „მამულის შეძენა აუცილებელია და შესაძლებელი მხოლოდ ყიდვით"[5].

თავადაზნაურთა აგრარული კომისიის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა მ. მაჩაბელმა სპეციალური მოხსენება წაიკითხა „თბილისის გუბერნიის ძირეული მოსახლეობისათვის მიწის შენარჩუნების ღონისძიებათა შესახებ". მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თბილისის გუბერნიის მთელი ფართობიდან (3 681510 დეს.) 1 666428 დეს. ეკუთვნის თავადაზნაურობას, დიდ მთავარს, საუფლისწულო უწყებას, ეკლესია-მონასტრებს და სხვა კერძო მფლობელებს. 2 015082 დეს. ხაზინისაა, საიდანაც 50% ტყეებითა და საძოვრებითაა დაფარული. ამ ტერიტორიაზე ცხოვრობს 800 ათასამდე სული გლეხი. თანამედროვე პრიმიტიული მეურნეობის პირობებში ამ მიწას არ შეუძლია დააკმაყოფილოს გუბერნიის მოსახლეობა და ამიტომ მიწის სიმშილი დიდი იქნებაო.

ასეთ პირობებში,—აგრძელებს შემდეგ მომხსენებელი,—რუსეთის გუბერნიებიდან აქ გლეხთა გადმოსახლება წარმოადგენს ანტისახელმწიფოებრივ და მავნე წამოწყებას. სახელმწიფოს მიერ ამ საქმისათვის გაღებული სახსრები არაფრით არაა გამართლებული. თავადაზნაურობამ უნდა მოითხოვოს ამიერკავკასიაში რუსების ჩამოსახლების შეწყვეტა. მაგრამ არც ეს იქნებაო საკმარისი. ადგილობრივმა მოსახლეობამ რომ მიწა შეინარჩუნოს, ამისათვის აუცილებელია მიწათმოქმედების ტექნიკისა და აგროწესების გაუმჯობესება. ამის წინაპირობა კი ერობის შემოღებაა.

მომხსენებელმა საჭიროდ მიიჩნია აგრეთვე ყველა კატეგორიის გლეხების უფლებრივი გათანაბრება, რომლის წინაპირობად გამოაცხადა დროებითვალდებულების ინსტიტუტის, სერვიტუტების, ხიზნობის და ბატონყმობის სხვა ნაშთების მოსპობა. გლეხობის უკმაყოფილებას ძირითადად იწვევენ წვრილი მემამულეები, რომელნიც ყოველნაირად ცდილობენ თავიანთი შემოსავლის გაზრდას. აუცილებელია წვრილ თავადაზნაურობის, გლეხთა ნადელებს შორის მდებარე, ნაკვეთები გაიყიდოს გლეხებზე, თვით კი რაციონა-

---

[5] საქართველოს ცსია, ფონდი 215, ანაწერი 1, საქმე 17, ფურც. 1.

ლურ ყაიდაზე ფერმების მოსაწყობად მსხვილი მამულები უნდა შეიძინონ. ასეთ გარდაქმნას კი დიდი დრო და სისტემატური მუშაობა დასჭირდებაო. მომხსენებელმა კომისიისათვის მოითხოვა 100 ათასი მანეთი წლიურად[6].

ინსტრუქციის თანახმად, აგრარული კომისიის ფუნქციებში შედიოდა: 1. მცირემიწიან გლეხთა საზოგადოებების, ამხანაგობებისა და ცალკეული კომლებისათვის დახმარების გაწევა შესასყიდი მიწის გამოძებნის საქმეში. 2. მიწის ყიდვა-გაყიდვაში შუამავლობა. 3. დახმარების გაწევა მოსახლეობისათვის კრედიტის მიღების საქმეში. 4. ყველა ამ ამოცანის შესრულებაში ადგილობრივი მოღვაწეობისა და ორგანიზაციების ჩაბმა[7].

რევოლუციამ საფრთხის წინაშე დააყენა თვით კერძო საკუთრების პრინციპი. მიწის ფლობა თავადაზნაურობას უკვე აღარ ეჩვენებოდა მუდმივი და გარანტირებული შემოსავლის წყაროდ. ცხადი გახდა, რომ გლეხთა მისწრაფება მიწების კონფისკაციისაკენ არც თუ მიუღწეველ ოცნებას წარმოადგენდა. ქართველი მემამულეები, რომლებმაც რეაქციის ხანაშიც ვერ მოიშორეს რევოლუციისა და მიწების უსასყიდლოდ დაკარგვის შიში, ცდილობდნენ თავიდან მოეშორებინათ სახიფათო საკუთრება—მიწა. გაეყიდათ იგი რაც შეიძლება ხელსაყრელ ფასად, რადგან, მათი აზრით, ბანკში მოთავსებული კაპიტალი უფრო საიმედოდ იქნებოდა დაცული, ვიდრე ფართო მამულები, რაზეც რევოლუციურად განწყობილ გლეხებს ეპირათ თვალი.

რევოლუციის პერიოდში გლეხობა თავს იკავებდა მიწის ყიდვისაგან, ჰმედოვნებდა, რომ თავისი შრომის გამოყენების ამ მთავარ ობიექტს უსასყიდლოდ მიიღებდა. მაგრამ რეაქციის ხანაში ეგი კვლავ აქტიურად ჩაება მიწის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებში, რამაც აგრარულ კომისიას რამდენადმე გაუადვილა საშუამავლო ფუნქციების შესრულება.

თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო ბანკმა მის ხელთ დარჩენილი მამულები საადგილმამულო კომისიას გადასცა გლეხებზე გასაყიდად. 1910—1911 წლებში კომისიამ მოახდინა 33 მამულის ლიკვიდაცია. ყაიდა ძირითადად გლეხებზე 8792 დეს. მიწა 326899 მანეთად[8]. კომისია ყურადღებას აქცევდა სხვა ბანკებში დაგირავე-

---

[6] საქართველოს ცსია, იქვე, ფურც 3—5.

[7] იქვე, ფურც. 7.

[8] Отчет о деятельности земельной комиссии дворянства Тифлисской губернии за 1911 год, Тифлис, 1912 г., стр. 4—7.

ბული მიწების ლიკვიდაციას და საერთოდ გუბერნიაში მომხდარ ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს. ცდილობდა იგი სასურველი მიმართულებით წარემართა.

1908 წ. 3 ოქტომბერს ალექსანდრე ყიფშიძე სოფ. ქისტაურის თავკაცებს — ნასყიდა ფარემუზაშვილს, ნასყიდა აივაზაშვილს და ვასილ შაილაშვილს—ასეთ წერილს უგზავნის: „ჩვენმა კომისიამ გაიკო, რომ მანდაური მამულის პატრონი თ. მიხეილ ერისთავი მამულს ჰყიდის. ეს მამული ყოფილა 1300 დესეტინა. საგლეხო ბანკს თურმე დაუფასებია 44000 მან. და ამ ფასში თურმე ჰყიდის თავადი ერისთავიც. დესეტინა მოდის ესე 33 მან. 88 კაპ. ამაზე იაფად როგორღა შეიძლება მამულის ყიდვა. მაშ რაღას უყურებთ, გაახილეთ თვალები. ცოლშვილს რაზე ჰღუპავთ? ეგ მამული სხვამ რომ იყიდოს, მერმე რაღა გეშველებათ, სად წახვალთ, ხოდაბუნებს ვინ გიფეშქაშებთ?...

შეჰყარეთ ხალხი და ეს ჩემი წერილი ხალხს წაუკითხეთ და ჩაიგონეთ, რომ უმამულობა მწარე მომავალს უმზადებს სოფელს. სყიდვითი პირობანი ხელსაყრელია. წინდაწინ რომ შეიტანოთ ნაღდათ 4 ათასი მანეთი, მერმე საგლეხო ბანკის ვალი დაგედებათ 40 ათასი მანეთი. ამის სარგებელი და თავნის მოწყვეტა წელიწადში დაჯდება 1800 მანეთი.

რაკი გადაწყვეტთ მამულის ყიდვას, უნდა განაჩენი დაადგინოთ, აირჩიოთ ვექილები და იმათ მიანდოთ საქმის წარმოება. თუ რამე დარიგება დაგჭირდებათ, მე მზათა ვარ ყოველი დარიგება და რჩევა მოგცეთ უსასყიდლოთ... უპასუხოდ ნუ გამტოვებთ. თქვენი სიკეთის მონატრული ალექსანდრე ყიფშიძე“[9].

„ბატონო ალექსანდრე თედორეს ძევ, — წერდნენ ქისტაურელი გლეხები საპასუხოდ ა. ყიფშიძეს,—მივიღეთ თქვენი ჩვენდამი გულშემატკივრობის გამომხატველი ბარათი, რომლითაც გვამხელთ, რომ ჩვენ აუცილებლად უნდა ვეცადოთ, რათა თავად გიორგი ერისთავის შამული სხვის ხელში არ გადავიდეს და ჩვენ ქისტაურის გლეხობამ შეეისყიდოთ. თქვენი რჩევა ძლიერ მოგვეწონა და დიდადაც გმადლობთ. ხოლო გთხოვთ თქვენ კომისიისაგან (რამდენადმე იროხიულად წერდნენ გლეხები. ა. ბ.) დახმარება აღმოგვიჩინოთ, გარდა დარიგებისა და წინამძღოლობისა, ფულითაც. გვიბრძანეთ რამდენი თუმნით დაგვეხმარება კომისია, რა პირობით და როგორ უნდა დავუბრუნოთ ნასესხი ფული. ჩვენ კი დაგვჭირდება კომისიის შემწეობა 1500 მანეთი“[10].

---

9 საქართველოს ცსია, ფონდი 215, საქმე 37, ფურც. 3.

10 იქვე, ფურც. 3.

გასასესხებელი ფული კომისიას თითქმის არ გააჩნდა და გლეხობას მხოლოდ სახელმწიფო საგლესო ბანკის განყოფილებიდან კრედიტის მიღების ფორმალური მხარის მოგვარებაში ეხმარებოდა.

თავადაზნაურთა აგრარული კომისიის შუამავლობით მომხდარ მიწის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებზე წარმოდგენას მოგვცემს მოძდვენო ცხრილი[11]:

წლები	ყიდვა-გაყიდვის აქტების რიცხვი	მასში მონაწილე გლეხური კომლების რაოდენობა	მიწის ფართობი		ფასი მან.	დესეტინის ფასი საშუალოდ მან.
			დეს.	საჟ.		
1907	26	3899	8188	—	456350	56
1908	15	862	6145	880	224345	36.50
1909	26	2950	4362	1350	355454	81
1910	27	1690	7041	1845	378880	53.81
1911	45	377	8792	2000	326899	37.18
სულ	139	9779	34530	1243	1741928	50.44

მესაკუთრე გლეხია გამრავლება წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგებს სასურველ მოვლენად მიაჩნდათ. „აგრარული საკითხი.— წერდა „იმერეთის“ ერთ-ერთი თანამშრომელი,—ჩვენი ეკონომიკური ცხოვრების მთავარი საკითხია. რანაირადაც არ უნდა განვითარდეს საქართველოში ცხოვრება, რა დღიც არ უნდა დააჩნიოს კაპიტალიზმმა მას, მაშინაც ჟი, როცა ეს უკანასკნელი უმწვერვალესად განვითარდება, მიწათმოქმედება ერთი უმთავრესი დარგთაგანი იქნება, ...ინგლისი კლასიკური ქვეყანა კაპიტალიზმისა მიწათმფლობელობის ახალ ფორმებს იმუშავებს. ახალი კანონებით ეგი ცდილობს მსხვილი მიწათმფლობელობა. საშუალო და წვრილ მიწისმფლობელობად აქციოს, ...იქნებ სწორედ ამ აგრარულ რეფორმაშია გამონასკვული ფოკუსი ხსნისა ან განსაცდელისაგან, რომელსაც უმზადებს თანამედროვე სახელმწიფოს უკიდურესად განვითარებული კაპიტალიზმი, თავის მუდმივ კრიზისებით, მუშათა მოძრაობითა და სოციალიზმის აჩრდილით... წვრილ მესაკუთრეთა გამრავლებით შემცირდება ქონებას მოკლებული ნაწილი ერისა, ეს საფრთხე თანამედროვე სახელმწიფოსი“[12].

საქართველოს ამოძრავებული მამულების წესიერ მობილიზაციას, მისი ქართველი გლეხობისა და ბურჟუაზიის ხელში გადასვ-

---

11 Отчет о деятельности земельной комиссии двоворянства Тифлисской губернии за 1911 год., стр. 21.

12 „იმერეთი“, 1914 წ., № 30.

ლას აფერხებდა სახელმწიფო საგლეხო ბანკის ამიერკავკასიის განყოფილება, რომელიც ემსახურებოდა ამ მხარის რუსული ელემენტით კოლონიზაციის ამოცანებს.

ამიერკავკასიის ინტელიგენცია თავდაპირველად დიდ იმედს ამყარებდა სახელმწიფო საგლეხო ბანკზე და ყოველთვის ხაზს უსვამდა მისი მოქმედების ამიერკავკასიაზე გავრცელების საჭიროებას. ახალციხის მეევნახეთა ყრილობაზე ზავაროვი აცხადებდა, რომ მხარის ეკონომიკურ მოქმედებაში შრომის ნაყოფიერება ძალიან დაბალია, რომლის მიზეზიც არის მწარმოებელთა ნაკლები დაინტერესება, ვალდებულებითი ურთიერთობა, მოკლევადიანი იჯარა და მიწების გადავლა ბურჟუაზიის ხელში. მისი აზრით მდგომარეობას უკეთესობისაკენ არსებითად შეცვლიდა გლეხობისათვის იაფი საიფოთეკო კრედიტის გახსნა. ბანკებში ბევრი მამულია დარჩენილი. მიზანშეწონილია მამულების წვრილ ნაკვეთებად დაყოფა და ბანკის მეშვეობით მიწების გლეხებზე გაყიდვა: მესაკუთრე გლეხები, აცხადებდა ზავაროვი, გაამდიდრებენ მხარეს ათასობით ვენახებით, ბაღებით, ბამბის პლანტაციებით. როცა გლეხს საშუალება ექნება 5—6-პროცენტიანი სესხით შეისყიდოს მიწები, ამიერკავკასიის მშრომელები უცბად ასწევენ მიწის ფასს და გამოიყვანენ მემამულეებს კრიტიკული მდგომარეობიდან. მოგებული დარჩებაო სახელმწიფოც, მიწათმფლობელებიც და გლეხობაც[13]. უფრო გვიან იმავე საკითხზე ფ. გოგიჩაიშვილი წერდა: „ყოველი ზომა ანუ საშუალება, რომელიც ხელს შეუწყობს საიჯარო ქირის დაწევას და მიწათმოქმედის მესაკუთრედ გადაქცევას... უნდა ჩაითვალოს ხალხის უმრავლესობისათვის სასარგებლოთ. ერთ ასეთ საშუალებად მიმაჩნია საგლეხო ბანკის განყოფილების დაარსება ჩვენში. მიზანი საგლეხო ბანკისა, რომელიც 20 წელია რაც რუსეთში არსებობს, მდგომარეობს იმაში, რომ გლეხს მიწის შეძენაში დაეხმაროს. ამისათვის იგი აძლევს გლეხებს სესხს მცირე სარგებლით მიწის საყიდლად და ამ ნაყიდ მიწას იგირავებს". ფ. გოგიჩაიშვილს გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა საგლეხო ბანკის მოქმედების ამიერკავკასიაზე გავრცელება[14].

ფ. გოგიჩაიშვილი სწორად მიუთითებს რუსეთში არსებული საგლეხო ბანკის დანიშნულებასა და მოქმედების ხასიათზე. მაგრამ

---

[13] Труды съезда виноградовладельцев и виноградарей Кахетии в г. Телаве в 1899 году. Тбилиси, 1901 г., стр. 195—201.

[14] „ცნობის ფურცელი", 1903 წ., № 2113.

ცარიზმის მოხელეები ამ ბანკის ამიერკავკასიაში გახსნილ განყოფილებას პოლიტიკურ მიზნებს უსახავდნენ. 1896 წ. 6 აგვისტოს ამიერკავკასიის მთავარმმართველი გოლიცინი ფინანსთა მინისტრს მოახსენებდა: ვზრუნავ რა შევასრულო უმაღლესი მითითება ამიერკავკასიაში რუსული ელემენტის გაძლიერების შესახებ, მე ვხვდები დაბრკოლებას იმ მხრივ, რომ თავისუფალი მიწების მარაგი აქ მეტად მცირეა. მარაგის გადიდება შეიძლებოდა სტეპების მორწყვით, მაგრამ ეს დიდ დროს და სახსრებს მოითხოვს, რის გაღებაც ხაზინას უახლოეს მომავალში არ შეუძლიაო. ამიტომ მე მივედი იმ დასკვნამდე, რომ რუსების დასასახლებლად გამოყენებული უნდა იქნეს კერძო მფლობელთა მიწები. ამ საკითხის გადაჭრა იმით ადვილდება, რომ ამჟამად კერძო მფლობელობა ამიერკავკასიაში გარდამავალ მდგომარეობაშია და მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა ცდილობს პრივილეგიურ წოდებას შეუნარჩუნოს მამულები, მიწა თანდათან გადადის თავადაზნაურთა ხელიდან ვაჭარ-მრეწველთა ხელში. ამ პროცესის შესანარჩუნებლად მართალია აქ გაიხსნა სახელმწიფო სათავადაზნაურო ბანკის განყოფილება, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა, მიწების სომეხ ვაჭართა ხელში გადასვლის პროცესი გრძელდებაო.

ამიერკავკასიის პრივილეგიურ წოდებას რაკი არ შეუძლია მიწების შენარჩუნება, აგრძელებს შემდეგ მთავარმმართველი, სახელმწიფო აუცილებლობა თხოულობს, რომ მხარის მიწები გადავიდეს რუს ადამიანთა ხელში, აქაურ თავადაზნაურთა მიწებზე დასახლებულ იქნენ რუსები. ამ საქმის განხორციელების ყველაზე მოხერხებული ფორმა იქნებოდა გახსნა საგლეხო ბანკის განყოფილებისა, რომელიც თავისი სახსრებით შეისყიდიდა მიწებს და შემდეგ გაყიდდა მას აქ ორგანიზებულად ჩამოსახლებულ რუსებზე, ან იჯარით გასცემდა მათზევე. გოლიცინის აზრით შესყიდვითი ოპერაციებისათვის თავდაპირველად გამოყენებული უნდა ყოფილიყო სახელმწიფო სათავადაზნაურო ბანკში დარჩენილი მამულები, რომელიც გადაეცემოდა საგლეხო ბანკის განყოფილებას კოლონიზაციის საჭიროებისათვის. ვიმედოვნებ თქვენო აღმატებულებავ, წერდა ბოლოს მთავარმმართველი, რომ აღძრავთ შუამდგომლობას იმპერატორის წინაშე, რომ ამიერკავკასიაში გაიხსნას სახელმწიფო საგლეხო ბანკის განყოფილება მხოლოდ და მხოლოდ რუსული კოლონიზაციის მიზნებისათვის[15].

---

15 ლენინგრადის ცსია, ფონდი 391, ანაწერი 2, საქმე 592, ფურც. 2—5.

სახელმწიფო აგრარული ბანკის ამიერკავკასიის განყოფილება გაიხსნა 1906 წელს, როცა შეცვლილი მდგომარეობის გამო შეუძლებელი იყო მისი გაუქმება მხოლოდ რუსული კოლონიზაციის მიზნებისათვის. მთავრობა იძულებული გახდა კრედიტები მიეცა ადგილობრივი გლეხობისათვისაც, რათა მის ერთ ნაწილს ყიდვის გზით მაინც მოეხერხებინა თავისი მიწათმფლობელობის გაფართოება. მიუხედავად ამისა, ბანკის ძირითად ამოცანად რუს კოლონისტებისათვის საჭირო მიწის შესყიდვა დარჩა.

ქართველ თავადაზნაურობას იმედი მიეცა, რომ სახელმწიფო აგრარული ბანკის მეშვეობით ხელსაყრელ ფასებში გაყიდდა ადგილმამულს. მათ თხოვნა-განცხადებებით აავსეს ბანკის გამგეობა, ათეული ათასობით დესეტინა მიწებს სთავაზობდნენ მას შესასყიდად. 1906—1908 წწ. აღძრულა სულ 774 საქმე 560000 დეს. მიწის გაყიდვის თაობაზე. ბანკის გამგეობას გადაუწყვეტია ამ მიწებიდან 492 ათასი დეს. თავისთვის შეეძინა, ხოლო ადგილობრივ გლეხობას კი დახმარებოდა 62 ათასი დეს. მიწის შესყიდვაში. „ეს ციფრები —წერდა „ამირანის" კორესპონდენტი—მეტად საინტერესო შუქსა ფენს მიწის მობილიზაციის ხასიათს ჩვენს ქვეყანაში... მთავარი და ძლიერი ტალღა ვლეხების მიერ მიწების საკუთრებად შეძენა კი არაა, არამედ მემამულეებისაგან მიწების გაყიდვა... გაყიდვის ტენდენცია ერთი ორად უფრო მეტია ვიდრე შესყიდვისა"[16]. მიწის ყიდვა-გაყიდვის აქციოტაჟი რედაქციის აზრით ხელოვნურად იყო მთავრობისა და თავადაზნაურობისაგან გამოწვეული... „გლეხებს მიწის საკითხის გადაწყვეტა სწადიათ საზოგადოებრივი სამართლიანობისა და შრომის პრინციპის ნიადაგზე, მემამულეებს კი ყიდვა-გაყიდვის, ე. ი. კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის ნიადაგზე". საგლეხო ბანკს, განაგრძობს რედაქცია, სწორედ ამ უკანასკნელისათვის უნდა შეეწყო ხელი, განემტკიცებინა კერძო საკუთრების პრინციპი. ბუნებრივია, მემამულეები მიაწყდნენ ბანკს, გლეხები კი ნაკლები ენთუზიაზმით შეხვდნენ მისი მოქმედების დაწყებას.

მოვლენათა განვითარება, ნათქვამია შემდეგ წერილში, ასე წარიმართება: მემამულეები ფულს მიიღებენ ბანკისაგან. მიწა ბანკის ხელში დაგროვდება... მემამულეთა და გლეხთა ურთიერთობა უცვლელი დარჩება, მხოლოდ ამ ურთიერთობის ერთ მხარეზე, სადაც ახლა მემამულეები დგანან, ჩადგება ბანკი ე. ი. იგივე სახელმწიფო.

---

16 „ამირანი", 1908 წ., № 196.

ეს ტენდენცია უკვე ჩანსო. ბანკმა დღემდე თავისთვის შეიძინა 45779 დეს. გლეხებს კი დაეხმარა 14724 დეს. მიწის შესყიდვაში[17].

მომდევნო ნომერში ლაპარაკია საგლეხო ბანკის მოქმედების პოლიტიკურ მხარეზე. წერილში ის აზრია გატარებული, რომ ბანკი ცდილობს თავის ხელში დააგროვოს მიწა და მოუცადოს სასურველ მყიდველს. მთავრობის სურვილი კი ამ მიწებზე რუსი კოლონისტების დამკვიდრება არისო. ამიტომ ბანკი აფერხებს ქართველ გლეხებზე მიწის გაყიდვას. ქართველები ჯერჯერობით ბანკის ამ აგრესიულ, კოლონიურ პოლიტიკას ინდივიდუალურად უწევენ წინააღმდეგობას. რედაქციას საჭიროდ მიაჩნია ეროვნული ბანკის დაარსება. მისი შემწეობით გაადვილდებაო ქართველების მიერ გაყიდული მიწების ქართველთავე ხელში შენარჩუნების საქმე[18].

ქართული საზოგადოებრივი ძალები მართალია ებრძოდნენ ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას და რამდენადმე აფერხებდნენ მის პრაქტიკულ რეალიზაციას, მაგრამ კოლონიზატორებმა მაინც შესძლეს 1905—1910 წწ. კავკასიაში შეექმნათ 261 რუსული დასახლება. აქედან 139 სოფელი სახაზინო და 122 სოფელი საგლეხო ბანკის მიერ შესყიდულ მიწაზე. სულ 1906—1910 წწ. ბანკმა გლეხებზე გაყიდა 53 ათასამდე დეს. მიწა 2 500000 მანეთად. აქედან 34% შეისყიდეს ქართველმა გლეხებმა, 34% რუსებმა და 32% სომხებმა, აზერბაიჯანელებმა, ოსებმა და სხვ.[19]

აღმოსავლეთ საქართველოს გლეხობამ ბანკის სესხების გამოყენებით 1906—1914 წწ. შეისყიდა 103199 დეს. მიწა. დასავლეთ საქართველოს გლეხობამ კი მხოლოდ 2068 დესეტინა[20]. ეს უკანასკნელნი კვლავ საკუთარი სახსრებით აგრძელებდნენ მიწათმფლობელობის გაფართოებას.

ამგვარად, რეაქციის ხანაში ქართველმა გლეხობამ, ძირითადად ზედაფენამ ყიდვის გზით მოახერხა საკუთარი მიწის ფონდის გაზრდა. მაგრამ ამით არ შემცირებულა აგრარული საკითხის სიმწვავე. კერძოდ დროებითვალდებული გლეხების მდგომარეობაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. ბანკი მათ სესხს არც აძლევდა იმ მოტივით, რომ გლეხები ახალ ნაყიდ მიწებზე დაებანდებდნენ თავისი სახსრებისა და შრომის დიდ ნაწილს, სანადელო მიწების დამუშა-

---

17 „ამირანი", იქვე.

18 იქვე, № 197.

19 „Кавказское хозяйство," 1910 г., № 18, стр. 9.

20 С. Авалиани, Крестьянский вопрос в Закавказье т. IV, Тифлис, 1920 г., стр. 226—227.

ვების ინტენსივობას შეამცირებდნენ და ამით ზარალს მიაყენებდნენ მემამულეებს. გაბატონებული წრეები კარგად გრძნობდნენ, რომ აგრარული საკითხის გადასაჭრელად საჭირო იყო გაცილებით რადიკალური ღონისძიებანი.

* *

1905—1917 წლების რევოლუცია ძირფესვიანად არყევდა რუსეთის იმპერიის დახავსებულ სოციალურ-პოლიტიკურ შენობას. რევოლუციის მძაფრი გაქანებით შეშინებული მეფე და მისი მთავრობის მოხელეები ცდილობდნენ ზოგიერთი დათმობებით დაეწყნარებინათ აღელვებული მშრომელი მასები. მეფე იმპერიის მოსახლეობას კონსტიტუციას და პოლიტიკურ თავისუფლებებს აღუთქვამდა, ხოლო მეფის კავკასიელი მოხელეები რევოლუციური გლეხობის დამშვიდების მიზნით ვალდებულებითი და დამოკიდებულებითი ურთიერთობების ლიკვიდაციის პროექტებს ადგენდნენ.

1905 წ. კავკასიაში მეფის ნაცელად გამოგზავნილი ვორონცოვ-დაშკოვი იძულებული გახდა სასწრაფოდ ეზრუნა აგრარული საკითხის გადაჭრისათვის. „მხოლოდ დამოკიდებულებითი ურთიერთობის დაუყოვნებლივ მოსპობა—წერდა იგი იმ ხანებში—შექმნის საფუძველს აჯანყებული გლეხობის დამშვიდებისათვის". ვორონცოვ-დაშკოვმა გადაუდებელ საქმედ ჩათვალა სახელმწიფო გლეხთა უფლებრივ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

მეფის ნაცვალმა გამოიყენა უკვე დაგროვილი მასალა და 1905 წ. 22 ნოემბერს უმაღლეს მთავრობას წარუდგინა წინადადება ამიერკავკასიაში გლეხთა საკითხის მოწესრიგების შესახებ. ეს წინადადება რევოლუციის წინახანის პროექტთან შედარებით, გაცილებით რადიკალურ ღონისძიებათა გატარებას ითვალისწინებდა. იგი თითქმის ყველა კატეგორიის გლეხებს ეხებოდა. წინადადება-პროექტის მთავარი მუხლები ასეთია:

1. ვალდებულებით დამოკიდებულებაში მყოფ გლეხებს (მათ შორის ხიზნებსაც) 1906 წ. 1 იანვრიდან საკუთრებად დაუმტკიცდეს სანაღელო მიწები. ამ დროიდანვე გაუქმდეს გლეხთა ყოველგვარი ვალდებულება მემამულეთა წინაშე.

2. 1906 წ. იანვრიდან სანახევროდ შემცირდეს გამოსასყიდი თანხა (ლაპარაკია ნადელ გამოსყიდული გლეხების გამოსასყიდ გადასახდელებზე. ა. ბ.), ხოლო 1907 წ. იანვრიდან სავსებით შეწყდეს გლეხებისაგან გამოსასყიდი გადასახდელების აკრეფა.

3. 1906 წ. იანვრიდან სანახევროდ შემცირდეს სახელმწიფო გლეხების საღალო გამოსაღები, ხოლო 1907 წ. იანვრიდან ამ გამოსაღების აკრეფა სრულიად შეწყდეს. სახელმწიფო გლეხებს საკუთრებად დაუმტკიცდეს მათ სარგებლობაში არსებული სახაზინო მიწები და დაიბეგროს ეს ნაკვეთები სახელმწიფო საადგილმამულო გადასახადით.

4. თავისუფალი სახაზინო მიწების ერთი ნაწილი გამოყენებულ იქნას სხვადასხვა კატეგორიის მცირემიწიან გლეხთათვის დასარიგებლად.

მეფის ნაცვალს მინისტრთა საბჭოში უნდა წარედგინა კონკრეტული პროექტი ხაზინის ხარჯზე მემამულეებისათვის ნადელთა გამოსასყიდი თანხის მიცემის შესახებ[21].

ვორონცოვ-დაშკოვის აზრით დროებითვალდებულების და ხიზნობის ინსტიტუტის გაუქმება უნდა მომხდარიყო გლეხებისათვის გამოსასყიდი თანხის დაუკისრებლად, რაც ნაკარნახევი იყო არა რომელიმე უკიდურესი პარტიისათვის დათმობის საჭიროებით. არამედ შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე აუცილებლობით. მეფის ნაცვალი აცხადებდა, რომ გლეხთა ხარჯზე მემამულეთათვის საზღაურის მიცემას ისინი ჩათვლიან უსამართლობის აქტად და ამდენად საკითხის ამ ფორმით გადაწყვეტა ვერ დააწყნარებსო რევოლუციურ გლეხობას[22].

სახელმწიფო საბჭოში არ გაიზიარეს ამიერკავკასიის სახელმწიფო გლეხების მესაკუთრეთა კატეგორიაში გადაყვანის აზრი. ვალდებულებით ურთიერთობათა ლიკვიდაცია კი გადაუდებელ საქმედ მიიჩნიეს. მაგრამ მეფის მთავრობის მოხელეებს ეძნელებოდათ ხაზინისათვის ნადელთა გამოსასყიდი თანხის დაკისრება. საბჭოს დადგენილებით საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო არა უმაღლესი ბრძანებით. არამედ საკანონმდებლო განხილვის წესით, რაც მეტად დიდ დროს მოითხოვდა. ამასთან ერთად საბჭომ შეუძლებლად ჩათვალა ამიერკავკასიის მცირემიწიანი გლეხებისათვის დამატებითი ნადელების გამოყოფა. თავისუფალი სახაზინო მიწის ფონდი საჭირო იქნებაო მხარეში რუსული ელემენტის კოლონიზაციისათვის.

უმაღლეს მთავრობაში არ ჩქარობდნენ. საქართველოში კი რევოლუციური ქარიშხალი არ წყდებოდა. გლეხთა დასამშვიდებლად ქართლ-კახეთის სოფლებში გაგზავნილი გენერალი ზ. ჭავჭავაძე

---

21 ო. ს ი ო მ ი ნ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 126—128.

22 СХАО, т. IV, стр. 24—25.

უკან მობრუნების შემდეგ უცხადებდა მეფის ნაცვალს: როცა გლეხებმა შეიტყვეს თქვენს მიერ აღთქმული რეფორმებისა და უმიწაწყლო გლეხობისათვის თავისუფალი სახაზინო მიწების დარიგების განზრახვის შესახებ, დიდი მადლობა გამოთქვეს თქვენდამი, მაგრამ შეიმჩნეოდა, რომ გლეხები უნდობლად ეკიდებიან დაპირებებს. მათი წარმომადგენლები მთავრობისაგან მოითხოვენ აღთქმის სფეროდან შესრულების სფეროში გადასვლასო. ამიტომ, განაგრძობდა გენერალი, მოვალედ ვთლვი თავს მოგახსენოთ, რომ აღთქმული რეფორმების დაუყოვნებლივ გატარება პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ამოცანას შეადგენს. ეს აუცილებელია მომავალში არეულობის თავიდან ასაცილებლად. ხალხის თვალში მთავრობის შერყეული პრესტაჟის განსამტკიცებლად, მთავრობისადმი ნდობის აღსადგენად[23].

ასეთ ვითარებაში მეფის ნაცვალი ყოველნაირად ცდილობდა დაერწმუნებინა უმაღლესი მთავრობა მის მიერ წარდგენილი პროექტის სასწრაფოდ დამტკიცების აუცილებლობაში. მაგრამ, როგორც ჩანს ცენტრალური მთავრობის მოხელეებს მთლად ნათელი წარმოდგენა არ ჰქონდათ საქართველოს ამბებზე. უმაღლესი მთავრობა მაინცდამაინც არ ჩქარობდა. იგი მოითხოვდა რომ პროექტში ერთდროულად ყოფილიყო გადაჭრილი დამოკიდებულებითი ურთიერთობის გაუქმებისა და მემამულეთათვის საზღაურის მიცემის საკითხი. მათ შეუძლებლად შიაჩნდათ გლეხთა განთავისუფლება გამოსასყიდი თანხებისაგან და ხაზინისათვის 30 მილ. მანეთის გადახდის დაკისრება. ამიტომ მინისტრთა საბჭომ 1906 წ. 6 აგვისტოს მიზანშეწონილად მიიჩნია ვალდებულებითი ურთიერთობის ლიკვიდაციის პროექტი, რომელიც ერთხელ უკვე იქნა შეკვეცილ-შესწორებული, უკან დაებრუნებინათ მეფის ნაცვლისათვის გადასამუშავებლად და შემდეგ განეხილათ იგი საკანონმდებლო წესით.

მეფის ნაცვალი ჯერ კიდევ არ იყო დამშვიდებული. განვლილი რევოლუციური ქარიშხლისა და მისი ახალი ძალით გაჩაღების შიში 1907 წელსაც აიძულებდა მას ეზრუნა დასახულ ღონისძიებათა სწრაფი გატარებისათვის. იგი 1907 წ. 10 თებერვალს წარდგენილ უქვეშევრდომილეს მოხსენებით ბარათში კვლავ მოითხოვდა ვალდებულებითი ურთიერთობის გაუქმებას გლეხთათვის გამოსასყიდ გადასახდელთა დაკისრების გარეშე და სახელმწიფო გლეხების მესაკუთრეთა კატეგორიაში გადაყვანას. მაგრამ ამაოდ. ცენტრში საბოლოოდ დაწყნარდნენ. რევოლუციის დამარცხების წყა-

---

23 СХАО. გვ. 769.

ლობით, მალე ამის შემდეგ დაწყნარდა ვორონცოვ-დაშკოვიც. მეფის ნაცვლის კანცელარიაში უკვე აღარ ჩქარობდნენ უკანონობრუნებული პროექტის გადამუშავებისათვის.

საქართველოს პროგრესულ საზოგადოებას ბატონყმობის ნაშთების მოსპობა დიდი ხანია გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა. ვალდებულებითი ურთიერთობის ლიკვიდაციის დაგვიანება, ბუნებრივია, ოპოზიციური პარტიების პროტესტს იწვევდა. 1908 წ. 15 დეკემბერს სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ სათათბიროში შეიტანა ამიერკავკასიაში დამოკიდებულებითი ურთიერთობის გაუქმების თავისი პროექტი. ამ კანონპროექტს ახლდა ვრცელი პრეამბულა, სადაც კრიტიკის ქარცეცხლშია გატარებული კავკასიის ადმინისტრაციის საქმიანობა. გამოაშკარავებულია 60-იანი წლების რეფორმის მემამულურ-კლასობრივი არსი, რაც ავტორების განცხადებით გამოიხატა სახალხო მიწის ფონდის ექსპროპრიაციაში. მათი აზრით რეფორმის შემდეგ გლეხთა მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. მემამულეებმა შეინარჩუნეს გარეეკონომიური იძულების უფლება, მათი ნებართვის გარეშე გლეხს არ შეეძლო ნადელის გამოსყიდვა და მისი მიტოვებაც კი. გლეხობა მიმაგრებულ იქნა მიწაზე და მას დაეკისრა მძიმე საადგილმამულო ვალდებულებანი მემამულეთა სასარგებლოდ.

ასეთ საფუძველზე ჩატარებულ რეფორმას, აგრძელებენ სათათბიროს სოციალ-დემოკრატი დეპუტატები, არ შეეძლო აეღორძინებინა ბატონყმური წყობისაგან პარალიზებული სამეწარმეო შრომის მწარმოებლურობა და მოესპო ყოვლის შემძლე მემამულეებსა და უუფლებო გლეხებს შორის ურთიერთობის დეზორგანიზაციის საწყისები, შეექმნა წინაპირობები მოქალაქეობრივობის განვითარებისათვის კავკასიაში. ქვეყნის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები ახლა მაინც უნდა აღმოიფხვრას და პირველ რიგში უნდა მოხდესდ ვალდებულებითი ურთიერთობის ლიკვიდაცია.

ამის შემდეგ პროექტის ავტორები სვამენ კითხვას თუ როგორ საფუძველზე უნდა მოხდეს გადმონაშთის სახით არსებული ნახევრად ბატონყმური ინსტიტუტების გაუქმება და იქვე პასუხობენ: რადგან ამიერკავკასიაში ვალდებულებითი ურთიერთობის ლიკვიდაცია გაჭიანურდა არა გლეხთა მიზეზიო (მათ ღალა-გადასახადელთა სახით უკვე გაიღეს ნადელთა ღირებულებაზე რამდენჯერმე მეტი თანხა) და მათთვის გამოსასყიდი ფასის დაკისრება საბოლოოდ გაანადგურებს გლეხურ მეურნეობას, კანონპროექტის გატარებას-

თან დაკავშირებული ხარჯების გლეხობისათვის დაკისრება იქნებაო უდიდესი უსამართლობის აქტი, რომელიც აშკარად მიდის საერთო სახალხო და სახელმწიფოებრივი ინტერესების მიღმა.

გლეხობას თუ დაეკისრება გამოსასყიდი თანხა, აცხადებდნენ პროექტის ავტორები, ეს გამოიწვევს რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებას. გლეხობისათვის ამ თანხის დაკისრება შეუძლებლად სცნო თვით კავკასიის ადმინისტრაციამ, რომელიც 1905—1907 წწ. მოითხოვდა ნადელთა გამოსყიდვას ხაზინის ხარჯზე. ჩვენ კი ასეთი საზღაურის გაცემა საერთოდ არ მიგვაჩნია აუცილებლად, რადგან მემამულეებს ღალა-კულუხის გარდა სხვა შემოსავალიც საკმარისად გააჩნიათო.

ბოლოს პროექტის ძირითად აზრს სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის 34 დეპუტატი აყალიბებს მუხლობრივად:

1. ამიერკავკასიაში დამოკიდებულებითი და დროებითვალდებულებითი ურთიერთობა წყდება დაუყოვნებლივ და სამუდამოდ მიწათმფლობელთათვის ყოველგვარი საზღაურის მიცემის გარეშე.

2. ყველა კატეგორიის დამოკიდებული გლეხობის ვალდებულებანი მემამულეთა სასარგებლოდ უქმდება, ხოლო ამ გლეხთა სარგებლობაში არსებული მიწები ცხადდება მათ საკუთრებად.

3. სერვიტუტებით (საძოვარი, ტყე, წყალი) სარგებლობის უფლება. ამ საკითხის საკანონმდებლო წესით გადაწყვეტამდე, ამიერკავკასიელ გლეხებს ეძლევა იმავე საფუძველზე, როგორც ეს არის ჩრდილო-დასავლეთ გუბერნიებში.

4. გლეხთა უფლება წიაღისეულზე, ამ საკითხის საკანონმდებლო წესით გადაწყვეტამდე, რჩება ძველებურად[24].

ამგვარად, სათათბიროს 34 დეპუტატის პროექტი მნიშვნელოვანწილად იმეორებდა ვორონცოვ-დაშკოვის 1905—1907 წწ. პროექტის ძირითად დებულებებს. განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ მეფის ნაცვალი მოითხოვდა მემამულეთა ზარალის ანაზღაურებას ხაზინის ხარჯზე, სოციალ-დემოკრატებს კი ასეთი საზღაურის გაცემა საერთოდ საჭიროდ არ მიაჩნდათ.

სათათბიროს 34 წევრის პროექტი დასკვნისათვის გამოეგზავნა ვორონცოვ-დაშკოვს. ამ დროისათვის მეფის ნაცვლის აგრარულ პოლიტიკაში 180 გრადუსით მოხდა შემობრუნება. მას უკვე აღარ აშინებს რევოლუცია, რადიკალური კანონ-პროექტის გატარების პოლიტიკური მოტივები მოხსნილია. ამიტომ ახლა მეფის ნაცვალი ყოველნაირად იცავს ადრე მის მიერვე გაკრიტიკებულ კავკასიის ად-

---

[24] СХАО, т. IV, стр. 105—138.

მინისტრაციის წარსულ საქმიანობას და 60-იანი წლების რეფორმის სამართლიან ხასიათს. იგი ალბათ, კარგად გრძნობდა, რომ წინააღმდეგობაში ჩავარდა 1905—1907 წლების თავის ორეულთან, მაგრამ მას არ აქცევს ყურადღებას, ისხნის რადიკალური რეფორმატორის ნიღაბს და, შეცვლილი სიტუაციის შესაბამისად, ეს მონარქისტი მემამულეთა ინტერესების თავგამოდებული დამცველის როლში აშკარად გამოდის. იგი უარყოფს დამოკიდებულებითი ურთიერთობის ლიკვიდაციის სოციალ-დემოკრატების პროექტს და უმაღლეს მთავრობას აცნობებს რომ სამართლიან კანონ-პროექტს უპირველეს მომავალში წარმოვადგენო[25].

სახელმწიფო სათათბიროში ისეთი პროექტის წარდგენის ფაქტმა რომელიც ითვალისწინებდა გლეხთათვის სანადელო მიწების საკუთრებად დამტკიცებას ყოველგვარი გამოსყიდვის გარეშე, აიძულა მეფის ნაცვლის კანცელარია დაეჩქარებინა ვორონცოვ-დაშკოვისეული პროექტის გადამუშავება. ამ გადამუშავების პროცესში მან თითქმის სრულიად დაკარგა თავისი პირვანდელი სახე.

ვორონცოვ-დაშკოვის 1905—1907 წწ. პროექტებიდან საერთოდ ამოღებულ იქნა პუნქტი არქაული საღალო გამოსაღების გაუქმებისა და სახელმწიფო გლეხების მესაკუთრეთა კატეგორიაში გადაყვანის შესახებ. უარყოფილ იქნა შედარებით სამართლიანი პრინციპი დროებითვალდებულ გლეხთა და სხვა კატეგორიების დამოკიდებული მოსახლეობის ნადელების გამოსყიდვისა სახელმწიფოს თანხებით, დაწესდა გამოსყიდვა საერთო საფუძველზე ე. ი. გლეხებს თვით უნდა გამოესყიდათ სანადელო მიწები, მხოლოდ ოპერაციის დაჩქარების მიზნით მთავრობისაგან მიიღებდნენ გამოსასყიდ სესხს. სერვიტუტების საკითხს კვლავ ვერაფერი მოუხერხეს. იგი შემდეგი საკანონმდებლო მუშაობის ობიექტად გამოაცხადეს.

თაეადაზნაურობა, ბუნებრივია, სისხლხორციელად იყო დაინტერესებული აგრარული საკითხის გადაჭრით, მაგრამ ცდილობდა რომ ვალდებულებითი ურთიერთობის ლიკვიდაცია ძვირად არ დაჯდომოდა. იგი თავის შენიშვნებს გამოსთქვამდა შემუშავებულ პროექტებზე. ამეღავნებდა თავის თვალსაზრისს, არსებითად იძლეოდა საკუთარ პროექტს, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა არა მარტო სათათბიროს 34 წევრის, არამედ ვორონცოვ-დაშკოვის კანონპროექტის მეორე ვარიანტისაგანაც.

---

[25] СХАО, т. IV, стр. 138—170.

თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობამ თავისი შენიშვნები და პროექტი მეფის ნაცვლის კანცელარიაში წარადგინა 1910 წ. 3 მაისს. საკითხი ვალდებულებითი ურთიერთობის ლიკვიდაციის შესახებ,—წერდნენ თავადაზნაურთა წარმომადგენლები,—დიდი ხანია მომწიფდა და მისი გადაჭრა გადაუდებელია. დროებითვალდებულება პირდაპირ წამლავს ორი წოდების მეზობლურ ურთიერთობას. აბრკოლებს მეურნეობის პროგრესულ განვითარებას. იმდენად აბოროტებს ორივე მხარეს, რომ პირდაპირ შეუძლებელია თანამედროვე სოფელში ცხოვრება, მაგრამ მარტო თავადაზნაურობის ბრალი არაა, რომ აქამდე არ მოსპობილა ვალდებულებითი ურთიერთობა. სერვიტუტები, მიწათდაქსაქსულობა.

შემდეგ თავადაზნაურობა აკრიტიკებს მეფის ნაცვლის პროექტის ცალკეულ მუხლებს. მას შეცდომად მიაჩნია ყველა კატეგორიის დამოკიდებული გლეხების ერთ სიბრტყეზე დაყენება და საქართველოს დროებითვალდებული გლეხებისათვის მოითხოვს განსაკუთრებულ პროექტს. ასევე ცალკე გადაწყვეტის ობიექტად უნდა იქნესო ხიზანთა საკითხიც.

თავადაზნაურთა წარმომადგენლებს არ მოსწონთ ის ამბავი, რომ მეფის ნაცვლის პროექტი ნადელთა გამოსასყიდი თანხის განსაზღვრისათვის საფუძვლად იღებდა XIX ს. 60-იანი წლების ფასებს. ისინი მოითხოვენ გამოსასყიდი თანხის გამოანგარიშებას თანამედროვე ფასების მიხედვით.

მემამულეების უკმაყოფილებას იწვევდა ისიც, რომ ვორონცოვ-დაშკოვის პროექტი გადაუჭრელს ტოვებდა სერვიტუტების საკითხს. მათი აზრით ნადელთა გამოსყიდვას არაფერი მნიშვნელობა არ ექნებოდა, თუ გლეხებს დაუტოვებდნენ თავადაზნაურთა მიწებზე პირუტყვის ძოვების უფლებას. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ საძოვრის სერვიტუტი ანომალიად იქცა და იგი აფერხებსო სოფლის მეურნეობის განვითარებას. ამ საკითხის გადაჭრა საჭიროა როგორც გლეხთა ისე მემამულეთა ინტერესებისათვის. მემამულეს ურჩევნია ჰქონდეს სრულ საკუთრებაში 5 დესეტინა, ვიდრე სერვიტუტით დამძიმებული 100 დესეტინა. მემამულეები მზადყოფნას აცხადებენ სასერვიტუტო უფლების მოსპობის საზღაურად გლეხებს გამოუყონ კომლზე 1,5—3 დეს. საძოვარი.

ნადელთა გამოსყიდვის პრაქტიკულად განხორციელების მეთოდებსა და საშუალებებში,—აცხადებენ შემდეგ თავად-აზნაურები,—ჩვენ მთლიანად ეცილდებით მეფის ნაცვლის საბჭოს თვალსაზრისს. ვორონცოვ-დაშკოვის პროექტის მიხედვით გამოსყიდვა უნდა მოხდეს გლეხთა სახსრებით, მთავრობის სესხის გამოყენებით

მეშვეობით. ეს კი არ მართლდება მხარისა და მთელი სახელმწიფოს ინტერესებით.

გაღატაკებული გლეხობისათვის გამოსყიდვის მთელი სიმძიმის დაკისრებას ჩვენ ვერ ვურჩევდით მთავრობას. ვერც ეკონომიურად დაცემული მემამულეები დათმობენ ნადელებს უსასყიდლოდ. ამდენად ვდგავართ იმის აუცილებლობის წინაშე რომ მთავრობას მოვუწოდოთ გააუქმოს ვალდებულებითი ურთიერთობა ხაზინის ხარჯზე. მემამულეები ასე ასაბუთებენ თავის ამ თვალსაზრისს: ყოველი სახელმწიფოს ისტორიაში არის მომენტები, როცა მთავრობა იძულებული ხდება ამათუ იმ პრაქტიკული ამოცანის გადაჭრისათვის გაიღოს დიდი ფულადი თანხები. XX ს. დამდეგს, რუსეთსა და ინგლისში მწვავედ დაისვა აგრარული საკითხი. აგრარული საკითხის მოგვარებისათვის ორივე ამ სახელმწიფოს მთავრობები ხარჯავენ დიდ თანხებს, რადგან მისი იგნორირება საფრთხეს შეუქმნის სახელმწიფოს ორგანიზმს. თვით სტოლიპინიც მიზანშეწონილად თვლის ხაზინის თანხებით გლეხობისათვის დახმარებას, რათა აგრარული საკითხის გადაჭრის მთელი სიმძიმე მარტო პრივილეგიურ წოდებას არ დააწვეს. ეს პრინციპი გამოყენებულ უნდა იქნესო საქართველოს სინამდვილეშიც.

ქართველ თავადაზნაურობას არ შეუძლია დროებითვალდებული გლეხებისა და ხიზნების მიწათმოწყობა, მათთვის სანადელო მიწების უფასოდ დათმობა. ხოლო რადგან გლეხები ეკონომიურად განადგურებული არიან, ჩვენ სხვა გზა არ გვაქვს და ხაზინის დახმარებას უნდა დავეყრდნოთო. რუსეთში ეს უკვე გატარდა პრაქტიკულად. 1905 წ. 3 ნოემბრის მანიფესტით რუსეთის გლეხობას ეპატია ნახევარ მილიარდ მანეთზე მეტი გამოსასყიდი თანხები. სახელმწიფო დიდ თანხებს ხარჯავს გლეხთა მიწათმოწყობისათვის, რომელიც ყველას ბუნებრივად მიაჩნია.

პრინციპი რაკი მიღებულია,—განაგრძობენ თავადაზნაურთა წარმომადგენლები,—შეიძლება იგი გამოყენებულ იქნეს კავკასიაშიც. მით უმეტეს, რომ სხვა გზით არ მოხერხდება აქ ვალდებულებითი ურთიერთობის ლიკვიდაცია. სოციალისტური პროპაგანდა მიწების ძალდატანებითი ჩამორთმევის შესახებ იმიტომ სარგებლობს დიდი მხარდაჭერით, რომ გლეხებს არ გააჩნდათ სახსრები მისი გამოსყიდვისა და შესყიდვისათვის.

მემამულეები შემდეგ მიუთითებენ იმ დიდ როლზე, რაც ქართველმა თავადაზნაურობამ და გლეხობამ შეასრულა რუსეთის ამიერკავკასიაში დამკვიდრებისათვის თურქეთ-სპარსეთის წინააღმდეგ წარმოებულ ომებში. მიუხედავად ამისა, ქართველი ხალხი (უნდა

იყოს გლეხობა. ა. ბ.) არასდროს არ მოუქცევიათ მთავრობის მზრუნ-ველობის სფეროში. გერმანელ კოლონისტებს კი უფასოდ მისცე-სო ვეებერთელა ტერიტორიები. გერმანელებს მოჰყვნენ სპარსეთ-ოსმალეთიდან გადმოსული სომხები და ბერძნები, რომლებმაც ააღ-სეს ყველა თავისუფალი ადგილი. აქვე დამკვიდრდნენ რუსი სექ-ტანტებიც. უფრო გვიან აღმოცენდა კავკასიაში მართლმადიდებელ-რუსების გადმოსახლების აზრი და რადგან მათთვის უკვე აღარ იყო თავისუფალი მიწები, დაიწყო ტყეების (სერვიტუტების ჩათვ-ლით) შესყიდვა რუს კოლონისტთა საჭიროებისათვის, რითაც კვლავ შეილახა ადგილობრივი გლეხების ინტერესები. რუს ახალმო-სახლეთა მოწყობისათვის დიდი თანხები იხარჯება, ქართველი გლე-ხებისათვის კი არავინ ზრუნავს, რასაც თვით ვორონცოვ-დაშკოვიც აღიარებდაო.

დაასაბუთეს რა ხაზინის ხარჯზე ვალდებულებითი ურთიერთო-ბის გაუქმების აუცილებლობა, მემამულეები შემდეგ შესაძლებლად მიიჩნევენ, რომ მათზე მისაცემი საზღაური შეამცირონ 25%, რაც რამდენადმე შეამსუბუქებდა ხაზინაზე დაკისრებულ ტვირთს[26].

ბოლოს თავადაზნაურთა წარმომადგენლები ეხებიან ხიზნობის ინსტიტუტს და აღნიშნავენ, რომ დღემდე ხიზნების შესახებ გა-მოცემულ საკანონმდებლო აქტებს არ შეუზღუდავს მემამულეთა საკუთრების უფლება. ამიტომ არ შეიძლება ხიზნობის გაიგი-ვება დროებითვალდებულების ინსტიტუტთან. მეფის ნაცვლის პროექტი კი ასეთ გაიგივებას ახდენს და ამით ლახავსო მემამულე-თა ინტერესებს. ხიზნების მიწათმოწყობა სასურველია, არავინ არ დაობს იმაზე, რომ უმიწაწყლო გლეხების მასა საზარალო და საში-შია სახელმწიფოსათვის, მაგრამ ამ ბოროტებას რატომ უნდა ვუ-წამლოთ მხოლოდ პრივილეგიური წოდების ხარჯზე? მათ მიზანშე-წონილად მიაჩნდათ ხიზნებისათვის, თავადაზნაურთა მამულების ამ ხანმოთეულ და არასასურველ მოიჯარეებისათვის, თავისუფალი სახაზინო მიწების დარიგება და საკითხის ამ გზით გადაწყვეტა.

მოითხოვეს რა მეფის ნაცვლის პროექტიდან ხიზანთა საკითხის ამოღება, ქართველმა მემამულეებმა შეადგინეს ვალდებულებითი ურთიერთობის ლიკვიდაციის პროექტი, რომლის ძირითადი მუხლე-ბი ასეთი იყო:

1. დროებითვალდებული გლეხები და მემამულეთა მიწებზე მცხოვრები სახელმწიფო მოსახლეები გამოსყიდვაზე გადადიან 1911

---

[26] СХАО, იქვე, გვ. 2:7—163.

წ. 1 იანვრიდან და ირიცხებიან მესაკუთრე გლეხთა თანრიგში.

2. გამოსყიდვას ექვემდებარება ის მიწები, რომელნიც მითითებულია საწესდებო სიგელებში.

3. ნადელის ფასი ყველა შემთხვევაში გამოიანგარიშება წლიური ღალის 6%-ის საფუძველზე კაპიტალიზაციის გზით.

4. ტყისა და საძოვრის სერვიტუტი უქმდება.

5. იმ რაიონებში, სადაც დროებითვალდებულ გლეხებს აქვთ საძოვრის სერვიტუტი მათ კომლზე ეძლევათ 3 დეს. საძოვარი, ხოლო სადაც სერვიტუტი არაა, იქ 1,5 დესეტინა.

6. იმ რაიონებში, რომელიც ექვემდებარება 1870 და 1877 წლების დებულებებს, საძოვრები შუაზე იყოფა გლეხებსა და მემამულეებს შორის. სახელმწიფო მოსახლეები ნადელთა გამოსყიდვის შემდეგაც ინარჩუნებენ ტყით სარგებლობის უფლებას.

7. დროებითვალდებულ გლეხთა საკუთრებაში გადასულ სანადელო მიწებში მემამულეებს ეძლევა გამოსასყიდი ფასი სახელმწიფო ხაზინიდან. სახელმწიფო მოსახლეები კი მიწებს გამოისყიდიან საკუთარი თანხებით მთავრობის სესხის გამოყენებით.

პროექტს ხელს აწერენ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი და მაზრის წინამძღოლები[27]. ეს პროექტი იმის ცხადი მაჩვენებელია, რომ ქართველი თავადაზნაურობა კარგად გრძნობდა აგრარული საკითხის სიმწვავეს და გლეხთა მოძრაობის საშიშროებას. ისინი ბევრ შემთხვევაში მთავრობაზე გაცილებით რადიკალურ ღონისძიებებს ითვალისწინებენ ორი წოდების შერიგების მიზნით. კერძოდ, უკეთესი იყო სერვიტუტების საკითხის გადაჭრის მათ მიერ შემოთავაზებული ფორმა. თავადაზნაურობის წარმომადგენლები, მართალია მოითხოვდნენ ნადელთა გამოსასყიდი თანხის განსაზღვრას თანამედროვე ფასების მიხედვით, მაგრამ შეუძლებლად მიაჩნდათ გლეხთათვის ახალი ტვირთის დაკისრება და აუცილებლად თვლიდნენ გამოსყიდვას ხაზინის ხარჯზე.

დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა მიერ წარდგენილი შენიშვნები და წინადადებები უმეტესწილად ემთხვეოდა აღმოსავლეთ საქართველოს მემამულეთა თვალსაზრისს.

ქართველ თავადაზნაურთა ზოგი შენიშვნა გაითვალისწინა ამიერკავკასიის ადმინისტრაციამ. კერძოდ პროექტიდან ამოიღეს ხიზანთა საკითხი და მისი საბოლოო რედაქცია წარდგენილ იქნა უმაღლეს მთავრობაში 1911 წ. 24 სექტემბერს.

---

[27] СХАО, იქვე, ფ. 277—284.

1905—1907 წწ. პროექტებსა და წინადადებებში მეფის ნაცვალი გლეხობისათვის ნადელთა გამოსასყიდი ფასის დაკისრებაში ხედავდა უკანონობას, უსამართლობას და საშიშროებას სახელმწიფოსათვის. იგი აუცილებლად სთვლიდა გამოსყიდვას ხაზინის ხარჯზე. ხოლო ახალ პროექტში ვორონცოვ-დაშკოვი ცდილობდა დაემტკიცებინა სამართლიანობა, კანონიერება და აუცილებლობა გლეხებისათვის გამოსასყიდი თანხის დაკისრებისა.

ვრცელ შესავალში მეფის ნაცვალი და მისი ხელქვეითი მოხელეები თეორიულად ასაბუთებენ პროექტის ძირითად დებულებებს. მათი აზრით, ამიერკავკასიის გლეხობის უსასყიდლოდ მესაკუთრეთა კატეგორიაში გადაყვანა და მემამულეების ხაზინის ხარჯზე დაკმაყოფილება შექმნიდა საშიშ პრეცენდენტს, რომელიც ძალიან მავნე იქნებოდა მემამულეთა მიწების კონფისკაციის გაძლიერებული პროპაგანდის პირობებში. ამიტომ ნადელთა გამოსყიდვის ხარჯები უნდა გაეღო გლეხობას. ეს არისო მიწის განსაკუთრების ერთადერთი კანონიერი გზა.

შემდეგ პროექტის ავტორები სვამენ კითხვას—გამოსასყიდელი თანხის გამოანგარიშება უნდა მომხდარიყო თანამედროვე თუ 60-იანი წლების ფასების საფუძველზე? თავადაზნაურობა მოითხოვს გამოსყიდვის საფუძვლად თანამედროვე ფასების მიღებას. პროექტი უარყოფს ასეთ პრეტენზიებს და სამართლიანად თვლის გამოსასყიდი თანხის განსაზღვრას 60-იანი წლების ფასების მიხედვით. ამიერკავკასიის დროებითვალდებული გლეხებისა და დამოკიდებული მოსახლეების ნადელთა გამოსყიდვისათვის პროექტის ავტორთა გამოანგარიშებით საჭირო იქნებოდა სულ 24.436287 მანეთი[28].

1912 წ. დასაწყისში სათათბიროს ყველა წევრი გაეცნო კანონპროექტს. ყველა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ვალდებულებითი ურთიერთობის ლიკვიდაცია გადაუდებელი საქმე იყო. მალე კანონპროექტის შესახებ წარდგენილ იქნა აგრარული, საფინანსო და საბიუჯეტო კომისიის დასკვნები. კომისიები მცირე, რედაქციული ხასიათის შენიშვნების შემდეგ იწონებდნენ კანონპროექტს და წინადადებას აძლევდნენ სათათბიროს სწრაფად დაემტკიცებინა იგი[29].

თავის მხრივ კავკასიის ადმინისტრაცია ყოველნაირად ცდილობდა საქმის დაჩქარებას. 1912 წ. 25 თებერვალს ვორონცოვ-დაშკოვი თხოვდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კოკოვცოვს, რომ მას დაეჩქარებინა კანონპროექტის გატარება სახელმწიფო სათათბი-

---

[28] СХАО, т. IV, стр. 455—472.

[29] იქვე, გვ. 538—560.

როსა და სახელმწიფო საბჭოში. „ამ კანონის გამოცემა არჩევნების დაწყებამდე,—წერდა მეფის ნაცვალი,—ოპოზიციას ხელიდან გამოგლეჯდა ძლიერ იარაღს და გლეხთა მასაში კი დანერგავდა მთავრობისადმი რწმენასა და კეთილგანწყობილებას[30]. მიუხედავად ამისა საქმე კიდევ კარგა ხანს გაჭიანურდა.

1912 წ. 9 ივნისს სახელმწიფო სათათბირომ მოიწონა ვალდებულებითი ურთიერთობის ლიკვიდაციის პროექტი და იგი დასამტკიცებლად გადაეგზავნა სახელმწიფო საბჭოს.

1912 წ. 13 დეკემბერს სახელმწიფო საბჭოში მოსმენილ იქნა ფინანსიურ და საკანონმდებლო კომისიათა მოხსენებები პროექტის არსის შესახებ. მოხსენებებში მოწონებულია პროექტი. იქვე გაკრიტიკებულია სახელმწიფო საბჭოს წევრის ა. ერისთავის მოსაზრება, რომელიც მოითხოვდა კანონპროექტის დამტკიცების გადადებას იმ მოტივით, რომ იგი არ ეხებოდა ხიზნებს და არ სწყვეტდა სერვიტუტების საკითხს. მომხსენებლები მიუთითებდნენ, რომ ხიზნებისათვის ცალკე კანონპროექტია საჭირო და სერვიტუტების საკითხის მოგვარება ბევრ დროს მოითხოვსო. ამიტომ მათ მიზანშეწონილად მიიჩნიეს კანონპროექტის დაუყოვნებლივ დამტკიცება"[31].

სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა კანონპროექტი და იგი კანონად იქცა. 1912 წ. 20 დეკემბერს მეფის ნაცვალმა მიიღო სენატორ ნიკოლსკის დეპეშა: „მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ ჩვენი პროექტი ამიერკავკასიაში ვალდებულებითი ურთიერთობის ლიკვიდაციის შესახებ დღეს მოწონებულ იქნა სახელმწიფო საბჭოს მიერ სახელმწიფო სათათბიროს რედაქციით ყოველგვარი შესწორების გარეშე"[32].

1912 წ. 20 დეკემბრის კანონი ამიერკავკასიაში დროებითვალდებულებითი და დამოკიდებულებითი ურთიერთობის ლიკვიდაციის შესახებ შეიცავდა ნადელთა სავალდებულო გამოსყიდვის წესებს, რომელიც 32 მუხლისაგან შედგებოდა:

1. მემამულეებისადმი ვალდებულებით დამოკიდებულებაში მყოფი გლეხები (თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში) აგრეთვე კერძო მფლობელთა მამულებში მცხოვრები სახელმწიფო მოსახლეები (ერევნის, ბაქოს, ელიზავეტპოლის და თბილისის გუბერნიებში) ფულადი და ნატურალური ვალდებულებებიდან გადადიან გამო-

---

30 СХАО, იქვე, გვ. 561.

31 СХАО, т. IV, стр. 564—579.

32 იქვე, გვ. 562.

სასყიდ გადასახდელებზე და 1913 წ. 1 იანვრიდან ჩაირიცხებიან მესაკუთრე გლეხთა კატეგორიაში.

3. გამოსყიდვის წესებს ექვემდებარება საწესდებო სიგელებში მითითებული მიწები. ხოლო თუ სიგელში ნადელის ფართობი აღნიშნული არაა, გამოსასყიდი მიწა განისაზღვრება ფაქტიური მფლობელობით.

4. 5. ფულადი ღალის შემთხვევაში ნადელის გამოსასყიდი ფასი გამოიანგარიშება წლიური ღალის 6%-ის საფუძველზე კაპიტალიზაციის გზით. ე. ი. წლიური ღალის ოდენობა გამრავლდება 16-სა და ორ მესამედზე. ნატურალური ვალდებულებების დროს კი — დესეტინაზე დაწესებული ფასის გამრავლებით ნადელში შემავალ დესეტინათა რიცხვზე.

12. საძოვრების სარგებლობა ძველებურად რჩება ამ საკითხის საკანონმდებლო წესით გადაჭრამდე.

15. გორის, დუშეთისა და რაჭის მაზრების მთიანი ზოლის გამოკლებით, გლეხებს ერთმევა მემამულეთა ტყეებით სარგებლობის უფლება.

16. გლეხთა საკუთრებაში გადასული მიწების საზღაური მემამულეებს ეძლევა ერთდროულად ხაზინიდან გამოსასყიდი აქტების დამტკიცებისთანავე.

19. სესხის დაფარვის ვადებად წესდება 56, 41 ან 28 წელი გლეხთა სურვილის მიხედვით.

22. გლეხები ვალდებული არიან მთავრობის სესხის დასაფარავად ხაზინაში შეიტანონ ყოველწლიურად მანეთზე 4, 5 ან 6 კაპიკი დაფარვის დაწესებული ვადების შესაბამისად.

25. გამოსასყიდ აქტებს ადგენენ მომრიგებელი შუამავლები[33].

ამ წესების საფუძველზე გამოსყიდვითი აქტების შედგენა ნელა მიმდინარეობდა. გლეხებსა და მემამულეებს დროზე ვერ შეჰქონდათ მიწისმზომელთათვის საჭირო თანხა, თანაც მიწათდაქსაქსულობის პირობებში ნადელების აზომვაზე ძალიან დიდი დრო იხარჯებოდა. ამას ემატებოდა ფორმალიზმი და მოხელეთა ბიუროკრატიზმი. 1915 წლის სექტემბრისათვის საქართველოში შედგენილ იქნა სულ 2514 აქტი, საიდანაც დამტკიცებულ იყო 1109. მამულთა ნახევარზე აქტების შედგენაც კი არ იყო დაწყებული[34].

ამგვარად, ნადელთა გამოსყიდვის წესები არსებითად ძველი დარჩა. ცვლილება მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ გამოსყიდვა საეალდებულო გახდა მხარეებისათვის. გლეხები, მართალია, თავი-

---

33 СХАО. იქვე, გვ. 583—590.

34 იქვე, გვ. 627.

სუფლდებოდნენ მემამულისთვის მისაცემი ღალა-კულუხისაგან, მაგრამ იქცეოდნენ სახელმწიფოს მოვალეებად. სესხისა და მისი სარგებლის დასაფარავად გლეხებს ყოველწლიურად ხაზინაში უნდა შეეტანათ გამოსასყიდ გადასახდელთა გარკვეული ნაწილი, რომელიც ძველ საბატონო ვალდებულებებზე არანაკლებ მძიმედ აწვებოდა მათ ბიუჯეტს. ამას ემატებოდა ტყით სარგებლობის დაკარგვითა და საძოვრის სერვიტუტის მოუგვარებლობით გამოწვეული უარყოფითი შედეგები.

როგორც ვხედავთ, მას შემდეგ რაც გლეხობამ ღალა-კულუხის სასით ნადელების ღირებულებაზე 4-ჯერ მეტი თანხა გადაიხადა, საგლეხო რეფორმის 50 წლის თავზე იგი აიძულეს ერთხელ კიდევ გამოესყიდა სანადელო მიწები. საგლეხო რეფორმის დასასრული ისევე არახელსაყრელი იყო უშუალო მწარმოებელი მასისათვის, როგორც მისი დასაწყისი. მემამულეებმა და მეფის მთავრობამ კვლავ მოითბეს ხელი გლეხობის ხარჯზე. გლეხობას, ბუნებრივია, აგრარული საკითხის გადაჭრის ცარიზმისეული ვარიანტი არ აკმაყოფილებდა.

საქართველო-ამიერკავკასიის მოწინავე საზოგადოებრიობა დუმილის პროტესტით შეხვდა 1912 წ. 12 დეკემბრის კანონს. საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებას კარგად გადმოგვცემს ჟურნალ „კავკასიის მეურნეობის“ რედაქცია: „ახლახან დასრულებულმა წელმა მოგვიტანა ჩვენ ერთი ფრიად სერიოზული, თუმცა ძალიან დაგვიანებული, სახელმწიფოებრივი აქტი დროებითვალდებულებითი და დამოკიდებულებითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ. რაც არ უნდა საოცარი იყოს, ეს აქტი ჩვენთან დარჩა თითქმის სრულიად შეუმჩნეველი და ადგილობრივ პერიოდულ გამოცემებში 1912 წ. 20 დეკემბრის კანონმა არათუ მიიღო სათანადო გაშუქება, არამედ გადაბეჭდილიც კი არ ყოფილა. მის შესახებ ყველა ცნობა ატარებდა სუფთა ქრონიკალურ ხასიათს. რედაქცია ვერ ფარავს რომ კანონს ჰქონოდა ბევრი ნაკლოვანებები, მაგრამ მისი მნიშვნელობა მაინც დიდიაო. „ამ კანონით დასრულდა ის, რაც დაწყებული იყო და ლოგიკურად უნდა დამთავრებულიყო ჯერ კიდევ 50 წლის უკან“[35].

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ გლეხობამ აიძულა ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტი შეეწყვიტა გამოსასყიდ გადასახდელთა აკრეფა და დაედო დაპირება ახალი კანონის გამოცემის შესახებ.

---

[35] „Кавказское хозяйство,“ 1913 г., № 2, стр. 2.

1905—1907 წწ. რევოლუციამ, როგორც აღვნიშნეთ, მთავრობის წინაშე აქტიურად დააყენა ხიზნობის ინსტიტუტის ლიკვიდაციის საკითხიც. ხიზნური ურთიერთობის გაუქმება და ხიზნების მესაკუთრე გლეხთა კატეგორიაში გადაყვანა ნავარაუდევი იყო ამიერკავკასიის ადმინისტრაციის მიერ 1905—1909 წლებში შედგენილი პროექტებით, მაგრამ თავადაზნაურთა მოთხოვნით 1910 წ. 22 მაისის სხდომაზე მეფის ნაცვლის საბჭომ მიიღო დადგენილება დამოკიდებულებითი ურთიერთობის ლიკვიდაციის პროექტიდან ხიზანთა საკითხის ამოღების შესახებ და ამდენად 1912 წ. 20 დეკემბრის კანონი ხიზნებს არ შეხებია.

1911 წ. 11 მაისს სათათბიროს 37 დეპუტატმა სათათბიროში შეიტანა კანონპროექტი ხიზნური ურთიერთობის ლიკვიდაციისა და ხიზანთა მიწათმოწყობის შესახებ. ვრცელ პრეამბულაში ავტორები ახასიათებენ ხიზნობის ინსტიტუტს და აშუქებენ საკითხის ისტორიას. ისინი ხიზნობის ინსტიტუტს პარალელებს უძებნიან დასავლეთ ევროპაში და აცხადებენ, რომ საფრანგეთის რევოლუციამ მუდმივი მოიჯარენი მიწის მესაკუთრეებად აღიარაო. შემდეგ ანალოგიური კანონმდებლობა გატარდა ევროპის სხვა ქვეყნებშიც. პროექტის ავტორთა განცხადებით საქართველოს ხიზნებმა 46 წლის განმავლობაში მემამულეებს გადაუხადეს დესეტინაზე 414 მან., რაც აღემატება მიწის ფასს. ამიტომ ხიზნებს უფლება აქვთ მესაკუთრეთა კატეგორიაში გადარიცხვა ნადელთა გამოსყიდვის გარეშე მოითხოვონ და არც ხაზინამ უნდა გაიღოს იმ მიწების ფასი, რაც ხიზნებს ფაქტიურად უკვე გამოსყიდული აქვთო. ბოლოს ავტორები მუხლობრივად აყალიბებენ თავის პროექტს:

1. ხიზნური ურთიერთობა უქმდება დაუყოვნებლივ მემამულეთა სასარგებლოდ ახალი მსხვერპლის გაღების გარეშე, ხოლო ხიზნებს მათ სამფლობელო მიწებზე ეძლევა სრული საკუთრების უფლება.

2. ამ დებულებით ნავარაუდევი მიწათმოწყობით შეიძლება ისარგებლონ იმ პირებმაც, რომელნიც აყრილ-გადასახლებულ იქნენ მემამულეთა მიერ, თუ ისინი დაამტკიცებენ, რომ ეს აყრა უსამართლო იყო.

3. ხიზნებს ეძლევა ტყისა და საძოვრის სერვიტუტებით სარგებლობის უფლება, ამ საკითხის საკანონმდებლო წესით გადაწყვეტამდე.

ხელს აწერენ: ჩხეიიე, გეგეჭკორი, პოკროვსკი, ბელოუსოვი, სურკოვი, სტეპანოვი, საგათელიანი, დობროვოლსკი და სხვ.[36].

კავკასიის ხელისუფლება, რა თქმა უნდა, არ დაეთანხმა ზემოაღნიშნული პროექტის ძირითად დებულებებს და ამიტომ ვორონცოვ-დაშკოვმა სრულიად სხვა საფუძველზე შედგენილი კანონპროექტი წარადგინა. შესავალში ნათქვამია, რომ ხიზნური ურთიერთობა ძალიან ახლოს დგას ბატონყმურ ურთიერთობასთან და პირველი მათგანის გაუქმება იმავე პრინციპებზე უნდა მოხდეს როგორც იქნა გაუქმებული დროებითვალდებულებითი ურთიერთობაო.

პროექტი მუხლობრივად ასე გამოიყურებოდა:

1. ამ წესების გამოქვეყნების შემდეგ წყდება მემამულის უფლება უარი უთხრას ხიზანს მიწით სარგებლობაზე, აგრეთვე ხიზნის უფლება დატოვოს მემამულის მიწა. იკრძალება ცვლილებების შეტანა მხარეების აგრარულ ურთიერთობაში.

5. 1916 წ. იანვრიდან ხიზნები საკუთრებაში იძენენ მათ სარგებლობაში არსებულ მიწებს მემამულის წინაშე მათი ვალდებულებების სავალდებულო გამოსყიდვის გზით, მთავრობის სესხის გამოყენებით.

6. 1916 წ. 1 ნოემბრიდან ხიზნები გადადიან გამოსასყიდ გადასახდელებზე, ხოლო მემამულეები ხიზნებისათვის დათმობილი მიწების საზღაურად ხაზინისაგან იღებენ გარკვეულ თანხას.

13. ტყითა და საძოვრით სარგებლობა ძველებურად რჩება.

14. მემამულეთა სასარგებლოდ არსებული ხიზანთა ვალდებულების ღირებულება განისაზღვრება მომრიგებელი შუამავლის მიერ წლიურ ღალა-გადასახდელთა ღირებულების 6 პროცენტის საფუძველზე კაპიტალიზაციის გზით.

16. გამოსასყიდ აქტებს ადგენენ მომრიგებელი შუამავლები.

17. მიწების აზომვა, აქტების შედგენა, მათი დამტკიცება, მემამულეთათვის საზღაურის მიცემა, გამოსასყიდი სესხის დაფარვის წესები და სხვ. ექვემდებარება 1912 წ. 20 დეკემბრის კანონს[37].

აღნიშნული პროექტის წინააღმდეგ გაილაშქრა თავადაზნაურობამ. მათი განცხადებით ხიზნური ურთიერთობა არ ზღუდავდა მემამულეთა საკუთრებას მიწაზე. ამ ინსტიტუტის გაუქმება ხიზანთა ვალდებულებების გამოსყიდვის გზით იმის მომასწავლებელია, რომ ხიზნების სარგებლობაში არსებულ მიწებზე შეუზღუდავ საკუთრების უფლებას სადაოდ გვიხდიანო. ახალი პროექტი, თუ იგი

---

36 СХАО. т. IV, стр. 675—677.

37 იქვე, გვ. 703—706.

პრაქტიკულად განხორციელდა. ხელიდან გამოგვაცლის უკანასკნელ მიწის ნაკვეთებს და უმიწაწყლო პროლეტარებად გადაგვაქცევსო.

ჩვენ ვეთანხმებით ამათ, — განაგრძობენ თავადაზნაურთა წარმომადგენლები,—ვინც მოითხოვს ხიზანთა მიწათმოწყობას. მაგრამ საკითხავია, ვის ხარჯზე უნდა მოხდეს ეს. მემამულეთა. თუ ხაზინის ხარჯზე? თავადაზნაურობას საამისო მიწა არ გააჩნია. სახაზინო მიწებს კი რუსი კოლონისტებისათვის იყენებენო. თავადაზნაურობა ცდილობს დაამტკიცოს პროექტის უსამართლობა[38].

ქართველი თავადაზნაურობის თვალსაზრისი ხიზნობის ინსტიტუტის არსისა და მისი გაუქმების გზების შესახებ მთელი სრულიად გადმოცემული მ. მაჩაბელისა და ა. ყიფშიძის მიერ შედგენილ პოლემიკურ ნაშრომში—„Прекращение хизанских отношений в Грузии", რომელიც ცალკე წიგნად გამოიცა 1914 წელს.

ხიზნობა თავისი ხასიათით,—აცხადებენ ავტორები,—საზარელია ქვეყნისათვის. მთავრობა თითქოს ცდილობდა ხიზნობის ლიკვიდაციას, მაგრამ მან შეადგინა არა ხიზნური ურთიერთობის გაუქმების პროექტი, არამედ მემამულეთა მიწების ძალით გასხვისების კანონი, რომელიც უსამართლოა და მიდის ხიზნობის იურიდიული ბუნების მიღმა. ხიზნობის ლიკვიდაცია მიწის იძულებითი გამოსყიდვის პრინციპზე აშკარად ეწინააღმდეგება იმპერიის ძირითად კანონებს, რომელნიც იცავენო კერძო საკუთრების ხელშეუხებლობას.

ბოლოს ბროშურაში აღნიშნულია, რომ მეფის ნაცვლის პროექტი ეწინააღმდეგება ხიზნურ ადათებს, მიწათმოწყობის პრაქტიკას და სამართლიანობის პრინციპს. კანონპროექტი კი არ შეარიგებს მხარეებს, არამედ გამოიწვევს სამოქალაქო ომს. ავტორების განცხადებით, ხიზნური ურთიერთობის ლიკვიდაციის კანონიერი გზა მითითებულია 1900 წლის დებულებაში, რომლის თანახმად მემამულეს შეუძლია გაუშვას და გადაუხადოს მას ნაგებობა-ნარგავთა ღირებულება. ხიზანს კი აძლევს მიწის გამოსყიდვის უფლებას. მხოლოდ საჭიროა ორივე შემთხვევაში მხარეებს დახმარება გაეწიოს მთავრობის სესხებით. თუ ამ გზით 5 წელიწადში მიზანს ვერ მივაღწევთ. შემდეგ ძალდატანებით შეიძლებაო ხიზნური ურთიერთობის გაუქმება[39].

---

[38] СХАО, д. 730—735.

[39] Прекращение хизанских отношений в Грузии, 1914 г., стр. 13, 29—30.

თავადაზნაურთა ზოგი შენიშვნა გათვალისწინებულ იქნა და სათათბიროში განსახილველად პროექტის ახალი ვარიანტი გაიგზავნა. სათათბიროს აგრარულმა კომისიამ იგი განიხილა 1913 წ. ნოემბრისა და 1914 წ. თებერვლის სხდომებზე. კომისიამ მოიწონა კანონპროექტი, მხოლოდ შენიშვნა გააკეთა გამოსასყიდი თანხის გაწესაზღვრის წესის გარშემო. ფინანსიურმა კომისიამ პროექტი დამტკიცა აგრარული კომისიის რედაქციით. მაგრამ სათათბიროს საერთო კრებაზე მისი განხილვა დიდხანს გაჭიანურდა. 1915 წ. 8 ოქტომბერს მეფის ნაცვალი სენატორ ა. ნიკოლსკის წერდა, რომ საკითხის სიმწვავის გამო ხიზნური ურთიერთობის ლიკვიდაციის პროექტის დამტკიცება გადაუდებელი საქმეაო. ამასთან ერთად იგი დირექტივას აძლევდა ნიკოლსკის, რომ მას პროექტის განხილვის დროს გაეტარებინა ხიზანთა ვალდებულების თანამედროვე ფასების შეხედვით გამოსყიდვის თვალსაზრისი, ე. ი. ხიზნებისათვის დაეკისრებინა იმაზე ორჯერ მეტი გამოსასყიდი თანხა, რომელიც დაწესებული იყო 1912 წ. 20 დეკემბრის კანონით[40].

იმპერიალისტური ომით გამოწვეულ სიძნელეთა პირობებშიც მთავრობას ქართველი ხიზნებისათვის არ ეცალა. ხიზნობის ინსტიტუტის ლიკვიდაციის პროექტი სათათბიროს საერთო კრებაზე განხილული არ ყოფილა. ხიზნური ურთიერთობა გაუქმებულ იქნა მხოლოდ ცარიზმის დამხობის შემდეგ.

დამოკიდებულებითი ურთიერთობის არქაული ფორმები ბოლომდე შემორჩა აგრეთვე ზაქათალის ოკრუგში. ამ მხარის დასავლეთ ნაწილში მცხოვრები ინგილოები ლეკებს უხდიდნენ ქეშკილურ გადასახადს. ქეშკელური დამოკიდებულება წარმოიშვა XVII ს-ში ლეკთა მიერ კახეთის ერეკლის ნაწილის დაპყრობის დროს. დამპყრობლები არ ჩაერიენენ დაპყრობილი მოსახლეობის შინაგან საქმეებში და იმით დაკმაყოფილდნენ, რომ დაბეგრეს ისინი ქეშკელური ხარკით. ყოველ სოფელს შეაწერეს მიწათმოქმედების პროდუქტების გარკვეული რაოდენობა, რომელიც თანაბრად ნაწილდებოდა კომლთა შორის. ყოველი კომლის გადასახდელს ეწოდებოდა ქეშკელი. ქეშკელური დამოკიდებულების წარმოშობა არ ყოფილა დაკავშირებული მიწასთან. ამ ინსტიტუტში მეფის მთავრობის მოხელეები ვერ ხედავდნენ სამამულო ურთიერთობის ვერცერთ ნიშანს. ქეშკელის მფლობელებს არა თუ რაიმე უფლება არ ჰქონდათ ინგილოთა სამფლობელო მიწებზე, არამედ არ შეეძლოთ იმ მიწის

---

[40] СХАО, т. IV, стр. 764—765.

ნაკვეთზე მითითებაც კი, რომლის დამუშავების შედეგად ინგილო ახერხებდა სალეკო ხარკის გაღებას.

ზაქათალის ოკრუგში ქეშკელურის თითქმის ანალოგიურად წარმოიშვა რაიათული დამოკიდებულება. ელისუ სულთნებმა დაიპყრეს თათრული მოსახლეობა და დააკისრეს მას ხარკი. ეს ხარკ-გადასახდელები ატარებდა ადმინისტრაციულ ხასიათს. 1844 წლიდან, როცა ელისუს სასულთნო გაუქმდა, ბეგებმა დაიწყეს სამამულო უფლებების მითვისება.

XX ს-ის დამდეგისათვის ქეშკელური და რაიათული ურთიერთობა აშკარა ანაქრონიზმს წარმოადგენდა, რომელიც მოსახლეობას ორ მტრულ ბანაკად ყოფდა. მთავრობა ცდილობდა უკმაყოფილოთა დაწყნარებას, იძულებითი ზომებით კრეფდა გადასახადებს, მაგრამ ყველა გრძნობდა, რომ აღარ შეიძლებოდა არქაული ინსტიტუტების შენარჩუნება.

ქეშკელური და რაიათული ურთიერთობის გაუქმებისათვის პრაქტიკული ღონისძიებების გატარება დაიწყო 1908 წლიდან. ზაქათალაში ჩამოყალიბდა დროებითი კომისია, რომელმაც შეისწავლა ფაქტიური მდგომარეობა. აღმოჩნდა, რომ ზაქათალის ოკრუგში იყო სულ 784 ქეშკელის მფლობელი ლეკი და 3500 კ. ქეშკელის გადამხდელი ინგილო. ეს უკანასკნელნი წლიურად იხდიდნენ 22042 მანეთს. 671 კ. რაია ბეგების სასარგებლოდ წლიურად იხდიდა 6454 მანეთს[41].

გლეხობის ბრძოლა და ოპოზიციური პარტიების საქმიანობა აიძულებდა კავკასიის ადმინისტრაციას ფეოდალიზმის ნაშთები ზაქათალის ოკრუგშიც მოესპო. მეფის ნაცვალმა შეადგინა პროექტი ალეესტანსა და ზაქათალას ოკრუგში დამოკიდებულებითი ურთიერთობის გაუქმების შესახებ.

კანონპროექტის თანახმად ზაქათალის ოკრუგის ბეგები და ქეშკელმფლობელები მათ სასარგებლოდ არსებულ ვალდებულებათა გაუქმების საზღაურად ხაზინისაგან მიიღებდნენ გარკვეულ თანხას, რომელსაც შემდეგ თანდათან დაფარავდნენ გლეხები ყოველწლიური შენატანებით. დამოკიდებულებითი ურთიერთობის საზღაურის გარეშე გაუქმება პროექტის ავტორთა აზრით არ შეესაბამებოდა სახელმწიფო ხელისუფლების ღირსებას და რუსეთის მთავრობის პოლიტიკას. ბეგებსა და ქეშკელმფლობელებს უნდა მიეცეთ გამოსასყიდი თანხა, რომელიც გამოიანგარიშებოდა გლეხთა წლიური-

---

[41] СХАО, т. V, стр. 11—18.

ვალდებულებების 10%-ის საფუძველზე კაპიტალიზაციის გზით.

კანონპროექტის ძირითადი მუხლები ასეთი იყო:

1. დაღესტნისა და ზაქათალის ოკრუგის დამოკიდებული მოსახლეები ყველა თანრიგისა (რაიები, უზდენები, ქეშკელის გადამხდელნი) 1913 წ. 1 იანვრიდან თავისუფლდებოდნენ ყველა გადასახადისაგან.

2. ბეგებსა და ქეშკელმფლობელებს გლეხთა გაუქმებული ვალდებულებების საზღაურად ეძლევათ განსაზღვრული თანხა, რაც მითითებულია დამატებაში.

3. ბეგებსა და ქეშკელმფლობელებს შორის საზღაურ თანხის ანაწილებენ მომრიგებელი მოსამართლეები.

4. გამოსასყიდ თანხას გლეხები იხდიან თანაბარ ნაწილებად 10—20 წლის განმავლობაში[42].

1912 წ. მაის-ივნისში პროექტი განხილულ იქნა საუწყებათაშორისო თათბირზე, 1913 წ. კი—სახელმწიფო სათათბიროში. 1913 წ. 7 ივლისს სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა პროექტი და იგი კანონად იქცა. ლიკვიდირებულ იქნა ფეოდალიზმის კიდევ ერთი გადმონაშთი[43].

*

* *

სახელმწიფო გლეხების უფლებრივ-ეკონომიური მდგომარეობა სხვა დამოკიდებულ გლეხობასთან შედარებით უკეთესი იყო. მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ კატეგორიის გლეხთა მიწათმოწყობის საკითხი საკმაოდ მწვავედ იდგა მთავრობის წინაშე. მცირემიწიანი კომლები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა მაზრებში 50—70% შეადგენდნენ, მთავრობისაგან დამატებით ნადელებს მოითხოვდნენ. გლეხთა მთელ მასას კი აღარ აკმაყოფილებდა .სახაზინო მიწით სარგებლობის პირობები და იგი მესაკუთრეთა კატეგორიისაკენ ჰიისწრაფოდა.

1889 წ. ქუთაისის მაზრის სოფ. გოდოგნის გლეხებმა სახაზინო ქონებათა საგუბერნიო სამმართველოში შეიტანეს თხოვნა მათთვის კვახჭირის სახაზინო მამულის ფარგლებში დამატებითი ნადელის გამოყოფის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ გლეხთა მცირემიწიანობა ფაქტი იყო, გოდოგნელთა თხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული[44].

---

42 ლენინგრადის ცსია, ფონდი 1278, ანაწერი 6, საქმე 411, ფურც. 1—14.

43 იქვე, ფურც. 26—33, 44—51, 64—65.

44 საქართველოს ცსია, ფონდი 243, ანაწერი 5, საქმე 147, ფურც. 19.

1911 წ. სოფ. ანანურის გლეხებმა დამატებით ნადელად მოითხოვეს თავისუფალი სახაზინო მიწის ერთი ნაკვეთი (5 დესეტინა), რომელიც საღალო მუხლებში იყო შეტანილი და იჯარით იცემოდა. მთხოვნელებს—44 კომლ გლეხს ჰქონდა მხოლოდ 18 დეს. მიწა. ამ საკითხზე მიმოწერა დიდხანს გაგრძელდა. ბოლოს ანანურელებს დამატებით ნადელზე უარი უთხრეს და აღნიშნული ნაკვეთი გრძელვადიანი იჯარით შესთავაზეს. მაგრამ, როგორც ჩანს, იჯარის პირობები ისეთი მძიმე იყო, რომ გლეხებმა უარი თქვეს მასზე[45].

1912 წ. სიღნაღის მაზრის სოფ. მაშნარის სახელმწიფო გლეხებმა სანადელოდ მოითხოვეს ჭიაურის სახაზინო მამულში მდებარე ორი ნაკვეთი—„მასო“ და „ხმელაანი“ 590 დეს. ფართობით. საქმე გაირჩა საგლეხო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოში, რომელმაც 1914 წ. 14 ოქტომბერს მიიღო დადგენილება აღნიშნული ნაკვეთების მაშნარელებისათვის დამატებით ნადელად გადაცემის შესახებ. მაგრამ მეფის ნაცვალმა ეს დადგენილება არ დაამტკიცა. მან ბრძანება გასცა მაშნარელებისათვის დამატებით ნადელად მიეცათ სოფლის ახლოს მდებარე 3,5 დესეტინა ნაკვეთი, ხოლო ჭიაურის მამულის თავისუფალი ნაკვეთები შეეთავაზებინათ გლეხებისათვის გრძელვადიანი იჯარით. მაშნარელებმა საქმე სენატში[46] გადაიტანეს, მაგრამ იქ მეფის ნაცვლის გადაწყვეტილება სამართლიანად იქნა ცნობილი.

ანალოგიური შინაარსის თხოვნა-განცხადებების მოტანა ასობით შეიძლებოდა, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანს. მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ თხოვნაზე გამოტანილია დადგენილება—საკითხის გარჩევა გადაიდოს მიწათმოწყობის სამუშაოების დაწყებამდეო. ამ სამუშაოების წარმოების დროს კი, როგორც დავინახავთ, თითქმის არავის არ მიუღია დამატებითი ნადელი.

1900 წლამდე ხაზინა იყო სახელმწიფო მიწის (გლეხთა ნადელების ჩათვლით) ერთადერთი მფლობელი. ასეთ პირობებში მთავრობა საჭიროდ არ თვლიდა თავისუფალი სახაზინო მიწების გამიჯვნას გლეხთა სარგებლობაში მყოფი ნადელებისაგან, რადგან ამ უკანასკნელთ რაიმე განსაკუთრებული უფლება მიწაზე არ ჰქონიათ.

1900 წლის კანონი რამდენადმე აფართოებდა სანადელო მიწებზე სახელმწიფო გლეხთა უფლებას. მართალია გლეხს არც ამის შემდეგ შეეძლო თავის სურვილისამებრ მიწის გაყიდვა-დაგირავება, მაგრამ ხაზინის უფლებები გლეხთა სანადელო მიწებზე რამდე-

---

[45] საქართველოს ცსია, ფონდი 243, ანაწერი 4, საქმე 433, ფურც. 2—6.

[46] იქვე, ფონდი 243, ანაწერი 5, საქმე 934, ფურც. 12—42.

ნადმე შეიკვეცა. ამიტომ 1900 წლის კანონი ითვალისწინებდა გლეხთა სახადელო მიწების გამოყოფას საკუთრივ თავისუფალი სასაზონო მიწებისაგან, მათ ერთმანეთისაგან გამიჯვნას. 1903 წ. 21 აპრილს დამტკიცდა ასეთი გამიჯვნის ანუ, როგორც კანონშია ნათქვამი, სახელმწიფო გლეხთა მიწათმოწყობის წესები.

ამიერკავკასიის ხუთ გუბერნიაში მიწათმოწყობა უნდა შეხებოდა 3956 სოფელს. 3 593000 დეს. მიწას. ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის მიწათმომწყობი რაზმი 72 კაცის შემადგენლობით. იგი გაიყო ოთხ ჯგუფად ანუ პარტიად. მიწათმომწყობი პარტიების პარალელურად შეიქმნა მიწათმომწყობი კომისიებიც. ამ ორგანოების მთავარ ამოცანას წარმოადგენდა აეზომათ სასოფლო საზოგადოების ფაქტიურ მფლობელობაში მყოფი მიწები, გაერჩიათ სოფლებს შორის წარმოშობილი საადგილმამულო დავები და შეედგინათ სასოფლო საზოგადოებებისათვის მიწის გადაცემის წერილები (отводные записи). ამ მარტივი ამოცანის შესასრულებლად ფრიად რთული წესები იქნა შედგენილი.

1903 წ. 21 აპრილის წესების თანახმად თავდაპირველად მიწისმზომელებს უნდა შეედგინათ სასოფლო საზოგადოების ნადელის შემოსაზღვრის და მიწისმფლობელობის ფორმის პროექტი, რომელიც წარედგინებოდა სოფლის ყრილობას. ამის შემდეგ, საზოგადოების ყრილობის დადგენილების ხასიათის მიუხედავად, პროექტი ეგზავნებოდა მიწათმომწყობ კომისიას, რომელშიც შედიოდნენ მიწათმოწყობის სამეშაოთა უფროსი მწარმოებელი. მომრიგებელი შუამავალი, მაზრის უფროსი, გადასახადთა ინსპექტორი, მეტყევე და სხვ. ეს კომისია უკანასკნელ ინსტანციას როდი წარმოადგენდა. ხშირად პროექტები განსახილველად გადაეცემოდა საგლეხო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს, რომელიც მათ მისაღებად ჩასთვლიდა თუ გარკვეულ ვადაში გასაჩივრებული არ იქნებოდა სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს მიერ. საკრებულოს დადგენილების გასაჩივრება კი სენატში შეიძლებოდა.

საბოლოოდ დამტკიცებული პროექტის თანახმად, სასოფლო საზოგადოების ნადელი ადგილზე შემოისაზღვრებოდა, დაისმებოდა სამიჯნო ნიშნები და ამის შემდეგ შედგებოდა სასოფლო საზოგადოებაზე ნადელის გადაცემა-მიმაგრების წერილი. მომრიგებელი შუამავალი ამ დოკუმენტს წარუდგენდა სოფლის ყრილობას, რომლის თანხმობის შემთხვევაში შედგებოდა აქტი. ეს აქტი და გადაცემის წერილი ეგზავნებოდა ამიერკავკასიის მიწათმოწყობის სამმართველოს უფროსს. ეს უკანასკნელი დაუცდიდა სამთვიანი ვადის გასვლას და

თუ საჩივარი არ შემოვიდოდა, ნადელის გადაცემა-მიმაგრების წერილს დაამტკიცებდა და გადაუგზავნიდა სასოფლო საზოგადოებას მიწისმფლობელობის დოკუმენტად[47].

სახელმწიფო გლეხთა მიწათმოწყობის სამუშაოები საქართველოს ზოგიერთ კუთხეში (კახეთი, ქვემო ქართლი) 1903 წ. დაიწყო. მაგრამ 1905 წლის რევოლუციის ხანაში შეწყდა. რევოლუციურ გლეხობას, ბუნებრივია, არ აკმაყოფილებდა 1900 წ. 1 მაისის კანონი და 1903 წლის მიწათმოწყობის წესები, რომლებიც გლეხთა ფაქტიურ მიწათმფლობელობაში არაფერს ცვლიდნენ. 1906—1907 წწ. მუშაობა განახლდა, მაგრამ იგი მეტად ნელა მიმდინარეობდა. ამის მიზეზი იყო გლეხთა მიერ გამოცხადებული ბოიკოტი და განწყობილება თვით მთავრობის ზოგიერთი მოხელეებისა. რომელნიც ზედმეტად თვლიდნენ მიწათმომწყობი პარტიების ჩამოყალიბებას და იწუნებდნენ 1903 წ. 21 აპრილის წესებსაც. ამ უკანასკნელთა განცხადებით დაწყებული საქმე შეცდომით იწოდებოდა მიწათმოწყობის სამუშაოებად, არ ჰქონდა აზრი და არაფერს აძლევდა მოსახლეობას, რომელსაც ესაჭიროებოდა არა მისი ფაქტიურ მფლობელობაში მყოფი მიწების აზომვა-გამიჯვნა, არამედ დამატებითი ნადელები. მოხელეთა ასეთი განწყობილება და გლეხთა გადამეტებული პრეტენზიები, ბორჩალოს მიწათმომწყობი პარტიის სამუშაოთა უფროსი მწარმოებლის მ. მაჩაბელის გადმოცემით, ძალიან აძნელებდა საქმეს. 1905 წლის რევოლუციის იდეების გავლენის ქვეშ მყოფი გლეხები თურმე მოითხოვდნენ სახაზინო ტყეების თავიანთ ნადელებში ჩარიცხვას, ხოლო მეორე მხრივ სატყეო უწყება ტყე-ბუჩქნარით დაფარულ სანადელო ნაკვეთებს სახაზინოდ აცხადებდა. საადგილმამულო დავა კი აფერხებდა მიწათმოწყობის სამუშაოებს[48].

სახელმწიფო საადგილმამულო ქონებათა დეპარტამენტის დირექტორის შეკითხვის პასუხად ერთ-ერთი მიწათმომწყობი პარტიის უფროსი ნ. დერვიზი სამახსოვრო წერილში წერდა: მიწათმოწყობის სამუშაოთა მთავარი შემაფერხებელი ფაქტორია ის გარემოება, რომ 1900 წ. 1 მაისის ბრძანების გამოქვეყნებული ნაწილი და 1903 წ. 21 აპრილის წესები არ ეხებიან მოსახლეობისათვის ყველაზე ძრსებით საკითხს, საკითხს დამატებითი ნადელების გამოყოფის შესახებ. 1903 წელს, როცა დაიწყო მიწათმოწყობის სამუშაოები, გლეხები მასში აქტიურად მონაწილეობდნენ. მაგრამ მას შემდეგ

---

47 საქართველოს ცსია, ფონდი 243, ანაწერი 5, საქმე 824, ფურც. 8—9.
48 იქვე, საქმე 837, ფურც. 103—110, 152.

რაც მათ გაიგეს, რომ დამატებითი ნადელების გამოყოფის საკითხი, რომლის გადაწყვეტასაც ისინი ელოდნენ 40—50 წლის განმავლობაში, არა მარტო არ განიხილებოდა, არამედ შუამდგომლობებიც კი არ მიიღებოდა, გლეხთა ინტერესი მიწათმოწყობის სამუშაოებისადმი გაქრა და მათ მტრულად დაუწყესო ყურება საქმეს. მთავრობის პრესტიჟის აღდგენისა და მიწათმომწყობ მოხელეთადმი გლეხთა ნდობის დანერგვისათვის დერეფზს აუცილებლად მიაჩნდა იმპერატორის 1900 წ. 1 მაისის ბრძანებულების გამოუქვეყნებელი ნაწილის დაუყოვნებლივ გამოქვეყნება და მის საფუძველზე გლეხობისათვის დამატებითი ნადელების მიცემა.

იმპერატორის ბრძანებულების საიდუმლო ნაწილის თანახმად კი სახელმწიფო ქონებათა მინისტრს ამიერკავკასიის მთავარმმართველთან შეთანხმებით შეეძლო ზოგიერთ შემთხვევაში დამატებითი ნადელი გამოეყო მცირემიწიანი სოფლებისათვის და მიწა მიეცა უმიწაწყლო გლეხებისათვის. მინისტრს წინადადება ეძლეოდა აგრეთვე შეემუშავებინა და თავის დროზე სახელმწიფო საბჭოში დასამტკიცებლად წარედგინა წინადადება ამიერკავკასიის სახელმწიფო გლეხების მესაკუთრეთა კატეგორიაში გადაყვანის შესახებ, იმავე საფუძველზე როგორც ეს მოხდა იმპერიის ცენტრალურ გუბერნიებში[49]. როგორც ჩანს. იმპერატორი არ ჩქარობდა საკითხის გადაჭრას და ამიტომ მიზანშეუწონლად მიაჩნდა 1900 წ. 1 მაისის ბრძანებულების ამ ნაწილის გამოქვეყნება, არ სურდა დაეძაბა გლეხობის მოლოდინი. მეფის მთავრობის მოხელეებმა იმპერატორის ბრძანებულების ეს გამოუქვეყნებელი ნაწილი გაიხსენეს რევოლუციის პერიოდში, როცა გლეხთა დამშვიდებისა და რევოლუციის მიზეზების აღმოფხვრის მიზნით სხვადასხვა პროექტების შეთხზვას მიჰყვეს ხელი.

მეფის ნაცვალს, მისი კანცელარიის მოხელეთა დიდ ნაწილს არ აკმაყოფილებდა მიწათმოწყობის სამუშაოთა ნელი ტემპი, რომლის მიზეზად 1903 წლის წესების უვარგისობას აცხადებდნენ. მდგომარეობის გამოსწორების აუცილებელ წინაპირობად მათ მიაჩნდათ წესების გამარტივება.

მეფის ნაცვლის დავალებით მისი კანცელარიის დირექტორმა პეტერსონმა ჯერ კიდევ 1908 წ. შეადგინა ვრცელი მოხსენება, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ 1903 წ. 21 აპრილის წესები არსებითად არის ციმბირის გუბერნიებში მოქმედი წესების ამიერკავკასიაში მექანიკური გადმოტანა. ციმბირისათვის ასეთი წესები მიზანშე-

---

[49] საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 7, საქმე 157, ფურცელი 111—112.

წონილია. რადგან იქ არ მომხდარა მიწების გამიჯვნა და თანაც გათვალისწინებული იყო ნადელების ნორმირება. ამიერკავკასიაში კი ყველა სოფელმა იცის თავისი საზღვარი. თვით სახელწოდება „მიწათმოწყობა“,—აგრძელებს პეტერსონი,—არასწორად არის ნახმარი. მიწათმოწყობა გულისხმობს მოსახლეობის მოთხოვნილებათა ვათვალისწინებას და დაკმაყოფილებას, რასაც ამიერკავკასიაში ადგილი არა აქვს. აქ გლეხებს უმტკიცებენ მათ ფაქტიურ სამფლობელო მიწებს. და არავის არაფერს უმატებენ, მიუხედავად საჭიროებისა. 1900 წლის კანონმა, რომელმაც უარყო ნადელთა ნორმირების პრინციპი და დაადგინა ყველა გლეხისათვის მის სარგებლობაში არსებული მიწის უცვლელად შენარჩუნება, სანქცია მისცა მიწათმოწყობის სამუშაოთა ძირითად საფუძვლებს და განსაზღვრა მისი არსი არა მიწათმოწყობით, არამედ გამიჯვნით. რაც შეხეება მიწათმოწყობას, ე. ი. გლეხთა მიწათსარგებლობის გაფართოებას და ამ სარგებლობის პირობების შეცვლას, ეს სხვა ამოცანაა და მისი გადაჭრა შეიძლება მხოლოდ ფაქტიური მიწათმფლობელობის გამიჯვნის წესით დადგენის შემდეგ. ამიტომ მიზანშეწონილია უარი ვთქვათ 1903 წ. 21 აპრილის წესებზე და დაკუბრუნდეთ სახაზინო მიწების გამიჯვნის ძველ წესებს. ეს უფრო შეესაბამება საქმის არსს და თანაც ამით გათავისუფლდება სახელმწიფო ხაზინა მიწათმოწყობის სამმართველოს აპარატის შენახვის დიდი ხარჯებისაგან, რამდენადაც მის ფუნქციებს აიღებენო სამიჯნო დაწესებულებები.

ბოლოს მომხსენებელი სვამდა არსებით საკითხს. იგი საჭიროდ შეიჩნევდა გამიჯვნის წესით ფაქტიური მიწათმფლობელობის დადგენის შემდეგ გლეხებს მინიჭებოდა სანადელო მიწებზე საკუთრების უფლება. მხარის სახელმწიფო გლეხების ამ უფლების გარეშე დატოვება, პეტერსონის აზრით, დაუშვებელი იყო. ამას მოითხოვდა პროგრესის ინტერესი და ამიერკავკასიის სოციალურ-ეკონომიურად რუსეთთან შერწყმის საჭიროება[50].

პეტერსონის ეს მოხსენება განხილულ იქნა მეფის ნაცვლის მიერ შედგენილ კომისიაში 1908 წ. ივნის-ივლისში. კომისიის 8 სხდომაზე ბევრმა გამოსთქვა აზრი. უმრავლესობამ გაიზიარა პეტერსონის შენიშვნები 1903 წ. წესებზე, დაიწუნა იგი, მაგრამ მთლიანად მისი უარყოფა შეუძლებლად სცნო. კომისიამ ძველი წესების დამატება-ცვლილებების სახით შეიმუშავა 33 ახალი მუხლი. ამასთან ერთად საჭიროდ ჩათვალა მიწათმომწყობი რაზმის გაუქმე-

---

50 საქართველოს ცსია, ფონდი 243, ანაწერი 5, საქმე 824, ფურც. 4—20.

ბა და მისი ფუნქციების სამიჯნო დაწესებულებებისათვის გადაცემა[51].

კომისიის აზრი და დადგენილება არ მოიწონეს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წარმომადგენლებმა. მათ გააკრიტიკეს პეტერსონის მოხსენება, სადაც თითქოს მხედველობიდან იყო გაშვებული ის გარემოება, რომ გამიჯვნის ძველი წესები გულისხმობდა კერძო მიწების გამოყოფას ხაზინის სამფლობელოებისაგან და არ ითვალისწინებდა სახელმწიფო გლეხთა მიწების ცალკე გამიჯვნას. ამიტომ თავადაზნაურთა წარმომადგენლებს დაუშვებლად მიაჩნდათ გამიჯვნის ძველი წესებისაკენ დაბრუნება. გლეხთა ნადელების გამოყოფა-გამიჯვნა უნდა მოხდეს მიწათმოწყობის 1903 წ. 21 აპრილის წესების საფუძველზე. მხოლოდ ამის შემდეგ მოელებაო ბოლო დავას ხაზინასა და გლეხებს შორის[52].

თბილისის გუბერნის თავადაზნაურთა წარმომადგენლების ეს შენიშვნა ძირითადად იმით იყო გამოწვეული, რომ პეტერსონის მოხსენებაში სათანადოდ არ იყო დამუშავებული საკითხი. მეფის ნაცვალმა საჭიროდ ჩათვალა ახალი მასალების მოძიება და დამატებითი საბუთიანობა. 1909 წ. მეფის ნაცვლის კანცელარიაში შედგენილ იქნა პროექტი ამიერკავკასიის ხუთ გუბერნიაში სახელმწიფო გლეხთა მიწათმოწყობის წესების შეცვლის შესახებ, რომელშიც მოცემულია 1900 წლის კანონის ანალიზი და მისი პრაქტიკულად გატარების გზები.

თავდაპირველად პროექტში ლაპარაკია ამიერკავკასიის გამიჯვნის ისტორიაზე. 1861 წლის გამიჯვნას დებულებას მიზნად დაუსახავ, გაერკვია საადგილმამულო სამფლობელოთა საზღვრები, გადაეწყვიტა ამ დროს აღმოცენებული საადგილმამულო დავა და მიწათმფლობელებისათვის მიეცა მიწის საკუთრება-მფლობელობის კანონიერი დოკუმენტები. დებულების თანახმად ერთდროულად მიმდინარეობდა სახაზინო და კერძო მიწების გამიჯვნის ნელი პროცესი, კერძო პირები ღებულობდნენ მიწის მფლობელობის დოკუმენტებს; სახაზინო სოფლებს კი ემაგრებოდა მათ ფაქტიურ სარგებლობაში მყოფი მიწები. ყოველი სასოფლო საზოგადოების მიწები ცალცალკე იმიჯნებოდა. სოფლებს შორის აღმოცენებული დავის გადაწყვეტა ხდებოდა ადმინისტრაციული წესით.

1887 წ.—ნათქვამია შემდეგ დოკუმენტში.—სახაზინო მიწების გამიჯვნის წესი შეიცვალა. ახალი დებულების თანახმად ვეებერთე-

---

[51] საქართველოს ცსია, იქვე, ფურც. 28, 61—62.
[52] იქვე, ფურც. 110—111.

ლა სახაზინო მამულები ერთად იმიჯნებოდა, ერთ საზღვარში აქცევდნენ თავისუფალ სახაზინო მიწებსა და გლეხთა ნადელებს. ახალი კანონის მიზანი—გამიჯვნების დაჩქარება თითქოს მიღწეულ იქნა, მაგრამ ასე ჩანდა მხოლოდ ფორმალური მხრით. ხაზინისათვის შემოისაზღვრა გაცილებით მეტი მიწა, ვიდრე წინა პერიოდში, მაგრამ მიჯნის შიგნით მოქცეული სოფლები გაუმიჯნავი რჩებოდა. არ წარმოებდა გლეხებზე მიწის მიმაგრება, არ ხდებოდა აგრეთვე თავისუფალი სახაზინო მიწის ფართობის გამორკვევა. ამდენად 1887 წ. დებულებას ფაქტიურად არ დაუჩქარებია გამიჯვნა, არ გამოუყვია გლეხთა მიწები თავისუფალი სახაზინო ნაკვეთებისაგან.

ამ ნაკლოვანებას, აგრძელებენ პროექტის ავტორები, ყურადღება მიაქცია მთავრობამ და 1887 წ. დებულებაში შეიტანა ისეთი ცვლილება, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში საშუალებას იძლეოდა ცალკე გაემიჯნათ სახაზინო სოფლები და ის მიწები, გლეხები რომ თავის საკუთრებად სთვლიდნენ, და ამდენად სადაო იყო. მაგრამ ფაქტიურად ეს სიახლე არ გატარებულა. სახელმწიფო ქონებათა უწყებამ მიწათმოწყობის კანონის გამოცემამდე მიზანშეწონილად არ ჩათვალა გლეხთა ფაქტიური მიწათმფლობელობის გამიჯვნა, რადგან მოსალოდნელი იყო ზოგიერთი ცვლილება.

1900 წ. კანონმა უარყო ნადელთა ნორმირების პრინციპი და ამით იგი არსებითად განსხვავდებოდა ციმბირში მოქმედი კანონისაგან. მიუხედავად ამისა, 1900 წ. კანონის ცხოვრებაში გატარებისათვის მექანიკურად გადმოიტანეს ციმბირში მოქმედი მიწათმოწყობის წესები. 1900 წ. 1 მაისის კანონი ამიერკავკასიის სახელმწიფო გლეხებზე ამაგრებდა მათ ფაქტიურ მფლობელობაში მყოფ მიწებს. პროექტში გაკრიტიკებულია 1903 წ. 21 აპრილის წესების სირთულე, რაც ისეულაც არ იყო საჭირო 1900 წლის კანონით გათვალისწინებული მარტივი მიზნისათვის—გლეხთა ფაქტიურ მფლობელობაში მყოფი მიწების მათზე მიმაგრებისათვის.

ამ სამწუხარო მდგომარეობას,—წერენ პროექტის ავტორები,—ყურადღება მიაქცია მეფის ნაცვალმა და საჭიროდ ჩათვალა მიწათმოწყობის წესების არსებითი შეცვლა. ეს უნდა მომხდარიყო გამიჯვნის 1861 წლის დებულების აღდგენის გზით, რომელსაც დაემატებოდა ახალი მუხლები 1900 წლის კანონის შესაბამისად.

ბოლოს პროექტის ავტორები სვამენ საკითხს—გამიჯნული მიწები გლეხების მემკვიდრეობით სარგებლობაში უნდა დარჩეს თუ მათ მიეცეს სრულ საკუთრებაშიო. ამ საკითხის გადაჭრისას ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთო 1900 წ. 1 მაისის უმაღლესი ბრძანების გამო-

უქვეყნებელი ნაწილი., რომელიც სახელმწიფო ქონებათა მინისტრს ავალებდა თავის დროზე წარედგინა წინადადება ამიერკავკასიის სახელმწიფო ვლეხებისათვის სანადელო მიწებზე საკუთრების უფლების მინიჭების შესახებ. „ამჟამად, როცა იმპერიის გლეხთა მოწყობის საქმეში კერძო საკუთრების პრინციპი აღიარებულია ძირითად და სახელმძღვანელო პრინციპად, სავსებით დროულია ამიერკავკასიის სახელმწიფო გლეხებსაც მიენიჭოს სანადელო მიწებზე საკუთრების უფლება“. ეს არის მოსახლეობის ეკონომიური განვითარების აუცილებელი წინაპირობა და ამ უფლების ჩამორთმევა ამიერკავკასიის მრავალმილიონიანი გლეხობისათვის დამღუპველად აისახებაო მხარის პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობაზე.

როგორც ჩანს, ცენტრში კვლავ გამოთქვამდნენ ეჭვებს ამიერკავკასიის გლეხობის კერძო საკუთრებაზე გადაყვანისათვის მოუმზადებლობის თაობაზე. ამასთან დაკავშირებით მეფის ნაცვალი თავის ვალდებულებად თვლიდა განეცხადებინა, რომ ამ მხრივ კანონ-პროექტის გატარებას არავითარი დაბრკოლება არ შეხვდებაო. ამ მხარეში მფლობელობა, რომელშიც ამა თუ იმ ფორმით დაბანდებულია შრომა, იმდენად დიდი პატივისცემით სარგებლობს, რომ თემური მფლობელობა-სარგებლობის ფორმები შემორჩენილა მხოლოდ დაუმუშავებელ მიწებზე და მიდრეკილება სახნავი მიწების გადანაწილებისაკენ შეიმჩნევაო მხოლოდ რუს კოლონისტებსა და მათ უახლოეს თანამფლობელთა შორის. შემდეგ ავტორები წერენ, რომ მხარეში უკვე ბლომად არიან მესაკუთრე გლეხები. მათი რიცხვი ძალიან გაიზრდება საეალდებულო ურთიერთობის ლიკვიდაციის შემდეგ. თვით სახელმწიფო გლეხთა შორისაც უკვე ახლა არის ჯგუფი, სახელდობრ აფხაზეთის გლეხობა, რომელიც იხდის საადგილმამულო გადასახადს და არა საღალო გამოსაღებს და რომელთაც 1870 წლის დებულების ძალით ნადელები საკუთრებაში მიიღესო. ასეთ პირობებში ყველა სახელმწიფო გლეხისათვის მიწაზე საკუთრების უფლების მინიჭება დროული და აუცილებელია. თუ ეს პროექტი დამტკიცდება, იგი ცხოვრებაში უნდა გატარდეს იმავე სასამართლო სამიჯნო ორგანოების, გამიჯვნის იმავე დებულების მეშვეობით, რომლებიც დიდიხანია მხარეში დოკუმენტალურად აფორმებენ კერძო საკუთრებას მიწაზე. მხოლოდ საჭირო იქნება ძველ დებულებაში ზოგიერთი ცვლილების შეტანა[53].

1905—1907 წწ. რევოლუციის ხანაში, კერძოდ 1906 წ. სექტემბერში ბათუმის ოლქის მოსახლეობამ მთავრობისაგან მოითხოვა მი-

---

53 ლენინგრადის. ცსია, ფონდი 396, ანაწერი 7, საქმე 157, ფურც. 132—143.

წათმოწყობის დაჩქარება. ყოველი კომლის ჩათვლა იმ მიწის ნაკვეთის შესაკუთრედ, რომლითაც ის სარგებლობდა თურქეთის მფლობელობის დროს და რომელიც ეკავა იმქამადაც. ხოლო ამ საკუთრების ურყეობისა და ვაუოთავებელი დაევების ალმოფხვრის მიზნით ყოველი კომლისათვის თაფუს მაგვარი დოკუმენტის მიცემა. საკუთრების უფლებასთან ერთად ბათუმის ოლქის ძოსახლეობა მოითხოვდა მიწის დაგირავების, ყიდვა-გაყიდვისა და საერთოდ გასხვისების უფლებას. გლეხის საკუთრება უნდა გავრცელდეს წიაღისეულზეც. ხოლო თუ ნადელში შემავალი ტყე არასაკმარისი იქნება კომლისათვის, გლეხებს უნდა მიეცეს სახაზინო ტყეებით უფასო სარგებლობის ნება. მუხაჯირთა მიწები ამოღებული იქნეს ხაზინის ვამგებლობისაგან და გადაეცეს შესაბამის სასოფლო საზოგადოებათა განკარგულებაშიო[54].

მეფის მთავრობა იძულებული იყო გარკვეული ნაბიჯები გადადგა ბათუმის და ყარსის ოლქების მიწათმოწყობისათვის. მეფის ნაცვლის კანცელარიამ შეადგინა შესაფერისი კანონპროექტი, რომელიც განხილულ იქნა მეფის ნაცვლის საბჭოს სხდომაზე. 1910 წელს. პროექტის ძირითადი მიზანი იყო ამ მხარის მოსახლეობის მუსაკუთრეთა კატეგორიაში გადაყვანა. პროექტის ავტორები მოითხოვდნენ მოსახლეობისათვის ამ უფლების უსასყიდლოდ მიცემას, რაზეც მეფის ნაცვლის საბჭომ უარი განაცხადა. მან აუცილებლად მიიჩნია აღნიშნული მხარის მოსახლეობას საკუთრების უფლება მინიშებოდა ვამოსასყიდი გადასახდელების გაღების პირობით. საბჭომ აღნიშნა, რომ რუსეთის მთავრობას ამ მხარეში ეკუთვნის მიწაზე უზენაესი სამამულო უფლება, რომელიც მან მემკვიდრეობით მიიღო თურქეთის სულთნისაგან და იგი გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოსახლეობის მიწათმოწყობის დროსო. საბჭომ საჭიროდ არ ჩათვალა კანონპროექტში შეტანილიყო მუხლები მუხაჯირთა ყოფილი მიწების შესახებ, რადგან ამ ნაკვეთების ერთი ნაწილი უნდა დარჩენილიყო ხაზინის განკარგულებაში, ხოლო მეორე ნაწილზე, რომელიც გლეხობის განკარგულებაში იყო გადაცემული, თავისთავად გავრცელდებოდა მათი საკუთრების უფლებაა[55].

მეფის ნაცვლის კანცელარის დირექტორმა გაითვალისწინა გამოთქმული შენიშვნები და 1912 წ. 18 აპრილს მეფის ნაცვლის საბჭოს წარუდგინა კანონპროექტის ახალი ვარიანტი. იგი მოსახლეობის მესაკუთრეთა კატეგორიაში გადაყვანასთან ერთად ითვალისწინებდა საერთო სავარგულების გაყოფას, მიწათდაქსაქსულობის

---

54 ლენინგრადის ცსია, ანაწერი 3, საქმე 1089, ფურც. 4—5.

55 ლენინგრადის ცსია, ფონდი 396, ანაწერი 7, საქმე 159, ფურც. 22—23.

ლიკვიდაციას. შემავიწროებელ სასერვიტუტო შეზღუდვათა მოსპობას და სხვა. საკითხისადმი ასეთი მიდგომა საბჭომ მიზანშეწონილად ჩათვალა, რადგან მისი აზრით, მოსახლეობისათვის მარტოოდენ საკუთრების უფლების მინიჭება არ იყო საკმარისი აგრარული საკითხის გადასაჭრელად. საბჭომ მოიწონა აგრეთვე კანონპროექტის 29-ე მუხლი, რომელიც მისი კარნახით იქნა ფორმულირებული და რომელიც ითვალისწინებდა გლეხთა საკუთრებაში გადასული მიწების დაბეგვრას გამოსასყიდი გადასახდელებით[56].

იმავე ხანებში შედგენილ იქნა პროექტი თერგ-ყუბანის ოლქების მთიანი მხარის და დაღესტან-ზაქათალის სახელმწიფო გლეხების მოწათმოწყობის შესახებ. ამ პროექტის უმთავრეს მიზანს ეც გლეხობის მესაკუთრეთა კატეგორიაში გადაყვანა შეადგენდა.

1911 წლის ბოლოს მეფის ნაცვალმა სთხოვა მინისტრთა საბჭოს მოეწვია საუწყებათაშორისო თათბირი კავკასიის ადმინისტრაციის მიერ შემუშავებულ კანონპროექტთა განხილვისათვის. ამითაც, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის განკარგულებით მოწვეულ იქნა ასეთი თათბირი, რომელმაც წარდგენილი წინადადებების საფუძველზე შეიმუშავა ერთი საერთო კანონპროექტი კავკასიის სახაზინო სამფლობელოებზე მცხოვრებ გლეხთა მიწათმოწყობის შესახებ.

ამ კანონპროექტის მთავარ მიზანს, როგორც ნათქვამია მინისტრთა საბჭოს 1913 წ. 24 იანვრის ჟურნალში, წარმოადგენდა გლეხობისათვის მიწაზე საკუთრების უფლების მინიჭება. ამასთან ერთად კანონპროექტი ითვალისწინებდა საკუთრივ მიწათმოწყობის სამუშაოების ჩატარებასაც; საერთო სარგებლობის სამფლობელოების გაყოფას, მიწათდაქსაქსულობისა და სასერვიტუტო შეზღუდვების ლიკვიდაციას და საერთოდ მხარის მიწათსარგებლობის წესების ნაკლოვანებათა გამოსწორებას. კანონპროექტში საჭიროდ იყო გამოცხადებული გლეხთა საზოგადოებრივი მმართველობის მოწესრიგება, მთელ მხარეში მომრიგებელი მოსამართლეების და საგლეხო საკრებულოთა მოქმედების გავრცელება, რომლებსაც უნდა მინდობოდა ახალი კანონის ცხოვრებაში გატარება.

მინისტრთა საბჭომ აღნიშნა, რომ კავკასიის გლეხთა მიწათმოწყობის კანონპროექტი შედგენილი იყო იმავე საწყისებზე, როგორც 1910 წ. 14 ივნისისა და 1911 წ. 29 მაისის კანონები, მხოლოდ მხედველობაში იყო მიღებული მხარის თავისებურებანი.

---

56 ლენინგრადის ცსია, იქვე, ფურც. 23—25.

უნდა აღინიშნოს, რომ სტოლიპინის აგრარული კანონმდებლობა, რომელსაც აესადებდნენ ამიერკავკასიისათვის შედგენილი პროექტის საფუძველად, თითქმის სულ არ პასუხობდა ამ მხარის საჭიროებებს, რადგან საქართველოს აგრარული წყობა არსებითად განსხვავდებოდა ცენტრალური რუსეთის აგრარული წყობისაგან.

რუსეთში, როგორც აღნიშნული იყო, მთელი გლეხობის მესაკუთრეთა კატეგორიაში გადაყვანა დამთავრდა 1887 წ. და 1905 წ. გაუქმდა გამოსასყიდი გადასახდელებიც. მიუხედავად ამისა, მესაკუთრე გლეხობა კვლავ თემის ზღუდეებში იყო ჩაკეტილი. სტოლიპინის აგრარული კანონების მთავარ მიზანს თემის დარღვევა, ხუტორულ მეურნეობაზე გადასვლა და კულაკობის გაძლიერება წარმოადგენდა. საქართველოში მფლობელობა-სარგებლობის თემური ფორმა მხოლოდ საძოვრებსა და ტყეებზე იყო შემორჩენილი. კულტურული მიწები გლეხობის კომლობრივ მფლობელობასა თუ საკუთრებაში იმყოფებოდა. ამდენად სტოლიპინის კანონებს საქართველოში მხოლოდ იმის გაუქმება შეეძლო, რაც თვით ცარიზმის მიერვე იყო ხელოვნურად დანერგილი (სახნავი მიწების თემური მფლობელობის ერთეული შემთხვევები და ურთიერთთაედებობა), რაც შეეხება სათემო ტყე-საძოვრებს, მათ კომლთა შორის გაყოფას, ეს კანონები საერთოდ არ ითვალისწინებდა.

ცარიზმის აგრარული პოლიტიკის მთავარი ამოცანა ამიერკავკასიაში იყო მესაკუთრე გლეხთა საკანონმდებლო წესით გაფორმება, რისთვისაც გლეხობა დიდი ხანია იბრძოდა. თვით სახელმწიფო გლეხებიც სანადელო მიწებს თავის შეუზღუდველ სამფლობელოებად თვლიდნენ და ხშირად პრაქტიკულად ახორციელებდნენ მიწის თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის პრინციპს. ხაზინისა და გლეხობის უფლებრივი ბრძოლა მიწის გარშემო საუკუნეზე მეტი გრძელდებოდა. მხოლოდ 1905—1907 წწ. რევოლუციის ხანაში დადგა მეფის მთავრობა დათმობის აუცილებლობის წინაშე. შედგენილი კანონპროექტები არსებითად ითვალისწინებდა რუსეთში ჯერ კიდევ 1881 და 1887 წლებში გატარებულ დროებითვალდებული გლეხების მიერ ნადელთა საკუთრებულად გამოსყიდვისა და სახელმწიფო გლეხობის მესაკუთრეთა კატეგორიაში გადარიცხვის კანონების ამიერკავკასიაზე გავრცელებას. რაც შეეხება სტოლიპინის აგრარულ კანონმდებლობას, ცარიზმის ფორმალისტ მოხელეებს საქართველოში შეეძლოთ გადმოეტანათ ამ კანონების მხოლოდ ფორმალურ-პროცესუალური მხარე. ფაქტიურად კი ვალდებულებითი ურთიერთობის ლიკვიდაცია, საგლეხო ბანკის მოქმედების ამიერკავკასიაზე გავრცე-

ლება და კოლონიური პოლიტიკის გაძლიერება. სულაც არ მოასწავებდა სტოლიპინის პოლიტიკის ამ მხარეში გატარებისათვის ჩატარებულ ღონისძიებებს, როგორც ამის დამტკიცებას ამაოდ ცდილობს ი. მირცხულავა თავის მონოგრაფიაში[57].

მინისტრთა საბჭოს სხდომაზე აღინიშნა რეფორმის დროულობა. მიწათმოწყობის მხრივ კავკასია მნიშვნელოვნად ჩამორჩა ცენტრალურ გუბერნიებს, სადაც გლეხობა დიდი ხანია მიწას ფლობს საკუთრების უფლებით და ახლა ფართოდ მიმართავს შინაგან მიწათმოწყობას. ამჟამად კავკასიისათვის შედგენილი კანონპროექტი, რომელიც წყვეტს დიდი ხნის მომწიფებულ საადგილმამულო საკითხს, კეთილმყოფელ გავლენას მოახდენსო მხარის ეკონომიკურ აღმავლობაზე.

მინისტრთა საბჭომ საერთოდ მოიწონა კანონპროექტი, მაგრამ საჭიროდ ჩათვალა მასში ხაზგასმით აღნიშნულიყო, რომ კავკასიაში მიწა სახაზინოა და იგი საკუთრებაში უმტკიცდება გლეხებს გამოსყიდვის საფუძველზე. მინისტრთა საბჭომ შესაძლებლად მიიჩნია, ზოგიერთი რედაქციული ცვლილებების შემდეგ პროექტი წარდგენილი ყოფილიყო სახ. სათათბიროში განსახილველად[58].

ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ მეფის ნაცვლის კანცელარიაში დამთავრდა მიწათმოწყობის ახალი კანონ-წესების პროექტის შედგენა. ამ კანონპროექტის პირველი მუხლის თანახმად თბილისის, ქუთაისის, ელიზავეტპოლის, ერევნის, ბაქოს, შავიზღვისპირეთის გუბერნიის, სოხუმის ოკრუგის, თერგისა და ყუბანის ოლქების მთიანი ნაწილის სახელმწიფო გლეხებს საკუთრებაში ემაგრებოდა 1912 წ. 1 იანვრამდე მათ მუდმივ მფლობელობაში მყოფი მიწები.

2. სოფლებს, რომელნიც უფასოდ სარგებლობდნენ სახაზინო ტყით, ამ უფლების ნაცვლად ეძლეოდათ სანადელო ტყის ნაკვეთები.

3. გარდა სახაზინო მიწებისა, გლეხებს ოფიციალურად უნდა მიმაგრებოდა მათი საკუთარი მიწები და ის ნაკვეთები, რომელზე საკუთრებასაც ისინი ეძიებდნენ სასამართლოს გზით.

4. მომთაბარე მოსახლეობა უნდა გადასულიყო მუდმივ ბინადრობაზე და მისცემოდა ნადელები.

---

57 ი. მ ი რ ც ხ ულ ა ვ ა, აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1900—1917 წწ., თბილისი, 1964 წ., გვ. 299, 328.

58 ლენინგრადის ცსია, ფონდი 408, ანაწერი 1, საქმე 426, ფურც. 54—62.

5. ყოველი სოფლის მიწები ცალცალკე უნდა გამიჯნულიყო, საჭიროდ იქნა მიჩნეული რამდენიმე სოფლის საერთო მფლობელობაში მყოფი მიწების გაყოფა.

6. ცალკეულ პირებს, რომელთაც ჰქონდათ სოფლისაგან გამოყოფილი ნადელები, აგრეთვე ყოველ გლეხს, რომელიც ფლობდა არანაკლებ 20 დეს. მიწას. უფლება ეძლეოდათ სოფლისაგან გამოეყოთ და ცალკე გაემიჯნათ თავისი ნადელები. სოფელი ამ უფლებას მისცემდა კომლს იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი უარს იტყოდა სოფლის გაუყოფელი მიწის ნაკვეთებით სარგებლობაზე.

7. მიწის საკუთრებაში მიმაგრების დროს უნდა მომხდარიყო მავნე მიწათდაქსაქსულობის ლიკვიდაცია, მხარეების ნებაყოფლობითი შეთანხმების საფუძველზე ნაკვეთების გაცვლის ზზით.

8. დასაშვებად იყო ცნობილი სავალდებულო გაცვლაც მხარეთა ინტერესების მაქსიმალური დაცვით.

9. ეზო, სხვადასხვა სამეურნეო ნაგებობით დაკავებული ნაკვეთები, ვენახები და ბაღები შეიძლება გაცვლილიყო მხოლოდ მესაკუთრის თანხმობით.

12. სერვიტუტები უნდა მოსპობილიყო მათი გაყოფის გზით.

15. მიწათმოწყობის სამუშაოთა წარმოება ევალებოდა მომრიგებელ შუამავლებს და საგლეხო საკრებულოებს, რომლებთანაც ყალიბდებოდა მიწისმზომელთა ჯგუფები.

17—25. მუხლებში გადმოცემულია მიწათმოწყობის სამუშაოთა პროცესუალური მხარე (ნადელთა პროექტების შედგენა, მისი განხილვა-დამტკიცება, დადგენილებათა გასაჩივრების წესი და სხვ.).

27. ამ წესების თანახმად გლეხობაზე მიმაგრებული მიწები ითვლებოდა მის საკუთრებად; გამოყოფილი ნადელები ცალკე პირთა, ხოლო სხვა მიწები-სოფლის საზოგადოებრივ საკუთრებად.

30. გლეხთა საკუთრებაში გადასული მიწები უნდა დაბეგრილიყო გამოსასყიდი გადასახდელებით 28 წლის ვადით: გლეხებს ყოველწლიურად უნდა გაეღოთ ამ მიწებზე შეწერილი საღალო გამოსაღების 77%. ადრევე მოსახლეობის საკუთრებაში მყოფი მიწები იბეგრებოდა განსაკუთრებული გამოსაღებით გამიჯვნის სამუშაოხარჯების დასაფარავად.

31. მეფის ნაცვალს ევალებოდა ინსტრუქციით განესაზღვრა მომრიგებელ შუამავალთა, საგლეხო საკრებულოების, და მიწის მზომელთა მოქმედება-საქმიანობის ხასიათი[59].

---

59 ლენინგრადის ცსია, იქვე, ფურც. 22—25.

ამ კანონპროექტის განხილვის დროს ვრცელი მოხსენება წარადგინეს სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს რწმუნებულმა კავკასიაში არხიპოვმა და მისმა მოადგილემ სკიბიცკიმ. ისინი კვლავ იცავდნენ 1903 წ. 21 აპრილის წესებს და ილაშქრებდნენ კანონპროექტის წინააღმდეგ[60]. ხაზინის წარმომადგენლები პირდაპირ არ ამბობდნენ, მაგრამ ცხადია, მათ განსაკუთრებით არ მოსწონდათ სახელმწიფო გლეხთათვის მიწაზე საკუთრების უფლების მინიჭების იდეა, რაც გატარებული იყო ახალ კანონპროექტში. იცავდნენ რა 1903 წლის წესებს, ამ გზით მათ სურდათ ხაზინის ხელთ შეენარჩუნებინათ სახელმწიფო გლეხთა სანადელო მიწების მიმართ უზენაესი მესაკუთრის უფლება. ხაზინის ინტერესთა ამ დამცველებს საჭიროზე მეტი მომხრენი აღმოუჩნდნენ. ამიტომ იყო, რომ სახელმწიფო გლეხთა მიწათმოწყობის ახალი კანონპროექტი, რომელიც სახელმწიფო სათათბიროში გაიგზავნა 1913 წელს, განხილული არ ყოფილა. ამას შეიძლება ხელი შეუშალა მსოფლიო ომმაც.

როგორც ვხედავთ, 1900 წლის კანონი და 1903 წ. 21 აპრილის წესები სახელმწიფო გლეხთა მიწათმოწყობის შესახებ, რომელიც გლეხთა ფაქტიურ მდგომარეობაში თითქმის არაფერს არ სცვლიდა, რევოლუციამდე მოქმედებდა. 1917 წლამდე აღმოსავლეთ საქართველოში მიწის მფლობელობის დოკუმენტი, გადაცემის წერილები მიღო მხოლოდ 103 სოფელმა (37550 ს. მამრ. სქესის) 121560 დეს. მიწაზე, საბოლოოდ გაიმიჯნა 390 სოფლის (121113 ს.) 419592 დეს. მიწა. მიწათმოწყობის სამუშაოები ამა თუ იმ ფორმით შეეხო 570 სოფლის 626189 დეს. მიწას.

სულ კი აღმოსავლეთ საქართველოში ითვლებოდა 1011 სახაზინო სოფელი 899794 დეს. მიწით[61]. დასავლეთ საქართველოში სახელმწიფო გლეხთა მიწათმოწყობის სამუშაოები საერთოდ არ დაწყებულა.

ამგვარად, მეფის მთავრობამ არსებითად უარი თქვა კოლონიურ საქართველო-ამიერკავკასიის გლეხობა უფლებებით გაეთანაბრებინა მეტროპოლიის გლეხობისათვის. აქ რევოლუციამდე რჩებოდა ნახევრად ბატონყმური ინსტიტუტი ხიზნობისა და სახელმწიფო გლეხთა ხაზინისადმი დაქვემდებარების სისტემა. მეფის მთავრობა ხელს კი არ უწყობდა ნახევრადბატონყმური ინსტიტუტების ლიკვიდაციას, არამედ, პირიქით, ცდილობდა რა პრივილეგიური წოდების ინ-

---

60 ლენინგრადის ცსია, იქვე, ფურც. 30—51.

61 ლენინგრადის ცსია, ფონდი 408, ანაწერი 1, საქმ. 1023, ფურც. 88—39.

ტერესების დაცვას, აფერხებდა ქვეყნის პროგრესული განვითარების სტიქიურ-ეკონომიურ პროცესს.

დასკვნა

XIX საუკუნის 60-იანი წლების რეფორმამ ყმაგლეხობას მიანიჭა პირადი თავისუფლება და ძირითადად ამით განისაზღვრა მისი პროგრესული მნიშვნელობა, მაგრამ ადგილობრივი დებულებები მაქსიმალურად იცავდა პრივილეგიური წოდების ინტერესებს გლეხობის ხარჯზე.

თავადაზნაურობა და სახელმწიფო ხაზინა რეფორმის შემდეგაც ინარჩუნებდა მონოპოლიას მიწის საკუთრებაზე. აქედან გამომდინარეობდა გლეხობის მიწათმფლობელთადმი დამოკიდებულების სხვადასხვა ფორმა, რაც შეადგენდა აგრარული ურთიერთობის ძირითად შინაარსს თვით 1917 წლის რევოლუციამდე.

დროებითვალდებულების ინსტიტუტი ფაქტიურად ბატონყმობის ნაირსახეობას წარმოადგენდა. ღალა დაწესებული იყო არა იმდენად სანადელო მიწაზე, რამდენადაც დროებითვალდებული გლეხის შრომაზე. უშუალო მწარმოებელი არ შეიძლება დაინტერესებული ყოფილიყო თავისი სანადელო მიწის გაუმჯობესებით, რადგან მოსავლიანობის ზრდის პარალელურად იზრდებოდა გლეხის ნატურალური ვალდებულება მოსავლის წილის სახით და მატულობდა თვით მიწის ნაკვეთის ფასი, რაც კიდევ უფრო აძნელებდა მის გამოსყიდვას. ამდენად დროებითვალდებულების ინსტიტუტი იწვევდა გლეხობის ეკონომიურ დაკაბალებას და ზნეობრივ დამცირებას, აფერხებდა ქვეყნის პროგრესულ განვითარებას.

რეფორმის შემდეგ, მიწის საიჯარო ქირის სწრაფი ზრდის პირობებში, ქართველ მემამულეებს უკვე არახელსაყრელად მიაჩნდათ ძველი ტრადიციული ურთიერთობა ხიზნებთან. მემამულეები უარყოფდნენ მიწის რენტის უცვლელობის პრინციპს და ხიზანთა საადგილმამულო ვალდებულებებს თანდათან ადიდებდნენ. უარყოფდნენ მიწიან სარგებლობის უვადობის პრინციპს; გადაჰყავდათ ხიზნები ვადიან, წერილობით საიჯარო ხელშეკრულებებზე ან სულაც ერეკებოდნენ მათი მამაპაპეული ადგილებიდან, რათა მიწები სხვებზე გაეცათ უფრო ხელსაყრელი გარიგებით.

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან მეფის მთავრობა აქტიურად ერეოდა ხიზანი გლეხებისა და მემამულეების კლასობრივ ბრძოლაში, ცდილობდა დაეცვა პრივილეგიური წოდების ინტერესები. ამან გამოხატულება ჰპოვა 1891 წ. 3 ივნისის დებულებასა და მის 1900

წ. ნ. ივნისის დამატებაში. კანონმდებლობის მეშვეობით ხიზნებად აღიარებულნი უფლებრივი მდგომარეობით თითქმის მთლიანად გაუთანაბრდნენ დროებითვალდებულ გლეხებს. ისინი უმიწოდ დარჩენის მეტი საშიშროების წინაშე იმყოფებოდნენ მხოლოდ.

XIX საუკუნის განმავლობაში რუსეთის ცარიზმი ყოველგვარი საშუალებებით ზრდიდა სახაზინო მიწის ფონდს და ხაზინაზე ეკონომიურად დამოკიდებულ გლეხთა მასას. მართალია, სახელმწიფო გლეხების უფლებრივ-ეკონომიური მდგომარეობა სხვა კატეგორიის დამოკიდებულ გლეხებთან შედარებით უკეთესი იყო, მაგრამ ბევრი მათგანი მწვავედ განიცდიდა მცირემიწიანობას და ცარიზმის საგადასახადო პოლიტიკის სიმკაცრეს.

გლეხური მოსახლეობა საკმაოდ სწრაფად იზრდებოდა. მისი სანადელო მიწების ფონდი კი უცვლელად რჩებოდა. ასეთ პირობებში თანდათან მცირდებოდა სანადელო მიწების როლი გლეხურ მეურნეობაში. გლეხები სულ უფრო მეტი მასშტაბით მიმართავდნენ მიწის იჯარას. თავის მხრივ მემამულეთა უმრავლესობა ამჯობინებდა მიწების ექსპლოატაციას მოიჯარე გლეხთა მეშვეობით, რადგან ხშირად მიწის რენტა მეტი იყო, ვიდრე რაციონალურად მოწყობილი მეურნეობების სუფთა შემოსავალი. საიჯარო ქირა სწრაფად მატულობდა. იჯარით აღებული მიწის დამუშავების მთელ ხარჯებს გლეხი ფარავდა. ხშირად ეს ხარჯები აჭარბებდა ნაკვეთის სუფთა შემოსავალს და ნთქავდა მთელი შემოსავლის 60—65%. ასეთი კაბალური პირობით ვაჭრები და კულაკები მიწას არ იღებდნენ და მით უმეტეს არ ამუშავებდნენ, რადგან მათ მიზანს მოგების მიღება შეადგენდა. ღარიბი გლეხობა კი კაპიტალისტური წარმოების კანონებს მიღმა იდგა, საქონელს კი არა, თავის საარსებო საშუალებებს აწარმოებდა და იძულებული იყო იჯარის კაბალური პირობები მძიმეტვირთად ეტარებინა, რათა მიეღო დამატებითი სურსათი ოჯახის გამოსაკვებად.

მოსახლეობის გამრავლებამ, მცირემიწიანობის გამწვავებამ, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობისა და კაპიტალიზმის ვანვითარებამ გამოიწვია საგადასახლებო მოძრაობის გაფართოება. დიდი რათდენობით ჩამოსახლდნენ მთიელები ბარში. მჭიდროდ დასახლებული იმერეთისა და გურია-სამეგრელოს გლეხობის გარკვეულმა ნაწილმაც შედარებით თხლად დასახლებული აფხაზეთისა და ქართლ-კახეთის ზოგიერთი რაიონებისაკენ გადაინაცვლა. გატყდა ყამირი, გაიჩეხა ტყე და ბუჩქნარი, კვლავ აბოლდა ქართული კერა ძველ ნასოფლარებზე. ახალი ფართობები შევიდა სამიწათმოქმედო ფონდში. ქართველი ხალხი, მშრომელი გლეხობა შედარებით თანაბ-

რად. ბუნებრივ-ეკონომიურ შესაძლებლობათა მიხედვით. განსახლ-და მთისა და ბარის რაიონებში. ჩამოყალიბდა ბურჟუაზიული საქართველოს ტერიტორია. საქართველოს რუკაზე ძველი ქალაქებისა და დაბა-სოფლების გვერდით მრავლად აღინიშნა კაპიტალისტურ-ხანაში წარმოშობილი ახალქალაქები და დაბა-სოფლები.

რეფორმის მომდევნო ხანაში საქართველოს ეკონომიკა აღმავალი ხაზით ვითარდებოდა. სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარებისა და დარგობრივი სპეციალიზაციის გაღრმავების კვალობაზე თანდათან ფართოვდებოდა საქონელმიმოქცევა, იზრდებოდა როგორც შინაგანი, ისე საგარეო ვაჭრობის ბრუნვა. მასში მეტნაკლებად საქართველოს ყველა რაიონები მონაწილეობდნენ. შინაგანი და მსოფლიო ბაზრის ფართო ყულაბაში სპეციფიკურად თავიანთი მეურნეობისათვის დამახასიათებელ პროდუქტებს უშვებდნენ. საქონელმიმოქცევის გაფართოების შედეგად აღმოცენდა ახალი სავაჭრო პუნქტები. გააძლიერეს საქმიანობა ვაჭარ-მევახშეებმა. რომელნიც მატერიალური სიმდიდრის შექმნაში არაფრით არ მონაწილეობდნენ, მაგრამ მოგებას მწარმოებლობაზე მეტს ღებულობდნენ. ვაჭრების არახელსაყრელი შუამავლობის თავიდან აცილების მიზნით მწარმოებლები ქმნიდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქტთა გამსაღებელ ამხანაგობებს. მევახშეების საწინააღმდეგო ახალ საფუძველზე ეწყობოდა საკრედიტო დაწესებულებებიც. ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილის აზრით სავაჭრო და საკრედიტო კოოპერატივებს სიმტკიცე უნდა შეემატებინათ წვრილი გლეხური მეურნეობისათვის. მაგრამ სინამდვილეში მათ არ შეეძლოთ განვითარების ტენდენციის შეცვლა. ვაჭრობა-კრედიტის კაპიტალისტური ფორმების გაბატონებას კოოპერატივების სახითაც კი უნდა მოჰყოლოდა: ერთი მხრით, ძველი ყაიდის ვაჭარ-მევახშეების გაქრობა, ხოლო მეორე მხრით, გლეხობის ექსპროპრიაციის პროცესის გაძლიერება.

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა დიდ გავლენას ახდენდა მიწათმფლობელობის ფორმებსა და მეურნეობის ხასიათზე. რეფორმის მომდევნო ხანაში მიმდინარეობდა ბატონყმობის ნაშთების აღმოფხვრის სტიქიურ-ეკონომიური პროცესი. მართალია, მეფის მთავრობა ცდილობდა გამძლეობა შეემატებინა ფეოდალური საკუთრებისათვის. მაგრამ სავაჭრო მიწათმოქმედებისა და ფულადი ურთიერთობის პირობებში ძალიან გაფართოვდა მიწის გამოსყიდვისა და ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები. 1914 წლამდე საქართველოს გლეხობამ საკუთრებაში შეისყიდა 700 ათასამდე დესეტინა მიწა. ფეოდალური საკუთრების რღვევა და თავისუფალ გლეხურ საკუთრებაზე გადასვ-

ლა კაპიტალიზმის განვითარების შედეგსა და მის გამოხატულებას წარმოადგენდა.

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებასა და მიწის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული გლეხობის სოციალური დიფერენციაცია, რომელიც ჯერ კიდევ ნატურალური მეურნეობის ბატონობის დროს დაიწყო. რეფორმის შემდეგ გლეხობის დაშლის პროცესი მნიშვნელოვნად დაჩქარდა. მიწის დიდი ნაწილი და წარმოების საშუალებანი დაგროვდა კულაკთა მცირერიცხოვანი ფენის ხელში. ხოლო გაღატაკებული გლეხები არსებობის საშუალებებს საშოვარზე გასვლითა და საკუთარი სამუშაო ძალის გაქირავებით პოულობდნენ.

მართალია, საქართველოს სოფლებში კაპიტალისტური ურთიერთობა ვითარდებოდა, მაგრამ აქ XIX—XX სს. მიჯნაზე კიდევ არსებობდა ბატონყმობის ნაშთები, რომლის მოსპობაც 1905—1907 წწ. რევოლუციის მთავარ მიზანს წარმოადგენდა. საქართველოს გლეხობის აგრარულ-რევოლუციურმა ბრძოლამ ძალიან შეაშინა მთავრობა და გაბატონებული კლასები. ბევრი რეაქციონერიც კი ლიბერალურად ალაპარაკდა და მოითხოვდა გლეხობის დამშვიდებისათვის რეფორმების გატარება

ქართველი მემამულეები შეეცადნენ შეემცირებინათ კლასობრივი წინააღმდეგობანი, აღმოეფხვრათ ახალი რევოლუციის მიზეზები. ისინი მთავრობისაგან მოითხოვდნენ აგრარული ურთიერთობის არქაული ფორმების უმტკივნეულო ლიკვიდაციას, ხოლო გლეხებს ურჩევდნენ ხელი აეღოთ თავადაზნაურთა მამულების კონფისკაციის ლოზუნგზე და მიწები კანონიერი ნასყიდობებით დაესაკუთრებინათ. მშობლიური ტერიტორია არ დაეთმოთ სომეხი ვაჭრებისა და გადამთიელებისათვის. საქართველოში რუსების ჩამოსახლება და მათ შიერ ქართველი გლეხებისათვის ესოდენ აუცილებელი მიწების დაკავება კიდევ უფრო ამწვავებდა აგრარულ საკითხს ამ განაპირა მხარეში. ამიტომ იყო, რომ ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ქართველი თავადაზნაურობაც კი ილაშქრებდა.

რევოლუციით შეშინებულმა კავკასიის ადმინისტრაციამ უმაღლეს მთავრობაში წარადგინა რადიკალური კანონპროექტები, რომელნიც ითვალისწინებდა დამოკიდებულებითი ურთიერთობის ყველა ფორმის გაუქმებას და მთელი გლეხობის მესაკუთრეთა კატეგორიაში გადაყვანას ყოველგვარი გამოსყიდვის გარეშე. მაგრამ რეაქციის ხანაში მთავრობამ უარყო რადიკალური კანონპროექტები. რეფორმის 50 წლის თავზე დროებითვალდებულებაში დარჩენილი გლეხები აიძულეს ერთხელ კიდევ გამოესყიდათ ნადელები. გადაუჭრე-

ლი დარჩა ხიზანთა საკითხი. სახელმწიფო გლეხებიც აგრეთვე ვერ ეღირსნენ მესაკუთრეთა კატეგორიაში გადაყვანას. ამგვარად, ცარიზმმა უარი თქვა ქართველი გლეხები გაეთანაბრებინა უფლებებში მეტროპოლიის გლეხობასთან. მეფის მთავრობა ხელს კი არ უწყობდა ნახევრად ბატონყმური ინსტიტუტების ლიკვიდაციას, არამედ. პირიქით, აფერხებდა ქვეყნის პროგრესული განვითარების სტიქიურ-ეკონომიურ პროცესს.

———

შემოკლებათა ახსნა

1. СХАО—Сельское хозяйство и аграрные отношения, т. т. I, II, IV, под ред. П. Гугушвили.
2. ССДЗТКГ—Свод статистических данных о землевладении в Тифлисской и Кутаисской губерниях, под ред. Е. Кондратенко, 1893 г.
3. ССДЗДЗК—Сборник статистических данных о землевладении и способах хозяйства в пяти губерниях Закавказского края, под ред. Е. Кондратенко, Тифлис, 1899 г.
4. СССЧЗ—Сборник статистических сведений о частном землевладении в Тифлисской и Кутаисской губерниях, под ред. Ф. Гогичайшвили Тифлис, 1910, г.
5. МИЗБГКЗК—Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края, т. т. I—VII, Тифлис, 1885—1887 гг.
6. МВРДКПБЗК—Материалы по вопросу о распространении действий крестьянского поземельного банка на Закавказский край, С-Петербург, 1904 г.
7. СМЭБ ГКЗК—Свод материалов по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского края, т. т. I—V, Тифлис, 1887—1888 гг.
8. РТКЭЖДЭКО—Район Тифлисско-Карско-Эриванской железной дороги в экономическом и коммерческом отношении.
9. ССТППГЗЖД—Сводныя статистическия таблицы о перевозках пассажиров и грузов по Закавказским железным дорогам, Тифлис, 1904 г.

შინაარსი

თავი პირველი. პრივილეგიური წოდების მონოპოლია მიწის საკუთრებაზე და აგრარული ურთიერთობის ფორმები 5

1. დროებითვალდებულების ინსტიტუტი 5

2. ხიზნობა 20

3. სახელმწიფო გლეხები 30

თავი მეორე. მიწის იჯარა. გლეხთა საგადასახლებო მოძრაობა 40

1. იჯარის როლი გლეხურ მეურნეობაში 40

2. გლეხთა საგადასახლებო მოძრაობა 52

თავი მესამე. გლეხობის სოციალური დიფერენციაცია 63

1. სავაკრო მიწათმოქმედების განვითარება 63

2. მიწის გამოსყიდვა და ყიდვა-გაყიდვა. მესაკუთრე გლეხთა კატეგორია 87

3. გლეხობის სოციალური დიფერენციაცია 107

თავი მეოთხე. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია და მთავრობის აგრარული პოლიტიკა 1905—1917 წწ. 135

დასკვნა 182

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

გამომცემლობის რედაქტორი ც. თ ა ვ ა ძ ე
ტექრედაქტორი ე. ბ ო კ ე რ ი ა
კორექტორი ქ. წ ე რ ე თ ე ლ ი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 13.11.1965; ნაბეჭდი თაბახი 11,74;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 10,61;
უე 02224; ტირაჟი 1000; შეკვეთა 410;
ფასი 86 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 8
Издательство «Мецниереба», Тбилиси, ул. Дзержинского № 8

გამომცემლობა „მეცნიერების" სტამბა, თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, ул. Г. Табидзе 3/5